


# კორიტი



3

2023

„ჩემი თემარი“  
მხატვარი მურანდა ნიჟარაძე



აჭარის მხარეთა სახლი

ISSN 0134-3459 23003



9 770134 345001

# ჭოროხი

გამოცემის 65-ე წელი

განსი-ივნისი

№3

2023 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია  
როინ აბუსელიძე  
ცისანა ანთაძე  
გენრი დოლიძე  
იაზა თანდილავა  
დავით თედორაძე  
ლალი კონცელიძე  
გურანდა ნიჭარაძე  
ჯემალ სურმანიძე  
ბელა ქეზურია  
ვახტანგ ლლონტი  
თინა შიოშვილი  
მანია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
მალხაზ ფალავა

ოპერატორი  
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2023

რედაქციის მისამართი:  
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი  
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

„**კოდორ**“  
ჯგუფი

უზრუნავი დაიბეჭდა  
სტამბა „კოლორ პრესში“.  
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5



9 770134 345001

## ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

## შინაარსი

### მოუსია, ჩოქა

დავით თედორაძე – ლექსები .....	3
ზურაბ ფირცხალაიშვილი – ლექსები .....	9
პალვა კვანცვავაძე – მოთხრობები .....	17
ელგუჯა მარღია – ლექსები (რობაიები) .....	33
იზა ოსაფაიშვილი – მოპარული სიყვარული (მოთხრობა) .....	48
სალომეა ლომინაძე – ლექსები .....	54
მარი მაჭარაშვილი – ლექსები .....	59

### ჩიტიან, ჯულისიტიან

თამაზ გვინეტაძე – „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული და ფრანგული თარგმანები – იონა მეუნარგიას თანამშრომლობა ბერტა და არტურ ზუტენერებთან ...	62
ალექსანდრა ჯიბლაძე – ცრემლში დატეული სიხარული... ..	73
შორენა მახაჭაძე – „Nonfiction“ ჟანრის ერთი გამორჩეული ნიმუში .....	81
„ლექსი – სულის პროფილი“ .....	86

### ხანთაია

მარიამ ნადარეიშვილი – რატომ უნდა ვისწავლოთ ისტორია? .....	94
---	----


### ჟოლღოვი

თამარ მაჭუტაძე, თინა შიოშვილი – ქართული ხალხური ანდაზების მოამაგე .....	100
---	-----

### წილიანი

მისილ მახარაძე – დიდ წინაპართა ღირსეული შთამომავალი .....	110
ნოდარ ბარამიძე – ლადო კოტეტიშვილი – აჭარელი მაჰმადიანის ერთი ფსიქოლოგიური თავისებურების შესახებ .....	117

# ჯონი, ჯონა



## დავით თადეოზაძე

### ინტერვიუ

გამოკითხვა დასრულდა,  
შეკითხვები კმარა,  
მეშინია სიბერის,  
სიკვდილის – არა.

ვერ შევძელი რაც მსურდა,  
ვუბოდიშებ აჭარას,  
სამსჯავროზე წარვსდგები,  
იქ, უფალთან, აქ არა.

მიმაჩნია აბსურდად,  
არც არასდროს მნდომია,  
ქართველს საქართველოში  
ჰქონდეს ავტონომია.

ამას ვამბობ გულგახსნით,  
ჩვენს ნანამებ მხარეში,  
ღალატია, უზნეო  
პარტიების თარეში.

ყველა სიტყვა, ბგერაც კი  
ლოცვით ღმერთთან ასული,  
უნდა იყოს სამშობლოს –  
საქართველოს მსახური.

### აღმაშენებელი

რის ლეგენდა?!  
რა მითი?!  
მეფე იყო დავითი,  
საქართველოს აგემა  
ერთად ყოფნის არსი,  
ქუდს უხდიდა ოსმალოც და  
გაპარსული სპარსიც.

რის მირონი?!  
რა სასმელი?!  
ძელზე გასვა გასასმელი,  
განამტკიცა საქართველოს ბჭენი,  
ორ ზღვას შორის განფენილი იმპერია  
ბაასობდა დავით მეფის ენით.

### თურმე რობორ მყვარებიხარ

მადონა ფალავანდიშვილს

სხვა რა დამრჩა, ვეფერები  
ჩვენთვის ძვირფას თარიღებს,  
კარზე აღარ ვაკაკუნებ,  
კარს არასდროს გამიღებ,  
თურმე როგორ მყვარებიხარ  
და რა გვიან გავიგე.

ჩვენს ოჯახზე სხვები თხზავდნენ  
ლეგენდებს და სიმღერებს,  
შენთან მოსვლით ვინუგეშებ  
გამწარებულ სიბერეს...  
მარტოობას ვეგუები,  
კომმარული დღის მერე...

აღარც დარი გახარებს და  
არც განუხებს ავდრები,  
აღარ მტუქსავ სიყვარულით,  
უზომოდ თუ დავთვრები...

ღვთის წინაშე მუდამ ვიყავთ  
ორივენი მართლები...

სხვა რა დამრჩა, მოგონებებს  
ღამე უნდა ვუთიო  
სანამ მეც მანდ გეახლები,  
გეახლები უთუოდ...

### არ მსინჯება წნევა

მიყვარხარ თავდავიწყებით,  
გიყვარდი სიგიჟემდი,  
მიყვარხარ, არ მავინყდები,  
სული ჰაზია სევდის.

ვლოცულობ ქრისტიანულად,  
სანთელს სულს ვატან შენთან,  
ცრემლსაც გიგზავნი მალულად,  
სანამ ვიქნებით ერთად.

სხვა რა ვუბრძანო ახლა გულს,  
მტერს, რა განცდებშიც მე ვარ,  
ცხოვრებას, ჩემსას, ჩახლართულს,  
არ ესინჯება წნევა.

### უფალო, გთხოვ მაპატიო

სამშობლოს ერთგულ შვილებში  
მეუფეები არიან...

რა მკითხე?!

ეგ თუა მეუფე?!

ეგ იუდას უკანალია.

უფალო, გთხოვ მაპატიო,

განკითხვის დანაშაული,

მეუფე ცაპე-ცუპასი

ფასი არ არის შაურიც.

სარწმუნოება კარგია...

და კარგზე მეტი, ათასჯერ,

თუკი სამშობლოს არგია,

თუკი სამშობლო ადარდებს.

### ვერ ამომიღებ გულიდან

გულის ჩინს გადარებდი და  
ცცხოვრობდი, ჩემთვის, ბერივით,  
მაგ გულის რადარებიდან  
გავქრები ლაინერივით.

დაგრჩება სინანული და  
ხსოვნა ურიას ვალივით,  
ვერ ამომიღებ გულიდან  
გაბანძებული ქმარივით.

### შეცდომების კასპიდია ბასარღვევი

გადავურჩი სისხლის დულილს,  
ჯებირების დასამტვრევად მონოლილს,  
როდის იყო რომ მიჰქონდათ შეშა ტყეში  
დასანთებად კოცონის?!

შეცდომების კასკადია გასარღვევი,  
თუმც არ ვნანობ ადრე რისთვის მომწონდი,  
ეს გრძნობები, უსარქველო, რას ჩადიან  
ჩასაქრობად კოცონის!

### დათუნას

#### შვილისშვილს

ბაბუ, როგორ მიყვარხარ –  
რანაირად მოვყვე,  
ბაბუ, შენი გულისთვის  
დევებს თავებს მოვკვეთ.

გავაჩერებ მდინარეს,  
გავანათებ ქალაქებს,  
ბაბუ, როგორ მიყვარხარ –  
რისთვის მალაპარაკებ.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ,  
 ბაბუ, ჩემი ბედი ხარ,  
 სიყვარულზე ტკბილი ხარ და  
 სიყვარულზე მეტი ხარ.

უკვდავების წყარო ხარ,  
 ციდან ჩამონადენი,  
 ლოცვანივით წმინდა ხარ და  
 ლოცვასავით ნათელი,  
 ისე შვენი სამშობლოს,  
 როგორც ტაძარს – სანთელი.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ და  
 ბაბუ, გულის ჩინი ხარ!

### პაპარცებს

გაუმარჯოს პაპარაცებს,  
 მე თუ მკითხავთ – ხელოვანებს,  
 ურცხვად ჩასაფრებულ კაცებს,  
 მუნჯებს, არა ენოვანებს.  
 გაუმარჯოს!  
 მათი ფასი  
 იცის ჩვენმა მასმედიამ,  
 ჩაუსაფრდით,  
 ხალხს ის უნდა,  
 კომიკური რაც მეტია.  
 ხალხს მობეზრდა დანყობილი  
 განწყობა და სიფათები.  
 თქვენ ხომ კი... და  
 ჩვენაც ვიცით,  
 რა ემბაზშიც ინათლებით.  
 პაპარაცი რა კაცია?  
 მე თუ მკითხავთ, ხელოვანი  
 ალბათ ასგზის მგრძნობიარე,  
 ალბათ ასგზის ენოვანი.




## მარანში ვარ

მედლე-მეხვალეობით  
გავა ალბათ ეს წელიც...  
სიტყვა ბევრჯერ გავტეხე,  
ვენევი და ვენევი...

ღვინო არ მწყენს,  
ღვინოს ვსვამ,  
ღვინო როგორ არ ვაქო,  
რა ვქნა, რა მოვეუხერხო  
ფილტვის კიბოს-თამბაქოს.

მარანში ვარ,  
სხვა რანგში ვარ,  
გამიმეფდა ღვინო,  
ანგელოზი ჩამჩურჩულებს,  
ნუ წახვალო წინო...  
ფიალიდან მიბრიალებს  
ჭინკა ელამ თვალეებს,  
ამ გაპუტულს,  
ამ გაქუცულს  
ვერსად დავემალე...  
მარანში ვარ,  
სხვა რანგში ვარ,  
დივლი დალაღალე...  
მზის ემბაზში ნაკურთხი ხარ,  
ღვინოვ, გენაცვალე.



# ზურაბ ფირცხადაიშვიდი

\* \* \*

გაქცეულ ქარების ველია,  
ლანდების მიმოსვლა – ეს ყოფა,  
თვალში კი იმდენი ცრემლია,  
ქალაქის სადარდელს ეყოფა...  
აქ რომ გზად დღეები დადიან,  
ბედის ცის ვერ იქცნენ მისნებად,  
გულში კი იმდენი დარდია,  
მაღალ მთებს ეყოფა ნისლეზად...  
ვერავინ გადავა ღვთის ნებას,  
ბოლო ზარს ვილაცა დარეკავს,  
სულში კი იმდენი ვნებაა,  
სამყაროს აშლის და წალეკავს...  
კართან რომ ჩაივლის – ქარია,  
ალარც კი შემოდის მზე შინა,  
ამქვეყნად ამდენი ქალია,  
მაგრამ მე – შენ მყავხარ სიზმრებში...  
მზის ეტლით ღრუბლებზე გავლაა,  
ჩრდილების ზმანება – ეს ყოფა,  
ჩემს სულში იმდენი გვალვაა,  
სუყველა უდაბნოს ეყოფა...

2023

## იღუმბია

ზოგისთვის უკვე აღარა ვარ,  
ზოგისთვის ერთ დროს – არსებული,  
ზოგისთვის ჯოხი-ნალარა ვარ,  
ზოგისთვის სახლი – დავსებული...

ზოგისთვის დილა საგვირისტო,  
 ზოგისთვის ღამე – ნაბღიანი,  
 ზოგისთვის მძივი ამეთვისტოს,  
 ზოგისთვის რკინა ჟანგიანი....  
 ზოგისთვის სადმე ბალნარად ვარ,  
 ზოგისგან მზერა აღმაცერობს,  
 ზოგისთვის, რა ვქნა, აღარა ვარ,  
 ზოგი კი ჩემთვის არ არსებობს...

2023

\* \* \*

ველარც ვიზღვავე და ველარც ვინაპირე,  
 სადღაც მიმოფანტავს ტალღა ორთაყვირებს,  
 უკან ზაფხული და ვნების მორევია,  
 მთისკენ გზა-ბილიკებს სევდა მორევია,  
 დღენი, ღრუბლებმა რომ ფლოქვით გადათელა,  
 ქარებს შევატოვე მოკლე ბარათებად...  
 სიზმრად ისევ უკრავს ვიღაც ვიოლინოს,  
 ცხადშიც, რა იქნება, ერთხელ მომეველინო,  
 ნაცნობ ღიმილით და თეთრი სამოსელით  
 ფიქრის კართან დგახარ, როგორც მილოსელი,  
 მერმისს ვაკლდები და წარსულს ვემატები,  
 შენკენ მოვდივარ და მაინც მენატრები...

2023

\* \* \*

მინა, რომელიც დაგაქვს სხეულით,  
 თვალები – ასე ზეცამდიდარი,  
 ცხოვრება შენი – ლურჯი რვეული –  
 ახალი დრიოს იადიგარი,  
 წიგნად ნაწერი იგავნი სიბრძნის,  
 უფლის საყდარი, საფლავთან ლოდი,  
 გაგრძელებაა იმ გრძნეულ სიზმრის –  
 იბერიად რომ უხმობდენ ოდით...  
 შენ გაქვს უფლება იცხოვრი ისე,  
 როგორაც გული გეტყვის და გირჩევს,  
 გინდა მაღალი იყავი ციხე,

გინდა ნაძვივით მოისხი გირჩი...  
 ან სულ გლეხივით მარტივი კაცი,  
 ალალი, როგორც მცხობელი პურის,  
 უდაბნოს ბერი – ჩუმი და მკაცრი,  
 გინდა ამ დღეთა – თვალი და ყური...  
 ასეც და ისეც, კარგიც და ცუდიც,  
 ან სულმთლად ოქრო,  
 ან სულმთლად ვერცხლი,  
 უნდა გეხუროს ნამუსის ქუდი,  
 უნდა გათბობდეს კერიის ცეცხლი...  
 დაატარებდე ცრემლივით სევდას  
 და მღელვარებას შეფაკულ შინდის...  
 არ გეთმობოდეს ადგილის დედა,  
 არ გემსხვრევოდეს ფეხებქვეშ ხიდი,  
 საკუთარ წყლებში მართავდე ანძას  
 და გრიგალების უძლებდე სუნთქვას...  
 ზღვისპირს ნიჟარად თუ უცხო განძად –  
 შენ საქართველოს ეკუთვნი სულმთლად:  
 მიწით, რომელიც დაგაქვს სხეულით,  
 თვალებით – ასე ზეცამდიდართ,  
 ცხოვრებით შენით – ლურჯი რვეულით –  
 ახალი დროის იადიგართ...

2023

\* \* \*

მე – მისი ხელის მეძებარს –  
 კიდევ რა უნდა მენატრა,  
 მთვარე ვიყავ და მემზევა,  
 სითბო მსურდა და მემარტა,  
 სხივივით მომეათასა,  
 ვნებით დამაბა კერასთან,  
 მეფე არ ვიყავ – ბალთასარ,  
 მთელი ქვეყანა მემართა...  
 დღეს კი, ვით ძველი ელინი,  
 ამ მოზღვავებულ ქაოსში,  
 ზღვით გატაცებულ ელენეს –  
 ცოლს ვეძებ მენელაოსი...

2023

\* \* \*

მე, რა თქმა უნდა, არ ვარ გოეთე,  
ჭკუა ვასანავლო მიეთ-მოთებს,  
არც ქუჩის ბიჭი, ვინმე ფრაერი:  
ჰაერი გვინდა, მეტი ჰაერი...

გვეყო ამდენი დავიდარაბა,  
ფანჯრებს ჩამოვხსნათ შავი დარაბა,  
არც პირველი ვარ და არც მეათე:  
სიმართლე გვინდა, მეტი სიმართლე...

გვეყო ამდენი ფარისევლობა,  
უფლის ტაძარში ყალბი მსვლელობა,  
ამდენი ცოდვა და სინანული:  
მამული გვინდა, მეტი მამული...

მე, რა თქმა უნდა, არ ვარ გოეთე,  
ჭკუა ვასანავლო მიეთ-მოთებს,  
არც პირველი ვარ და არც მეათე:  
სინათლე გვინდა, მეტი სინათლე...

2023

\* \* \*

მტრედების გუნდი მოჯარულა ღია სარკმელთან,  
ფერები უკან ბრუნდებიან ზამთრის ომიდან,  
ატმის ყვაფივილი, როგორც ნაღმი, ბაღში აფეთქდა,  
ყოჩივარდები თვალებს იფშენეტს წკნელის ღობიდან...

როგორ აგისხნა, უშენობა ისე მეძნელა,  
სიზმრებში დავდევი სიყარულის ციციანათელებს,  
მხოლოდ სიზმარში თუ მოგიტან ია-ენძელებს,  
მხოლოდ სიზმარში თუ შეგაფენ მარტის ფანტელებს...

ამ თეთრ ღამეებს – სევდის გუბებს – ვინ დაასრულებს,  
ჩიტი ჩიორა ხის ტოტიდან სულ სხვას უგალობს,  
და ამ რიტუალს, ვით საკრალურს, ისე ვასრულებ –  
სიზმრად მოვდივარ, გაღვიძებ, რომ გითხრა უბრალოდ:

როგორც უფალთან, შენთან ყოფნა ისე მომინდა,  
ისევ მოვიდა გაზაფხული, ისევ მოვიდა...

2023

\* \* \*

ასე დალაგდა  
 ცხოვრება ჩვენი:  
 ბედნიერება –  
 (როგორც სათვალე,  
 ვილაც დაბნეულს  
 შუბლზე რომ ჰქონდა  
 და ჩხრეკა-ჩხრეკით  
 სხვაგან ეძებდა) –  
 სულ გვერდით იყო  
 და ვერ ვამჩნევდით...

2023

\* \* \*

კინო-დარბაზს ჰგავს – გრძელ ტალანით –  
 ცხოვრება ხვითო,  
 როცა იქ შეხვალ,  
 ფილმს უყურებ, შენზეა თითქოს,  
 დრო გაივლის და  
 ფილმის ნახვა გინდება ისევ,  
 გარეთ გახვალ და  
 გზას გაიკვლევ ხალხში ადვილად,  
 მაგრამ დარბაზი არ დაგხვდება  
 ნაცნობ ადგილას...

2023

### მოგონება

ნაცნობი ეზო, ბავშვობა თბილი,  
 დედ-მამის მზერა წრფელი და სუფთა,  
 ნიგვზის ტოტებში ჩალვრილი დილა,  
 ქუხნა სახლის წინ პატარა სუფრა,  
 ჯორკოზე მჯდომი ბაბუა თხილით,  
 ცისკენ დაძრული ცისფერი ბოლი,  
 ბეზიასავით წელში მოხრილი  
 ქოხის კუთხესთან მიმდგარი ბჟოლი...  
 ხის ოწინარი, ვით გემის ანძა,  
 ვედროს ხმაური ცივი და მჭახე,

გაღვიძებული ანაზდად და-ძმა,  
 თავგებისათვის დადგმული მახე...  
 ახლობელ ტყიდან ძახილი ჭოტის,  
 სუფრაზე ნაცრის კვერები ცხელი,  
 ხეზე მიბმული ნისლების თოკით  
 სოფელი, როგორც მეზობლის ცხენი....

2023

\* \* \*

დრომ წინ გამიგდო, როგორც ხვასტაგი,  
 ნება რომ ჰქონდეს, ტყვიას დამახლის,  
 როგორმე უნდა გავძლო მარტამდე,  
 რომ დაბადება ვნახო ბალახის...  
 შინ დაბრუნება აღარ გამოვა,  
 უკან ჩახერგეს გზები და ხიდი,  
 სადაც ხსოვნების სასაფლაოა  
 და დაღუპული დღეების რიგი....  
 ყველა მოგონილ სასჯელს ავიტან,  
 ცა მდუმარეა, მთები – მკაცრები,  
 ხელს ამიღებენ ბებერ კაპიტანს  
 ხეები, როგორც ჯარისკაცები....  
 დრო კი უკან დგას და დარდიმანდობს  
 მკვლელის ჟინით და მზაკვრულ ხალისით,  
 შენ არ ინალვლო, ბედის ამინდო,  
 ნიშანს ელის და მალე გაისვრის....

2023

\* \* \*

ჩემი სადარბაზოს წინ  
 მათხოვარი ქალი ზის,  
 როცა მაქვს,  
 ხურდა ფულს ვაძლევ,  
 როცა არა მაქვს,  
 ქუჩის მეორე მხარეს გადავდივარ,  
 რომ არ იფიქროს,  
 გულგრილად ჩავუარე...  
 დღეს მის ყულაბას  
 სულ რაღაც ოციოდ თეთრი დააკლდება,  
 მე კი სულ რაღაც ოციოდ თეთრის სითბო...

2023

\* \* \*

მოსახდელი მაქვს ამ ზამთრის ვალი,  
შემოდგომის ცას ღრუბლის ცხენი ძოვს,  
ნუ დამიყენოს ის დღე უფალმა,  
რომ შენზე ფიქრი ველარ შევიძლო...

მინდა კარივით ისე გავილო,  
არ გამიძნელდეს შენი დანახვა  
და ღმერთმა ნუ ქნას, ჩემთან არ იყო,  
მაშინაც, როცა ჩემთან არა ხარ...

ბედი იპოვის გზას და სამშვინელს,  
ახალ ტკივილებს წინ დამახვედრებს,  
ის დღე მუქფერი უფრო მაშინებს,  
ვაი და უცებ არ გამახსენდე!

ზეცას ჰკიდია მნათობთა მძივი,  
მოგონებებსაც ღამე დაათოვს,  
ღმერთმა ნუ მომცეს ისეთი ძილი,  
სიზმრად გნახო და აღარ გამათბო...

ისეთი დილა უნდა მომინდეს,  
რომ სურნელება ჰქონდეს საკმევლის,  
უფალმა ნუ ქნას, შენთან მოვიდე  
და არაფერი მქონდეს სათქმელი...

მინდა კარივით შენკენ გავილო  
რომ კვლავ მომწყურდეს სახის დანახვა  
და ღმერთმა ნუ ქნას, ჩემთან არ იყო,  
მაშინაც, როცა ჩემთან არა ხარ...

2023

\* \* \*

უკვე დრო დადგა, მადლობა ვუთხრა  
იმათ, რალაცით რომ დამეხმარნენ...


უმაღურობა ცუდი რამეა  
და ამიტომაც სუყველას მინდა



მადლობის სიტყვა ჩამოვურიგო  
ლიმილისათვის, ჩემთან რომ დარჩათ,  
სიკეთისათვის, ახლაც რომ მახსოვს,  
სიყვარულისთვის, დღემდე რომ მტანჯავს,  
ტკივილებისთვის, რომ არ მრთელდება,  
ეშაფოტისთვის, გზად რომ დამიდგეს...  
მაინც როგორღაც კიდევ ვარსებობ,  
მაინც როგორღაც ისევ ვაზროვნებ,  
ვდგავარ მინდორში და ველურ ქარებს  
ვმკი ბალახივით და სულში ვიფენ...

ახლა კი დროა, ნამდვილად დროა,  
ამ ყველაფრისთვის მადლობა გითხრათ...

2023



# შპს კვანსპი

## ოჯახის მძიმე

როცა მესამედაც დამახველა, თანაც გახანგრძლივებულად, მეუღლემ, ჩვეულ დიდაქტიკურ გამოცდებებს, კლასის დამრიგებლის მკაცრი ტონი შეამატა და ისე შემომიტია:

– როდემდე... მიდი ექიმთან, გაესინჯე, ფილტვებში არ გქონდეს რამე, ათასი ვირუსია ირგვლივ. სულ არ იცი თავის მოვლა... დაბერდი და სულ წადი ხელიდან... საყოველთაო მაინც არ გქონდეს. საავადმყოფოც ყურის ძირშია, ქუჩის მეორე მხარეს. შენნაირი თავის უჟმური კაცი მეტი არ მინახავს...

დარწმუნებული ვარ, კიდევ მეტყოდა რამდენიმე სააღერსო სიტყვას, რომ არა სატელეფონო ზარი, დროული და გადამრჩენი.

ურეკავდნენ... ეს კი იმას ნიშნავს, მინიმუმ, ნახევარი საათი ჩემთვის და ჩემი პრობლემებისთვის ვერ მოიცლის.

ისემც ყველაფერი კარგად აგებდეთ.

მორიგ შეტევამდე დრო ვიხელთე და აივანზე გავედი. აქედან კარგად მოჩანს პოლიკლინიკა, მისი პაციენტები და ავტომობილების საცობი, რომელიც სამედიცინო დაწესებულების სიახლოეს უფრო შესამჩნევი და ნერვებმომშლელია.

შემცივდა. თებერვლის მეორე ნახევარი იანვარზე უფრო სუსხიანი დარჩა. გუშინდელმა თოვლქყაპმა ჩემ საყვარელ ქალაქს ძლივს შესამჩნევი, სულმიღეული სითეთრე და ნესტი, ქუჩებს ტალახიანი გუბეები, ბავშვებს სიხარული და მათ მშობლებს გაუთვალისწინებელი თავის ტკივილი მოუტანა.

„დიდი ამბავი, გადავალ...“ – გავიფიქრე გუნებაში და საძინებელში შევბრუნდი, ტანზე გამოვიცვალე, პირადობის მოწმობა ავიღე და ლიფტით პირველ სართულზე დავეშვი. ლიფტში ვილაცხას ევაჟკაცა – მცირედით მოესაქმა, აუტანელი სუნი იდგა და კიდევ კარგი, გულის არევამდე გავაღწიე სამშვიდობოს.

პოლიკლინიკას მივუახლოვდი, ავტომანქანების ბაზრობა გეგონება, იმდენი ტრანსპორტია თავმოყრილი, შოფრები ერთმანეთის მიმართ პრეტენზიულად და მწყრალად არიან განწყობილნი. რაც მათ სახეებზე მარტივად იკითხება, ესაა დაძაბულობა. ერთმანეთს უღრენენ, ან ხელებს ასავსავენ, ან არაფერს ამბობენ, თუმცა მათ გულებში ჩახედვას არავის ვურჩევ.

– კაი კაცი, – მინაჩამონეულ მანქანიდან ქალის ხმა მესმის და ვჩერდები, – აკუმულატორი ჩამიქრა და ვერ ავამუშავე, ხომ ვერ მომანობით, მარტო ვარ, დამხმარეც არავინ მყავს...

მოვიხედე. საჭესთან ხუჭუჭთმიანი, მანტომოსხმული, თეთრზე თეთრი ფერის სახის, ეტყობა, გემოგლობინდაქვეითებული, მწვანეთვალეა ქალი იჯდა და ისე მიყურებდა, უმალ შევატყვე, ასეთი გამოხედვით ბევრის მიღწევა შეეძლო, ნუ, მინიმალური წარმატების ნაღდი შანსი უდავოდ ჰქონდა.

მარტო ვერაფერს გავანყობდი.

მიმოვიხედე და პოლიკლინიკის კიბეებზე, ქალაქებში თავჩადებულ, შუბლიდან გამელოტება დანყებულ, მაგრამ შესახედად სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას ვანიშნე, ერთი ნუთით, თუ ეცალა, ჩემთან მოსულიყო. იმანაც, ახლავეო, ქალაქები პარკში შეახვია და მომიახლოვდა.

– მშვიდობაა? – გულწრფელად იკითხა და პასუხამდე თავადაც მიხვდა ყველაფერს. გაჩერებული „ვოლვო“ დროზე იყო გასაყვანი, რადგან საცობში დამატებით პრობლემას ქმნიდა.

ორივე მონდომებით მივანექით, მაგრამ თავის გამორჩენის ყველა ცდა წყალში ჩაგვეყარა. მანქანა ადგილიდან ვერ დავძარი.

– ერთი ნუთით, – მანიშნა ახალმა ნაცნობმა, ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და დარეკა:

– სად ხარ ლომგული? თუ გცალია, გამოდი გარეთ, ცისფერ „ინომარკასთან“ ვდგევარ, იოლად შემამჩნევ... – უთხრა და ტელეფონი ლაბადის გულის ჯიბეში ჩაიღო, – თქვენ „დიადია“ ნუ შემინუხდებით, ტაიაშვილი მოვა ახლა, კაი ბაღვია, მალე ზღვაზე მიდის რეისში, აქ ჩემი ბალდიზის სანახავადაა მოსული, რალაც უნდა თხოვოს. ძალა „ტაისონზე“ მეტი აქვს...

– ტაისონი ვინაა? – დამორცხვებულმა, მორიდებით ვიკითხე.

– კარმან დედეს ბულას ქვია, მაგარი ჭკვიანი და მშრომელი ცხოველია, დაულალავი და ერთგული. ისე უყვარს, მოხუცმა შარშან ოჯახში მოყვანის ხუთი წლისთავი დოლ-გარმონით და პურ-მარილით აღნიშნა, მერე სამახსოვროდ ბაღვმა სელფი გადაუღო, უმცროსმა, მეექვსე კლასელმა მელაკუდა შვილიშვილმა ფეისბუქზე დადო და მოხუცი ტაისონთან ერთად მთელ მუნიციპალიტეტში ცნობილი გახდა.

– უყურე შენ... – გამეცინა.

ამასობაში, ლომგულიც გამოჩნდა. მალალი, ჩაფსკენილი, შესახედი და ჯანიანი.

– რა გჭირს ომარი? – ისე კითხა შემელოტებულს, რომ ჩემსკენ არ გამოუხედავს.

– მჭირდება. – მოკლედ და ლაკონურად მიუგო ომარიმ და მალე, სამი გამწვევი ძალა „ვოლვოს“ ადგილიდან დაძრას ვცდილობთ.

ამაოდ...

ლომგული შოფრის მხრიდან მიადგა მანქანას და ჯერ სალონში შეიხედა, შემდეგ თავი გადააქნია, თმახუჭუჭა შოფერს მუხრუჭიდან ფეხის ალება და პირველ სიჩქარეში გადართვა თხოვა. ქალმა, ჩემი სიკვდილი, ეს როგორ ვერ მოვიფიქრეო, თქვა და საქმე გაგვიოლა. ჩიხიდან ქუჩის მეორე მხარეს, სამშვიდობოს გადავიყვანეთ და გამოვემშვიდობეთ. ლომგული, ის ღვთისნიერი ახალგაზრდა, რომლის სახელი, ისე დავმორდით, არ გამიგია და მე პოლიკლინიკაში ერთად შევედით და შესვლისთანავე დავმორდით. მე პირველ სართულზე დავიწყე მეთაე ოთახის მოძებნა, სადაც საყოვეთაო დაზღვევის ექიმი უნდა მჯდარიყო, ისინი კი კიბეებს აუყვნენ ზევით.

ოთახს, რამდენიმე გაკითხვის შემდეგ, იოლად მივაკვლიე, შესვლაზე კი...

– ჭლარას კი ვცემთ პატივს, პატივცემულო, მაგრამ ჯერ ოთხი ვართ შენამდე ცოცხალ რიგში... – კარებში სანახევროდ შესული უკან გამომავბუნძულეს.

– ბოლო ვინაა?

– აქ ყველა პირველი და ჯანმრთელობამორყეულია... – რატომღაც, მხოლოდ ერთი მპასუხობს და თავისი ნათქვამი ისე მოსწონს, გაცინებას ყველას ასწრებს.

– კეთილი. – სხვა რა გზა მაქვს, დაველოდები.

უკონფლიქტო ვარ, თანაც, ჩხუბს არავინ მიწყებს...

ოთხიდან სამი, ასაკით ჩემზე გაცილებით უფროსი ჩანს, მხოლოდ ის ერთი, იუმორდახუნძლული, გამოიყურება ნორჩი ლენინელივით, რომელსაც კოლიდორში, დაზიანებული და დამტკერილი სასმელი წყლის ჩამოსასხმელი აპარატივით უხეირო იერი აქვს და წარმოიდგინეთ, შვენის კიდეც.

ნელა გადის დრო.

ექვსადგილიანი სკამი, სადაც ოთხი ადამიანი ძლივს ეტეოდა, ნელნელა გამეჩხერდა. ერთმა ენერგიულმა, დაბალი ტანის ქალბატონმა, თქვენს შემდეგ მე ვიქნები რიგშიო, მითხრა და ისე გაფრინდა, ნახევარი საათია, არაფერი ისმის. მეორემ, ნაბლისფერთმიანმა და ნაზად მოსაუბრემ, ნაცნობი ნევროპათოლოგი მელოდება და თქვენი იმედი მაქვს, ჩემ წინ არავინ შეუშვასო. მესამემ, ანალიზის ჩაბარება მაგვიანდება, ორი დღეა ჩანთით დავატარებ, დრო ვერ ვნახე, ლაბორატორიაში რომ დავტოვო. თუ არ გჯერა, განახებთ, აგერ მაქვსო. – სიტყვა დამთავრებული არ ქონდა, ხელი ჩანთისკენ წაიღო. ძლივს გადავაფიქრებინე.

მიყვარს მიზანდასახული ხალხი.

არადა, მეათე კაბინეტის სტუმრების რიცხვი წუთინწუთზე იზრდება და მეც დავიღალე ცოცხალ რიგში დისციპლინის დაცვით.

– შემდეგი... – თეთრხალათიანი მედლის მოვარდისფრო ბერეტი, რომელიც ძლივს მაღავდა გაჭლარავებულ, შესაღებ თმას, შავი კარის ფონზე ქუჩის მხატვრების ექსპრომტად შესრულებული ნახატივით მსუბუქად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა.

– შეიძლება? – ჯერ ვიკითხე და რაკი თანხმობა არავინ მომცა, ოთახში შევედი.

ოთახში, სამ მაგიდასთან ოთხი ქალი კომფორტულად იჯდა. ერთი კი, კარებში რომ დავინახე, ბერეტიანი, ფეხზე იდგა, ფანჯრის რაფას მიახლოებული, ტორტის ნაჭერს უმადოდ მიირთმევედა და ფინჯან ყავას აყოლებდა. დანარჩენებს, ეტყობოდა, რომ ეს ფრიად სასიამოვნო პროცედურა უშუალოდ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მოეთავებიათ, რაზეც მაგიდაზე დალაგებული ცარიელი, მოტატული თეფშები და გადმობრუნებული ყავის ფინჯნები მეტყველებდნენ.

მარჯვენა კედელზე თაროები პაციენტთა ისტორიებით იყო ჩაზნექილი. ველოდები, როდის შემამჩნევენ. ეს დროც დადგა და ჩემ სიხარულს საზღვარი არ აქვს.

– თქვენ ალბათ ჩემთან ხართ? – მრგვალი სახის სათვალეიანმა ექიმმა კომპიუტერიდან თავი ასწია და შემომხედა.

– ოჯახის ექიმი მინდა ვნახო...

– სად ცხოვრობთ?

ვუთხარი ზუსტი მისამართი.

– სახელი და გვარი?

ესეც შესაშური სიზუსტით ვაცნობე.

– სახელი გავიგე, გვარი ამ ფურცელზე დამინერე, ვერ დავიმახსოვრე. – თან მანიშნა, მაგიდასთან ახლოს, სკამზე ჩამოვმჯდარიყავი.

მე სკამს ეჭვის თვალით გავხედე.

– გაგიძლებს, გუშინ შემოგვიტანეს, გარემონტებულია, – გამამხნევა სათვალეიანმა. – ახალს რამდენიმე თვეში გვპირდებიან, ტენდერს ჯერ ვერ მოება თავი, ორჯერ ჩავარდა...

რაც შეიძლებოდა, მსუბუქად დავჯექი და ექიმის დავალება შევასრულე. მან ფურცელი გამომართვა და ჯერ კიდევ ჭამადაუმთავრებელ ექთანს გადასცა: ამ პაციენტის ისტორია მომიძებნე, ჩვენ უბანს ეკუთვნისო, უთხრა. იმან ჯერ ცხმიანი თითები და აბურცული ტუჩები სუფთა ფურცელით მოიწმინდა, ზანტად წამოდგა, ხალათი შეიხსნა, ჩაჩაჩული ქვედა კაბა შეისწორა და თაროს მიადგა.

– მე ზაირა ექიმი ვარ, თერაპევტი, მომიყვი აბა, რა განუხებს? როგორი ინტესივობით გახველებს?

– დროდადრო, ექიმო, ხან დღეში ხუთ-ექვსჯერ, ზოგჯერ გადაბმით, უფრო დილაობით, ახალ გამოღვიძებულზე, ხანაც მთელი კვირა ისე გაივლის, დახველება მომენატრება. – მოვისანყლე თავი.

– ფილტვების ანთება ხომ არ გადაგიტანიათ ახლო პერიოდში?

– ადრე, სტუდენტობაში ექიმო. – ბედნიერი ხანა გამახსენდა. – ბახმაროში ვისვენებდი, მახსოვს, მზის დაბნელების უიშვიათეს შემთხვევას დავესწარი, ბევრი ვიყავით, თანატოლი გოგო-ბიჭები. ღამით წავედით მზის ამოსავალ გორაზე, ფეხით რამდენიმე საათი ვიარეთ, შემდეგ დამრეც ფერდობზე დავბანაკდით, კოცონი დავანთეთ, სუფრაც გავშალეთ და გამთენიისას, მზის დაბნელებას ვუყურეთ, მგონი, საუკუნეში ერთ-ორჯერ ხდება მსგავსი რამ და არ მინდოდა გამომეტოვებინა. ეტყობა, მაშინ გავცივდი მთაში. ბათუმში ვიმკურნალე, ასე მახსოვს.

– ბახმარო კარგია, პატარებისთვის მისწრებაა. – აქ მცირე პაუზა გააკეთა, თავი მალა ასნია და შემომხედა. – საშუალო და ასაკიანი ხალხისთვისაც მისწრებაა, გული თუ არ ანუხებთ...

მე უფულობა, ბანკის ვალი და ზედა სართულის მეზობელი უფრო მანუხებს, ონკანი რომ ხშირად რჩება დაუკეტავი, მაგრამ არაფერი მითქვამს. არ მიყვარს ჩემი პრობლემების გამომზეურება, მირჩევნია ჩრდილში ჩახმეს.

– გვარი სწორად დანერეთ? – თარობთან მდგომმა ექთანმა ეჭვიანად შემომხედა და ზაირა ექიმს ანიშნებს, არაფერი იძებნებაო.

– პირველად ხართ ჩვენთან? – სათვალის ქვემოდან ამომხედა ზაირა ექიმმა.

– დიას... – დავიმორცხვე.

– რას ამბობთ... – დაჯერება გაუჭირდა ოჯახის ექიმს, – როგორი ჯანმრთელი ყოფილხართ...

– დაოჯახებამდე უფრო ჯანმრთელი ვიყავი... – ნავიტრაბახე წარსულით.

– ეჰ, ადრე მეც ვიყავი რაცხა... – ამყვა ზაირა ექიმი და შევატყვე, ღიმილიანი თვალები აუკიაფდა.

დასანუნი ახლაც არაფერი ჭირდა, შუახნის ასაკის ქალთან შედარებით, მშვენიერი თავმოვლილი გახლდათ, მოტკიცინებული სახის კანი, ზომიერი მაკიაჟი, კოტიტა თითებზე რამდენიმე ბეჭედი და როცა თეთრი ხალათი სამი ღილით ჩაიხსნა, აქაოდა, როგორ ჩამოცხაო, ოქროს ყელსაბამიც გამოუჩნდა. ორი ფურცლის შევსების შემდეგ ხელები მკერდქვეშ ამოიღო და შავი ზედატანის დეკოლტეში დამწყდელი ორი ქათქათა თოვლის გუნდა, ქვემოდან ისე შეათამაშა, რომ ღამის ბიუსჰალტერიდან ამოუვარდა. დავნმუნდი, წმინდა პორფილეს ხატის ადგილი იქ უკვე აღარ იყო.

– სახლში ხომ არ წაგიღიათ? იცის ზოგმა, წააპენტურებს და მერე მოტანა ავიწყდება... – დაუმსახურებლად მივიღე ზაირა ექიმის შენიშვნა.

– საერთოდ, პირველად ვარ თქვენთან.

– არ ინაღვლო, ახალ ისტორიას გაგიხსნით და შენს ჯანმრთელობაზე სულ ცინცხალ მონაცემებს შევიტანთ. – ეტყობა, უკმაყოფილება შემეტყო და დამამშვიდა ოჯახის ექიმმა, უჯრიდან ამოღებულ შეკვრიდან რაღაც გამოაცალკევა და შევსება დაიწყო. მერე თერმომეტრი მომანოდა, სიცხე გაიზომეო.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მომწონდა საზოგადოების ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომი ეს ქალბატონი.

– ცოტა ხნით გათბობა გამორთეთ და ფანჯარა ევროზე გააღეთ. – მისიანებს მიმართა. – უჟანგბადობას ვერ ვიტან...

აქ რა მოსატანია და ვერც მე...

– ბიულეტენზე ბოლოს როდის იყავით?

– არ მახსოვს...

– ამ თვეებში ვირუსულ დაავადებას ხომ არ შეუწუხებხართ, ვთქვათ, გრიპს?

– ბავშვობაში მხოლოდ, ბოლო წლებში – არა. – გავანბილე ექიმი.

– კარგია. – შემაქო თეთრხალათიანმა. – დალევა გიყვარს?

– ღვინის კი, ყავის არა.

– პანმელია იცით?

– არა...

– სიგარეტს ეწვეით?

– ვერ მივეჩვიე...

– დაოჯახებული ხართ?

– კაი ხანია...

– წნევა გექნებათ მაშინ? – ხმა გამოუკეთდა მოულოდნელად.

– 120-80-ზე. საერთოდ, წნევას იშვიათად ვიზომავ, არ მანუხებს.

– თქვენი ასაკი და ასეთი წნევა იშვიათია. გამოდის, ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობთ.

– ჯამაგირიდან გამომდინარე, უფრო ვცდილობ...

– სიცხე რამდენი გაქვთ? – თერმომეტრი გაახსენდა ზაირა ექიმს.

დავიწყებული თერმომეტრი ილლიიდან გამოვიღე და ექიმს მივანოდე.

– რაა ეს? 35 და სამი ხაზი. ამას ატარებთ თუ გრადუსი გამიტეხეთ? – შეიცხადა და მონაცემი ახალგახსნილ ისტორიაში შეიტანა.

– ჩემი სიცხეა. – იხტიბარი არ გავიტეხე და მზერა ზაირა ექიმის ღრმადმინარსიანი დეკოლტე-დან გვერდითი მაგიდისკენ გავაპარე, სადაც დიდი ვერაფერი დასამახსოვრებელი აღმოვაჩინე და ისევ სანყის პოზიციას დავუბრუნდი.

– ნელზევით გაიხადეთ, ფილტვებში მოგისმენთ, თუ საჭიროდ ჩავთლი, რენტგენის გადასაღებად მიმართვას მოგცემთ. საერთო ანალიზებიც ხომ არ აგველო პროფილაქტიკის მიზნით, ა, რას იტყვით? თავი დავიზღვიოთ, არსად არ იქნები წასასვლელი, ყველაფერს ჩვენთან გაიკეთებთ... – ისე მაცდუნებლად მითხრა, თითქოს სალამოს, სამსახურის შემდეგ, პაემანზე მეპატიჟებოდა.

– შევხედოთ... – უხალისოდ მივუგე.

ოთახის მარცხენა კუთხეში, გადატიხრულ ფართში შევედი და ნელზევით გამიშვლება დავიწყე. ქურთუკი, ჯემპერი, პერანგი სკამზე გადავფინე და სიცივე ვიგრძენი. ექიმიც მალე გამოჩნდა ფონენდოსკოპით ხელში. შევხედე და გავვოცდი, ქვედაკაბაც დეკოლტეს სტილში ქონდა შეკერილი და სავსე, უთეთრესი ტყუპი ბაყვები შემოტმასნილ სამოსში მაცდურად მოუჩანდა. მე სამედიცინო ლოგინზე წამოვჯექი, ის კი ტანსაცმელ გადაკიდულ სკამზე დაჯდა და ვარდით გადაიშალა. დავიბენი, რომელ დეკოლტესათვის შემეხედა, ვერ გადავწყვიტე. თვალი ორივესკენ გამირბოდა. ორივე შვენოდა და ორივე მომწონდა.

– ღრმად ისუნთქეთ, კარგია, კარგი, ახლა ამოისუნთქეთ და გაჩერდით მანამ, სანამ მე არ გეტყვით ჩაისუთქეთ... – მისმენს ექიმი, ზოგჯერ მკერდზე თითებს მიკაკუნებს, ეტყობა, მალეღის სიმტკიცეს ამოწმებს. – კარგია, ცოტა კიდევ დამაცადე, ზურგიდან მოგისმენ, ოდნავ მობრუნდი, ა, ასე, კარგია... – რამდენიმე წუთის შემდეგ – ახლა თავიდან გავიმეოროთ, ღრმად ჩაისუნთქეთ და გაჩერდით... – ექიმის ხმასთან ერთად მესმის ორი ზვირთის აქაფებული დგაფუნი და ვგრძნობ, როგორ ვთბებით ერთდროულად მე და გაყინული ფონედოსკოპი, მთელი სხეული რაღაც უხილავი, განცდილი და სასურველი სითბოთი ივსება და გონების დამორჩილებას ცდილობს...

– ფილტვები სუფთაა, ხიხინები გაქვს, მაგრამ ეს სახიფათო არაა, ასაკობრივია. მედიკამენტოზურ მკურნალობას დაგინიშნავ და ჩიტივით იქნები ორ კვირაში. – ფონედოსკოპი ხალათის ჯიბეში ჩაიდო და ახლა სახეზე დამიწყო თვალიერება, ახლოს დგას და ზედა დეკოლტეს დამსახურებით, მის მკერდზე დაპკურებული სუნამოს სურნელს საკუთარივით ვგრძნობ. – ადრე არ შემინიშნავს, სახე აჭრელელებული გაქვს, არც შენი სუნთქვა მომწონს, აჩქარებული მეჩვენება... ასე ხშირად გემაართებათ? – ამხედ-დამხედა ზაირა ექიმმა.

– არა, განსაკუთრებულ შემთხვევებში. – მივუგე და ტანზე ჩაცმას ვცდილობ.

– ქოშინი?

- ბოლოს ისიც მენყება.
- გაგება შემოძლია, როგორ წვალობთ?
- რას ამბობთ ექიმო... – თანაგრძნობამ შემაგულიანა და ხასიათი გამომიკეთა.
- თვალის გუგებიც ჩაგნითლებია.
- გამივლის, ადრეც მქონია...
- მოიცა, კარგად დაგაკვირდე. – ზედმეტად შემინჯხდა ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული და გამოკვლევა განაგრძო, – ემოციური ხარ?
- თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. გულში ღმერთს ვეხვეწები, თავი დამანებოს ამ ღვთისნიერმა ადამიანმა, ფეხზე წამოდგომა ან ჩაბუქნა არ მომთხოვოს.
- შეისმინა უზენაესმა ჩემი ვედრება, შემიბრალა და შემინდო.
- დამამშვიდებელს დაგალევენებ. – წამოდგა ზაირა ექიმი, დამტოვა და მალე ქიქა წყლით და ერთი ტაბლეტით შემოვიდა. – დალიე, ნაგადგება.
- მე კი ვიცი, რა წამადგება და რა მიშველის, მაგრამ ენის ამომღები ვარ? უხმოდ ვსვამ წამალს და ექიმის დასანახად, ვმშვიდდები.
- კარგად დავიმახსოვრე ზაირა ექიმის მკაცრი გაფრთხილება, ხვალ, საერთო ანალიზები უნდა ჩავაბარო, უზომოზე სისხლი ავიღო და შუადღეზე რენტგენი გადავიღო, პასუხისთვის კი მასთან ორ დღეში მივიდე...

## NOSTALGI

გარეთ უწყური ამინდია, მაისისთვის შეუფერებელი და მოსაწყენი. ჟინჯლავს, დანამულია ხე, ბუჩქი, ქალი, კაცი, ავტომობილი, გზა და ტროტუარი. ოდნავ ცივა, შუადღით კი იცის გამოდარება, მზემაც შეიძლება გამოანათოს და განწყობა გამოგიკეთოს, მაგრამ ზოგად სურათს ვერ ცვლის, ვერ ავსებს სადა ფერებით და სიხალისით, რაც ასე გჭირდება ზამთრის სეზონიდან თავის სრულად დასაღწევად.

ექვსის ნახევარია და სამსახურის კიბეს მთავარი გასასვლელისაკენ მივუყვები. შენობის შუა-გულში, მეორე სართულზე, ერთგვარი გზაგასაყარია, ხელმარცხნივ ნიუსრუმია, პირდაპირ – ოპერატორთა ოთახი, აესბეში ჩასასვლელი, მარჯვენა ჩიხში სამონტაჟო, ვიდეოარქივი, მთავარი გზის გაგრძელებით, ჩამწერი სტუდია და მეტყველების მასწავლებლისთვის განკუთვნილი კუთხე. რამდენიმე ნაბიჯში ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მოთხოვნადი, მუდამ დატვირთული სტრატეგიული სანიტარიული ობიექტი მდებარეობს, რომელიც აბუზღუნებული დამლაგებლების ნერვების მოშლის საარსებო წყაროა.

ნიუსრუმის წინ ვდგავარ. მრავალი წლის განმავლობაში ნიუსრუმი ჩემთვის მთელი სამყარო იყო: ერთი დიდი, ლამაზი, მრავალფეროვანი და მოსაფერებელი სამყარო. დღეს ამ სამყაროდან უამრავი მოგონება დამრჩა: ზოგი სახალისო, ზოგი სევდიანი... რამდენჯერაც ნიუსრუმს ჩავუვლი, იმდენჯერ მინდა შევიხედო და ჩემი კოლეგები მოვიკითხო, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო მეძნელება ამ ნაბიჯის გადადგმა. საინფორმაციო სამსახური იმ პატარძალს მაგონებს, რომელთანაც უამრავი საერთო მქონდა, მაგრამ მაინც დაგვაშორეს.

ნიუსრუმიდან გამოსული სიწყნარე მიკვირს.

ნეტა, როგორ არიან?

კარი მორიდებით შევალე, დაღმა მიმავალი სამი საფეხური ჩავიარე და საერთო სალამით ოთახში შევედი.

შესასვლელში, დივანზე სამსახურის უფროსი ნაზი ქობულაძე იჯდა და ელექტრორადიატორს ისე ჩახუტებოდა, როგორც საგვიანო ლობიო ღვას. ნაცნობი სურათი იყო და ამაზე ყურადღებაც არ გამიმახვილებია, რადიატორი ოდითგანვე ჯგუფის სითბოდანატრებული და განსაკუთრებით, გასათხოვი გოგონების უებარი შვება იყო.

– როგორ ხარ, არ გინდა დაგვიბრუნდე და დაიჯესტები გააკეთო? – ძველი სამსახური შემომთავაზა ნაზიმ, შეფარქმთალებულ სახეზე ჩამოშლილი თმა შეისწორა, აალებულ ლოყაზე ხელი მოისვა და წელში გასწორდა.

შემოთავაზებისთვის მადლობა გადავუხადე, პირველსავე მაგიდასთან სკამზე დავჯექი და ოთახს გადავავლე თვალი. სიხალვათე მეტოშა, ადრე უფრო ბევრნი ვიყავით. გვერდით მზია აღმოჩნდა, მართალიშვილის ქალი, თავისი განუმეორებელი ღიმილით, უაღრესად თბილი და ხალისიანი გადამდები აურით. ხელის ზევით აწევით მომესალმა და როგორც ჩვევია, ტელეფონში ჩაიძირა.

ჭყონიას ქალი საეთეროდ ემზადება და, რა თქმა უნდა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, როგორც ჩვევია, ცქმუტავს და სხმარტალებს. ხელში გადაცემის ამობეჭდილი ფურცლები უჭირავს და ერთი სული აქვს, სტუდიისკენ როდის გაიქცევა. წითლად შემოსილი ირინე წუნუნავა, ჩემდა მოულოდნელად, წყნარად ზის, რაც მის ბოხოქარ ჟურნალისტის იმიჯს, მაინცადამაინც არ უხდებოდა. თამუნა ხოზრევანიძე კი კომპიუტერის შესაძლებლობებს ითვისებს და ჩვენთვის არ ცალია. შიგადაშიგ, ზრდილობის გულისთვის თუ გადმოგვხედავს, ესაა და გორის ციხე.

სამონტაჟოდან გაზაფხულივით აფერადებული და ორპირ ქარში მოყოლილივით, თმებგაჩეჩილი ნინო ხუხუნაიშვილი შემოდის.

– ექვსიანისთვის თბილისიდან და რეგიონებიდან შემოსული მასალები საეთეროდ მზადაა. – ერთი ამოსუნთქვით ამბობს და დაღლილი სახით სამუშაო მაგიდისკენ მიფრინავს.

– პერტაია ცოცხალია? – კახა მემონტაჟე გაახსენდა გიორგის, 8 საათიანი საინფორმაციო გამომშვების რედაქტორს.

– რომ ნამოვედი, სუნთქავდა. – გული გაუკეთა ნინომ. ეს ისე უთხრა, აშკარად ეტყობოდა, სამონტაჟო სტუდიის პატრიარქის ჯანმრთელობა დიდად არც აწუხებდა.

– ესეც კარგი შელავათია. – ჩაილაპარაკა კვიპროსიდან წინა დღით ჩამოსულმა გიორგიმ და დასვენებული კაცის სიმსუბუქით აირბინა ოთახიდან გასასვლელი საფეხურები.

– კვანტალიანი სადაა? – ჯენის არყოფნა მეტოშა და იმიტომ ვიკითხე.

– იტალიაში, მივლინებით.

– ნათია ლომაძე?

– აქაა, რვიანისთვის სიუჟეტს ამზადებს.

– ემზარი?

– დილიდან ვეძებთ.

– ირაკლი დარცმელიძე?

– თუ შეიძლება, მიძიმე შეკითხვებს დაანებე თავი. – გამაფრთხილეს. – სადაა და სტადიონზე, გადაღებაზე...

– თამილა ზოიძე?

– ხვალ უწევს რედაქტორობა.

– ნონას ვერ ვხედავ, დიასამიძეს.

– ჩვენც გვენატრება, მომავალ ხუთშაბათს გამოვა...

ნონა იშვიათი ბუნების ადამიანია, მუდამ განონასწორებული, მშვიდი ხასიათით, დახვეწილი იუმორით, დაუზარელი ბუნებით და დიეტისკენ მიდრეკილებით.



მეორე ოთახში, პროდიუსერებთან ზურგშექცევით, კედლის პატარა ფანჯრის ქვევით, ჩემი სამუშაო ადგილი იყო: მუქი ფერის მაგიდა, გადაფერებული სავარძელი, საპენსიო ხნის კომპიუტერი, გაცრეცილი ყურსასმენი და მაგიდის სანათი.

რა კარგი დრო იყო.

ახლა წყობა შეუცვლიათ, მაგიდები გვერდულად ჩაუდგამთ.

– რა ხდება, ამდენ ხანს, რით ვერ იპოვეს წნევის აპარატი? – მესმის და მოგონებებს ვანებებ თავს.

– არქივის წნევის აპარატი არ ვარგა. – შეიცხადა მზიამ, – მაგის ნდობა როგორ შეიძლება, არასწორად სინჯავს და სტაბილურად დაბალ წნევას აჩვენებს. ბადრის დაველოდოთ, ბადრის... გააფრთხილა ვინმემ?

– კი, იცის.

– სადაა მერე?

ლოდინმა იცის დროის გაჩერება და ნერვების მოშლა.

ბადრი ექიმი მოვიდაო, ოთახი უცბად აჩოჩქოლდა და გამოცოცხლდა. მოვიხედე და ვის ვხედავ, პირდაპირი ჩართვის ინჟინერი ბადრი დოლიძე, შავი ფერის საშუალო ზომის ჩანთით ხელში, რკინის მკნეტელ ნაზის მიუახლოვდა, სკამი მარჯვით მიიჩოჩა, ჩანთა გახსნა და იქედან წნევის საზომი აპარატი ამოიღო.

როგორც ამიხსნეს, სამედიცინო ინვენტარით ბადრი ისე ყოფილა აღჭურვილი, რომ ნელგამართულ სოფლის ამბულატორიასაც შეშურდებოდა. თან, ვერ გაიხსენეს თუნდაც ერთი შემთხვევა, პაციენტთან პირველი დაძახებისთანავე არ გაჩენილიყო. ბოლო დროს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, თუ საავადმყოფოში არ იყო ვინმე გადასაყვანი ან საოპერაციო, სასწრაფო დახმარების ნაცვლად ბადრის იძახებდნენ.

ახლაც ბადრი ექიმის იმედად ვყოფილვართ. მან შესაშური ოსტატობით ნაზის მანჟეტი მკლავზე ჩამოაცვა, ყურებზე ფონენდოსკოპი მოირგო, მანომეტრი მოხერხებულად დაამაგრა და გამოცდილი მედიკოსივით, წნევის გაზომვას შეუდგა. პირველი, რაც დამამახსოვრდა, ბატონი ბადრის სახე იყო: დაკვირვებული და შეფიქრიანებული, შვენოდა მოჭმუჭნული შუბლი, გოროზი შავი თმა და სხვისთვის დახმარების გულწრფელი სურვილი.

რაკი სამსახურის უფროსს პირველადი სამედიცინო დახმარება უტარდებოდა, ოთახში ბუზმა ბზუილი და მუდამ მაჩანჩალა, მაგრამ მოქმედმა საათმა ნიკნიკიც კი შეწყვიტა. ველარ მოვითმინე და ექიმი შევანუხე:

– დაბალი წნევა აქვს?

– პირიქით, მაღალი. – დაგვდო პატივი პატივცემულმა ექიმმა.

ჩემი დაუფიქრებლობის შემრცხვა. როგორ შეიძლებოდა უფროსს რაიმე დაბალი ჰქონოდა. მათ ხომ ყოველთვის, ყველაფერი მაღალი აქვთ: ხელფასი, წნევა, თავისტიკივილი, გამავლობა...

– რა წამლები გაქვთ? – მოკლედ იკითხა ბადრიმ და პასუხის მოლოდინში, პაციენტისთვის თვალი არ მოუშორებია.

ქეთი ჭყონიამ რაღაც ყუთს მიაგნო და სერტიფიცირებული ფარმაცევტივით, წამლების შერჩევას ჩვეული სისხარტით შეუდგა. რიგითი ამბავი ხომ არაა, უფროსია გადასარჩენი.

– კორსიზი უშველის, ვიცი ეფექტურია... – აჭიკჭიკდა ჭყონია.

– არავითარ შემთხვევაში, ციტრამონი ეყოფა. – ბადრი ექიმის დაბეჯითებითმა ტონმა წამლის შერჩევაზე დისკუსია დაწყებამდე ჩაკლა.

ქეთიმ ციტრამონს მიაგნო, ერთი აბი მიაწოდა ნაზის და კარგი ხელი მაქვსო, თავიც შეიქო.

– წყალს თუ მოუტანთ, შეიძლება დღეს დაღვევაც მოასწროს. – შეგვიწუხდა ბადრი მკურნალი.

უმალ გაჩნდა ჭიქით წყალი და უფროსის ჯანმრთელი მომავალი.

– ნაყინიც მოუხდება. – ადგილიდან წამოდგა ირინე, მაგრამ ნაზიმ თვალთ ანიშნა, საიდანაც ადექი, იქ დაჯექიო და მაღაზიაში არ გაუშვა.

განზილებულმა ირინემ უკმაყოფილება არ შეიმჩნია და ნაყინის მირთვევა სამომავლოდ გადადო.

– შენ გაიხარე ბადრი, რაც ამ თვეში ვადაგასული წამლები გაგვასაღებინე. – ენაწყლიანობს საინფორმაციო გამოშვების მრავალშვილიანი სახე.

სიმაღლე და სიგანე ისეც არ აკლდა და ახლა ერთი-ორად ამაღლდა ბადრი ჩემ თვალში. ეტყობა, წინა ცხოვრებაში ექიმი იყო, ახლანდელში პრაქტიკას გადის. ფეხზე წამოდგომა და დასვენება ვინ აცალა, მზიამ, ახლა ჩემი ჯერიაო და მახვილივით იშიშვლა მარცხენა მკლავი. ბადრი ექიმმა სკამი და პაციენტი გამოიცივალა და ჩვეულ საქმეს ჩვეული რუდუნებით შეუდგა, ერთხელაც არ დაუნუნუნია. დაახლოებით ხუთ წუთიანი დუმილი ისეც მზიამ დაარღვია.

– ვარ ცოცხლების სიაში თუ...

ექიმის დაბნეული სახე ახლალა შევნიშნე.

– აპარატის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, – ძლივს ამოღერღა მედიცინის წარმომადგენელმა, – სული სამი დღის წინ უნდა გქონდეს ახსნილი.

– გამოდის, კტარი ვარ? – ისე უემოციოდ მიიღო ესოდენ არასახარბიელო დიაგნოზი მზიამ, რომ მართლა გამიკვირდა მისი სიმშვიდე. ღიმილიც კი არ წაშლია სახიდან.

– ძალიან დაბალი წნევა გაქვს, ძლივს ისინჯება. – არ დამალა რეალობა ბადრიმ. – ტკბილი წყალი დალიე ან ყავა, წამალი არ გინდა. ისე, სხვასაც გაესინჯე, მარტო მე ნუ მენდობი. ასეთ დროს როგორ ახეხებ მუშაობს, მიკვირს...

ამასობაში ნაზი იმდენად მომჯობინდა, რომ ტაქსამდე მისვლის პერსპექტივა გაუჩნდა და ახიბაკება დაიწყო. ჯან და ფერმოსული იმ იმედით ტოვებდა ნიუსრუმს, რომ ხვალ უკეთ იქნებოდა და ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებდა მუშაობას.

– მართლა ცუდად ხარ? – ვეკითხები მზიას, რომელიც თავს ვერ იკავებს და იცინის, – იქნებ ყავა დაგელია?

– არაფერი მჭირს, საუცხოოდ ვარ, ტკბილი წყალი დალიე კარგია, მაგ ჭკუაზე ვარ ახლა, ათი დღის დიეტა გავატანო ქარს. – აპროტესტებს მზია და ბადრი ექიმის მითითებას ყურად არ იღებს.

– შენ და დიეტა?

– ხალხს არ გააგებინო, ძალიან გთხოვ, დიეტა რომ მჭირდება, ბუნებრივად ვგონივარ მაგათ ასეთი ლამაზი.. – თქვა, პერსონალური კომპიუტერი ჩახურა და მთავარ გვერდზე გამოსახულ, თავზე შარფნამონასკვნილ ვილაც ბოშა ქალის სურათს ერთხანს უყურა, შემდეგ, – ჩემს საქმეს ჩემს მეტი არავინ გააკეთებსო, ჩაილაპარაკა და მარდად წამოდგა.

ქეთი ჭყონია საეთერო სტუდიაში შესასვლელად წუთებს ითვლიდა.

## ნამდვილი ჰენტიმენი

გოდერძი, ქალაქის ოთხი ნომერი ავტობუსის შოფრების უმეტესობას, სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, ლოყაზე კოცნით თუ არა, კაი გამარჯობით მაინც იცნობს. კვირაში ხუთჯერ, სამსახურში, ძირითადად მუნიციპალური ტრანსპორტით მიდის და ბრუნდება უკან. ალტერნატივა, სამარშრუტო ტაქსებია, მაგრამ მათთან ისე უცხვირპიროდ გაძვირდა მგზავრობის საფასური, რომ გადიდგულებულულ შოფრებთან, დიდი ალბათობით, ნერვების მოშლას და მტყუან-მართლის ძიებას, ავტობუსით, მშვიდ გარემოში გადაადგილებას ამჯობინებს. სათადარიგო ვარიანტი „მაქსიმის“ და „იანდექსის“ ტაქსებია. ეს უფრო მაშინ, გამოუვალ მდგომარეობა თუა და სხვა საშველი

არაა. წინასწარ იცი, რომ ამ დროს, ბიუჯეტურ მგზავრობას სერიოზული საფრთხე ემუქრება და თვის ბოლოს, მინიმალური დანაზოგის გარეშე რჩები, მაგრამ ვერაფერს ცვლი და ღინებას მიყვები. მისაბაძი გამონათებაა, თუ რომელიმე მეზობელმა, საკუთარ ავტომობილში ჩაჯდომამდე, შემთხვევით, გვერდით მოიხედა, დაგინახა და ქალაქში გაყვანა შემოგთავაზა. როცა ამის იმედი დიდად არ გაქვს, უფრო მობილიზებული და წინდახედული ხარ, თადარიგს დროულად იჭერ, გათვალისწინებული ადრე გადიხარ სახლიდან და გაჩერებაზე ავტობუსს ელოდები, რომლის გრაფიკი სტაბილურად მცოცავი და ნაკლებად სანდოა.

ახლა სამსახურშია გოდერძი. შუადღეა და „დონაში“ გამომცხვარ ტორტს, რამდენიმე ბოთლ ქართულ შამპანურს, უცხოურ ლიქიორს, „მაგნიტში“ შექმნილ გამაგრილებელ სასმელებს, მინის თხილს, ფინიკს, რესტორან „ხაფანგში“ დაკვეთილ სამ „ჟარონა“ ხაჭაპურს, ამდენივე პიცას, ხილს, თურქულ ყავას, ევროპულად განყობილ მაგიდას და სილამაზის სალონიდან ვერ გამოტეულ იუბილარს ელოდებიან. განყოფილება სრულ მზადყოფნაშია, ყველას ხელ-პირი დაბანილი, მადა – შესაშური, კუჭი – ცარიელი და შემართება – საუცხოო აქვს. ექსპრომტად მოსაფიქრებელი მისალოცი ტექსტიც კი კორექტირებულია. ოთახი ნაირფერი იმ ბუშტებითაა მორთული, ნითურა კარლო გოგობიას, გაბერვისას რომ არ შემოასკდა. თვალსაჩინოდ, ოთახის შუაგულში, კედელზე დამაგრებულ თეთრ დაფაზე ლურჯი ფერის ფლომასტერით, გამოყვანილი ასოებით აწერია: განუმეორებლო ნატრული, გილოცავთ დაბადების დღეს, კაი დიდი გოგო ხარ უკვე და დროა, ვილაც გააბედნიერო ან პირიქით... წლის ბოლომდე გაძლევთ დროს, უშველე თავს, შენ ქმარი დაგშვენდება და ბაღნები, ჩვენ ქორწილის პურმარილი. მეტს არ შეგახსენებთ, დაიმახსოვრე: განმეორება ყოველთვის არაა ცოდნის დედა. იხარე და იბედნიერე... მოხსნამდე, შენ გვერდით მდგომი თანამშრომლები.

ნატრულის 39 წელი რომ უსრულდებოდა, ყველამ იცოდა, იმედია, მასაც ახსოვდა, ამიტომ მისალოც ტექსტში ასაკი შეგნებულად არ ჩანერეს, თან, მრგვალი თარიღი ისედაც არ იყო, ყურადღება რომ გაემახვილებინათ.

იუბილარმა, დათქმულ დროს ნახევარი საათით გადააშორა. ისეთი გადასხვაფერებული მოვიდა, რომ განუყრელმა დაქალმა, განვითარების სამსახურის უმცროსმა სპეციალისტმა ლიალია მოდებამდე ჯერ ვერ იცნო, ხოლო როცა მიამსგავსა, თვალებს არ დაუჯერა.

– მგონი, გამოგვიცვალეს სალონში. – ნაუზურჩულა სტრუქტურის ხელმძღვანელს და სანამ ბატონი ლევანი რაიმეს უპასუხებდა, გაშლილი ხელით ნატრულისაკენ გაემართა და ისე ჩაეხუტა, რომ სხვებს, მინიმალური ესტეტიური სიამოვნების მიღებისა და აღქმის შესაძლებლობაც მოუსპო.

რაიმე რომ არ გამოგვრჩეს, პირდაპირ გეტყვი: იუბილარს მოუწონეს სადად შეკერილი, გრძელი ნითელი კაბა, ბეზიას დანატოვარი ვერცხლის გულსაბნევი, შავი, ქუსლიანი იტალიური ფეხსაცმელი, სომხეთში შეკერილს რომ უფრო გავდა, ვიდრე იმპორტირებულს, ვარცხნილობა, მაკიაჟი, სამაჯური, ემოციური ღიმილი და წინა ორი დაპლომბილი კბილი. უსურვეს – კოლექტივმა რაც დაფაზე დაუნერა, ჯერ ის, შემდეგ კი, რაც მას გაახარებდა და გააბედნიერებდა, ყველაფერი. ითქვა უამრავი სადღეგრძელო, ბევრი დასამახსოვრებელი და იმაზე მეტი, ყურში არშესაშვები, იყო ქალთა მოდემისათვის დამახასიათებელი, ტრადიციული გულლიაობა, ტყლარწვა, პირფერობა, შესაშური ქერქეტობა და გაუხარჯავი ენერგიის უმიზნო ფრქვევა.

თანდათან ამსუბუქდა მრავალფეროვანი ევროპული მაგიდა, სამაგიეროდ, დამძიმდა სუფრის თითოეული წევრი, დიეტაზე მყოფი თუ მისი სასტიკი მოწინააღმდეგე.

– დროა უკვე. – ეს უფროსის ხმაა, მას რომ უნდა, მთლად ისეთი მკაცრი და სუსხიანი ვერა, მაგრამ თავშესაქცევად სახალისო, ნამდვილად. – ვიცოდეთ, ათ წუთში მუშაობას ვანახლებთ... – მორიგი სადღეგრძელოსთვის ბოკალს შუშხუნა ღვინით ავსებს და ამასვე აძალებს სუფრასთან მყოფთ.

– იუბილარს გაუ...

– მარ-ჯოს. – დამარცვლით, მაგრამ ისე ომახინანად დასჭექა განყოფილებამ, რომ ქვედა სართულიდან დამფრთხალი დაცვის თანამშრომელი გულამოსკვნილი ამოვარდა.

– უფროსმა მშვიდობა თუ არის, ამბის გასაგებად გამომიშვა. – სული არ მოუთქვამს, ისე თქვა. დაამშვიდეს, გაამხნევეს, სუფრისკენ გაუთავისუფლეს გზა და ერთჯერადი თეფში და ჭიქაც მიანოდეს.

– ხელი თუ აქვს დაბანილი? – ჩვეულ სტიქიაშია ანალიტიკოსი ნათია მშვენიერად, რომელსაც სახეზე ხალისა და ქალიშვილობის გვარის გარდა, მოსანონი ბევრი არაფერი გააჩნდა.

– ახლახან, ტუალეტში ვიყავი... – დაიმორცხვა ოფისის უძრავ-მოძრავი ქონების დამცველი, – თბილი წყლით...

სიტყვაზე ენდნენ და სუფრასთან ჩამოაჯინეს. ჯერ ხაჭაპურს გაუსინჯა გემო, ესიამოვნა, პიცაც მოეწონა, ასეთი ცხარე მიყვარსო, გემოვნება შეუქო ღონისძიების ორგანიზატორებს. ყავა არ მინდა, ორჯერ დავლიე უკვეო. ტორტზე ცივი უარი განაცხადა, ცხიმის ვერიდებო, ობლად დარჩენილ პიცის ნაჭერს, დამლაგებლისთვის რომ იყო გადადებული, გამოცდილი ოპერმუშაკივით, მიაგნო და ანდერძი აუგო. მინის თხილზეც არ დარჩა უბრად, მუჭით პირში ჩაიყარა და ფინიკი მიაყოლა. გამომშვიდობებამდე, ორი ჭიქა სასმელი სულ შეგერგოშეგერგოს ძახილში აითვისა. არც გაემტყუნება, წასვლა რომ არ უნდოდა, გული განყოფილებაში დარჩა.

ჟუჟუნა დეიდა-დამლაგებელმა დაიგვიანა და როცა შემოიხედა, ევროპული სუფრა, მოგონებებში ცოცხლობდა უკვე. სამაგიეროთ, ფოტოსესიას ფეხად მოუსწრო, კი იძახა, რალა დროის ჩემთან ფოტოების გადაღებააო, მაგრამ ვინ დაუჯერა. პილასოსი და შავი პარკი გვერდით გადაადებინეს და რაც უყვარს, იმ საქმეს, მოწყვიტეს. როცა დრო იხელთა, იუბილარს შეუფუცხუნა:

– წუნინანობას შეეშვი და რალაცაზე ქე დახუჭე ანი თვალეზი, ნენა, გათხოვება თუ გინდა. ბუნებაში უნაკლო კაცი არ არსებობს, დაიმახსოვრე, ამიტომ არც ეძებო, მაგაში ტყუილად დროს ნუ დაკარგავ. კაცი ჩვენს ხელშია კაცი, თორემ მარტო რაცხა მთხლეა, მე მკითხე... – მამაკაცთა მოდგმა მინასთან გაასწორა ჟუჟუნამ.

ნატრულიმაც, – ბედის ამბავია, ჟუჟუნა დეიდა, თავს ხომ ვერ დააძალებო, – თორემ თვალეზის დახუჭვის წინააღმდეგი კაი ხანია, რომ არ იყო, შეეტყო.

კანცელარიიდან დირექტორის ხელმოწერილი საქმიანი ქალაქები შემოვიდა, ლევანმაც საიუბილეო ღონისძიება და შუადღის შესვენება დასრულებულად გამოაცხადა. როცა სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა, გოდერძიმ ნატრული თვალეზით მოძებნა. გამორჩეულად ლამაზი, საყვარელი და სევდიანი ეჩვენა იუბილარი, რომელსაც ხელში ქრიზანთემების თაიგული ეჭირა და დაფაზე დანერგლ მილოცვას მიშტერებოდა.

შვიდი იყო დაწყებული, სამსახურიდან რომ წამოვიდა. ამ დროს ქალაქში ისეთი საცობებია, ტრანსპორტის გადაადგილება ჭირს. თავხედურად „გლოვოს“ მიმტანები იქცევიან, თავიანთი სკუტერებით უამრავ ავარიულ სიტუაციას ქმნიან და საერთო გულისწყრომას აინუშიაც არ აგდებენ.

ავტობუსის გაჩერებაზე უამრავი ხალხია. გოდერძიმ ერთი ნაცნობიც ვერ იპოვა, რომ გასაუბრებოდა. ოთხი ნომერი 10 ნუთში უნდა მოსულიყო. გრძელ სკამზე ერთი ადგილი გამოთავისუფლდა, მაგრამ დაჯდომისთვის თავი არავის მოუკლავს. ნომბერში რკინის სკამები იმდენად ცივია, თუ ძალიან არ გიჭირს, მისკენ არც გაიხედავ. ჯანმრთელობის დაცვაზე მარტო სადაზღვეო კომპანამ კი არა, შენც უნდა იზრუნო.

დაადგა საშველი და ავტობუსი გამოჩნდა.

მიჩვეული არაკომფორტულობა გოდერძის უკვე აღარ აღიზიანებს. იგი, მის წინ მდგომ ქალბატონს ისე დაუახლოვდა, რომ ჩასვლამდე მისი უფრო სიღრმისეულად გაცნობის დიდი შანსი აქვს.

უმნიშვნელო დისტანციის დაცვას, შეძლებისდაგვარად, ცდილობს, მაგრამ ამაოდ. უკნიდან მას აწვებიან, აწვებიან რა, ზურგზე აზის საშუალო წონის, ლაბადიანი ჩია კაცი, რომელიც გაჩერებიდან გაჩერებამდე სულ უფრო მიძიმდება და მიძიმდება. გოდერძი კიდეც წინ მყოფ მგზავრს ხოზიკასავით თაა მიტმასნილი და რომც მოინდომოს, ვერ მოშორდება. თან ეს დასაკეცი ქოლგა ნერვებს უშლის, სად წაილოს, არ იცის. ერთ-ორჯერ მოჯაყა კიდეც, როცა წამუხრუჭების შემდეგ, ქალის მომრგვალებულ, ჭრელ რეიტუზში გამოკოპინებულ, ფუმფულა უკანალს ქოლგის მკვრივი ტანი უნებლიედ რომ წამოედო. იმან რა იფიქრა, ღმერთმა უწყის, მაგრამ სიმართლის გარკვევის შემდეგ, ქალის სახიდან რომანტიკული აღმადრენა რომ გაქრა, ძნელი მისახვედრი არ იყო...

გაუმართლა გოდერძის. გვერდზე სკამიდან გვარიანად ჩამრგვალებულმა მანდილოსანმა წამოდგომა დაიწყო და სანამ მუხლს გაშლიდა, ფეხებს უკნიდან შეუვარდა და სკამზე დაჯდომა ყველას დაასწრო. ერთხანს ქალი ვერაფერს მიხვდა, ამ გაუგებრობაში ჭიკარტივით ჩარჭობილი როგორ აღმოჩნდა. ზოზინ-ზოზინ გააღწია თავი სამშვიდობოს... ფანჯრიდან მოჩანდა, ძირს ჩასული როგორ იბორიალებდა გულისპირთან ცხვირსახოცს და ისწორებდა დაჭმუჭნულ კაბას.

გორგილაძის ქუჩაზე, საცობის გავლამ, დიდი დრო წაილო. გოდერძის აღარსად ერქარება, ფეხი გამართა, წელის ტკივილმა გაუარა, კაი მოლხენილიც არის და ამ ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით, მშვენიერ ხასიათზე მგზავრობს.

გოდერძიზე ბედნიერი მგზავრი ახლა მეორე არაა ავტობუსში.

უცაბედად დაღლილობა იგრძნო და სახლში ყოფნა მოუნდა. დასვენება მოუნდა, ლოგინში წამოგორება, გი დე მოპასანის მოთხრობების წაკითხვა, რომელიც ერთი კვირაა სიამოვნებას და სიმშვიდეს ანიჭებს. ფირსაკრავი რომ ჰქონოდა, „ძველ ვოდევნილებს“ მოუსმენდა და უკვდავი ვასო გოძიაშვილის ოსტატობით დატკბებოდა. ჯერ კიდეც იმდენი რამ უნდოდა, რომ...

ჩასვლამდე სამი გაჩერებაა დარჩენილი, ორი, ერთი... ავტობუსმა სვლა შეანელა.

გოდერძი ფეხზე წამოდგა.

– ნუ წუხდებით, ბატონო. – ესმის თეთრთმიანი მოხუცი ქალის მორიდებული ხმა და გაკვირვებას არ იმჩნევს.

– დაღლილი იქნებით, არ ღირს. – თავისას არ იშლის ის.

– რას ამბობთ, ქალბატონო, როგორ გეკადრებათ, დაბრძანდით, ადრე როგორ ვერ შეგამჩნიეთ...

– შეწუხებული კაცის როლი ისე კარგად მოირგო, მასაც მოეწონა.

– დიდი ხანი არაა, რაც ამოვედი... – შეპატიჟებას უმალ დაანება თავი, როცა შეატყო, დაჯდომის მსურველი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე იფიქრებდა და ჯერ კიდეც სითბოშემორჩენილ სკამზე მოკალათდა. – მადლობა, ნამდვილი ჯენტლმენი ხართ. – დაჯდომისთანავე შეაქო გოდერძი.

შექება და ავტობუსის ადგილიდან დაძვრა ერთი დარჩა.

– რა გულიანი კაცია, ქალს ადგილი დაუთმო და თვითონ ფეხზე დადგა, ბევრი ამას არ გააკეთებდა. – საქციელი მოუნონა ერთმა.

– სახეზე ეტყობა კეთილშობილება. – დაამატა მეორემ.

– ოჯახში აღზრდილს ელანძე შეატყობ... – არ ჩამორჩა მესამე.

– ესეთები თუ გადაარჩენენ საქართველოს. – გოდერძის საქციელს მასშტაბურობა შემატა მეოთხემ.

ხმამალალ ნათქვამად არ მინდა დარჩეს და გოდერძის შექება ესიამოვნა. ამასობაში მგზავრებით ოდნავ შეთხლებულმა ავტობუსმა მის სახლს წელი სვლით ჩაუარა და გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტისკენ გაუყვა გზას.

– როდის გინევს ჩასვლა? – თავი შეახსენა თეთრთმიანმა.

– რამდენიმე გაჩერების შემდეგ. სათქმელადაც არ ღირს, ქალბატონო... – როგორც ნამდვილ ჯენტლემენს ეკადრება, ისე უპასუხა გოდერძიმ.

– თქვენ გაიხარეთ. – დალოცა ხანდაზმულმა ქალბატონმა და კმაყოფილი სახე ფანჯრისკენ მიაბრუნა, გოდერძიმ კი ათვლა თავიდან დაიწყო:

– ჩემ სახლს გავშორდი ერთი გაჩერებით, ორით, სამით...

ახლა საჭირო იყო სწორი მომენტის შერჩევა, რათა გოდერძიმს ჩასვლისას, შეძენილი ავტორიტეტი და ფართო საზოგადოების კეთილგანწყობა შეენარჩუნებინა და თან წაეყოლა.

უცებ მუცელში ზომიერი ტკივილი იგრძნო. ტორტი, ხაჭაპური, პიცა და შამპანური ერთმანეთში აიზილა და შეტევაზე გადმოვიდა. შემოტევამ პერმანენტური ხასიათი მიიღო და ხან მინელდებოდა, ხანაც აბობოქრდებოდა. ბედის იმედად დარჩენა არ ღირდა. სასწრაფოდ, არაორდინალური გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ძლივს მიფართხალდა შოფრამდე (გაუმართლა, ნაცნობი აღმოჩნდა), ისეთი სახით სთხოვა, ავტობუსი გაეჩერებინა და ახლავე ძირს ჩამოესვა, რომ შოფერს მართლა შეეცოდა და ავტობუსი ადგილზე გააქვავა.

– მშვიდობა გაქვს? – იკითხა.

– მერე გეტყვი. – დააიმედა გოდერძიმ.

– იცოდე, თუ დამაჯარიმეს, შენ გადაიხდი... – მიაძახა და კარი მიიხურა.

უკან მოხედვის თავი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მოიხედა. ავტობუსის ფანჯრები მომღიმარი სახეებით იყო გამთბარი, გოდერძიმს კი გაღიმებამდე ბევრი აკლდა, სახლამდე უნდა მიესწრო ან ალტერნატიული გამოსავალი მოეძებნა.

## შხხი ქალი

### ეპიზოდი

სამარშრუტო ტაქსში ჩვეული მყუდროება ახლად ამოსულმა, ახალგაზრდობა შეფერებულმა ქალმა დაარღვია. ჯერ აგვათვალ-ჩაგვათვალა, სამი თავისუფალი სკამიდან ერთი დაუხმარებლად შეაირჩია და მანქანის დაძრამდე დაჯდომა ისე მარჯვედ მოახერხა, რომ გვერდით მყოფი თანამგზავრი, ჯერ კიდევ ქალების ინტერესის სფეროში პერსპექტივა შენარჩუნებული მამაკაცი, მარცხენა ბარკალს ჩასვლამდე მორიდებით, მაგრამ ენერგიულად იზელდა. სახეზე კი, ეგ არაფერია, უფრო უარესიც გადამიტანიო, ეკითხებოდა. ეტყობოდა, ჩასიძებული იყო.

– იმედია, არ შეგანუხეთ, – დამზარალებელმა ალერსიანი ხმით მოიბოდიშა და დაზარალებულს ისეთი თვალებით გადახედა, რომ მას კი არა, მეც მესიამოვნა მისი ესოდენ გამოკვეთილი ჰუმანურობა.

შევატყვე, უსაშველოდ შვენოდა სახეზე თხელი მაკიაჟი და ოდნავ შესამჩნევი ჭორფლები, შავად დახატული წარბები, მამაკაცურად შეჭრილი, აბურძგნული ქერა თმა, კბილებზე ბრეკეტი და შემოტმასნილი მაისური, მის დამწიფებულ ქალურობას უფრო თვალსაჩინოს რომ ხდიდა. შოფერმა კარი დაკეტა და ჭავჭავაძის ქუჩას გაუყვა. ახალმა მგზავრმა თავი მალევე შეგვასხენა და ჯერ კონდიციონერის ჩართვა მოითხოვა, მერე ნელა რატომ დადიხარ, მეჩქარებაო, წარამარა გაჩერება და ხალხის ყველგან აყვანა სად გაგონილაო, ყველაფერს რომ ვითმენთ, ახია ჩვენზეო. მოგვიანებით ისიც გამოჩნდა, რომ ქვეყნის არც საგარეო პოლიტიკაზე იყო მაინცადამაინც მაღალი აზრის და დიდად არც საშინაო ეხატებოდა გულზე. ბოლოს შოფერი შეეცადა სიტუაციის განმუხტვას, ისარგებლა ნერწყვის გადაყლაპვით გამონვეული რამდენიმე წამიანი პაუზით და სანამ აზარტში შესული, პირაქაფებული მგზავრი, მთავრობის გადაყენების საკითხს წამოჭრიდა, მორიდებით იკითხა:

– ქალბატონო, თქვენ სად მიგეჩქარებათ, ვინ უნდა გაახაროთ?

პასუხად: ჩემ საქმეს როგორმე გავარკვევ, შენ წინ გაიხედე და მწვანეზე იარეო...

– კეთილი ბატონო, – წაილულულა ნირნამხდარმა შოფერმა და მეტჯერ უკან აღარ შემოუხედავს, სამაგიეროდ, მე გამიმართლა. ჩემ წინ გამოთავისუფლებული სივრცე ენერგიამოძალეულმა ქალბატონმა ოპერატიულად აითვისა და კმაყოფილმა შემომხედა.

– მეცნობით და ვერ ვიხსენებ, საიდან...

წარმოდგენა არ მაქვს, ვინაა. გონებაც ამაოდ დავძაბე, ვერავის მივამსგავსე.

– ვერც მე, ვწუხვარ, მაპატიეთ ქალბატონო.

– არაა კარგი ამბავი. – ჩაილაპარაკა და ჩაფიქრდა. შევატყვე, ისე იყო სალაპარაკოდ აღერდილი, რომ ასე იოლად არ შემეღეოდა, – სად მუშაობთ, თუ საიდუმლო არაა, მეტყვიეთ? – ვერ მოთოკა ცნობისმოყვარეობა უცხო ქალმა და ჩემკენ შემობრუნდა.

თანხმობის ნიშნად თავი დაგუქნიე და ვუთხარი. ან რატომ უნდა დამემალა? იქნებ გავხსენებოდი, ან თავი დაენებებინა, ესეც ხომ ვარიანტი იყო?

– რა კარგია, როგორ გამახარე. ტელევიზიიდან ბევრს ვიცნობ. – თავდაჯერებული მეუბნება, რამდენიმე სახელ-გვარს მისახელებს და პასუხს დაიმედებული ელოდება.

ამაოდ.

ამკარად ეშლება. დასახელებულიდან ვერცერთი გავიხსენე. მერე უფრო დაკონკრეტება ვთხოვე. ამაოდ. როგორ არ წამოვეშველე, მანაც ძალიან მოინდომა, მაგრამ...

– ერთი გამოკვეთილად მომწონს და მიყვარს, ხშირად პირდაპირ ეთერში ვხედავ, ამშვენებს ეკრანს, ძალიან სიმპატიური და ენერგიულია, ყველგანაა, როგორ ასწრებს, მიკვირს... ფბ-ზეც აქტიურია, სიცოცხლით სავსე სურათებს დებს, ფერად, ჰარმონიულ და სახასიათო სურათებს, თან ყველგან დახვეწილი, გემოვნებიანი, განუმეორებელი, სულ გაცინებული და პირდაღებულია. ცოტა უცნაური სახელი ქვია.

მეც დავიბენი, რამდენიმე ვარიანტი კი გავივლე გუნებაში, მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობა ვერცერთს მივანიჭე. მორიდებით ვიკითხე.

– თქვენი ნაცნობი გოგოა თუ ბიჭი?

– გოგო. – მიპასუხა.

პოზიტიური ემზარ დიასამიძის და ხარისხიანი ლაშა ზარგინავას კანდიდატურა უმაღლესი გამოირიცხა, რამაც გული იმაზე მეტად დამწყვიტა, ვიდრე მოველოდი.

– როგორ მიგახვედრო, ვერ ვხდები. – ავიშვიშა იგი, – ფბ-ზეც მინდოდა მეგობრობის გაგზავნა, მაგრამ მომერიდა. ის ახლა ცნობილი ქალია, სახელოვანი, ძლიერი, წარმატებული ჟურნალისტი, მიკადრებს? ან რა უნდა ვუთხრა, თქვენთან საუბარი მინდა, თქვენი გაცნობა მინდა, თქვენნაირი მინდა გამოვიდე და დრო დამითმეთ, გთხოვთო. მაგრად ტეხავს...

– რატომ? – ვერაფრით ჩავნდი უცხო ქალის ლოგიკას.

ნეტავ ვის გულისხმობს?

– კოვიდის მერე დამჩემდა გულმავინყოფა, იქნებ ბევრი გასახსენებელი არც არაფერი მაქვს...

– ახალგაზრდა ქალს რომანტიკოსობა შვენის, დამიჯერე. რა დროის შენი წუნუნია. – დაუფაცა-ხანე.

– ეგ ვიცი...

– ძალიან კარგი.

რითი დავეხმარო, ვერ ვხდები. ისევ მან რალაც ისეთი უნდა გაიხსენოს, ხელჩასაჭიდად რომ გამოგვადგეს. ვცდილობ, ვალაპარაკო, რაზეც ნამდვილად ვიცი, დამყაბულდება...

– მისი დაქალივით ლამაზია, მზესავით თბილი და ლამაზი, მოიცა, იქნებ დაქალის სახელი გავიხსენო. ჰო, დაქალს, თუ არ ვცდები, მზია ქვია, ჰო, ნამდვილად, მზია ქვია და ისიც მზიასავით ლამაზი და საყვარელია. მზიას მანდარინი უყვარს, ფბ-ზე ვნახე, ნიქოზიაში მანდარინის ხე რომ დაინახა, სტახანოველი მეციტრუსესავით გაუხარდა და ზედ აძვრა. – მითხრა დაბეჯითებით უცხო ქალმა და ისეთი თვალებით გადმომხედა, მიმახვედრა, ახლა შენი ჯერია და ნამომეშველეო.

მზიას და მანდარინის სიყვარულის შესახებ არაფერი გამეგო. გადმოცემით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მზია წარმოშობით ქობულეთიდან იყო და სავარაუდოდ, ოჯახის მთავარი შემოსავლის წყაროს მიმართ, მისი ასეთი ემოციური და მგრძნობიარე დამოკიდებულება, არც გამკვირვებია.

– ჯენი იქნება უსათუოდ... – ეჭვი არ შემპარვია, ისე ვუთხარი, რადგან ჯენი და მზიას მეგობრობა, ამ სამყაროში ყველამ იცის.

– გამახსენდა, ჯენი ქვია, ჯენი. – მომიგო და შვებით ამოისუნქა. – თან ჯენის ყავა და დიეტური ტკბილეულობა უყვარს. ფიგურას უფროთხილდება, ეტყობა...

ჯენის კვების რაციონზეც არაფერი ვიცოდი და ენა ვერ ამოვიღე, ჩავიჭერი.

– თუ მოახერხებთ, შუქნიშანთან შემიჩერეთ. – გასძახა შოფერს თანამოსაუბრემ, წამოდგა, ფული გადაიხადა, ვარდისფერი ხელჩანთა გადაიკიდა და მომიბრუნდა: – ნაცნობი სახე გაქვთ, ოღონდ მართლა... – გამომემშვიდობა და ჩავიდა.

– გვეშველა მგონი. – როგორც კი მანქანა ადგილიდან დაძრა, ჩაილაპარაკა შოფერმა და თანაგრძნობით გადმომხედა.

### ქალბატონი იზაბელა

– ბოლოჯერ გეუბნებით, კიდევ ერთი კათხა შევამატოთ. – თავისას არ იშლის ირაკლი და ბარმენს ოთხ თითს აჩვენებს. ისე, თითი ხუთი აქვს, ჩვენ ვართ ოთხი და აქედან გამომდინარე, მის ქმედებას გამართლება მოეძებნება. სიზუსტე და კონკრეტულობა, მისი პროფესიიდან გამომდინარე, სისხლში აქვს გაჯერებული, მთავარი ბუღალტრის მოადგილედ მუშაობს სათაო ოფისში და აგერ უკვე მეთხუთმეტე წელია, სამსახურში იმედისმომცემ ახალგაზრდად და მზარდ კადრად მოიაზრება. დროის ამ მონაკვეთში, არც ისეთი პატრონი აღმოაჩნდა, დააპანდუროს და წინ წაწიოს, ვერც იმხელა ავტორიტეტი მოიპოვა, რეორგანიზაციით რომ დაატოვებინონ სამსახური. არც მთავარ ბუღალტერს დაემართა რაიმე სასიკეთო და იმედისმომცემი. ჰოდა, ასე რეალობასა და სასურველ ოცნებებს შორის გაიჭედა ჩვენი ირაკლი. ამასობაში, წლები და შუბლზე ნაოჭები მოემატა, ხუჭუჭა თმა კი, რომელიც ასე შვენის, გაუთხელდა და არცაა გამორიცხული, ახლო მომავალში, კეფასთან, სარეზერვო ადგილებიდან, გადასაწერგი დაურჩეს.

ხარჯვა ყოველთვის უყვარდა, ხელგაშლილიც იყო და ყაირათიანიც, ფული არასდროს აკლდა, ხოლო რაც აკლდა, ახლა მის დაპატიჟებულ სუფრასთან ყურადღების გამახვილება უადგილოდ ჩანს და მგონი, უტაქტობაცაა. ამიტომ მასზე სხვა დროს ვიამბობთ, ან თქვენ სად გეჩქარებათ, ან მე...

– არ გინდა, რას იხარჯები, მართლა ხომ არ გავსკდებით. – თანამეინახეებმა იციან, არაფერი გაუვათ, მაგრამ რალაც ხომ უნდა თქვან, ხინკლის და ლუდის მირთმევა მეტად სასიამოვნო პროცესია, მაგრამ დროც ხომ მნიშვნელოვანია ზოგჯერ? უფროსი კია თბილისში, მაგრამ მისი ლეკვების ამბავი ხომ ვიცით... ექვსამდე საათნახევარია კიდევ...

– კაი რა, აჩიკო, შენ ყოველთვის ნუ გეჩქარება. ახლა ჩემი მიტოვება შეიძლება? – უკმაყოფილებას ვერ მალავს ირაკლი და ახლა ოთარს ისეთი დათრგუნული თვალებით უყურებს, უჟანგავი ფოლადის თუ არ ხარ კაცი, აუცილებლად გაკურცხლიანდები.




რაკი სუფრის წევრებს თავისუფალი დრო იმაზე მეტი აღმოაჩნდათ, ვიდრე ეკუთვნოდათ, არც აჩიკო შემჯდარა ვირზე. დაყაბულდა, ნახევარი საათი სამეგობრო წრეში კიდეც გაეფლანგა. კარგად დანაყრებულმა, მეხუთე კათხა ლუდს შეგნებული უნდობლობა გამოუცხადა და თავისი გაიტანა.

– ოქროები ხართ, ოქროები... – გულწრფელად ამბობს ირაკლი და მასთან ყველაზე ახლოს მჯდომ ოთარს აფრთხილებს: – უსიდედრო ცოლი შეირთე, ამას ჩემი გამოცდილებიდან გეუბნები, აჯობებს...

ოთარი თანხმობას თავის ქნევით უდასტურებს და ცოლის თემა ახალისებს. მთელმა დუნამ იცის, ოთარს ეკონომიკის განყოფილებიდან სათვალეებიანი, ჩაპუტკუნებული, მკერდსავსე და ტუჩებოტოქსიანი ნათია რომ უყვარს, არც გოგოა გულცივი მის მიმართ, ან რა დროის მაგის წუნიობაა, სადაცაა ოცდათხუთმეტს გადაახტება და მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მურაბაზე უფრო ტკბილი, ჯერ არაფერი გაუსინჯავს. ისე, კი უხდებიან ერთმანეთს, ამის თქმა დანამდვილებით შემოძლია.

ირაკლის სიდედრს, მისი სიძის გარდა, სამეგობრო ვეთაყვანებით. მართალია, ქალბატონი იზაბელა სიძეს დიდად არ წყალობს, უბრალოდ, ვერ ეწყობა, არ მოწონს და ამას არც მალავს, მაგრამ ოჯახის დაშლას და ქალიშვილის უკან მობრუნებას, სიძის ლანძღვა და მისთვის ნერვების მოშლა ურჩევნია. წლების მანძილზე შემუშავებული გრაფიკის სრული დაცვით, ორ თვეში ერთხელ, 20 რიცხვში, ქალბატონი იზაბელა თავის ქალიშვილს და ნაგრამს რამდენიმე დღით სტუმრობს ორგვედან. ძმისშვილის სუნთქვადამძიმებული „ნოლშესტი“ უამრავი სოფლის ნობათი ჩამოაქვს და სიძის გარდა, ყველას ახარებს. ამ რამდენიმე დღეს, ჩვენ, მეგობრები, ირაკლის ფსიქოლოგიურად და მორალურად ვამხნევეთ, მისი სულიერი რეაბილიტაციისათვის დაზოგილ ფინანსებსაც გონივრულად ვითვისებთ. სამდღიან შეკრებებს „იზაბელობა“ დავარქვით. მართალია, ამ ტრადიციას ჯერ დიდი ისტორიული წარსული არ გააჩნია, სულ რაღაც 7-8 წელს ითვლის, მაგრამ ქალბატონი იზაბელას ჯანის სიმხნევე, ენერგიულობა და ნათელი გენეტიკა გვაიმედებს, რომ წინ ბევრი ბრდღვიალა დღე გველის. სხვათაშორის, ქალბატონი იზაბელას მამა, ბატონი ივსიხი 115 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაცვლილა შარშანწინ, ნანვიმარზე, ნალიიდან ჩამოსულს, ფეხი დაცდენია მოლზე და უხერხულად წაქცეულა...

ქალბატონი იზაბელა დღეს შუადღისას ჩამობრძანებულა ქალაქში და საყვარელი სიძე ჯერ არ ენახა...



# ედიგუაშა პარლია

## ბამარჯვებულის ორი რობაი

### თენგიზ არჩვაძეს

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული“

გალაკტიონი

1.

ვინაც ღირსებას არ ღალატობთ, გცნობენ რაინდად,  
სისხლის ყოველი წვეთითა და ნერვის ძაფითაც...  
გქვიათ სამშობლოს უანგარო მზებერიკაცი, –  
სი ვარაიდა, გამარჯვებაც მეტი რა გინდათ...

2.

სი ვარაიდა, ღვთის წყალობა მეტი რა გინდათ, –  
შთამომავლობით მდიდარი ხართ და წინაპრითაც...  
შეუბღალავი და ცოცხალი გქვიათ ლეგენდა, –  
რადგან ღირსებას არ ღალატობთ, რჩებით რაინდად...

## ილიას რობაი

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ,

საქართველოსაც მოკლავდნენ...“

ვაჟა

ფიქრმა იმატა, განა დარდიც გამოილია,  
სამშობლოც, ჩვენდა სავალალოდ, დამცრობილია...  
დღესაც გესროდნენ საქართველოს მოკვლის მსურველნი, –  
შენი მამულის სიყვარულის გამო, ილიავ...

### თემიდას წიბაბი

ბრმადშობილია ოდითგან და უნდა იცოდე,  
თუ განარისხე – შურს იძიებს, არც შეგიცოდებს...  
რადგან მატულობს სისასტიკე, უსამართლობა, –  
ნუ გიკვირს, ტყვიას მოსაკლავად ისიც ისროდეს...

### ბაშნობიერებალი ბედნიერების წიბაბი

მომნუსხველია, ბურიანში, სალამოისხანს,  
ცა – მოლადლადე, ვარსკვლავებს რომ უხვად მოისხამს...  
იქნებ მაშინ ხარ ბედნიერი, ადამიანი, –  
როცა არ იცი, ბედნიერი მაინც როდის ხარ...

### მარადისობის მკვიდრის წიბაბი

თავისკენ უხმობს საბოლოოდ შვილებს გამჩენი,  
სიყვარულია საიმედო გზაც გადარჩენის...  
ღვთიურ ჰანგებმა აიტაცეს ცაში მაესტრო, –  
მარადისობას დაუმკვიდრეს გია ყანჩელი...

### გულისთქმის წიბაბი

„ამ სამყაროულ ბნელ დილეგში მე არ ვარ მარტო...“

ოსიპ მანდელშტამი

გავცქერი შორეთს, მთა-გორებზე შეფრენილ ნისლებს,  
წეროებივით იგრძელებენ რომლებიც კისრებს...  
„ნისლი ფიქრია მთებისაო“, – მეჩურჩულება  
ღმერთკაცი, თითქოს სამყაროულ გულისთქმას ვისმენ...

### წვიმად ქცეული ადამიანის წიბაბი

შევრჩი სანუთროს უთავბოლო წუხილს და წვრილმანს,  
სიყვარულის მზე – სიძულვილის ვერ აღლობს მყინვარს...  
წვიმს და ჩემ ქოხში ამიმღერდა ადამიანი, –  
ვინც ინატრა და მოგვევლინა სიცოცხლის წვიმად...

## მუხისა და ფესვების რობაბი

მუხას ვკითხე: (უნუგემო ინვა ტყეში ბუმბერაზი),  
 – იქნებ უნცი, რაში არი ყოფნის არსი, შენი აზრით?...  
 მომაკვდავმა ნაიმღერა: – არარავარ უფესვებოდ, –  
 და ფესვებმაც ბანი მისცეს: – ხე წაგვექცა რა ძვირფასი...

## ნუბეშის რობაიები

თავისუფლებისთვის უკრაინაში გმირულად დაღუპული  
**ჯამბულათ ხოფერიას მამას – არჩილ ხოფერიას...**

„...გახარებული უფალი  
 კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა...“  
**ვაჟა-ფშაველა**

1.

გეტყვი ნუგემის სიტყვასაც და თანაც სამძიმარს,  
 გლოვა ვერ გასტეხს, დაბადებულ მამას – არწივად...  
 ვინც იწინამძღვრა უშიშარი კაცის ღირსება, –  
 ვინც სიმართლის გზა აირჩია და თავგანწირვა...

2.

ვინც მტერს თავი არ დაუხარა და არ დაზავდა  
 ბოროტებასთან... და მემკვიდრეც გმირად გაზარდა,  
 ვის წინაპართა დაანათლა ავთანდილობა, –  
 თავისუფლება არ დაეთმო სისხლის ფასადაც...

3.

სახელოვანი გზით იარა ოდით კარგმა ყმამ,  
 თუმცა ვერაგი მტრის მოკლული შვილის მამა ხარ,  
 ხარობს უფალი, ზეციური მისი მხედრობა, –  
 გამარჯვებული სამშობლოში ივლი ამაყად...

4.

შობილთ მონებად, სავალალოდ, მსტოვარ-ლაჩრებად,  
 მამონაზე რომ აკეთებენ თავის არჩევანს,  
 წარისოცება დრო-ჟამისგან მათი გზა-კვალი, –  
 და უსახელო კენოტაფის ორმო დარჩება...

### ბაღვძიძის რობაი

იღუმალს ხდის შუქი ზეცას, მიმოქარგულს ფანტელებით,  
ფანტელებიც ბრწყინვენ შუქზე, როგორც ციციანათელები...  
გაიღვიძე საქართველოვ! გახარებდეს შელამება, –  
გაიღვიძე, თუ არ მოკვდი, გიხაროდეს გათენების!...

### სიბერეზე დაფიქრების რობაიები

1.

სიბერე, იქნებ კუნძულია აღმოსაჩენი  
და საკუთარი თავის ძებნა – გზა გადარჩენის...  
ან გაიმარჯვებ ანდა სიკვდილს დაემონები, –  
როგორც ბრძოლაში ნებდებიან სულით ლაჩრები...

2.

უნდა ბუნების გახარებდეს ეს განაჩენი,  
თუკი ღირსებით დაგაბერა... სხვა დანარჩენი  
წინ გელოდება... თუ შეიცან მწყემსი კეთილი, –  
მარტოსულიც კი, მარტოდმარტო აღარ დარჩები...

### ბიორგობისთვის რობაიები

1.

ახლა როცა დილის ნისლი ხეხილს ემარმაშება,  
გიორგობისთვის სიცხადე შეიფერეს ვაშლებმა...  
სცვივა ხიდან ნაყოფები, მინას ეშურებიან, –  
მაგრამ წვენი სიცოცხლისა, არასოდეს არ შრება...

2.

ხან ქარებიც ყურდებიან, ხანაც თავის აშვება  
იციან და იქცევიან ცის დარახტულ რაშებად...  
საცა არი თოვლის ქურქებს მოისხამენ ხეები, –  
სუროც მოიჩიტება და შავად მოიშაშვება...

### მამულის უბედურების რობაი

(რემინისცენცია)

გრძელდება რადგან უღირსების უზნეო ფარსი,  
მართალ სიტყვასაც აღარა აქვს ნონა და ფასი...  
ბენვზე ჰკიდია, მიწყვიტ ბენვზე გადარჩენილი, –  
წყალნალებულებს ვერ უშველით იმედი ხავსის...

## მოლოდინის რობაი

გარინდებულა ტყე და ხეები პირველი თოვლის მოლოდინშია,  
 ელოდებიან ხილულ სასნაულს და განზილების განა შიში აქვთ...  
 ჩქამიც არ ისმის... დაგეუფლება ადამიანსაც განცდა იმგვარი, –  
 თითქოს სამყაროს დღემდე უცნობი ქურუმთა წიგნი გადაგიშლია...

## თიხის საბალობლის რობაიები

### ზურაბ კიკნაძის შესანდობარი...

1.

ვინ გინოდა ნეტავ თიხა, ბიბლიური ადამი ხარ,  
 და ხელიდან დღემდე ხელში სიყვარულით გადადიხარ...  
 წყაროსავით ღვთიური ხარ, ღვინოსავით მართალი ხარ,  
 და მაცხოვრის წმინდა სისხლით გამზევებულ-გამთბარი ხარ...

2.

ენმერქარის ფირფიტა ხარ და ქვის ხანის ალიზი ხარ,  
 განა მხოლოდ წარსული ხარ, შენ მომავლის მარიხი ხარ...  
 დიდგორი ხარ და ღალატით წაგებულ კრწანისი ხარ,  
 გამარჯვების სასმისი და ამ ცხოვრების ხალისი ხარ...

3.

წინაპართა სალოცავი, უძველესი მარანი ხარ,  
 მოფერებას მიჩვეული დამყოლი და ალალი ხარ...  
 ხვანჭკარა ხარ, საფერავი, ჩანურული წარაფი ხარ,  
 ჩვენი მანათობელი ხარ, ლამპარი და ფანარი ხარ...

4.

ვინ დაგარქვა, ნეტავ თიხა, ფერადი და მზის შვილი ხარ,  
 ხანაც ლალი სიმღერა ხარ, ხანაც ჩუმი ქვითინი ხარ...  
 ჩვენი ერის სიმტკიცე ხარ, დულაბი და ქვიტკირი ხარ,  
 ღირსება ხარ, დიდება ხარ, რწმენა ხარ და სინდისი ხარ...

5.

დედამინის საუკუნო სინატიფე და მითი ხარ,  
 უფლის ხელით მოზედილი ხელადა და კრამიტი ხარ...  
 შენში სუნთქავს ეპოქები და დიადიც ამითი ხარ,  
 ჩვენი გამონათება ხარ, თამარი და დავითი ხარ...

6.

შორეული ძახილი ხარ, ჩვენი სისხლის ყივილი ხარ,  
იავარქმნილ საქართველოს იარა და ტკივილი ხარ...  
ციხე აულეხელი ხარ, ბრძოლის ყივილ-ხივილი ხარ...  
მტრის სამიზნედ შემართული სიათა და ხირიმი ხარ...

7.

ვინ მოგნათლა ნეტავ თიხად, უძველესი მამული ხარ,  
ვაზით გადაქარგული და ცრემლით გადანამული ხარ...  
ალმური ხარ, გულმოკლულთა მხნეობა და სალბუნი ხარ,  
ენქიდუ ხარ, იშთარი ხარ, ილბლიანთა ამური ხარ...

8.

კოლხა ხარ და დიაოხი, ეტრუსკი და პელაზგი ხარ,  
ხანაც ჰაეროვანი ხარ, ხან სიმძიმით გელაზი ხარ...  
რუსთველი ხარ, ხაიამი, დანტე ხარ და ერაზმი ხარ,  
მადლმოფენილ მონასტრებში ჩვენზე მლოცველ ბერად ზიხარ...

9.

თბილო თიხავ, აფსილი ხარ, ხალიბი ხარ, თუბალი ხარ,  
ამარანტი, ჰენიოხი, ლაზი ხარ და სუბარი ხარ...  
გულს მუდამჟამს უხარიხარ, თონე ხარ და ბუხარი ხარ,  
წუთისოფლის სტუმრებისთვის სანდო თავსასთუმალი ხარ...

10.

ჩემო თიხავ, კირბები ხარ, სტელები ხარ და ლექსი ხარ...  
დემიურგის კურთხეული, ქურუმების ნალესი ხარ,  
იმერი ხარ, ამერი ხარ, სიბრძნით ულამაზესი ხარ,  
ტკბილი მრავალჟამიერი, მოფერება, ალერსი ხარ!..

## დროის რიტაიები

1.

თვალს აყოლებ ნახატივით ტყეში გარინდებულ იფნებს,  
და სიჩუმის მელოდიას დამძიმებულ სულში იფენ...  
ხედავ, შაშვმა გადასერა თალხისფერი ნოემბრის ცა, –  
მოვა დრო და ვინ რა იცის, ფრთოსანივით, როგორ იფრენ...

2.

დრო კითხულობს ტყის უძველეს პალიმფსესტებს, აპოკრიფებს,  
დრო მეჩჩრზეც გაგრიყავს და შეგანარცხებს მარჯნის რიფებს...  
დრო არაფერს არ შეგარჩენს და რაც უნდა დაემალო, –  
მის საცერში გაიცრები და შუქ-ჩრდილებს გამოგიფენს...

## თიხისა და ოსტატის რობანიანი

მხატვარ გიორგი რურუას

1.

თიხას როცა ეფერები, გულით ელოლიავები,  
გრძნობ, თიხისგან ნაძერწი ხარ, დამსხვრეულიც – მთლიანდები...  
თანაც ხდები დემიურგი, აურწყავი ღვთის ჭურჭელიც, –  
დგება წამი ბუნებასთან შერწყმისა და ზიარების...

2.

განა მართლა უსულო ხართ, ან მინა და ანდა თიხა,  
წინაპართა საუკუნო დიდება და იმედი ხართ...  
თიხამ მითხრა: – მეც ვიყავი ცისქვეშეთში ცოცხალი და  
შენც გახდები, – უფლისაგან მოზედილი რაიც იყავ...

## მართალი სამართლის რობანიანი

მადლად ვერ იქცა, რაც უფალმა მადლი მოფინა,  
ღვთის ხატად ქმნილმა – ეს საუნჯეც ვერ იმყოფინა...  
იყო, იქნება ცა და მინა, მზე, ვარსკვლავები, –  
ნუ ელი იმას, სამყაროში რაც არ ყოფილა...

## „ჩაშუქრალი სანთლები“ რობანიანი

ზურაბ გორგილაძის შესანდობარი

ვარდების ბაღში დაჰხარიან ბიუსტს მტრედები, –  
„ჰოიდა ნანა“... ამტკივდები, ამიმღერდები...  
და მნათობივით ბრინჯაოდან ასხივებს სიტყვა, –  
წყარო სიცოცხლის და უკვდავი შემოქმედების...

## უპატრონო ძაღლის რობანიანი

წვიმა და ქარში მონრიალეს, შიმშილით დაღლილს,  
უთავშესაფროს ენატრება პატრონი, სახლი...  
ადევნებული ღამის შუქზე უცხო გამვლელებს, –  
გზას არსაითკენ მიუყვება ქუჩაში ძაღლი...



## ოქრობიჭის რიტაიები

## ხვიჩა კვარაცხელიას

1.

ევროპა ხომ გააოცა, ოქრობიჭმა, ჩვენმა კვარამ,  
საქართველოც გააცნო და ლამისაა შეაყვარა...  
რა არწივი აგვიფრინდა, დალოცვილი ლაკადიდან, –  
მოედანზე დანთებულა კელაპტრად და უქრობ კვარად...

2.

ვინც იკადრა აუგის თქმა, იმ უგნურებს, ვეტყვი, კმარა! –  
არას გარგებთ ღვარძლის თესვა, გზაც ღვთის მადლით გაიკვალა...  
ჰა, ბურთი და მოედანი... ხვიჩა ხარ და ვარსკვლავიც ხარ, –  
გამარჯვება – დიდებისთვის გაჩენილო, ჩემო კვარა...

## ბანშორების რიტაიები

## მამაჩემის, არველოდ მარღიას შესანდობარი

1.

ყველას თან ახლავს საკუთარი რადგან თავბედი,  
მამავ, საფიქრალს და სატკივარს შემოაბერდი...  
განგების ნებით ინთება და ჰქრება თანდათან, –  
ყველა სანთელი, კელაპტარი, როგორც აბედი...

2.

იყავ მრჩეველი, წინამძღოლიც და ჩირაღდანიც,  
და ერთმანეთსაც ვეყრდნობოდით, როგორც ხარდანი...  
მონყენილია შენი ფუძის დღეს ანგელოზი, –  
და ტკივილისგან იღვენთება კერის ლადარიც...

3.

„რალა უნდა ვთქვა, როცა შვილო, შენც დამიბერდი“, –  
მეუბნებოდი და ცრემლს ველარ იმორჩილებდი...  
ახლა ჩემს გულში და ხსოვნაში დავანებული, –  
მესიტყვები და გულმწუხარეს მავსებ იმედით...

4.

ის ხმა ჩამესმის, მზრუნველი და დარბაისლური,  
შენც მთვარესავით გაილიე, ზღვართან მისული...

მაინც სიყვარულს ასხივებდა აზრი, გონება, –  
ხანგრძლივი ტანჯვით გადაბინდულ-გადანისლული...

5.

უფალმა იცის, ერთადერთმა, რაც გველოდება  
ამ წუთისოფლის შარა-გზაზე, არ ღირს გოდება...  
ვიდრე აქა ვარ, რამდენჯერაც გამახსენდება, –  
გულიც იმდენჯერ ამტკივდება, დამიღონდება...

6.

მამა იყავი, ნერჩის ცეცხლიც და მაკუჩხურიც,  
ო, რა ყოფილა ეს ვარამი, მართლაც ურჩხული...  
მე მჯერა, გესმის ჩემი ლექსის ჩუმი ქვითინი, –  
ლექსი – ვედრება, ლექსი – ლოცვა, ლექსი – ჩურჩული...

7.

არც დრო გვაშორებს უსასრულო და არც მანძილი,  
ჩვენ, ერთმანეთის ხორცისა და სულის ნაწილი  
ვართ და ვიქნებით... ავი სენით გამოტანჯული, –  
ახლა ისვენებ მარადიულ, მშვიდი ღრმა ძილით...

8.

ველარ მოგანვდი სავსე ჭიქას ძველშავ-ადესით,  
თუმცა იხარებს შენი ვაზი, ნახნავ-ნათესი...  
მეტი რა მინდა, ღირსება და პატიოსნება, –  
რაც საგანძურად დამიტოვე, როგორც ანდერძი...

9.

იყავ სიკეთის, სიყვარულის სოფლად მთესველი  
და წინაპართა ამაყობდი ჯიშით, ფესვებით...  
იქნება შევძლო, საფიცარო, მამავ ბატონო, –  
მამაშვილობას საკადრისი ვუძღნა ლექსებით...

10.

ვინ გაქცევია გარდაუვალს, გული მიტირის,  
გაუფასურდა ქვეყანაზე ლამის სიკვდილიც...  
შენ წაიქეცი, დედაბოდის დავრჩით იმედად, –  
არ დაიშალოს სიყვარულის მტკიცე ქვითკირი...

11.

და შენს ღირსებას შუქს ჰმატებდა დედის მანძილი,  
თუმცა ცხოვრება არ ყოფილა, მამა, ადვილი...

დილა-სალამო მახარებდა იმედიანი, –  
და ჩემთან ერთად იზრდებოდა ცნობისწადილიც...

12.

უნდა ვითმინო უშენობა, ვიდრე გნახავდე,  
უფლის ნებაა ყველაფერი, თუგინდ დახარბდეს  
ადამიანი უშფოთველ და ლამაზ სიცოცხლეს, –  
მთელი ქვეყანაც რომ უქციონ თუნდაც სახატედ...

13.

ჩემი ხატიც ხარ, მამაჩემო, როგორც სხვა ხატი,  
მჯერა, დამიცავ...რადგან წინ მაქვს გადასახადი  
ჩემი ცხოვრების ცოდვა-მადლის ის საზღაური, –  
რასაც უფალი ითხოვს ჩვენგან, მამა, ნახვამდის...

14.

ნახვამდის, ჩემო სიამაყევ, გემშვიდობები,  
თვალცრემლიანი მოგინატრებს შენი სოფელიც...  
კეთილს და სათნოს გზას გაგისწის სამოთხისაკენ, –  
მოსიყვარულე მაცხოვარი და ღვთისმშობელი...

### საღამოს რიტაი

ჩქამიც არ ისმის... არ იძვრიან ტყეში ფოთლები,  
მეფობს სალამო იდუმალი და უშფოთველი...  
ბუნების წიაღ სუფთავდება ადამიანი, –  
ხდება ცოტათი უკეთესი, მეტის მომთმენიც...

### შემგროვებლების რიტაი

ვაგროვებ მაყვალს, ნაბიჯ-ნაბიჯ, ვაგროვებ პანტას  
და გონებიდან ამსოფლიურ სატკივარს ვფანტავ...  
ცოდვილის ხელით, ამ ბუნების მადლს რომ ვეხები, –  
თითქოს ვპოულობ უძვირფასეს განძსა და მადანს...

### ბანსაბდელის რიტაი

წმინდა დედაო, ღვთისმშობელო, შენით მოცულა  
ცოდვილი ფიქრიც... და ველარ ვგრძნობ ახლა დროს სულაც...  
როცა მეგონა, ჰანიბალი მოდგა ჭიშკართან, –  
თურმე მოყვრულად მოსულა და შინ შემოსულა....

### მტრედის ორი რიბბი

1.

წვიმს გუდაურში... შემოფრინდა უეცრად მტრედი  
და აივანზე შემომიჯდა, ეული, გვერდით...  
შემავლო მზერა, მონატრებულ მეგობარვით, –  
თითქოს განათდა მოქუფრული ზეცაც და ხედიც...

2.

ნეტავ ვიცოდე, დახატულო, რას ფიქრობ, ნეტავ,  
იქნებ მოგწყინდა მარტოობა, დარჩენილს კენტად...  
შენ გაფრინდები... თან ჩემ ფიქრსაც გაიყოლიებ  
და დამიტოვებ მარტოსული მტრედების სევდას...

### სეზდის რიბბი

#### გოდერძი ჩოხელის შესანდობარი

თავსაც და ცოდვილ სამყაროსაც ვატყობ ცვლილებას,  
ნახავ სიცხადით, რაც მეტი გაქვს გამოცდილება...  
შრება მდინარე... ცხრება მნათი და მთვარესავით, –  
ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდაც ილევა...

### ბანსბდელის რიბბი

გავცქერი ტყეს და ცადაზიდულ ვეება მუხებს,  
და ჩემ სატკივარ-აღსარებას ბუნებას ვუმხელ...  
განსაცდელშია საქართველო!.. თორემ ხეებო, –  
ქედზე ვერავინ ვერ დაგადგამთ მონობის უღელს!..

### ვანტანბ ჰაზანბდის რიბბი

(საიუბილეოდ...)

იღვანა და იმუშაკა, ბევრი ღამეც ათია,  
და ეს წლებიც მიითვალა ღირსეულად, ცხადია...  
ცხრაჯერ – ათიანში სტყორცნა ჩუბინივით ისარი, –  
არ ააცდენს, დიდოსტატი, მეთედაც – ათიანს...

**ჯემალ ინჯიას რობაი****(პასუხად დიდებულ ადამიანს და პოეტს)**

ვეამბორები თქვენს მაღალ შუბლს, მამის შუბლივით,  
 შურის ხვიარას ვერ იცილებს, ფარავს უბირი,  
 მაგრამ ოდესმე დამალულა შუბი ხალთაში? –  
 ტყვიასაც მუდამ უცდომელად ისვრის ჩუბინი...

**ქვითინის რობაი****ჩემი უმრწემესი დის, ხათუნას შესანდობარი**

შენი სახება გამახსენა თოვლის ფანტელმა,  
 თან მონატრებაც ემატება წლების მატებას...  
 ამ სტრიქონებში ჩავაბუდე ჩუმი ქვითინი, –  
 რომ ვერ შევძელი ტკივილების გულში დატევა...

**დამშვიდობების რობაი**

წყაროს მეკვლე ვარ, ვეფერები დათოვლილ არეს,  
 ხან მზე ჩახედავს ტყეთა წიაღს და ხანაც მთვარე...  
 აკრთობს სიჩუმეს ხომალდის ხმა და ფიქრის წეროც, –  
 ემშვიდობება სადღაც შორით მიმავალ მგზავრებს...

**მწერალი-როსინანტის რობაიები****ჯემალ ქირიას შესანდობარი**

1.

სიკეთის შუქით ანათებდი, სიტყვით ბრწყინავდი,  
 სამარადისო გზას დაადექ, გაუჩინარდი...  
 ახლა ზეციურ სამყაროში დაეხეტები, –  
 მწერალი, დენდი, მოგზაური, შენ – როსინანტი...

2.

თავს მახსენებენ თხზულებათა შავი ტომები,  
 მომლოდინენი მკითხველებთან განმარტოების...  
 დრომ გაგანზილა... ვერ მოგაგო ღირსი პატივი, –  
 ხმაურს არჩიე ჩუმი წვა და ობერტონები...

3.

თუ მომნიფდება, თუ დადგება დრო სანატრელი,  
 დრო თაობათა სულიერი გამონათების....  
 რომ დაგაფასონ ღირსეულად, ღირსი მესიტყვე, –  
 სიტყვის ჭიდილში დღენიადაგ ლამენათევი...

4.

იქნებ იგი დრო დაფასების, აკმე-მწვერვალი,  
 მხოლოდ ის ერთი მკითხველია, როგორც მწევარი  
 გეშით რომ აგნებს აზრის სიღრმეს, სიტყვის სინათლეს, –  
 აისბერგით ვინც შეიცნო სრულად მწერალი...

5.

ვწერ ამ სტრიქონებს და გიგონებ თვალცრემლიანი,  
 ცრემლი გულწრფელი სიყვარულის გამცემი არი...  
 ხსოვნის სალაროს მივაბარე ძვირფასი განძი, –  
 მწერლის სახეა – მომღიმარი და გულმზიანი...

6.

მართალს მარადჟამს შუქი ადგას მამა-მონყალის,  
 გახრიოკებულ სიყვარულის მადლით მომრწყავის...  
 ვერ გაგაცილე მარადიულ გზაზე შემდგარი  
 და ვიდრე ვცოცხლობ, შენც დარჩები ჩემთან ცოცხალი...

### შტოფო მონადირის რობაიზი

1.

თანდათან მივხვდი, არასოდეს აღარ გაგწირავს  
 დედაბუნება, თუკი გიგრძნო თავის ნაწილად...  
 დილასისხამზე გულუხვობით კვლავ გამოაცა, –  
 მომლოდინეთა გასახარად არ გამანზილა...

2.

ჩაყვითლებული დამიხვავა მაჟალო, პანტა,  
 ქორფა მანჭკვალა, მონადირეც დამტოვა სახტად...  
 მადლიერებით ტყეს ქედს ვუხრი და ვეფერები, –  
 როგორც მლოცველი მივიწყებულ, ძველთაძველ საყდარს...

3.

აქ არის ჩემი ცხოვრება და ჩემი კორიდა,  
 თავისებური შრომითაც და სიმარტოვითაც...

ადვილი არის, რომ განსაჯო ადამიანი, –  
თუკი არ იცნობ მის ყოფას და უმზერ შორიდან...

4.

გზა-გზა მხვდებიან ფერმიხდილი ფიზილისები,  
ვინაც შეიცნო, მან სანუთრო განვლო ღირსებით...  
შუაგულ ტყეში, მწყურვალივით, მზეს ვენაფები  
და შემოდგომის ფერადოვან დილით ვივსები...

5.

აი ნამდვილი განძთა განძი – უხვი ჟანგბადი,  
გაზავებული ტყის სიჩუმის მზიურ შარბათით...  
ცოცხალი მქვია, ვიდრე ტყე-ლრე დავეხეტები, –  
ვიდრე აღმართი არ მაშინებს და არც დაღმართი...

6.

ხედავს უხილავს მონადირის მზერა მახვილი,  
ისმის ფრთოსნების ტკბილხმოვანი გადაძახილი...  
გავითავისე ეს ბუნება, დიდი ხანია, –  
ჩემი ბავშვობის მონატრებულ ოდასახლივით...

7.

ფიქრებს ვასვენებ ამ შეურყვენელ თავისუფლებით, –  
რომ მიმოვფანტო გონებიდან შავი ღრუბლები...  
ხან ხეტიალში საკუთარ თავს ვეკალმასები, –  
ხანაც სამყაროს ტკივილებზე ვესაუბრები...

8.

სიმწარეს ვატკობ მნიფე შინდით, ზღმარტლით, კუნელით,  
ფლირტი მაქვს ქართან და წვიმასაც ვეკურკურები...  
ვინც დამაბრუნა ბუნებასთან, მანვე მომმადლა, –  
ეს აღმაფრენა, როგორც სენი განუკურნელი...

9.

მონუსხული ვარ განთიადის იდილიათი,  
გინდა აკეთო, გინდა შექმნა რალაც დიადი...  
ვხედავ, თანდათან გაჯანსაღდა სულიც, სხეულიც, –  
თითქოს დაშლილი, დარღვეული, აქ გავმთლიანდი...

10.

ვხდები მჭვრეტელი, ვხდები ქვათა შემგროვებელი,  
არ მტოვებს რწმენა, უნდო ჟამის მტკიცე მხლებელი...

თითქოს დავლაშქრე გამძლეობის რთული მწვერვალი, –  
თითქოს შევალე კარიც, დღემდე შეუღებელი...

11.

მენვევა ხოლმე ჩემს ქოხშიაც უცხო სტუმარი, –  
სული ბუნების, ასე ცხადი და იდუმალი...  
ტყისკენ სალაშქროდ მიზიდავს და მეც არ მღალატობს, –  
მონადირის და შემგროვებლის მძაფრი გუმანი...

12.

ამ ხეტიალში მე საკუთარ თავს ვუღრმავდები,  
რომ ტყეს გავანდო მისხალ-მისხალ გულისნადები...  
და მეძებარი ძაღლებივით თან დამყვებიან, –  
ეს უთავბოლო ნუხილები, ძველი დარდები...

13.

იქნება ჯერაც, სამყაროსთვის ვართ ემბრიონი,  
სულიერება-აზროვნებით მხოლოდ ფიორი...  
ხატონად ამბობ, მაგრამ საქმით, ჩემო სოკრატე, –  
თავის შეცნობა არ ყოფილა თურმე იოლი...

14.

ვერ გავხდი ცრუთა მეხოტბე და შარახვეტია,  
უღირსთა ქებას ვამჯობინებ ტყეში ხეტიალს...  
უთოფო კაცი, რომ დავეძებ, კენკრას და სოკოს, –  
მავიწყებს ქვეყნის მძიმე ყოფას და ტრაგედიას...





# იზა ოსაფაიშვილი

## მოპარული სიყვარული

ნურაფერს გაიკვირვებთ. მოდით, ვიყოთ გულახდილები და გამოვუტყდეთ საკუთარ თავს. ჩემი ერთგული მკითხველების დაჟინებული თხოვნით, იძულებული გავხდი, დამენერა მეტად უცნაური და საინტერესო თემა მოპარულ სიყვარულზე, დანყებული ხუთი წლიდან ას წლამდე ადამიანების თავგადასავალზე, რომლებსაც მოპარული სიყვარულის თამაშის დასაწყისში თან სდევთ შემდეგი სიმპტომები, ეს სიმპტომებია: გულის აჩქარებული ცემა, ბედნიერი, უმისამართო ღიმილი, თვალეზის უხერხული ხამხამი, ხელის თითების წვალება, სახეზე წამოხურება, ქურდული მზერა, საუბრის დროს გაფანტული აზრების აბდა-უბდად წარმოთქმა და სხვა. ჩემი მოთხოვნის თემა განსაკუთრებით აფრთხილებს გათხოვილებს და ცოლიანებს, რათა მოპარული სიყვარულის თამაშის დროს არ აჰყენენ რთულად მოსათოკ ვნებებს, თორემ ადვილი შესაძლებელია, გამოიწვიოს შემდგარი ოჯახის დანგრევა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მავანი მთავაზობს, მოპარული სიყვარულის თემის გარშემო დავწერო საგანგებოდ მიძღვნილი ლექსი, ნოველა და მოთხრობა სასურველ თაყვანისმცემლებზე, რაზედაც სასტიკ უარს ვაცხადებ, რადგან დიდი სიფრთხილეა საჭირო სარისკო თამაშის დროს ყოველგვარ ქმედებებში.

ფრთხილად! მოპარული სიყვარულის ქურდებო, ღრმად არ შეიჭრათ დაუკითხავად მოვარდნილ, გამაბრუებელ გრძნობებში. კარგი იქნებოდა, სხვა ინსტიტუტებთან ერთად სიყვარულის ინსტიტუტიც რომ არსებობდეს, სწორედ რომ საჭიროა, ისწავლო ნამდვილი მოპარული სიყვარულის თამაში, თორემ აღვირახსნილ ცხენს უფრო ადვილად მოთოკავ, ვიდრე საკუთარ თავს. სიყვარულის ინსტიტუტი ოფიციალურად არ არსებობს, მაგრამ შენ თვითონ ხარ შენი თავის ინსტიტუტი, შენი მოპარული სიყვარულისა. თუ წყვილი ჭკვიანია და ზომიერებას იცავს, სიკვდილამდე მშვიდობიანად გაგრძელდება მათი თამაში. საშიშროება ელით მათ, ვინც მეტად მჩატე ჭკუის, უნებისყოფო, გადაჭარბებულად აღგზნებული და სულმოკლეა. ასეთმა პიროვნებებმა, სჯობს, დროულად შეწყვიტონ სარისკო თამაშში მონაწილეობა, ვიდრე ხალხის რისხვა არ დაატყდებათ თავს.

ეჭვი მაქვს, გაგიჩნდებათ კითხვა: ამ თამაში თემის ავტორმა რატომ გადაწყვიტა დაენერა გარკვეული ადამიანების თხოვნით ინტიმურ საკითხებზე? ამისათვის არის პასუხიც: მიუხედავად პირადი საკმაო ხანდაზმულობისა, მინდა თანამედროვე სტილში გავრისკო ჩემი შეხედულებები დღევანდელი გადმოსახედიდან. ჩვენ 21-ე საუკუნის ადამიანები ვართ, კომპიუტერული ტექნიკის ხანაში. ადამიანების უმრავლესობას ავიწყდება, დაიცვას პირადული ცხოვრების ამსახველი ღირსება და ისე ითამაშოს, რომ ღიად ჩირქი არ მოსცხოს ოჯახის სინმინდეს. მარტივად რომ ვთქვათ, საპირისპირო სქესის წყვილები, უბრალოდ მოპარული სიყვარულით თავის ჭიას ახარებენ და მეტი

არაფერი, ისინი ფიზიკურად არც კი ეხებიან ერთმანეთს, ამიტომ გარყვნილებას ნუ დავარქმევთ მოპარული სიყვარულის თამაშს. გავატაროთ ადამისა და ევას შთამომავალნი მეტად უხილავ და ამოუცნობ ქარიშხალში თავისუფლად. თუმცა, უფალი ამბობს: გულში გაფიქრებულიც კი მრუშობააო. მოპარული სიყვარული ჩვეულებრივი მოვლენაა, ის უპირველესად, ქალისგან მოდის, ისევე, როგორც ევამ აცდუნა ადამი, დღესაც ზუსტი ანალოგი იშლება ჩვენს თვალწინ. ქალისაგან ისარივით განმგმირავი ნატყორცნი სხივი, მამაკაცს შიგ გულში ხვდება. იშვიათია, დაიბნეს პარტნიორი და ვერ იგრძნოს ოდიტგანვე სასიყვარულო, ჯერ კიდევ ამოუცნობი, გამაოგნებელი, ბედნიერი საიდუმლოს დამაკავშირებელი გრძნობა, რომლის სტყორცნა თხემით ტერფამდე შესძრავს ვაჟკაცის სხეულს.

ამჟამად სად და ვინ არიან ჩემი მოთხრობის გმირები?

ესენი არიან: ბავშვები, მოზარდები, სტუდენტები, ინტელიგენტები, უბრალო მუშა, გლეხი, მოხუცები, გათხოვილი ქალები, ცოლიანი მამაკაცები, მაღალი რანგის და სახელმწიფოს მმართველი მოხელეები. მათი შეხვედრა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ადგილას: მეზობლად, სამსახურში, სასწავლებელში, თეატრში, ტრანსპორტში, ქორწილში, გასართობ კლუბებში, კაზინოში, სავაჭრო ცენტრებში, ექსკურსიებზე, დემონსტრაციაზე, მიტინგზე, სამგლოვიარო პროცესზე და საკუთარ სახლშიც კი. ხშირად ხდება წყვილის დროებითი განშორებაც, მაგრამ მოპარული სიყვარულის გრძნობა არასოდეს განელდება, თუნდაც წელიწადი გავიდეს. საკმარისია, ყოფილმა მოთამაშე მიჯნურებმა კვლავ თვალი მოკრან ერთმანეთს გარკვეული დროის მონაკვეთში და უმაღლეს დონეზე თავბრუდამხვევი ჟრუანტელი დატრიალდება ერთურთის სხეულში.

ჩემო ერთგულო და ჭკვიანო მკითხველო, ნუ შეეცდებით, დამაჯეროთ იმაში, რომ არასოდეს გქონიათ მოპარული სიყვარულის განცდა და თუ მაინცადამაინც აპირებთ ამის დამტკიცებას, ნორმალური გრძნობების მქონე ადამიანი, ვფიქრობ, აბსოლუტური სიცრუე იქნება, ან კიდევ, საერთოდ გათიშულია თქვენი ეროტიკული ზონების ფუნქციონირება მთელს სხეულში. მოპარული სიყვარული ლაპარაკობს მხოლოდ თვალებითა და გულებით, ყოველგვარი შეხების გარეშე. ისინი პატიოსანი მიჯნურები არიან. გაიგეთ, ნამდვილ, ჭეშმარიტ გრძნობებს ვერსად დაემალებით. მე პირადად, მოპარულ სიყვარულს უფრო მაღალ საფეხურზე დავაყენებდი, ვიდრე სხეულზე ფიზიკურად შემხებლებს. კურიოზების მოყვარული ქალბატონი იმაშიც გამომიტყდა, რომ ერთდროულად თურმე რამდენიმე პარტნიორთან შეიძლება მოპარული სიყვარულის თამაში. არც ეს არის გამორიცხული, რადგან თუ გულის ჭიას ახარებთ, ჯობს გაძლიერდეს უფრო მეტად თქვენი სახალისო ზონების სიმები მსუყე დოზით, მთელი სიცოცხლის მანძილზე. აქაც საგანგაშო არაფერია. კარგი იქნება, თუ არ გამოვიცხავთ რბილად გამოთქმებისთვის. საკმაოდ ასაკოვანი ქალი გახლავართ და სწორედ ახლა აღვიქვამ, თუ რამდენჯერ მქონია თურმე, ბავშვობიდან დღემდე მოპარული სიყვარულის სასიამოვნო თამაში. მოურიდებლად შემიძლია მოგიყვებთ პატარ-პატარა კურიოზები წარსულიდან, რითაც იმედია, გაკიცხვის ობიექტი არ გავხდები. ეს ისე, სახალისოდ, ვაღიარებ, თუ როგორი თამაშით მიცხოვრია ხელშეუხებელ პარტნიორებთან შორიდან მოპარული სიყვარულით. განსჯა მკითხველის ნამუსზე მიმინდვია, რათა სწორად გამიგონ ჩემი გულახდილი აღიარება.

დავიწყოთ აქედან: ათიოდე წლის თუ ვიქნებოდი, როცა დედამ ახლო ნათესავთან მეზობელ რაიონში სტუმრად წამიყვანა. ოჯახის უფროსმა სუფრასთან 22 წლის ახალგაზრდა მიიპატიჟა. მის დანახვაზე, არ ვიცი, რა დამემართა, წამით თვალს ვერ ვაშორებდი, ისე მომეწონა. ადგილს ვერ ვპოულობდი. ჩემი ფორიაქი მხოლოდ იმ ვაჟკაცმა დააფიქსირა და ცეცხლოვანი მზერა მესროლა. რამდენიმე საათი ჩემი უმანკო სხეული ნეტარების მორევში დაცურავდა. მისი სახელი დღესაც ყურში მესმის, მას დათუნუკას ეძახდნენ. ასაკში დიდი განსხვავების მიუხედავად, ჩვენ შეეძელით მოპარული სიყვარულის თამაში. ორი დღის შემდეგ დადგა ჩემი სახლში წასვლის დრო. დათუნუკა

მე და დედას ავტობუსის გაჩერებაზე დაგვხვდა, ის დაგვემშვიდობა და აქ დამთავრდა ჩვენი თამაში. მე ძალიან მოვიწყინე, შევეცადე საკუთარი თავი დამემშვიდებინა. კარგად მახსოვს, როგორ ვნატრობდი, კვლავ წავსულიყავით მე და დედა იმ ნათესავთან სტუმრად, სადაც დათუნკა მეგულე-ბოდა. ჩვენს თამაშზე ეჭვი არავის აუღია. აი, თურმე რას ერქვა მოპარული სიყვარულის თამაში. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენი წლისაა, მთავარია, საპირისპირო სქესის ადამიანებში დაუკითხავად იღვიძებს სასიყვარულო, უცნაური ძალა, ამიტომაც მშობლებსაც ვაფრთხილებ, თუ ღროულად შეამჩნევენ შვილების შეუფერებელ და თქვენთვის მიუღებელ მენყვილესთან თამაშს, აუცილებლად უნდა ჩაერიოთ, განსაკუთრებით გოგონების პატრონებმა. მადლობა უფალს, დათუნკას გაშმაგებული მზერა დიდხანს არ გაგრძელებულა საბედნიეროდ.

ახლა მეორე შემთხვევა: 14 წლის თინეიჯერი გახლავართ. ოჯახის წევრებთან ერთად ბახმაროში ვისვენებთ 60-იან წლებში. როგორც მოგეხსენებათ, იმხანად პატარ-პატარა კოტეჯები ედგათ მობინადრეებს. ჩვენი კოტეჯის პირდაპირ ისვენებდა ლანჩხუთიდან ჩამოსული, ოთხსულიანი ოჯახი. მათ ჰყავდათ 9 წლის ბუთხუზა ბიჭი, ის ძალზედ მორცხვი და წყნარი ბავშვი იყო. ვხედავდი, ყოველ დილით ოთხსაფეხურიან კიბეზე ჩამოჯდებოდა და ჩვენი კოტეჯის აივანს მისჩერებოდა. მალე დავრწმუნდი, ბუთხუზა ბიჭი ჩემი დანახვისას ხელებს როგორ ნერვიულად აწვალებდა. მეც, პატარა „ევას“, ძლიერ მიხაროდა მისი ტანჯვა და თვალს არ ვაშორებდი. ეს ისე ხდებოდა, ვერცერთი ოჯახის წევრი ვერ აცნობიერებდა, თუ რა სიამოვნების ძაფები იყო გაბნეული ჩემსა და ბუთხუზას შორის. თან ეჭვს ისიც აქარწყლებდა, მე 5 წლით უფროსი ვიყავი ბუთხუზაზე. საბჭოთა კავშირის პერიოდში ხალხი იმ სიბნელით ცხოვრობდა, აუცილებლად მამრობითი სქესი უნდა ყოფილიყო მდებრობით სქესზე უფროსი, ეს შეყვარებული იქნებოდა თუ მეუღლე. თითქმის თვენახევარი გავიდა ჩვენი მოპარული სიყვარულის თამაშიდან. ბუთხუზას დედამ მეზობლებს გამოუცხადა „ჩვენ ხვალ ლანჩხუთში მივემგზავრებით, მშობლიურ ოჯახში, გთხოვთ, მეზობლებმა სამახსოვრო ფოტო გადავიღოთ“. ვიდრე ფოტოგრაფმა სასურათედ მოგვანყო, ბუთხუზა თამამად მოვარდა ჩემთან, ხელი ბეჭზე დამადო და თითქმის ჩამეხუტა. მე მის გულისცემას ვერ გავუძელი და ცრემლები წამსკდა. სხვა რომ ვერაფერს მიმხვდარიყო, სწრაფად იქაურობას გავეცალე. ის სამახსოვრო სურათი დღესაც სახლში მაქვს.

მსგავსი კურიოზი უამრავი შემიძლია დავასახელო, მაგრამ ძნელია ყველას ჩამოთვლა. ერთსაც გავისხენებ საკუთარ თავზე: სკოლა ისე დავამთავრე, ჩემი დირექტორი 3 წელი ისტორიას მასწავლიდა. გამოგიტყდებით, სანიშნო მოსწავლის სტატუსით ნამდვილად არ ვსარგებლობდი, საშინლად მეზარებოდა თარიღების დაზეპირება, მაგრამ დირექტორი სამიანს მაინც მიწერდა, თან გაკვეთილის თხრობისას ისე მომამტერებოდა სახეში, საით გამეხედა – აღარ ვიცოდი. მისი ცნობილი სიმკაცრის გამო, თავისუფლად მისალმებაც კი მიჭირდა. ის მთელ სკოლას შიშის ზარს სცემდა, დიდს თუ პატარას. უკვე მე-11 კლასში ვარ, თითქმის ყოველ გაკვეთილზე გამომიძახებდა-ხოლმე, შიგ თვალეებში მიყურებდა და უხერხულობისაგან ვიწვებოდი. ასეთი მომენტი ბევრჯერ მქონია, მაგრამ რატომღაც არავისთვის გამიმხელია. არ მომწონდა მისი დაჟინებული მზერა, რათა ვიცი, ეჭვი გაუჩნდებოდათ უკვე კარგად ზრდასრულ ჩემს კლასელებს. ბოლოს, მეც გამიბოდა თვალი მისკენ და სიამაყის გრძნობაც დამეუფლა, რადგან ჩემი მკაცრი დირექტორი გამუდმებით მეძებდა. დროთა განმავლობაში, საკუთარ თავს შევამჩნიე, გულის კუნჭულში რაღაცა გრძნობამ გაიღვიძა, რადგან მეც ხომ ევას და ვარ? წლის ბოლო ზარის შემდეგ, კლუბში საზეიმო კონცერტი გაიმართა. მე წილად მხვდა, თავიდან ბოლომდე ზეპირად მეთქვა ბარათაშვილის „მერანი“. როდესაც ლექსი ჩავამთავრე და ოვაციებით დამაჯილდოვეს, დირექტორმა ხელები მომხვია და ერთხელ კიდევ ჩამხედა თვალეებში, მერე ტუჩების კანკალით მიკროფონში ხმამაღლა გამოაცხადა:

– რუსთაველის თეატრს ჰყავს მხატვრული კითხვის ოსტატი გურამ სალარაძე, თბილისის მე-18 სკოლას კი ოსეფაიშვილი! – გზა დავულოცოთ მას მომავალ წარმატებებში!

აქაც ტაშმა იგრიალა, მე კი სირცხვილისაგან დავინვი, რადგან ჩემი დირექტორი 3 წლის განმავლობაში სულ მლანძღავდა და ბოლოს, ბუმბერაზ მსახიობს შემადარა. რა თქმა უნდა, სახელი და გვარით არ მოვიხსენიებ, ის 45 წლის სიმპათიური, ცოლშვილიანი, ულამაზესი მამაკაცი იყო, განათლებული და თანამედროვე, ალბათ მექალთანეც. ჩვენ დიდხანს არ გაგვიგრძელებია მოპარული სიყვარულის თამაში, მაგრამ სიამაყის გრძნობა ნამდვილად დამიტოვა მისმა გამჭოლმა მზერამ, რადგან ის ადვილად არავის ანებივრებდა. ეს კუროზიც ამ მოთხრობაში პირველად გავამხილე საჯაროდ. მინდა ქართული ხალხური ანდაზა მოვიშველიო:

„თავის ქება კიტრად არ ღირსო“.

სხვა ადამიანებისაგან მსმენია ჩემი მისამართით, თურმე, უფრო ახალგაზრდობაში, მქონია მიმზიდველობის შარმი, რასაც მე პირადად ვერც კი ვამჩნევდი, შეიძლება ასეც იყო.

ახლა მოგიხსნობთ სხვა ქალბატონების მონათხრობიდან: რატომღაც, გათხოვილი ქალბატონებით დავინტერესდი, ინტერვიუზე ზოგი თავისი სურვილით დამთანხმდა, ზოგს კიდეც, თხოვნით მივმართე, მოეთხროთ თავიანთი მოპარული სიყვარულის წარსული თუ დღევანდელი კუროზების შესახებ. რესპონდენტები ძალზედ გულახდილები აღმოჩნდნენ, თითო ქალბატონიდან თითო თავდადასავალი დავაფიქსირე.

აი, ისინიც:

მარინა, 32 წლის! ჰყავს მეუღლე და 4 შვილი – „თავს ბედნიერ ქალად ვთვლიდი, ერთ მშვენიერ დღეს მეზობელმა ყავაზე დამპატიჟა, მე-7 სართულზე ვცხოვრობ, ის მეზობელი კი მე-6-ზე. იქ დამხვდა ოჯახის ძალიან ახლობელი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც, როგორც გავარკვიე, საკმაოდ პრესტიჟული თანამდებობა ეკავა... მე მის დანახვაზე, მგონი, ჭკუიდან შევიშალე და თითქოს დავაფიქსირე, ძალიან მოკლე დროში ჩემი და მისი გული ტელეპათიურად ერთმანეთს ალგზნებული გრძნობებით ესაუბრებოდნენ, სწრაფად შედგა ჩვენი მოპარული სიყვარულის თამაში. ღამეები არ მეძინა, გავახშირე მეზობელთან სიარული, თურმე ის პოლიციელი ისე ხშირად ანუხებდა ნათესავებს, როგორც არასდროს. ვცდილობდი, ეჭვიანობის საფუძველი არავისთვის მიმეცა. ღმერთის წინაშე დავიფიცებ, ჩვენს შორის თბილი საღმის გარდა არაფერი არსებობდა. ის პიროვნება რაღაც დროის განმავლობაში სპეციალურად იკარგებოდა, მერე ისევ გამოჩნდებოდა და საკმარისი იყო ერთმანეთისათვის მხოლოდ თვალი მოგვეკრა და თავს უბედნიერესად ვთვლიდით. ორთავე ვცდილობდით, ჭკვიანური როლები გაგვეთავისებინა უტყუარი საიდუმლოთი, რაც 2 თვით გაგრძელდა. მოხდა ისე, რომ ჩვენი თამაში დამთავრდა პარტნიორის გაუჩინარების გამო, ღამის გავვიყდი, წონაშიც დავიკელი საკმაოდ. რას ვიზამდი, შევეგუე ბედს. არა, არა, მოპარული სიყვარული უფრო ძლიერი და უფრო რთულია, მას საკუთარი თავის კონტროლი სჭირდება, აგრეთვე საიდუმლოს შენახვა“.

მჯერა, მარინა და მისი პარტნიორი დღესაც გამუდმებით ეძებენ ერთმანეთს, ისე, რომ არავის ანუხებენ დახმარებისათვის. ალბათ, ისინი სიკვდილამდე გააგრძელებენ ბედნიერების ამსახველ კადრს თავიანთ გულებში.

ლალი, 34 წლის! – „ჩემი 7 წლის გოგონა პირველ სექტემბერს სკოლაში მივიყვანე. მასწავლებელმა ქალ-ვაჟი ერთ მერხზე განათავსა. გოგონას მენწყვილე ვაჟი კლასში მუდამ მამას მოჰყავდა-ხოლმე. ძალაუნებურად, მშობლები ერთმანეთს ჩვეულებრივად ვესალმებოდით და ვიდრე გაკვეთილები არ დამთავრდებოდა, ბავშვებს მოსაცდელში ველოდებოდით. 30 წლამდე სიმპათიურ მამაკაცს გამჭოლი მწვანე თვალები და მექალთანის მანერები ჰქონდა. დანახვისთანავე ამ პიროვნებამ ჩემი ყურადღება მომაჯადოებლად მიიპყრო, რა თქმა უნდა, კარგა გამოცდილ მონადირეს ევას ნატყორცნი ისარი არ გამოპარვია. იყო შემთხვევა, ბევრჯერ ქუჩაში გზად მიმავალს მანქანით

გასეირნება შემოუთავაზებია, მაგრამ მე ყოველთვის უარით ვისტუმრებდი, რადგან მხოლოდ მოპარულ სიყვარულს ვთამაშობდი, თვითონაც ჯენტლმენურად იქცეოდა და დიდად არ მანუხებდა. თითქმის 2 წელი მხოლოდ ჯანსაღი, თბილი სალამითა და ღიმილით შემოვიფარგლებოდი. ჩემთვის ნამდვილად უბედნიერესი საათები და წუთები იყო მისი ერთი გამოხედვაც კი. ასევე, მასაც არ ეტყობოდა ჩემდამი გულგრილობა. შემდეგ ჩვენი მოპარული სიყვარული რატომღაც უგზოუკვლოდ დაიკარგა. მისი მწვანე თვალები და ღიმილი ღამის ტკბილი სიზმარით დარჩა ჩემს მეხსიერებაში. მოპარული სიყვარული ვფიქრობ, ყველაფერზე ძლიერია ამ ქვეყნად“.

თამუნა, 31 წლის! – „ჩემს მოპირდაპირე კორპუსში ცხოვრობდა ათლეტური აღნაგობის, კუნთებიანი, მონიფული ვაჟკაცი, ის ყოველ დღით ჰანტელებით აივანზე ვარჯიშობდა. ჩვენი კორპუსები ძალიან ახლო-ახლო იყო აშენებული ერთმანეთთან. კუნთებიანი მამაკაცი სწორედ მაშინ იწყებდა ვარჯიშს, როცა მე სარეცხს ვფენდი ან კიდევ ყვავილებს ვრწყავდი. ოთახში მეუღლე და ორი შვილი მელოდა. რამდენჯერაც იქითკენ გავიხედავდი, ის იმდენჯერ თვალებს მომაშტერებდა და ზოგჯერ ჰანტელიც გავარდნია ხელიდან. ამ თამაშს სიყვარულის სახე მიეცა და სიყვარულში გადაიზარდა. იყო შემთხვევა, ცუდ ამინდში ვერც ის ვარჯიშობდა და ვერც მე გავდიოდი აივანზე თავისუფლად, მაგრამ ზოგჯერ რალაც უხილავი ძალა გარეთ გამომაგდებდა-ხოლმე, ამ მომენტში ის კუნთებიანი უმალ თავის აივანზე უმისამართოდ ბოლთას სცემდა. ზოგჯერ გვიან ღამით შემიმჩნევია... გრძელი ლაბადით შეფუთული, სიგარეტს ნერვულად ქაჩავდა. მე ქალური სისუსტე მომერია და დაძინებულ ქმარ-შვილს თბილი ლოგინიდან გამოვეპარე, ჩემდაუნებურად სულ ორი წუთით გავედი აივანზე. ვხედავ, კუნთებიანი ღამის გისოსებიდან გადმობტა. მალე იქაურობა დავტოვე და საძინებელში დავბრუნდი, მთელი ღამე თეთრად გავატარე. ალბათ, მოპარულ სიყვარულს ვთამაშობდი. თითქმის ერთი წელი გაგრძელდა ჩვენი თამაში, შემდეგ ბინა გამოვიცვალე და ამით დამთავრდა ყველაფერი. არა, არასოდეს დამავინწყდება ის ბედნიერი წუთები, მაშინ მეგონა, მეორედ დავიბადე ამ ქვეყნად. რა კარგია მოპარული სიყვარული! უბედურება ისაა, ჩემი კუნთებიანი მიჯნურის სახელი და გვარი დღესაც არ ვიცი“.

თინათინი, 26 წლის! – „უნივერსიტეტი დავამთავრე, დასავლეთ-ევროპული ენების ფაკულტეტი. ჩემი პროფესიით სამსახურის შოვნა ძლიერ გამიჭირდა. ბოლოს, მამამ თავისი მეგობრის მდივნად დამაწყებინა მუშაობა, პრესტიჟული დაწესებულების დირექტორთან, მაგრამ ავადმყოფობის გამო მან 2 წელიწადში სამსახური დატოვა. მე მალე გავთხოვდი, მეუღლეც კარგი მყავდა და შესანიშნავი ოჯახიც. ვინაიდან მაღალანაზღაურებადი ხელფასით ვსარგებლობდი, სამსახურის მიტოვებაზე არ მიფიქრია, არც ოჯახის წევრებიდან არ იყო დიდი წინააღმდეგობა. ჩემი ახალი დირექტორი ძალზე ახალგაზრდა, ცოლ-შვილიანი კაცი იყო. ის თითქმის 3-4-ჯერ ყავას მადულებინებდა. იმდენად თავდაჯერებული და უხეში ჩანდა, თითქოს მე მის თვალში არარაობა ვიყავი. მისმა ასეთმა საქციელმა სულ გამაგიჟა და უფრო ხშირად მომინდა მისი დანახვა. ყოფილა შემთხვევა, საკუთარ თავს ვეჩხუბებოდი, რა ჯანდაბა დამემართა-მეთქი. ერთხელ ასეთი სცენარი გავითამაშე, სამსახურში არ წავედი, თავი მოვიავადმყოფე და ლოგინში ჩავნექი. ოჯახშიც ყველა შეწუხდა, რატომ დირექტორს არ აგებინებ გაცდენის მიზეზსო. დღის მეორე ნახევარში ჩემი ტელეფონი ანკრიალდა, ყურმილი მე ავიღე, არცკი უკითხავს, ვინ პასუხობდა და მესმის ჩემი დირექტორის მკაცრი ტონი, ზუსტად ამ სიტყვებით: – თინათინ, არც კი გაბედო დიდხანს ჩემი მიტოვება, მე სხვა მდივანი არ მჭირდება. რატომღაც გულში სხვანაირად მრენჩხა და გათამამებულმა ტელეფონი უზრდელად გავუთიშე. ორ დღეში სამსახურში დავბრუნდი. თუ რა ცნობილ დაწესებულებაში ვმუშაობდი, საიდუმლოდ დავტოვევ. ჩვენი თამაში დიდხანს გაგრძელდა. მყავს 2 შვილი, მეუღლე და დიდი ოჯახი. მე დღეს აღარც სიყვარულს ვიპარავ და აღარც ვთამაშობ. უბედნიერესი წუთები იყო მაშინ. აკი გითხარით, მოპარულ სიყვარულს არაფერი შეედრება-მეთქი. ის ყველაზე ნმინდაა“.

ზეინაბი – 52 წლის გახლავართ. მოხდა ისე, რომ ჩემი საბედო ჯერჯერობით არა და არ გამოჩენილა. კარგა ხანია ბათუმში, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურში ვმუშაობ. რამდენიმე წლის წინათ ჩემთან ერთი სიმპათიური მამაკაცი მოდიოდა, ის უფრო ხშირად გაზეთებს ყიდულობდა, იდაყვით წინ, ჯიხურის თაროზე ჩამოისვენებდა, მთელ პრესას ბოლომდე გადაიკითხავდა და ბოლოს თანხას გადაიხდიდა, გაზეთებს იქვე დატოვებდა და წავიდოდა. შუახნის მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი ხანდახან ჩემკენაც გამოაპარებდა თვალს. ეს მომენტი ისე მომწონდა, რაღაც სასწაულმა გრძნობამ გაიღვიძა ჩემში. ღამეები არ მეძინა, მეჩქარებოდა დილით ჯიხურის გაღება. ვიფიქრე, ეგ არის და მეშველა, ბედი კარზე მომადგა-მეთქი. ღამის შემყვარდა ის ჩემი ცოდვით სავსე. ბედნიერებისაგან ბუმბულივით დავფრინავდი, თითქმის ერთი თვე ყოველ დღე მოდიოდა. ერთხელ დილით მოვიდა და მომესალმა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, რადგან გაზეთებს ყიდულობდა, მაგრამ არასოდეს მესალმებოდა. მერე ასეთი კითხვა დამისვა: თქვენ ქმარ-შვილი გყავთ? მე სიხარულისაგან სახეზე ავიღენე და დაბნეული ტონით ასეთი პასუხი გავეცი: არა, არა, არასოდეს ვყოფილვარ გათხოვილი. იმ დღიდან ის სიმპათიური მამაკაცი ჩემი ჯიხურიდან სამუდამოდ გაქრა. დღემდე ველოდები მის გამოჩენას, მაგრამ ამაოდ: ნუთუ ჩემმა შინაბერობამ დააფრთხო? მოპარული სიყვარული თურმე ცალმხრივიც ყოფილა. მე მას დღესაც ველოდები. მოპარული სიყვარულის თამაშს ასაკი არ გააჩნია.

თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამოდენა სიამოვნებას მგვრიდა, როდესაც ჩემი რესპონდენტები სიამოვნებით მიყვებოდნენ იმ უბედნიერესი წუთების მოგონებებს, რომელიც ცხოვრებაში ტკბილ მოგონებად დარჩათ. მთავარია, ამ ქალბატონებს თავიანთ ოჯახებში აბსოლუტური სიმშვიდე და ჰარმონია გააჩნიათ. შემეძლო მამაკაცების დღიურებიც გამეჩქეჯა, მაგრამ თავი შევიკავე მათი თავდაჯერებული სიამაყის გამო. ისინი ხომ ევას აბრალებენ ყოველგვარ მცდარ ქმედებას და თავიანთ თავს უცოდველს უწოდებენ. თუმცა, ნათქვამია: – ქალი აგაშენებს და ქალი დაგაქცევსო! ამიტომ მამაკაცებო, ქალთან თამაშს ნუ ეხუმრებით, მითუმეტეს, თუ ჭკიანია იგი. საერთოდ, ადამიანების ცხოვრება მრავალფეროვანი საიდუმლოებებითაა მოცული. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და იოლად ნუ განსჯიან სხვის პირადულს. მოპარული სიყვარულის თამაშშიც თითოეულის თანმდევი ცხოვრებისეული ნაწილია. დღევანდელ თანამედროვე ეპოქაში მოთხოვნადი გახდა სკოლებში ისწავლებოდეს ინტიმური ცხოვრების გაკვეთილები, რასაც მაინცადამაინც არ მივესალმები, მაგრამ მსგავსი მოსაზრებების გავრცელებამ მეტი სტიმული მომცა, დამენერა თითქმის აკრძალულ თემაზე. უამრავი მსურველი გამოჩნდა, მოეთხრო თავიანთი საინტერესო და საიდუმლო კურიოზებზე, მაგრამ ჯერჯერობით აქაც თავი შევიკავე. ჩემს მკითხველებთან მექნება ერთი თხოვნა: თუ მწერალს მიწოდებთ, მაშინ ჩემს ხანდაზმულ ასაკს მკვეთრ ხაზს ნუ გაუსვამთ, მოთხრობის არასერიოზული თემის გადმოცემისათვის. ვთქვი და კვლავ ვიმეორებ, მოპარული სიყვარულის თამაშის ისტორია – მთელი კაცობრიობის ცხოვრების ნაწილია. ჩემი მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ, ბევრმა თქვენგანმა იქნებ საკუთარი თავი ამოიცნოთ.

გეცინებათ?

გაიცინეთ!



# სადობაა დობინაძე

\* \* \*

ახლადდაქვრივებულ, ქალო შავთავშლიანო,  
ამ სულელმა ზამთარმა სოფელს თალხი გახადა,  
ისე ფიფქავს ორლობეს, თითქოს სუფრას შლიანო,  
მე კი უფლის სამართლის დამლოცველი გამხადა.  
ახლადდაქვრივებულ, თხელო ქალო შავებში,  
ნუ შეგრცხვება სითეთრის, თავშალს ნუ დაიბერტყავ,  
გაუყევი ორლობეს, მერე შენს მკვდარს მკვლავებში  
ჩაუგორდი, გუშინ ხომ უთხარი, რომ ისევ გყავს.  
ახლადფრთამოტეხილო, ქალო სევდისამარა  
ნუ გაშინებს სითეთრე, უკან რისთვის ბრუნდები?  
გაუყევი ორლობეს, თქვან – გაგიჟდა თამარა  
და ჯერ კიდევ თბილ საფლავს დაუშინე გუნდები.  
ნუ გაშინებს სითეთრე – ყველაფერი თალხია,  
ახლადძუღამშრალი ქვრივო ქალო თამარა,  
გამო ნახე ხეები, სირცხვილისგან თავს ხრიან,  
დასცქერს გაფითრებული ცის მწუხარი კამარა.  
ახლადდაქვრივებულ ქალო ძაძისფერება,  
მესაფლავემ რა იცის? მესაფლავემ რა ნახა?  
არემარიამება მკვდარზე დედის ფერება,  
მას რომ კაცი ეგონა შენი ღმერთი დამარხა.  
ჰოდა, შავი ძაძებით ამ თოვლს რად ემალები,  
იმ ძუძუს დაატირე, ახლა რომ გაგიშრება,  
დააყვედრე სამყაროს მისი მწვანე თვალეები  
და ეგ შენი ძაძებიც ჩვილის აკვნის გიშრებად  
რომ ატყვია სამყაროს – შენ სიგიჟეს ვინ ჩივის,  
ამ სულელმა ზამთარმა, რა უდროოდ ათოვა,  
დაუშინე გუნდები ხათრით, თუნდაც იმ ჩვილის  
შენმა ქმარმა ნუხელის სიზმრად რომ გაათხოვა.

ახლადდაქვრივებულო, ვიცნობ შავთავშლიანებს,  
 გამოყევი ორლობეს, წამო წავიგუნდაოთ,  
 ქარია თუ სულია, ყურთან რომ გიშრიალებს,  
 მესაფლავემ რა იცის...  
 – გიჟიანო უდავოდ –  
 იტყვის, ხელებს აიქნევს, ხელებს – ღმერთის მმარხველებს,  
 წამო ქალო, კი არ თოვს, დედამინა გაფითრდა,  
 განა ქარის ხმებია, შენი ქმარი ახველებს,  
 შენ კი, შავთავშლიანო – გუნდაობაც არ გინდა.  
 მესაფლავემ რა იცის, მესაფლავემ რა ნახა,  
 სიზმრად არ სტუმრებია ნეტარების ნავარდი,  
 მან უბრალო კაცით შენი ღმერთი დამარხა,  
 ჰოდა, წამო თამარა,  
 წამო, მუხლზე დავარდი,  
 დააყვედრე სამყაროს შენი მწვანეთვალეობა,  
 ზამთარს უსაყვედურე, უთხარი, რომ არ კმარა  
 და როდესაც საფლავებს შორის მიიმალეობა  
 მესაფლავე, მე და შენ ვეგუნდაოთ თამარა  
 შენს ქმარს, ახლა რომ შევენის ეს სითეთრე ზამთრისა,  
 ახლდადდაქვრივებულო,  
 სულ ახალო,  
 ამთვისა...

\* \* \*

მოუყევი მაგნოლიებს, მარადმწვანეს,  
 ჩემს ქალაქელ უფოთლებო თუთებზე,  
 ის არა თქვა, რა მტანჯავს და რა მანამებს,  
 მევარსკვლავე, თუ მემთვარე, თუ მემზე...  
 მოუყევი, შენს ქალაქელ ბებერ გემებს,  
 რომ აქ ძველი დაგვრჩა მხოლოდ თაბორი...  
 ჩემზე არ თქვა, ბედისწერა რას მაგემებს  
 და რომ საგზლად გამყვა ერთი ამბორი...  
 მოუყევი თეთრკაბიან კოლონადებს,  
 ჩემს ქალაქში ხიდებიც რომ შიშველია,  
 არ თქვა გულზე რომ მაცლიან ბოლო ნადებს,  
 რომ ვკვდები და ველარაფერს მიშველიან...  
 თოლიებთან? თოლიებთან თქვი რაც გინდა,  
 ჩემზე, შენზე, იმ ღამეზე, როცა დუმდი,  
 როცა მთხოვე – დაბრუნდიო ამ ზღაპრიდან,  
 რომ მენყინა და კედლისკენ გადავბრუნდი...



შენს ქუჩებში სიყვარულის სამუშაო,  
 მზესაც ხელით ეხები და მალავ მკერდში...  
 მე კი ვილაც, ქარის მგზავრი, ს ა ლ ო მ ე ა,  
 ქართან ერთად, აქ ყინვების ქალაქს შევრჩი...

### რომ ვერ ამიხდე...

სულ ცოტა დამრჩა,  
 ამოვივსო მკერდთან ლილები,  
 გადამეჩვენა სილამაზეც,  
 აი, სულ ცოტა...  
 ჰოდა,  
 გელიან უშენობით დაღვრემილები,  
 ხელები, როგორც სამოთხემდე მიმავალ ცოდვას...  
 ახირებული სიზმრებიდან გამოაქციე  
 გული, რომელსაც ყელში უჭერს  
 ვნების ქაროზი,  
 ძალას დაიტანს,  
 მომიწონებს მამა საქციელს,  
 იცის,  
 სხეულში გამომწყვდეულ ევას გამოვზრდი,  
 რომ ვერ ამიხდე...  
 გამიდის და კიდევ ვიტყვებ...  
 ბავშვივით ვტირი და მოვუხმობ  
 საშველად მამას,  
 ჩემს ლექსს კი არ ვწერ,  
 მგონი უფრო იმას ვციტირებ,  
 რომ ყველა ქალი ქალია და ერთ მეძავს მალავს...  
 ამიტომ ვამბობ,  
 რომ ხარ ცოდვა სამოთხის გზაზე,  
 არსაითის გზას არ სჭირდება შენი ჩადენა  
 და, სანამ ისევ მაისია, წვიმებით სავსე,  
 ამაფრიალე სამოთხისკენ,  
 ისე მჩატე ვარ...

\* \* \*

როგორც ზამთარში  
 მერცხლების ბუდე,  
 ისე ცივი და მარტოა სახლი,  
 და ჩემი რწმენაც

მით უფრო მრუდე  
 არის,  
 ვერ ვაგზნებთ  
 მე და შენ სახმილს...  
 არადა, ღმერთო, მიწაზე გნახე,  
 და ზეციურ ხმით ამოგიცანი,  
 ვერ შევამჩნიე ღმერთკაცის სახე,  
 ვერც შენ იგრძენი ჩემში მისანი...  
 რა ვუყო ახლა ცრემლივით მძიმეს,  
 გულს  
 და იმ სუნთქვას, ყელთან რომ შეგრჩა,  
 მეც ქალწულებით მთვარეთა მძივებს  
 ავისხამ, ვიდრე ეჭვები შემჭამს  
 და ჯანდაბამდეც წასულან გზები,  
 გამოვიხურავ უჭერო კარებს,  
 მე მოვალ შენთან ისეთი გზებით,  
 საერთოდ რომ არ სჩვევიათ ქალებს...  
 შენ კი დამიხვდი, როგორც ემიგრანტს,  
 სიკვდილის, მხრები გადამაფარე,  
 თორემ სამყარო ისე ვერ მიტანს,  
 თავის ჭკუაზე ისე მატარებს,  
 რომ შეგატოვე კისერთან სუნთქვა  
 და რომ ღმერთი ხარ არის მართლება  
 თავის, რომელიც გიჟია სულ მთლად...  
 და შენი თავიც დაემართება...

### წერილი სალომეას მთვარის კამეას

ხარ პარიზულად გადაღლილი,  
 ახლა რას ელი?  
 შემოიარე კალე, კანი, ნიცა, მარსელი,  
 იარე ასე, ქალაქ-ქალაქ,  
 ასე ხელდახელ,  
 შენი სადგური, შენი პორტი რაკი ვერ ნახე.  
 არ შემეკითხო  
 რად გინოდე დრამათა დამა,  
 მე სულ შემთხვევით  
 ნავიკითხე შენი ენდალმა  
 და, ამ წერილში, სულ არ ჰგავხარ  
 საშოდან ნაშობს,

ვინც, გინდ დათესე, გინდ დამარხე,  
არ ისხამს ნაყოფს.  
თითქოს მირაჟზე მოგწყვიტეს  
და დაბლა დაგაგდეს,  
ჯერ ფანტომები არსად ჩანან,  
უნდა დაღამდეს...  
და აჰა, გხედავ მთვარის გვერდით,  
ჩემო ლილიტო,  
ღამის ჩრდილებთან მეგობრობ და  
ალბათ იმიტომ.  
ხარ პარიზულად გადაღლილი,  
ახლა რას ელი?  
შენს წინ კანი და ტულონია, იქვე – მარსელი,  
შენი სონეტი, თეთრ ღამეში სევდით ნანერი,  
ღრუბლების ზემოთ აზიდულა,  
ვით მყინვარწვერი.  
ხოლო შენს სახეს  
იმეორებს მთვარის კამეა  
და ამის მონმე,  
ერთადერთი,  
ლურჯი  
ღამეა.



# პარი პაჭარაშვილი

## რატომ მიყვარხარ?

რატომ მიყვარხარ...

გულში ვგმობ და ვეძებ პასუხებს,  
დაცლილ იმედებს მერამდენე ცრემლი აშრება,  
ახლა ისე ვარ, შემოვიხევე სულზე მარწუხებს  
არ ვიცი, რატომ ვერ შევძელი შენი გაშვება?!

რატომ მიყვარხარ...

არც კი ვიცი, რა გვაქვს საერთო?  
ვავლებ კითხვასთან უპასუხო გრძნობის პარალელს,  
თითქოს ჩამოვხსენ ციდან მთვარე, მსურდა გამეთბო,  
ვნერე ლექსებად, ვაგროვებდი უთქმელ ბარათებს...

რატომ მიყვარხარ...

ახლა უკვე ვიცი ყოველი,  
ველარ დამაზროს სევდიანი ამინდის თალხმა,  
მორჩა ოცნება ჩემს ფიქრებში ნაზად მთოველი,  
დავალ ღრუბლებზე და ჩემს სულში წვიმაა ახლა.

## თუ შემნიგდებ...

არ დაიჯერო, რომ ტყუოდნენ ჩემი თვალები,  
რომ სულის სკივრში შენს სიყვარულს აღარ ვინახავ,  
მივდეგ ცხოვრებას, კი არ მივდეგ, მივენვალები,  
მინდა იცოდე, რომ ისევე ძლიერ მიყვარხარ!

იცი, ძვირფასო, როგორ მიჭირს უშენოდ სუნთქვა?  
დამაქვს სხეული სულისაგან შემოძარცვული,

ფერმიხდილ მთვარეს, ყოველ ღამეს პაემანს ვუთქვამ...  
ასე მგონია, არც ანმყო მაქვს, აღარც წარსული.

არ დაიჯერო! შენგან წასვლა არც კი მიცდია,  
კვლავ ამ სიყვარულს დარაჯობენ ჩემი ფიქრები,  
სანამდის ვცოცხლობ, სანამ მკერდში ცეცხლი მინთია,  
თუ შემცივდება შენ სიყვარულს მივეფიცხები!

### თუკი ისე ხარ...

თუკი ნალექი თვალის გუგებს მძიმედ აჩნია,  
და სულის ფსკერზე გაუსაძლის ტკივილს ნებდები,  
თუკი ვერთქმული ყველა სიტყვა ყელში გაგჩრია,  
და ემოციის ქარიშხალში ნაცრისფერდები...

თუკი დღეები ერთმანეთზე მძიმედ მიება,  
და თუ ჩაგიტყდა ყველა გზისკენ სავალი ხიდი,  
თუკი ისე ხარ გამოსავლის გიჭირს ძიება,  
გახსოვდეს მუდამ, რომ ყოველთვის არსებობს იგი!

და სანამ, ციდან გეფერება კეკლუცი მთვარე,  
სანამ, მზის სხივებს ყვავილთ ჯარი კდემით ყელს უღერთ,  
უფლება არ გაქვს რომ მიენდო უმიზნო ქარებს,  
ვალდებული ხარ, სავალი გზა მოძებნო უკეთ!

### თუ იმ გზით ივლი...

თუ იმ გზით ივლი, სადაც სხვები მიგითითებენ,  
ბოლოს იქ მიხვალ სადაც მათი სურვილი არის,  
თუ დღენიადაგ ის გადარდებს, „რას იტყვის ხალხი?“  
სხვისი ხელებით დანერილი ცხოვრება დაგღლის!

მათ საამებლად თუკი მუდამ ჩრდილში იდგები,  
გახსოვდეს, იმ სხვას არ უყვარხარ – მხოლოდ სჭირდები!  
თუ გამუდმებით უკან იხევ და სულ ჩუმდები,  
ამ ცხოვრებისგან გელოდება მხოლოდ ხურდები...

დღესვე თუ არ თქვი რაც გინდოდა რომ გეთქვა გუშინ,  
უთქმელი სიტყვა ლახვარს ჩაგცემს შენივე გულში.

თუ შენთვის არა, სხვისთვის ქარგავ ცხოვრების ფერებს,  
მოვლენ და სულში აგირევენ ტურტლიან ხელებს!

თუ იმ გზით ივლი, სადაც სხვები მიგითითებენ,  
ბოლოს იქ მიხვალ სადაც მათი სურვილი არის,  
თუ დღენიადაგ ის გადარდებს „რას იტყვის ხალხი?“  
სხვისი ხელებით დანერგილი ცხოვრება დაგლლის!

### ნუ დამპირდები

ნუ დამპირდები...  
გთხოვ ნურაფერს ნუ მეტყვი ახლა,  
მე ის ცხვარი ვარ, მგლის შიშში რომ  
მეცხვარემ დახრა...  
გამომშრალი ვარ, ვით უდაბნო,  
ცხელი საჰარის,  
ფოთოლცვენა ვარ, ეზოს მიღმა  
მდგარი ჭადარის.  
ნუ დამპირდები...  
მე ხომ ისეც სავსე ვარ შენით,  
არაფერს არ გთხოვ,  
მხოლოდ ანმყო ამივსე რწმენით.  
ამ უსასრულო  
მარტოობის ამხსენი ჯადო,  
რომ ჩემი გული, ოცნებები  
მხოლოდ შენ განდო!  
ნუ დამპირდები,  
დღეს ისეთი მშვიდია ზეცა,  
მინდა რომ შენი სიყვარული  
მკურნალად მეცვას.  
ნუ დამპირდები...  
გთხოვ ნურაფერს ნუ მეტყვი ახლა,  
მე ის ცხვარი ვარ, მგლის შიშში რომ  
მეცხვარემ დახრა...

# ინიტიან, ჯუჯლისიანი



თამარ  
გვინეტაძე

## „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული და უკანონო თარგმანები – იონა მეუნარგიას თანამშრომლობა გერმანულ და არაგერმანულ ზეგნებებთან (1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე)

არტურ ზუტენერი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელ ქართველ შემოქმედებით ელიტასთან. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული სცენის თვალსაჩინო ფიგურასთან, იონა მეუნარგიასთან (1852-1919), რომელიც იყო მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. სწორედ ის მოიაზრება როგორც გუჯას პროტოტიპი.

მეუნარგიას დიდი წვლილი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემაში და ევროპაში მისი პოპულარიზაციის საქმეში. ის 1874-1876 წლებში სწავლობდა ჟენევის აკადემიაში, მომდევნო ორი წელი კი ცხოვრობდა პარიზში. მის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1876 წელს გადავედი პარიზს, სადაც... ნაციონალური ბიბლიოთეკიდან... სხვათა შორის, გადმოვსწერე ნანუჩა ციციშვილის გადანერილი „ვეფხისტყაოსნის“ დამატება, 396 ხანა“ (სოლ. ცაიშვილი, იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფია, მნათობი, 1956, №2, გვ. 186).

ეს მცირედი ინფორმაცია გვაძლევს კარგ წარმოდგენას იონა მეუნარგიას პიროვნების შესახებ: ერთის მხრივ, ის არის სამშობლოს დიდი მოამაგე, შემოქმედი, მეორეს მხრივ, იმპულსური პიროვნება, რომელიც ერთდროულად ეჭიდება რამოდენიმე საქმეს და ადვილად იღებს გადაწყვეტილებას – ერთი სიტყვით კი ისეთი, როგორც ის არტურ ზუტენერმა დაინახა და აღწერა მოთხრობაში „ჩემი მეგობარი გუჯა“ (თბილისი, 2021, გამომცემლობა „ნეკერი“).

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ეკუთვნის ქალაქ შემახაში (აზერბაიჯანში) მცხოვრებ ქალს, რომელიც ცნობილია, როგორც „ყაზახანთ ბეჟოიას ასული“. მას ეს ხელნაწერი 1702 წელს გადაუწერია. როგორც ჩანს, მეუნარგიამ აქედან ამოწერა სტროფები, რომლებიც არ მოიპოვება ვახტანგისეულ გამოცემაში და ყველა ეს სტროფი, ერთ-ერთ ინტერპოლატორს, ნანუჩას სახელს დაუკავშირა, რომელსაც არჩილ მეფის თანახმად, პოემაში ბევრი რამ „ჩაურევია“, მაგალითად მან საკუთარი ინიციატივით 11 სტროფი დაუმატა „ავთანდილის ანდერძს“.

მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილი იყო XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოეტი, მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მიუხედავად ასეთი უზუსტობისა, ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განაპირობა მეუნარგიას პროფესიული ბედი. „რომელიღა დაუმახინჯებელი, ყველაზე უფრო ნამდვილთან სწორი პოემა?“ – კითხულობს მეუნარგია და 1880 წელს გაზეთ „დროება“-ს (№241) ფურცლებზე საზოგადოებას ამცნობს იაკობ გოგებაშვილთან და რაფიელ ერისთავთან ერთად „ვეფხისტყაოსნის რედაქციის“ დაარსებას, რომლის მიზანია, ავტორისეულ ხელნაწერისაგან „შესამჩნევად დაცილებული ტექსტის მეცნიერული რედაქტირება“. ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე იყო გრიგოლ ორბელიანი, წევრები კი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და სხვები.

წიგნის მხატვრულად გაფორმება ეთხოვა უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის, ხოლო მისთვის პოემის პროზაული თარგმანი, ილია ჭავჭავაძის წინადადებით, დაევალა იონა მეუნარგიას, რომელიც მთელი ენთუზიაზმით შეუდგა ამ საშვილთაშვილო საქმეს.

1884 წლის აგვისტოში „დროება“ იუწყებოდა, რომ ფრანგული თარგმანის მეოთხედი უკვე მზადაა და რომ ის მალე დაიბეჭდება ფრანგი მწერალის და მეცნიერის ერნსტ რენანის წინასიტყვაობით. მეუნარგიამ მართლაც რეკორდული სისწრაფით დაასრულა თარგმანი და 1886 წელს პირველივე ხელნაწერი პეტერბურგში ჩაუტანა მიხაი ზიჩის სურათების შესაქმნელად. „ფრანციულად ეს ხელნაწერი გაზაფხულზე იქნება დაბეჭდილი პარიზში“ – იუწყებოდა „დროება“.

სავარაუდოა, რომ ასე ნაჩქარევად შესრულებული თარგმანი სრულყოფილი არ იქნებოდა, ყველაზე კარგად ეს თვით მეუნარგიამ იცოდა, ამიტომ მან ტექსტის სრულყოფის მიზნით მშობლიურ სოფელ ცაისში მიიწვია ჟურნალისტი ჟულ მურიე (1846-19??) და ზუტენერების ოჯახი.

ავსტრიელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტენერი (1850-1902 წწ.) მეუღლესთან – მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ ბერტა ფონ ზუტენერთან (1843-1914 წწ.) ერთად ცხრა წლის განმავლობაში (1876-1885 წწ.) ცხოვრობდა საქართველოში. ის აქ ჩამოყალიბდა მწერლად, მაშინდელი ქართული ყოფიერება იმდენად ღრმად აღიბეჭდა მასში, რომ ამ შთაბეჭდილებათა წარმოსახვა მისი შემოქმედების უმთავრეს თემად იქცა. საქართველოს თემატიკაზეა შექმნილი რომანები და მოთხრობები: „კავკასიის შვილები“, პირველი ტომი, 1890 („ჩემი მეგობარი გუჯა“, „მეზობლები“, „ბატონი გრეგორი“, „საბრალო ვარდი“, „ქეთევანი“, „მარგალიტი“), „კავკასიის შვილები“, მეორე ტომი, 1891 („ბიზონი და ტური“, „მეგრული ქორწილი“, „ჰაჯი-ალა და მისი ნარგილი“, „ურთას მთის ძირას“, „ლიზას ბედნიერება“, „სულელი“), „დარეჯანი“, „ბატონო“, „აზნაური“ (1886), „იბერიელი“, „აჭარლები“ (1888), „შამილი“ (1890), „ჩერქეზები“ (1898) და სხვ. გერმანულ და ავსტრიულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი საგაზეთო სტატიები რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ (ფსევდონიმით M. A. Lerei).

მეუნარგია პეტერბურგში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს ცაიშიდან წერდა: „ამა წინათ მე ზუტენერები სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შევუდექი თარგმნას, უფრო უმეტეს დაკვირვებით და სინიდისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვადგენთ ფრანციულად და მერე იქვე ნემეცურად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირაა დღე და ღამე ვმუშაობთ და როგორც იყო ერთს მეოთხედს მოუღეთ ბოლო... ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლულოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს მევე გავასწორობ“.

ეს მუშაობა 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე გაგრძელებულა სოფელ ცაისში. ზუსტ მონაცემებს ამის შესახებ იძლევა მოთხრობა „ჩემი მეგობარი გუჯა“. არტურ ზუტენერი არც აქ ღალატობს მისი შემოქმედების ერთ-ერთ, ჩვენთვის მეტად ღირებულ თავისებურებას: რეალობაზე დაფუძნებულ მხატვრულ ინტერპრეტაციას. მისი მოთხრობები ეფუძნება რეალურ ფაქტებს,



დროსა და სივრცეს და ამით განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს მის შემოქმედებას. ნაწარმოებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავტორის შთაგონების წყარო ნამდვილად არსებული ფაქტები და პიროვნებებია, რაც საფუძველს გვაძლევს, რომ ნაწარმოებები, ბევრ შემთხვევაში, განვიხილოთ როგორც პირველწყარო, „თვითმხილველის ნაამბობი“!

ფაქტია, რომ სარეცენზიო მოთხოვნაში სახეზეა დროისა (1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე) და სივრცის (სოფ. ცაიში) აბსოლუტური თანხვედრა. თავდაპირველად მოთხოვნაში საუბარია თანამშრომლობის ორ თვეზე: ვინაიდან ავტორის პროტოტიპს, არტურ ზუტნერს, ზამთარში სოფლად გამგზავრება არ მოსწონს.

გუჯა შემდეგი სიტყვებით ცდილობს მის დარწმუნებას: „რა არის შენთვის ორი თვე, თანაც ერთ-ერთი მათგანი თებერვალია, მხოლოდ ოცდარვა დღით, ეს დროც მალე გავა“ (გვ. 11). სინამდვილეში ზუტნერებმა თითქმის 4 თვე გაატარეს ცაისში.

აღსანიშნავია, რომ ავტორს მოთხოვნაში საკუთარი სახელი არ გააჩნია – თხოვნა ავტორის პირით, მთავარი გმირისაგან მომდინარეობს, ყველაფერი მე-ს პერსპექტივიდან არის მოთხოვნილი – სახელს კი არ „გვიმხელს“!

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის ხელნაწერის გადამუშავების შესახებ ვიგებთ, რომ სოფელში ჩასვლისას „პირველ დღეებში მუშაობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო – ახლობლები ყოველი მხრიდან მოდიოდნენ გუჯას სანახავად და თავისუფალ დროს არ უტოვებდნენ ხელნაწერებზე სა-მუშაოდ...“. გუჯა „ნამდვილ მეგრულად გადაიქცა: ...ნამიერად მივიწყე ევროპული ეტიკეტი, მას ახლა შეეძლო სხვადასხვა თეფშებიდან თითებით ეჭამა, სხვისი ჭიქიდან დაეღია, ეყვირა... მე კი ამ დროს მშვიდად ვიჯექი სახლში, თავიდან ვიცილებდი ამ გაუთავებელი ქეიფების საბედისწერო შედეგებს“ (გვ. 28).

მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ იწყება ხელნაწერის კორექტურა: „ნამდვილად არ წარმო-მედგინა, რომ გუჯა ასეთი შრომისმოყვარე გამოდგებოდა. ის დინჯად, ღრმად ჩაფიქრებული იჯდა მის ხელნაწერთან, ყურადღებით იზიარებდა ჩემს შენიშვნებსა და შესწორებებს, შემდეგ ცვლიდა, შლიდა ან ასწორებდა ნაშრომს... მისი შეჩერება არაფერს შეეძლო – არაფერს!“ (გვ. 34).

თბილისიდან მიღებულ წერილში იონას ბიძას ატყობინებენ რომ „მისი ნაშრომი უაღრესად საინტერესოა... ეს ახალგაზრდა მამაკაცი უთუოდ ქების ღირსია იმის გამო, რომ გადაუწყვეტია, მშობლიური ლიტერატურა გააცნოს სამყაროს!“ (გვ. 41). მართლაც, თარგმნის ასეთმა უნიკალურმა მოვლენამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია საქართველოში!

სულ მოკლე ხანში მეუნარგია კვლავ სხვა სტიქიაში გადადის:

„გაქრა წიგნებზე მომუშავე გუჯას სიდიდზე, ის წივილ-კივილით, სიცილ-ხარხარით და ხელების ათასგვარი შესტიკულაციით უსმენდა თხოვნებს, რომლებსაც სხაპასხუპით, ერთი სულის მოთქმით, წარმოთქვამდნენ მთხოვნელები. ...ის კი დაუღლელად, ნებისმიერ თხოვნაზე პოულობდა გონივრულ გამოსავალს. მოსასხამში გახვეული გუჯა ისე იდგა მთხოვნელთა შორის, როგორც კლასიკურ საბერძნეთში ორაკული და ხან მარჯვნივ იძლეოდა ბრძნულ რჩევას, ხან მარცხნივ. როდესაც შეკითხვა საშიშ დაავადებას ეხებოდა, გუჯა ჩემთან შემობოდა კონსულტაციისათვის“ (გვ. 35).

ცნობილია, რომ იონა მეუნარგიამ ამგვარი თვითდაჯერებულობის გამო, თუნდაც ილია ჭავჭავაძის სახის წარმოჩენისას, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მძაფრი რეაქცია გამოიწვია და მას საკუთარი შვილებიც კი დაუპირისპირდნენ. იონას გამხნელება სცადა ნიკო ნიკოლაძემ, თუმცა, გადამწყვეტი აღმოჩნდა იაკობ გოგებაშვილის შეუვალი, შეიძლებ ითქვას, სასტიკი პოზიცია! მან მრისხანებით სავსე ორი წერილი უძღვნა იონას გაზეთ „საქართველოს“ (1908 წ. №№ 9, 11) ფურცლებზე: „ილიას მეორედ მოკვლის განზრახვა“ და „მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“.

არ მოუნონეს იონას სამწერლობო დევიზი „საყვარელი კაცისა ყველაფერი უნდა ვიცოდეთ?!“

კარგი იქნება, ახლა ცაისში დავბრუნდეთ:

საცხოვრებელ პირობებს ცაისში ბერტა ზუტნერი ასე აღწერს: „ჩვენ მოშორებულ მეგრულ სოფელში გადავედით, სადაც მამამისი მღვდელი იყო და სახლი ჰქონდა, რომელშიც მცირე გასამრჯელოს ფასად მიგვიღო... სახლში ავეჯი არ იდგა, „ტახტა“ და რამოდენიმე მოსასვენებელი რეკვიზიტი თავად მოვიტანეთ... სასადილო ოთახში, სადაც მხოლოდ მაგიდა და სკამები იდგა, ერთად ვსადილობდით ჩვენ, მღვდელი, მისი ვაჟი და ყოფილი ძიძა... მღვდელი ისე ხმამაღლა ხვრებდა წვნიანს, რომ მოთამაშე ზვიგენი გეგონებოდა... ჩვენი ოთახის ქვემოთ, სარდაფში, კომბოსტოს ამწნილებდნენ, მისი სუნი კედლის ჭრილებში აღწევდა და ჩვენამდე ამოდიოდა. მაგრამ ჩვენი შემართების შეჩერება აღარაფერს შეეძლო და ქართული პოემის თარგმნა სწრაფი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. ჩვენს წინ გადაიშალა დაკარგული სამყარო, მეცამეტე საუკუნის... ოქროს ხანის ეპოქა“ (B. Suttner; Memoiren, Berlin, 1972, გვ.190).

მოთხრობის თანახმად, დღის პირველი ნახევარი თარგმანს ეთმობოდა. ბერტას ცნობით, კი „აქ დილით და ნაშუადღევს ორ-ორი საათით ვთარგმნიდით „ვეფხისტყაოსანს“. დანარჩენ დროს სეირნობაში, კითხვაში და სამშობლოში დაბრუნების სიხარულით (ესეც საქმიანობაა) ვერთობოდით. ჩვენ უკანასკნელად ვტკბებოდით ხელშეუხებელი ბუნებით, კავკასიური მარტოობის პრიმიტივიზმით, სანამ ევროპის ცივილიზაციის მორევში გადავეშვებოდით“ (B. Suttner; Memoiren, Berlin, 1972, გვ.190).

ამდენად, ავტორს საკმაოდ ჰქონდა თავისუფალი დრო, ისიც უცხოელის თვალთ აკვირდებოდა ქართულ ყოფა-ცხოვრებას და ჩანაწერებს აკეთებდა, რომლებიც შემდეგ ნაწარმოებებში გადმოჰქონდა. მოთხრობაში მას განსაკუთრებით აოცებს ძიძობის ტრადიცია, რომელსაც, „როგორც დაუნერულ კანონს, მეგრელები მონინებით ეპყრობიან მთელი ცხოვრების განმავლობაში: მისთვის (ძიძასათვის თ.გ.) გუჯა ჯერ კიდევ ის უმწეო ჩვილი იყო, რომელიც უნდა გამოკვებოს, ღამე უთიოს და თვალყური ადევნოს, რათა არ მოშივდეს, ან შემთხვევით სკამიდან არ გადმოვარდეს!“ (გვ. 24).

ავტორი არ ერიდება კრიტიკული აზრის გამოთქმას. მაგალითად, მისთვის გაუგებარია ჩვენთან გავრცელებული ურთიერთობის ფორმა – განუული დახმარების გამო მადლობის ნიშნად ყურადღების გამოჩენა: „ეს ხალხი მართალია ერთმანეთს უსასყიდლოდ უდგას მხარში, მაგრამ მათაც გარკვეული კომპენსაციის მოლოდინი გააჩნიათ... ჯერ რამოდენიმე დღით ეხმარებიან გადაუდებელი სამუშაოების შესრულებაში, სამაგიეროდ კარგად მოლხენას არ იკლებენ... ასეთი წეს-ჩვეულება, ბიბლიური, პატრიარქალური დროიდან მოყოლებული, ალბად მხოლოდ აქაა შემორჩენილი“ (გვ. 26).

სამაგიეროდ შეუდარებელია მის მიერ ცაისის და შემოგარენის აღწერა:

„ირგვლივ სიცოცხლე იღვიძებს, ძილგატეხილი მცენარეული საფარი იზმორება და ტანში იმართება, იმედოვნებს, რომ ზამთრის ანგელოზმა ისე ჩათვლიმა, რომ ვერ ხედავს, თუ როგორ აპირებენ აქ მისთვის მთელი ორი თვის წართმევას!“ (გვ. 28)... „აქ ყველგან სიცოცხლე ჩქეფს, აქედან სიკვდილი განდევნეს!“ (გვ. 30).

ასეთი ძლიერი შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი არტურ ზუტნერი არა მარტო დეტალურად აღწერს თარგმნის პროცესს, არამედ მის შედეგსაც გვაუწყებს – ის ძვირფასად მორთული, ერთობლივი ნაშრომის გამოცემის მფლობელი ხდება! „გუჯამ თან მოტანილი შეკვრიდან მდიდრულად გაფორმებული წიგნი ამოიღო და მომანოდა: – ეს საპატიო ეკუმპლიარია, რომელიც პირველად გადადის მკითხველის ხელში. ის რასაკვირველია შენთვისაა განკუთვნილი. როდესაც მოიცლი, გთხოვ პატარა, ღამაში ნარკვევი დაწერო ამ წიგნზე!“ (გვ. 52).

მოთხრობიდან ცნობილი ხდება, რომ ავტორის პროტოტიპმა ეს სურვილი შეუსრულა და ვრცელი სტატია დაწერა „ვეფხისტყაოსანზე“. სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ა. ზუტნერის სტატია, „უცხოე-

ლის აზრი „ვეფხვის-ტყაოსანზე“ (პოემის გადათარგმნის გამო ფრანსიულს ენაზე), რომელიც უშუალო კავშირშია სოფელ ცაისში გატარებულ დღეებთან:

ფაქტია, რომ არტურ ზუტნერი პოემა მეუნარგიას თარგმანის საშუალებით გაიცნო და სტატიაც მის საფუძველზე დაწერა, რომელიც 1884 წლის ბოლოს ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნდა.

ეს არის უცხოელის მიერ „ვეფხისტყაოსანზე“ გამოთქმული პირველი პუბლიკაცია. მასში ავტორი მიესალმება თარგმნას „ევროპულ ენაზე... რაც უეჭველად დიდ სამსახურს გაუწევს მსოფლიოს მეცნიერებას. რუსთველი შეიძლება თავისუფლად მოვათავსოთ იმ ათი თუ თორმეტი პოეტის გვერდით, ვისი სახელი და დიდებაც საუკუნეებთან ერთად იზრდება“. მეუნარგიას „კალმით შეიქმნა პოემის პირველი სრული პნკარედის თარგმანი“.

არტურ ზუტნერი საკუთარ თავს უწოდებს პირველ ევროპელს, რომელმაც თავიდან ბოლომდე წაიკითხა პოემა ფრანგულად. ის ვრცლად, ყურნალ „ივერიას“-ს 1884 წლის დეკემბრის მე-11/12 ნომერში (გვ. 68-103, ზუტნერი უკვე ცაისშია, თ. გ.), განიხილავს პოემის სიუჟეტს, მის მსოფლმხედველობას და მის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში: „როგორ! ჩვენგან მოშორებულ ქვეყანაში, დროსა, ან დიდი ხნით გამქრალს, არსებობდა ბრწყინვალე სამეფო კარი და უმდიდრესი ენა, არსებობდა აკადემია... ჰგზავნიდნენ ათინაში განათლების დასამთავრებლად, და მათ შორის აღმოჩნდა ერთი, რომელმაც, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ერთი სპარსული თქმულებიდან შექმნა 1500 ტაეპიანი პოემა... და ჩვენ კი ეხლა პირველად გვესმის იმის არსებობა!“

არტურ ზუტნერი ავლებს ერთ მეტად საინტერესო პარალელს ევროპასთან: მეთორმეტე საუკუნეში „ევროპა ვერ დაიკვებებდა პოეტებით. საფრანგეთში ამ დროს ჩასციებოდნენ „შანსონ დეჟესტს“, სიმღერას როლანისას, სხვა ქვეყნებში – ნიბელუნგებს, ინგლისურ-საქსონურს „ბევულფს“, ესპანურ რომანსს „ბალი კამპედორი“, რუსულს – „სიტყვა შესახებ იგორის ლაშქრისა“. მაგრამ ყველა ეს ლექსი და სიმღერანი წარმოადგენდნენ საერთო ნაწარმოებს ტრუბადურებისას... ამ დროის დამოუკიდებელ პოეტთაგან შეგვიძლიან დავასახელოთ მხოლოდ ორი პოეტი, რომელთა ქება ჩვენს დრომდე მოაღწია. ესენი არიან ლირიკოსი ვალტერ-ფონ-დერ ვოგელვედე და ეპიკური პოეტი ვოლფრამ ფონ-ემენბახი. რუსთველის ალაგი ამ ორთა თანა არს და ეს ალაგი ფრიად საპატიოცაა. „ვეფხის-ტყაოსანი“ სრული რომანია, აგებული და აშენებული ხელოვნების ყველა მოთხოვნილებათა თანხმად და შესაბამად. რომანს აქვს თავისი დასაწყისი, ნასკვი და ამ ნასკვის გარკვევით გამოცხადებული ბოლო. მასში თავიდან ბოლომდე მტკიცედ დაცულია კანონები თანდათანობისა და ზედმიყოლებულის შემოქმედებისა... ევროპაში რომანი პირველად გაჩნდა XIII საუკუნეში, სახელდობრ საფრანგეთში, რომელსაც გამოგონებათა ნიჭი აქვს. ამიტომაც დაფნის გვირგვინი უნდა დავადგათ თავზე იმას, ვინც შორეულს ქვეყანაში (საქართველოში) და ერთის საუკუნით ადრე ამგვარივე გამოგონებით თავი ისახელა. მიუდგომელობა გვაიძულებს გენიოსი ვუნოდოთ რუსთველს, რადგან მან შექმნა რომანი იმ დროს, როცა ამგვარი ყაიდის წერა ჯერ არ არსებობდა ევროპაში. რუსთველი ღირსია დაიჭიროს ალაგი მსოფლიო დიდების პანთეონში!“.

„მე მასში ვერსად ვერ შევხვდი იმისთანა ადგილს, რომელიც ამტკიცებდეს ამ პოეტის მიბაძვას წინანდელ პოეტებისადმი... ქართველთ შეუძლიანთ სიამაყით წარმოსთქვან, რომ მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომეროსისა, არც ვირგილიუსისა: იგი პირველიდამ უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთველისებურია და მხოლოდ რუსთველისებური“.

მიუხედავად ასეთი ხოტბა-დიდებისა, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ არტური არც აქ ღალატობს მისთვის ჩვეულ კრიტიკულ დამოკიდებულებას ყველასა და ყველაფრის მიმართ: სტატიის დასასრულს ის სამი შენიშვნის უფლებას აძლევს საკუთარ თავს, რომლებზეც ქართულმა კრიტიკამ რატომღაც თვალი დახუჭა:

1) „...ეპიზოდი ვაჭრის ცოლის ფატმანის და ავთანდილის შესახებ, რომელიც ზნეობის დამცველებს ვერფრად ეჭაშნიკება. სვინიდიის მიერ შეუნუხებლად ავთანდილი ტრფიალებას დაუნყებს ვაჭრის ცოლს... ლალატი საყვარლისა არავითარ ქეჯნას სულისას და სვინიდიის შენუხებას მასში არ ინვევს...“

2) „ასე გადაჭარბებით ხსენება ცის მნათობებისა, ხშირად ხმარება სიტყვისა ვარდი, ბროლი და ედემის ხე, რომელიც შეადგენს მთელს რეპერტუარს პოეტის მეტაფორული ენისა, გვიშლის დავსტკბეთ პოეტის ქმნილებით და აწარმოებს მკითხველზე ფრიად უსიამოვნო შთაბეჭდილებას...“

3) „...შენიშვნა, რომელიც შეიძლება მიეცეს პოეტს, არის განუწყვეტელი ცრემლთა დენა გმირებისა პოემაში. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მკითხველი შეეყრება სისხლის ცრემლებს, მდინარეებს, ზღვებს“ (ივერია 1884, №11-12, გვ. 91-92).

არტურ ზუტინერი ამ სტატიაში საკუთარ აზრს გამოთქვამს იონა მეუნარგიას მთარგმნელობით ნიჭზე: „ქართული ენის უცოდინარობის გამო, ჩემთვის ძნელია აზრი შევადგინო თარგმანის სისწორეზე, მაგრამ არც ერთ წამსაც არ ვეჭვობ, რომ ავტორი ტალანტისა და ნიჭის პატრონია, წინ და წინვე მჯერა მთარგმნელის აზრი და სიადვილით ვალიარებ, რომ დედანსა და თარგმანს შორის დიდი ზღვარი უნდა იყოს. თვით უკეთესი თარგმანი ლექსისა მშვენიერად ნაკერის მეორე პირს წარმოადგენს. იქაც იგივე ძაფი და ფერადებია ხმარებული (ე. ი. იგივე სიტყვები), მაგრამ იმის მაგიერ, რომ ამ დაფთავან ყვაილები და მშვენიერად ნაქარგი სახეები შესდგეს, იგინი გვიხატავენ ჩვენ მხოლოდ ულამაზო განაპირა მოხაზულობათა (კონტურებს), და ისიც მკრთალად“.

არტურ ზუტინერის თანახმად, მეუნარგიას არა მარტო დაუმთავრებია თარგმნა, არამედ მისი წინასიტყვაობაც დაუნერია, რომელშიც თურმე მთარგმნელის ამოცანებსა და მიზნებზე გაუმახვილებია ყურადღება.

წინასიტყვაობას, ისევე როგორც თარგმანს ჩვენამდე არ მიუღწევია. თარგმანის ბედი ისეთივე ბურუსით და გაუგებრობებითაა მოცული, როგორც მოთხრობაში დახატული თვით მეუნარგიას პიროვნება. ამ ბურუსის ნაწილობრივ მაინც გასაფანტად დაინტერესებულ საზოგადოებას რეკომენდაციას ვაძლევ, გაეცნოს აღნიშნულ მოთხრობას: მასში იონა მეუნარგია წარმოდგენილია როგორც შემოქმედი და ამასთანავე როგორც სწრაფი, იმპულსური გადაწყვეტილებების მოყვარული პიროვნება: ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს მეუნარგიას შემოქმედებით შთაგონებას და ქართულ მენტალიტეტს.

როგორც უკვე ითქვა, მოთხრობის თანახმად, ავტორი „მდიდრულად გაფორმებული წიგნის“ საპატიო ეკზემპლიარის მფლობელი ხდება. სავარაუდოდ, აქ საუბარია არა ფრანგულ თარგმანზე, არამედ 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის მეცენატობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“ მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით.

ხომ არ შეიძლება იმის თუნდაც თეორიულად დაშვება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული გამოცემა მართლაც არსებობდა... თუ ავტორმა უბრალოდ წინ გაუსწრო სავარაუდო მოვლენას? მაინც რა არის მოთხრობაში მწერლის ფანტაზიის ნაყოფი და რა არის სინამდვილე?

დავეყრდნოთ ისტორიულ ფაქტებს: მეუნარგიას ფრანგულ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა ქართულმა საზოგადოებამ!

1884 წელს „დროების“ რედაქციამ, რედაქტორის ივანე მაჩაბლის ინიციატივით შეხვედრა გაუმართა საფრანგეთის ელჩს, სადაც ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა: „რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქეთ ჩვენს მოღვაწეთა შორის“ (დროება, 1884, №260).

თვით მეუნარგია ავტობიოგრაფიაში წერდა: „ბევრად ადრე, ვიდრე გიორგი ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა, „ვეფხისტყაოსანი“ ვთარგმნე ფრანგულ ენაზე, ფრანგის ჟიულ მურიეს და ბარონესა ბერტა ფონ სუტნერის შემწეობით“.

ფრანგული თარგმანით გამონვეულ საყოველთაო ქართულ აღტკინებას კი დასასრული არ უჩანს: პოეტი ვახტანგ ორბელიანი 1885 წელს მეუნარგიას უძღვნის ლექსს „ნანგრევთა შუა ლამპარი“, რომელშიც ხოტბას ასხამს მთარგმნელს, თუ პოემა „აქამდინა ქართველის გულს მხოლოდ ათბობდა, და, ან, მაღლი შენ, გსურს გააცნო იგი ევროპას“.

ხოტბა-დიდება აპოგეას აღწევს არტურ ლაისტის პირად წერილში მეუნარგიასადმი: „კავკაზში“ წავიკითხე, რომ თქვენი თარგმანი „ვეფხისტყაოსანი“ უკვე დაბეჭდილია, და წარსულ კვირას ამის შესახებ მოკლე ცნობა გავუგზავნე „მაგაციუს“. მაგრამ არ კმარა ამ საუცხოო პოემის მარტო თბილისში გამოცემა, უნდა ეცადოთ ევროპაში გაავრცელოთ“.

1896 წელს ისტორიკოსი და ეთნოგრაფი მოსე ჯანაშვილი წიგნში „შოთა რუსთაველი“ პოემის თარგმანებს შორის ასახელებს ი. მეუნარგიას ფრანგულ თარგმანს (გვ. 30).

ამდენად, ფრანგული თარგმანის არსებობა უდავოა (სოლ. ცაიშვილი, ერთი გამოუცემელი თარგმანის შესახებ, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წელი, №24), ძალზედ გაუგებარია, თუ რატომ არ მოხერხდა მისი გამოცემა.

არსებობდა თარგმანის სამი ხელნაწერი. პირველი მეუნარგიამ პეტერბურგში მიხაი ზიჩის გადასცა, რომელსაც თარგმანზე დაყრდნობით 12 ილუსტრაცია უნდა დაეხატა. მან 34 ესკიზი დაამზადა. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ზიჩის მიერ შესრულებული მეგობრული შარჟები მეუნარგიაზე, მათ შორის ერთი ასახავს, თუ როგორ მიაქვს მეუნარგიას ხურჯინით თარგმანი პეტერბურგის აკადემიაში დასაბეჭდად. შარჟზე შემორჩენილია მეუნარგისეული თარგმანის რამოდენიმე სტრიქონი, კერძოდ მიხაი ზიჩის შარჟების გვერდით ორი ფრანგული ფრაგმენტია მიწერილი, მე-40 სტროფი მთლიანად (ავთანდილ იყო სპასპეტი) და 84-ე სტროფის დასაწყისი (ნახევ უცხო მოყმე ვინმე). ეს ფრაგმენტები საგანგებოდ შეისწავლა გ. შარაძემ და დაასკვნა, რომ მეუნარგიამ შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული ფრანგული თარგმანი, თეთრი ლექსით, 1593 სტროფი, დავით ჩუბინაშვილის (1814-1891) 1869 წლის გამოცემის მიხედვით (გ. შარაძე, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, თბ., 1978, გვ. 64-65).

1888 წელს საქართველოში ჩამოდის რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე მეუღლითურთ. მეუნარგია ერთ ხელნაწერს დიდსულოვნად ჩუქნის მათ, სავარაუდოდ, იმ იმედით, რომ მის გამოცემაში დაეხმარებოდნენ...


შედეგი?

ამის შემდეგ გაურკვეველი მიზეზით, თანაც საკმაოდ დიდი ხნით ფრანგულ თარგმანზე საუბარი საერთოდ წყდება...

ამით შემფოთებული ფრანგი პუბლიცისტი ჟულ მურიე, რომელიც ასევე მონაწილეობას იღებდა ფრანგულად თარგმანში, 1912 წლის 12 ივლისს იონა მეუნარგიას ბრიუსელიდან აცყობინებს, რომ მზადაა გაიღოს ფრანგული გამოცემისათვის საჭირო ხარჯები და ფრანგული თარგმანის მანუსკრიპტის გამოგზავნას თხოვს. ჟულ მურიე იყო ჟურნალისტი, მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ ფრანგულ გაზეთს „Caucase illustr'e“, სადაც გამოაქვეყნა წერილი „ჯერ არ დაბეჭდილი ხელნაწერი ფრანგულ ენაზე“. წერილში უამრავი ფაქტობრივი შეცდომაა, რის გამოც მან საკმაოდ სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა.

ბერტას ბიბლიოგრაფის, ბ. ჰამანის ინფორმაციით, „მანუსკრიპტი დაკარგული აღმოჩნდა, შემორჩენილი ყოფილა მხოლოდ ბერტას ხელნაწერის რამდენიმე ფრაგმენტი“ (ცაიშის მუზეუმის მასა-

ლებიდან) (B. Hamann, Ein Leben für den Frieden, Hamburg, 1996, გვ. 88). დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის არქივის თანამშრომლების წყალობით, ეს ხელნაწერი მოიძებნა:



სამწუხაროდ, ხელნაწერის გაშიფვრა ჯერჯერობით არ ხერხდება.

1915 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩამოდის იმ დროისთვის სახელგანთქმული რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი და თბილისში საჯარო ლექციით გამოდის. მასში ის რუსთაველს დანტეს, პეტრარკას და სხვა კლასიკოსების გვერდით იხსენიებს. ამით აღფრთოვანებული იონა მეუნარგია, ისევე როგორც „მეგრელი გუჯა“, დღევანდელი თვალთახედვით ფრიად უცნაურ გადაწყვეტილებას იღებს – ის ქუთაისში სასტუმრო „ფრანციაში“ ბალმონტს გადასცემს ფრანგული თარგმანის ბოლო ხელნაწერს, რომელიც სტუმარს სჭირდებოდა, მისივე თქმით, „პოემის რუსულ ენაზე თარგმნისათვის“ – რუსთაველის პოემის უცხოელთათვის გაცნობის სურვილით ანთებულმა მეუნარგიამ უშუალოდ გაიმეტა უკანასკნელი ხელნაწერი, რომელსაც, ჩვენთვის უცნობი მიზეზით ამდენ ხანს ინახავდა (დ.მენაბდე, იონა მეუნარგია – „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და მთარგმნელი, რუსთაველოლოგია, ტ. 2, 2003, გვ. 323).

მეუნარგიას სწორედ ასეთი თავდადებული, უშურველი, მიამიტი, ზოგჯერ სპონტანური სახე აღწერა ა. ზუტენერმა აღნიშნულ მოთხრობაში.

ბალმონტი 1915 წლის გაზაფხულზე აპირებდა თბილისში დაბრუნებას, მაგრამ სამწუხაროდ აღარც ის ჩამოსულა და არც ხელნაწერი დაუბრუნებია. სავარაუდოა, რომ ხელნაწერი პარიზში, ბალმონტის არქივში არსებობდეს. სოლომონ ცაიშვილის აზრით უფრო რეალურია, რომ ი. მეუნარგისეული ფრანგული თარგმანი, რომელიც რუსეთის იმპერატორს აჩუქა, პეტერბურგში, ერმიტაჟის საცავში ინახებოდა (სოლ. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი გამოუცემელი თარგმანის შესახებ, ახ. კომ., 1955, №117).

კიდევ უფრო მეტი ბურჟუაზია მოცული გერმანული თარგმანის ბედი. როგორც მეუნარგია გვამცნობს, პოემას თარგმნიდნენ ფრანგულიდან გერმანულ ენაზედაც, ცხადია თეთრი ლექსით (ს. ცაიშვილი, ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ, ჟურნ. მნათობი, 1957, გვ. 152).

ბერტა ზუტნერი გვამცნობს: „ევროპაში დაბრუნება (1885 წლის) მაისის თვისთვის დავგეგმეთ. რჩებოდა კიდევ სამი თვე, რაც თბილისელი ჟურნალისტის მიერ შემოთავაზებული სამუშაოსთვის გვინდოდა მიგვეძღვნა. კერძოდ, გერმანულად და ფრანგულად უნდა გვეთარგმნა ქართული ეროვნული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. რადგან ქართულს კარგად ვერ ვფლობდით, ბატონ მ-ს... სიტყვა-სიტყვით უნდა აეხსნა ჩვენთვის ხელნაწერი, რაც ჯერ ფრანგულად, ხოლო შემდეგ ფრანგულიდან გერმანულად უნდა გვეთარგმნა. განზრახული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი საზეიმო გამოცემა, რისთვისაც მხატვარ ზიჩის მშვენიერი ილუსტრაციები დაეხატა“ (B. Suttner, გვ. 190).

თვით მეუნარგია გვაცნობებს, რომ პოემას თეთრი ლექსით თარგმნიდნენ გერმანულ ენაზედაც, „როგორც შევატყე, პოემა ნემეცურ ენაზე უფრო ადვილი სათარგმნი ყოფილა, ქართული ფრაზა ფრანციცულ ენაზე უთუოდ უნდა შეიცვალოს როგორმე და ნემეცურად კი პირდაპირ გადადის“ – წერდა იონა ნიკი ნიკოლაძეს.

გერმანული თარგმანის მცდელობა იმდენად ცნობილი გამხდარა, რომ არტურ ლაისტი იონა მეუნარგიას ერთ ბარათში თხოვდა: „დაარწმუნეთ ზუტნერი, რომ პოემა ჰექზამეტრით თარგმნოს, სხვანაირად დაიკარგება მისი სიმშვენიერე“ (შ. რევიშვილი, უცხოელი სტუმრები საქართველოზე, გაზ. თბილისი, 1961, 13 იანვარი).

სამწუხაროდ, გერმანული თარგმანი დაკარგულად ითვლება და ვერც მისი გამოცემა მოხერხდა. უცნობია, დაამთავრეს თუ არა ზუტნერებმა დაწყებული საქმე. ამ თვალსაზრისით მოთხრობაში ვპოულობთ ერთ ფრიად განსაცვიფრებელ პასაჟს:

„ამ დროს გუჯამ ხელნაწერი აიღო და ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ ხელით ჰაერში წრე მოხაზა, უეცრად გაოცებით რაღაც შესძახა და პოეტური შთაგონებით აღსავსე შესტიკულაციით წარმოთქვა: *Was Du gibst, das bleibt Dir erhalten, was Du behältst, das ist für ewig verloren...* ხომ დიდებულია! ეს რუსთაველის სახელგანთქმული ეპოსიდანაა!“ (გვ. 20) – რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია!

გავიხსენოთ – მოთხრობაში აღწერილი მოქმედება 1884 წლის დასასრულს და 1885 წლის დასაწყისში ხდება. მოთხრობა გამოქვეყნებულია „კავკასიის შვილების“ პირველ ტომში, რომელიც გამოიცა დრეზდენში 1890 წელს!

არტურ ლაისტმა პირველი გერმანული თარგმანი 1889 წელს დაასრულა და ასევე 1890 წელს გამოქვეყნდა. მაგრამ მან ეს ჩვენთვის კარგად ცნობილი სტროფი სულ სხვაგვარად თარგმნა: *Dein bleibt, was andern du machst zum Geschenke, – Verloren ist, was Du für dich bewahrst.*

მაშასადამე, მოთხრობაში ციტირებული თარგმანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ზუტნერების ოჯახს! ვინაიდან ეს უკვე 854-ე სტროფია, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ზუტნერებმა თითქმის დაასრულეს გერმანული თარგმანი.

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბერტა და არტურ ზუტნერებმა, მეუნარგიას დახმარებით, პირველად თარგმნეს გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“, მთელი ხუთი წლით ადრე, ვიდრე არტურ ლაისტი გამოაქვეყნებდა საკუთარ თარგმანს.

ბერტა ზუტნერი დანაწილებით იგონებს, რომ თარგმანი არ გამოქვეყნებულა (B. Suttner, გვ. 194), ამასვე ადასტურებს მისი ბიბლიოგრაფი, ბ. ჰამანი: „თარგმანზე მუშაობა დაგეგმილზე უფრო დიდ ხანს გაგრძელდა, ამასთანავე, ვერ მოიძებნა წიგნის გამომცემელი. მიუხედავად მათი დიდი მონდომებისა, ეს პროექტი ვერ განხორციელდა“ (B. Hamann, *Kämpferin für den Frieden, Wien, 2015, გვ. 66*).

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ზუტნერებმა დაასრულეს გერმანული თარგმანი.

მოთხრობაში ასევე საუბარია მეუნარგიას კიდევ ერთ ხელნაწერზე: „ეს მისი გერმანული თარგმანი იყო, „კავკასიური ხალხური სიმღერები და ანდაზები“, რომელიც ერთად უნდა დაგვესრულებინა.

– აბა ერთი ამას დაუგდე ყური: *Den Weg nutzen die Schritte ab, den Felsen die Tropfen, den Knaben und die Maid die Blicke!*“. ხომ ლამაზად ჟღერს? (გვ. 16).


ეს კიდევ ახალი თავსატეხი მეუნარგიას უცნაურობებით აღსავსე შემოქმედებიდან! იქნებ ამის გასაღებიც არქივში თვლემს...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოთხრობაში ბერტა საერთოდ არ ჩანს. მისი ბიბლიოგრაფი ბ. ჰამანი გვამცნობს, რომ ამ პერიოდში ბერტა საკუთარ რომანებში ჩაიკეტა, მოგონებებში ჩაეფლო და სამშობლოს ნოსტალგიამ შეიპყრო, არტური კი ყველასთან პოულობდა საერთო ენას და მეუნარგიასთანაც უფრო კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ბერტა მათ შორის ყველაზე კარგად ფლობდა ფრანგულს (B. Hamann, *Ein Leben für den Frieden*, München, 1996, გვ. 87).

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცულია 1885 წლის 23 მარტს მეუნარგიასადმი ბათუმიდან მონწერილი ბარათი, რომელშიც ბერტა ფრანგული თარგმანის 3 სტროფს უგზავნის. ეს ფაქტი, ბ. ჰამანის აზრით, იმას მიანიშნებს, რომ ძირითადი მთარგმნელი ბერტა იყო. იქვეა არტურის გამოსამშვიდობებელი ბარათი, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია არტურის პოლიტიკური მრწამსის ასახსნელად – მას ზოგჯერ რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალობას აბრალებენ:

„ჩემო იონას, შენთან ყოფნას არაფერი ჯობს, მაგრამ ჩემს სამშობლოს მტერი უახლოვდება (იგულისხმება რუსეთი, თ. გ.).

**უნიგნურება... მთავრდება... მეცნიერებით... ხელოვნება... კი... კავკასიაში!** ჩვენი აქ დარჩენა საშიშია, და ეს შეიძლება შენთვისაც საზიანო აღმოჩნდეს. ღმერთმა ქნას ჩვენი შეხვედრა!“



ბ. ჰამანი ასევე აღწერს, რომ სამშობლოში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უსახსრობა იყო. ზუტნერები გაჭირვებაში აღმოჩნდნენ და საქართველოში გატარებულ ბოლო თვეებში მეუნა-



რგიას დახმარებით არსებობდნენ... ესეც აშკარად იკვეთება 1885 წლის 23 მარტის წერილში, რომელიც ქართული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობია:

*ჩემო ძვირფასო იონა, როგორც ხედავთ, ჩვენ ჯერ კიდევ ბათომში ვართ და ეს ზუგდიდის ფოსტის წყალობით – გაცემული ვარ, რომ ზუგდიდში შტუდგარდიდან 7 თებერვალს გამოგზავნილი წერილი 440 ფრანკით დაიკარგა. მე ვთხოვე ბ. პოპიჩს, მიხედოს ამ საქმეს, მაგრამ კარგს იზამთ თუ თქვენც ნათელს მოჰყვნენ ამ საქმეს. მე ვფიქრობ, რომ ფოსტის ძველ მოხელეს აღნიშნული წერილი უბრალოდ მიავიწყდა რომელიმე კარადაში ან სკივრში. თუ მე მისგან მალე არ მივიღებ დამაკმაყოფილებელ ახალ ცნობებს, მაშინ ტიფლისში წავიღებ საჩივარს და იქ დავთრებში ნახავენ თანხა გადმოგზავნილი იყო თუ არა ზუგდიდში. სამწუხაროდ, ვერავინ აგვინაზღაურებს აქ დაკარგულ დროს და სასტუმროში დახარჯულ ფულს. ისევ მიგვიანდება ტიფლისში გამგზავრება-განსაკუთრებით ახლა, როცა ამ მგზავრობისათვის განკუთვნილი თანხა არ მოდის ჩემამდე. მე კვლავ იმედი მაქვს, რომ რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ბილეთის ხარჯი დამეზოგება. თქვენ დიდხანს რჩებით ზუგდიდში? ბათომში ჩვენს სანახავად მოხვალთ? და თუ კი, მაშინ მალე ჩამოდით, დაახლოებით 26 ან 27 რიცხვში, რამეთუ იქნებ ტიფლისში ერთად წასვლის შემთხვევა ვიპოვოთ. ყოველივე კარგი ჩემი ცოლისგან – ჩვენი პატივისცემა ბატონ მამათქვენს და ყველა სიკეთის მომტანს, გულითადი სალამი თქვენ!*

წერილს თან ახლავს ბერტას მიერ შესრულებული რამოდენიმე სტროფის თარგმანი ვეფხისტყაოსნიდან.

ბერტა იგონებს: „ჩვენი გადასახლების დრო დასასრულს მიუახლოვდა. მშობლები მიხვდნენ, თუ რა ბედნიერი ვიყავით ერთმანეთით და... ჰარმანსდორფში მოგვიწვიეს... მართალია ვერც რუსეთის კარზე ვიპოვეთ სამსახური და ვერც ქონება დავაგროვეთ, მაგრამ ჩვენ საკუთარი ადგილი დავიმკვიდრეთ ლიტერატურაში... ამასთან ვგრძნობდით, რომ ჩვენი შემოქმედებითი წყარო საკმაოდ მოზღვავებული იყო“.

ბარონ ზუტნერი ერთ-ერთი ნაწარმოების გმირს უფლებას აძლევს ქართველების შესახებ საბოლოო დასკვნას გააკეთოს:

„თქვენ ბრწყინვალე მოდგმის ხალხი ხართ! მინდა ჩემი ევროპული „მე“ ჩამოვიშორო და დავმარხო, რათა შემდეგ მკვდრეთით აღვდგე როგორც ერთ-ერთი თქვენი თანამემამულე“ (იბერიელი, გვ. 44). სტუმართმოყვარეობის სფეროში ქართველებმა ევროპელებს გაკვეთილები უნდა ჩაგვიტაროთ (გვ. 59).

ეს სიტყვები კი ამავედროულად მისი შემოქმედების რეზიუმეცაა!

არტურ ზუტნერის შემოქმედება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ევროპა, როგორც კულტურული ფენომენი, ყოველთვის იყო საქართველოში.

სამწუხაროდ, უცნობია ზუტნერების მიერ ნათარგმნი გერმანული და ფრანგული ხელნაწერების ბედი. სავარაუდოდ ზუტნერებმა ისინი ავსტრიაში წაიღეს.

აუცილებელია მათი მოძიება, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უცხოური თარგმანია, შესრულებული არტურ ლაისტის თარგმანის გამოქვეყნებამდე ხუთი წლით ადრე!



# ადიქსანდრა ჭიჭღაძე

## სრეულუი დაცეული სინარული...

### შესავალი:

დრო უცნაური ფენომენია, იგი მარადიული კატეგორიაა, მაგრამ ადამიანებს გვეგონია ჩვენ სხვა დროში ვცხოვრობთ, წინაპარნი – სხვაში და მომავალი თაობები ასევე სხვა დროში გააგრძელებენ არსებობას. შევექმენით კიდეც დროის განსხვავებული განზომილებები: წარსული, დღევანდელი და მომავალი, უფრო ფართე გაგებით: მყოფადი, აწმყო და მომავალი. სინამდვილეში კი, დროის ამ ფარდობით შედარებებში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაა ნაგულისხმები. დროს, როგორც მარადიულ კატეგორიას, ნაკლებად აღეღვებს გუშინდელი, დღევანდელი და ხვალისდელი დროის ბედი. სამყაროს უსასრულობას თუ დროში წარმოვიდგენთ, მაშინ, ძალზე გაგვიჭირდება დროის ამგვარი აღქმა.

და მაინც, ადამიანის მიერ შექმნილ მემკვიდრეობას დროში თუ არ დავინახავთ, ნამდვილად გავგიძნელებდებოდა ილიას აზრის გაგება, ყველა თაობას, რომ დაგვიბარა, უნდა ვიცოდეთ, საიდან მოვდივართ, სად ვართ და საით მივდივართ?!

გავბედავ და ვიტყვი, რომ დროს შეუძლია განსაზღვროს კაცთა ცხოვრების სხვადასხვა ეპოქის ზნეობრივი, მორალური, მათი სოციალური არსებობის ნიშნები, ამიტომაც ვამბობთ: ალორძინების ეპოქას, ოქროს ხანას, დიდ ღამეს, დიქტატორულ პერიოდს, ახლა კი მოძალებული დემოკრატიის ეპოქის შვილებად მოგვაქვს თავი. ასეთი წარმოდგენები დროზე, იძლევა შესაძლებლობას დავინახოთ რით ცხოვრობდა, რა ინტერესები, რა ენერგია ამოძრავებდა ამა თუ იმ თაობას განსხვავებულ დროში. სწორედ ესაა ის ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის არსებობის მარადიულ დანიშნულებას, რის გამოც ყველა თაობას არ უნევს ველოსიპედის, ქალაღდის, კომპიუტერის გამოგონება. ერთი სიტყვით, ქართველთათვის გადმოცემული ამირანის ცეცხლი ყველა სხვა წინსვლის განვითარების და წარმატების საწინდარია. სწორედ მემკვიდრეობის შენახვაში, მის თაობიდან თაობაზე გადაცემაში ვლინდება ადამიანთა დროსთან დამოკიდებულება და მისი ისტორიული მისია, რომ შექმნილიდან უკეთესი ღირებულების შექმნა შევძლოთ, ამ იდეის ფრთაშესხმისათვის შეძენილი გვაქვს ისეთი თვისებები, როგორიცაა მემკვიდრეობითობა, ტრადიციები, ზნეობა, მორალი და ყველა იდუმალების მფარველის ღმერთის რწმენა, ფილოსოფიურად კი – გონება, მინიერი და

მარადიული – ზეციური. ამ ფენომენს თუ ღრმად ჩაუფიქრდებით, დავრწმუნდებით: უფალი, რომ არ ყოფილიყო, ადამიანი მას გამოიგონებდა.

ახლახან, ცნობილი გახდა, რომ ერთმა ქველმოქმედმა, ისტორიაზე შეყვარებულმა, პატრიოტმა, მარტყოფელმა კაცმა გიორგი სინჯიკაშვილმა საკუთარი ინიციატივით დაუკვეთა და განახორციელა მარტყოფის ბრძოლის უკვდავი გმირის, ამხედრებული ქართული ჯვრიანი დროშით, ხმალშემართული გიორგი სააკაძის ძეგლის დადგმა, გულმა არ მომითმინა და ჯერ კიდევ მოპირკეთების პროცესში მყოფი სააკაძის ძეგლი მოვინახულე. სინარული დამეუფლა და სინანულის ფარული გრძნობაც გამიჩნდა, რომ 1625 წლის 25 მარტს, ხარება დღეს ამ ვაჟკაცს, ქართველთა ბედის გადამწყვეტ ბრძოლაში არ ვახლდი, ასევე არ ახლდნენ ჩემი კუთხის, სამხრეთ საქართველოს, გულანთებული მამულიშვილები, ოსმალეთის იმპერიის უღელქვეშ მყოფი თაობა.

გამახსენდა 1990 წელს, აპრილის თვეში, როცა აჭარიდან გარდაბანში, მარტყოფთან ახლოს, სოფელ ვაზიანში წამსვლელ ეკომიგრანტების დიდ ჯგუფს მოვუძღვებოდი, წინა დღეებში, რაიონული გაზეთ „დროშით“ მათ ვახსენებდი: ჩვენ მივდივართ სისხლით გაპოხილ მიწაზე, რომელსაც ახსოვს მარტყოფი, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ იქ არ ვიყავით, ახლა კი მათი სიცოცხლის იდეას უნდა ვემსახუროთ-მეთქი.

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, საქართველოა ქვეყანა, სადაც ქართველი ცხოვრობს, ანუ იგი ერთი ეროვნული ოჯახების ერთობლიობაა, მიუხედავად მათი კუთხური თავისებურებებისა. ისტორიულად მტერთა შემოსევებით შეჭირვებულ კახეთს, იმერეთი, ქართლი, მესხეთი იფარავდა, ოსმალეთისაგან დევნილ მესხთა თავშესაფარი კი აღმოსავლეთ საქართველო იყო. ეს ომიანობის დროს, მშვიდობიანობის ჟამს, გადასახლების ამგვარ მასშტაბებს მისი წინაპირობა გააჩნია, და მას ჰყავს მამულიშვილური ქმედების და კონკრეტული მიზნების, ამოცანების გადაწყვეტის ინიციატორები, რომელთა ქმედებების შეფასება მხოლოდ ისტორიის ვალია, რათა თაობებმა იცოდნენ რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი ჩვენს უახლოეს წარსულში და რა მიდგომები მართავდა ამ ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ თავისი ხასიათით ისტორიულ და ადამიანთა ბედის გადამწყვეტ ურთულეს პროცესებს, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მტკიცეულ მოვლენას.

ამ თემის ირგვლივ მკითხველს უნდა მოვახსენოთ აჭარის და მისი სოციალური მდგომარეობის, გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ არსებულ ვითარებაზე.

### ძირითადი სათქმელი:

აღნიშნული თემა მოითხოვს ღრმა მეცნიერულ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ კვლევას, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მოიძიება სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში. ჩვენი მიზანი არ გახლავთ ამ თემის გაღრმავება, ან შევსება, მიზანია მკითხველს მოვუთხროთ ის შთაბეჭდილებები, განცდები, მოვლენების განვითარების პერიოდულობა, რომელიც დანახულია უშუალოდ მონაწილის თვალთ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფორმირებას და სამხრეთ საქართველოს, ამ ისტორიული რეგიონის, დღევანდელ საქართველოსთან სისხლხორცეულ ურთიერთობას თავისი ბედი ჰქონდა, რომელიც განპირობებული იყო თვით საქართველოს მდგომარეობით, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მას განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებოდა. ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი სამხრეთ საქართველოდან, იგივე მესხეთიდან იწყება, ბაგრატიონთა მეფობის 1000-წლიანი ისტორიის სამკვიდრო სამხრეთ საქართველო იყო, შემდგომში ქრისტიანობის, როგორც სახელმწიფოს ერთიანობის იდეოლოგიური ღერძი, აქ იწყებს ბრუნვას და მართლმადიდებლობის მაღლი სამხრეთ საქართველოდან გვეწვია.

ჩვენს მეზობლად, ოსმალეთის იმპერიის აღზევებამ, მეზობელი სპარსეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ ხანგრძლივი პერიოდით შეაჩერა ქვეყნის ბუნებრივი განვითარების პროცესი, ოქროს ხანის საქართველოს ტერიტორია ითვლიდა 12 ათას კვადრატულ კილომეტრს, დღეს იგი 5.9 ათას კვადრატული კილომეტრია, საქართველოს ტერიტორიის მესამედი თურქეთის რესპუბლიკის საკუთრებაშია, ასევე 300 წლის განმავლობაში ოსმალეთის მმართველობის ქვეშ იყო დღევანდელი აჭარა და მესხეთ-ჯავახეთი.

ცრემლით, სისხლით განვლილ ამ ავბედითი პერიოდის შემდეგ სამხრეთ საქართველოს ნაწილი აჭარა და სამცხე-ჯავახეთი დედა საქართველოსთან აგრძელებს ცხოვრებას, აჭარა ავტონომიური რესპუბლიკის სახით, რაც გასული საუკუნის 20-იან წლებამდე მოღვაწე ამ კუთხის მამულიშვილთა და ენერგიადაცლილი მაშინდელი საქართველოს ერისშვილების რუდუნებითა და ძალისხმევით მოხდა, რის შედეგადაც დღეს აჭარას, განსაკუთრებით ზემო რეგიონს აღარ მოვიხსენიებთ, როგორც ზემო ქართლად, არადა, როგორ მძივივით იყო აწყობილი ქვეყნის რეგიონალური მონყობის სტრუქტურა, შიდა ქართლი, გარე ქართლი და მესხეთი – ზემო ქართლი.

ავტონომიას, როგორც ქვეყნის ადმინისტრაციული მონყობის ფორმას, დღევანდელი გადმოსახედიდან მტრის ხელით შექმნილ სტრუქტურულ ერთეულად აფასებს ცალკეული მკვლევარი, რომელსაც ნელად მოქმედი ნაღმის ფუნქცია უნდა შეესრულებინა ქვეყნის საბოლოო ბედის გადაწყვეტაში და გასული საუკუნის 90-იანი წლების პროცესებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ოლქის მაგალითზე, ეს სიმართლე თვალნათლივ დაგვანახა.

აჭარაში მსგავსი პროცესები არ განვითარებულა და იგი დარჩა იმის მაგალითი, რაც მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობითა და რუდუნებით, მის თანამებრძოლებს ჰქონდა ჩაფიქრებული, დედა საქართველოსთან ავტონომიურ ერთეულად დარჩენა და ერთიანი ქართული სულის შენარჩუნება. თუ რატომ არის დღეს მისი არსებობა გამართლებული, ეს ცალკე პოლიტიკური თემაა და სხვა მიდგომებს და შეფასებებს საჭიროებს.

ფაქტი კი ისაა, რომ აჭარა ამ ხნის განმავლობაში ავტონომიური ტერიტორიის საზღვრებში, მისი საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადმინისტრაციული მონყობის დამკვიდრებულ სტრუქტურაში ცოცხლობს, როგორც ქვეყნის განუყოფელი ნაწილი და მისი ერთიანობის შეურყეველი სიმბოლო, რასაც გაფრთხილება და მოვლა სჭირდება, თორემ 100 წლის წინათ ქართველების გარეშე გაფორმებულ ყარსის ხელშეკრულების ავბედითი ზრახვებით დღესაც შეგვახსენებენ თავს.

უშუალოდ ავტონომიის პირობებში აჭარა თავისი ეკონომიკით, კულტურით, სოციალური მდგომარეობით, ქვეყნის სხვა რეგიონებთან მიმართებით სრულ ჰარმონიულ ურთიერთობაში ვითარდება. თუმცა მისი ადმინისტრაციული მონყობის ეს არსი თანდათან მძიმე სოციალურ ტვირთად დაანვა თვით აჭარას.

ეკონომიკის განვითარების ფონზე ათვისებულ იქნა ჯერ ქ. ბათუმის, შესაბამისად, აჭარაში შემავალი რაიონების რესურსები: მინა, ტყე, საძოვრები და ა.შ. რესურსები კი თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე ზემო აჭარის რაიონებს, ქედა, შუახევი, ხულო განსხვავებით ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების შედარებით ნაკლები გააჩნდათ.

ეს პრობლემა უფრო მეტად გამოჩნდა მზარდი დემოგრაფიული მაჩვენებლების ფონზე. მაგალითისათვის, შუახევის რაიონში, 1970-1990 წლებში მოსახლეობის რაოდენობა არ გაზრდილა 26000 სულამდე, ეს მაშინ, როცა ყოველწლიური ბუნებრივი მატება 600-800 სულს შეადგენდა. გაძნელდა ოჯახების გამრავლების ფონზე მათი გაყოფის, ცალკე კომლად განაწილების საკითხი. ავტონომიის მაშინდელი ხელმძღვანელობა კი მის გადაჭრას, პირველ ეტაპზე, ახერხებდა ავტონომიის ადმინისტრაციულ ფარგლებში, გასული საუკუნის 50-იან წლებში ამის მოგვარებას შეუდგა მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელი, გამორჩეული მამულიშვილი, დავით მამულაძე, რომელმაც

ფეხით შემოიარა ამ პრობლემის წინაშე მდგარი სოფლები და დაარწმუნა ადამიანები, რომ მათი ქობულეთსა და ხელვაჩაურში ჩასახლება იყო მთის მცხოვრებთა განტვირთვის, გადარჩენის გზა და მომავლის ერთადერთი პერსპექტივა.

ამ გზით ჩამოსახლდნენ ზემო აჭარის სხვადასხვა სოფლებიდან ხელვაჩაურის რაიონში ახალსოფელში, ჭარნალში, თხილნარში, ნაწილობრივ გონიოში, ახალშენში, წინსვლაში, ყოროლისთავში, ქობულეთის რაიონში, ციხისძირში, ბუკნარში, ჩაქეში, დაგვაში, ბობოყვათში, კვირიკეში და რიგ სხვა სოფლებში.

ეს იყო მთიანი რეგიონის სოციალური და ეკონომიური პრობლემის გადაწყვეტის სწორი, სახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგი. ეს პროცესები განხორციელდა ისე, რომ კომლთა რაოდენობა ზემო აჭარაში არ შემცირებულა. მოქმედებდა სკოლების, კულტურის სახლების, საავადმყოფოების და მეურნეობის განვითარებადი სტრუქტურები, უფრო მეტიც, დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე და მის შედეგებზე ამას უარყოფითი ზემოქმედება არ მოუხდენია.

ქ. ბათუმი, როგორც მუდმივად განვითარებადი ეკონომიური ცენტრი ნაკლებად იყო ამ პროცესებში ჩართული, რადგან მოქმედებდა ჩანერის, სასაზღვრო რეგიონებში შესვლა გამოსვლის მკაცრი საპასპორტო რეჟიმი, თუმცა მაშინდელმა ხელმძღვანელობამ აქაც გამოავლინა მზრუნველი დამოკიდებულება და ქალაქის მოსახლეობის გაფართოების, ბარაკებისაგან ქალაქის განმედიის პოლიტიკაში გააერთიანა მთის რაიონების სოციალური პრობლემაც და მშენებლობებზე – კერძოდ, №5 სამშენებლო ტრესტში, სამშენებლო სამმართველოებში ჩამოყალიბებულ ბრიგადებში, უპირატესობა მთის მცხოვრებთა წარმომადგენლებს მიანიჭა, იმ პირობით, თუ ისინი დათანხმდებოდნენ მშენებლობაზე, მათ მიერ აშენებულ სახლებში მიიღებდნენ საცხოვრებელ ბინებს, ასეა შექმნილი ანგისის, ე. წ. პივზაოდის, დღევანდელი ტაბიძის, და ხელვაჩაურის ქალაქის დასახლება, სადაც ფუნქციონირებდა ხელვაჩაურის სახლმშენებლო კომბინატი.

აჭარის ავტონომიის დედაქალაქს ქ. ბათუმს, და განსაკუთრებით, ზღვისპირეთს, ეკონომიური პერსპექტიულობის გამო, გარდა ადგილობრივი მკვიდრებისა, ჩვენი ქვეყნის ბევრი უახლოესი რაიონისა თუ შორეული მსურველებიც ჰყავდა, რის გამოც ზემო აჭარიდან აქ ჩასახლება შეზღუდული იყო, შესაბამისად წლების შემდეგ ზემო აჭარაში განსახლების პრობლემა კვლავ იჩენდა თავს, ამას დაემატა ცხოვრების დონის გაუმჯობესების ფონზე, უკეთესი სოციალური, საყოფაცხოვრებო, მატერიალურ ინტერესებზე მორგებული ცხოვრების მოწყობის ბუნებრივი სურვილი, რაც თავს იჩენდა იმაში, რომ შრომის განაწილების ერთიანი პრინციპის ფონზე ანაზღაურება თვალსაჩინოდ განსხვავებული იყო. მთაში მძიმე, ხანგრძლივ და თითქმის მონოკულტურულ შრომას ის შედეგი, ეკონომიური ეფექტი არ ჰქონდა, რაც ქ. ბათუმის და აჭარის ბარის რაიონებში.

ამ პრობლემის გადაწყვეტას უდიდესი მეცნიერული შრომა მიუძღვნა ამ კუთხის თვალსაჩინო მეცნიერმა ვახტანგ პაპუნიძემ, რომელმაც ავტონომიის ხელმძღვანელის რანგში, გამოიყენა მისი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სტატუსი და მიაღწია იმ გადაწყვეტილების მიღებას, რომ მომგებიანი მეურნეობების ხარჯზე, წაეხალისებინათ ეკონომიურად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ზემო მთიანი რეგიონები. ბევრმა არ იცის, მაგრამ ამ ღონისძიების შედეგად ხელვაჩაურსა და ქობულეთში ნაწარმოები რენტაბელური სასოფლო სამეურნეო კულტურების თითოეულ კილოგრამზე დაწესებული იყო ფასდაკლება, რომლითაც იქმნებოდა სპეციალური ფონდი და მისგან ზემო რაიონებს ერიცხებოდათ. ფასდანიშნის სახით გამოთანაბრების ამ პრინციპმა ახალი ეკონომიური შესაძლებლობა გაუჩინა მთას, მის ინფრასტრუქტურას, განათლებას, კულტურას, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის მდგრადობას, სოფლების განვითარებას და ეკონომიკის ამაღლებას უწყობდა ხელს, თუმცა ეს კიდევ სხვა საკითხია და ცალკე შესწავლისა და მსჯელობის საგანია.

დავსძენ ერთს, რომ მთაში მცხოვრები ადამიანთა უმეტესობა უკვე მის მომავალს უყურებდა არა მარტო თავისი ღობის საზღვრიდან, არამედ ქვეყნის საერთო პერსპექტივებიდან და გაზრდილი

მოთხოვნებიდან გამომდინარე, რის აღსრულებაც პირობების შეცვლის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ საკითხს კარგად იცნობდა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციაც, მისი ხელმძღვანელი, მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების თითქმის შეუცვლელი თავკაცი, სახელოვანი პოეტი ფრიდონ ხალვაში, რომელმაც 1962 წელს ქ. თბილისში გამართულ მწერალთა ყრილობაზე დასვა საკითხი აჭარიდან ჭარბი მოსახლეობის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მის უახლოეს რეგიონებში სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და იმერეთში ჩასახლების თაობაზე.

აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირა მაშინდელმა რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, რის საფუძველზე დღეს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნაწილობრივ ნინოწმინდის, გურიის რაიონების სოფლებში ცხოვრობენ ზემო აჭარიდან ჩამოსახლებული ოჯახები.

ამ მოვლენას უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა რესპუბლიკის მეცნიერის, შემოქმედებითი ინტელიგენციის მხრიდან. თითქმის გათითოვებული მესხეთის ადგილისათვის გადადგმულ ამ ნაბიჯს შემდგომში გამოეხმაურა რეზო ჩხეიძე მისი ერთობ საინტერესო მხატვრული ფილმით „რაიკომის მდივანი“, იგივე „მშობლიურო, ჩემო მიწავ“.

მთას თავისი ცხოვრების წესი გააჩნია, რაც გამონვეულია გეოგრაფიული, კლიმატური, ბუნებრივი პირობებით, მასზე ზეგავლენას ახდენს ზღვიდან აჭარის წყლის ხეობისკენ მომართული თბილი ჰავის ნაკადი, ე.წ. შავი ზღვის ჰავის ბასეინი, რომელიც 600-700 მეტრს ზემოთ ერწყმის შედარებით ცივ ჰაერს და ზაფხულის სასიამოვნო, ოდნავ ნოტიო ჰავა 1000 მეტრს ზემოთ, ზამთარში ინვეს უხვთოვლობას. აქ ზამთარი ხანგრძლივია, ნაკლებად ყინვიანი, მაგრამ ძალზე უხვთოვლიანი, ამ ბუნებრივ პროცესს კი ადამიანის ხელი ვერ მართავს, იგი ინვეს ზეგავლენას, ახალ გაზაფხულზე კი ღვარცოფებსა და მდინარეთა ადიდებას. ცალკეულ ოჯახებს და სოფლებს, ისევე ადამიანის ხელით ბუნების დაუნდობელი გამოყენების გამო, ექმნება ეკოლოგიური პრობლემები, 1972 წლის თებერვალში უხვთოვლობით გამონვეულ ზეგავებს 49 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 1989 წლის 19 აპრლის ხულოს რაიონის სოფელ ნაბლანაში მენყერმა მთლიანი სოფელი დაფარა და 19 ადამიანი შეიწირა. მენყერით ჩაკეტილი სხალთის მდინარის კალაპოტში ჩაყენებას გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება დასჭირდა, მაგრამ მის ქვემოთ, 15 კმ-ში, ვერც ერთი ხიდის შენარჩუნება ვერ შევძელით. ტრაგედია იმდენად შემამოფოთებელი იყო, რომ ხალხის ნუგეშისცემისათვის ქვეყნის პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ადგილზე აღასრულა მიცვალებულთა პარაკლისი და კუთხე შეავედრა უფალს. ჩვენ კი შუახევში გავხსენით მათი უკვდავყოფის სკვერი წყაროთი, რომლის არქიტექტურა და მშენებლობა მირიან ზოიძემ და გურამ აბაშიძემ ითავეს. ამ წყაროზე გამოსახული ჯვარი, ხსოვნის ადრესატი და შთაგონება: „ბუნება ჩვენშია და ჩვენ მასში, ცოცხლებიც მისნი ვართ და მკვდარნიც“. გაფრთხილებაა თაობებისათვის.

ხანგრძლივი ზამთრის პირობებში თოვლის საფარს ხის სახლების უდიდესი ნაწილი ვერ უძლებს და საჭიროებს პერიოდულ გადმოთოვლას, ამას ემატება უგზობობა და მისგან გამონვეული პრობლემები, ყოველივე კი ამძიმებს აქ მცხოვრები ადამიანების ყოფას.

80-იანი წლების ბოლოს ეროვნულმა მოძრაობამ ყურადღება გადაიტანა ქვეყნის შიდა ეროვნულ პრობლემებზე, მათ შორის იმ რეგიონებზე, რომელიც ჩვენი ავბედითი ისტორიის წყალობით ვეღარ პასუხობდა იაკობის სურვილს: საქართველოა ქართველთა საცხოვრისი. მათ ადგილებზე დაინყეს მისვლა იმ მიზნით, რომ გამოენახათ მსურველები, ახლა უკვე, აჭარლების საქართველოს შიდა რეგიონებში ჩასასახლებლად, განსაკუთრებით იქ, სადაც ქართული სულის დეფიციტი იყო.

განსახლების საკითხი ისედაც აქტუალური იყო, მაგრამ აჭარის მთიანეთიდან სულ სხვა გარემო პირობებში, სხვა ყოფით ურთიერთობებში მუდმივად წამსვლელი ნაკლებად მოიძებნებოდა.

ამ პერიოდში სტიქიის გამო დიდი უბედურება დაატყდა სვანეთს, პირველად ჩვენ ცნობიერებაში გაჩნდა ტერმინი ეკომიგრანტი. საქართველოს ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და მინისტრთა

საბჭომ 1989 წლის 9 ოქტომბერს მიიღო დადგენილება №497, ხოლო 1990 წლის 10 აპრილს მეორე დამატებითი დადგენილება – №179 ეკომიგრანტების განსახლების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, სადაც სვანეთთან ერთად მოხდა მთიანი აჭარაც. განისაზღვრა საქართველოს 41 რაიონში სავარაუდო ჩასახლების ლოკაციები, აჭარიდან ეკომიგრანტებისათვის სახელმწიფოს ხარჯით უნდა აშენებულიყო 1997 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, თითოეულს უნდა გამოყოფოდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და სამეურნეო დანიშნულების მიწა, აღნიშნული დადგენილებებით განისაზღვრა განსახლებელი ოჯახების შემდეგი რაოდენობა მისაღები ადგილების შესაბამისად, კერძოდ ახალქალაქს უნდა მიეღო 138 ოჯახი, ბოგდანოვკის რაიონს – 102, მარნეულს – 392, ბოლნისს – 247, სიღნაღს – 147, ლაგოდეხს – 53, ყვარელს – 117, საგარეჯოს – 142, გარდაბნის რაიონს – 282, მათ შორის სოფელ ვაზიანში – 110 ოჯახი, კრწანისში – 75, ხოლო მუხროვანში – 47, ხონის რაიონს – 332, წყალტუბოს ზონას – 110, გორს – 112, ქარელს – 147, თერთინყაროს – 95, ხოლო ვანს – 160. ადგილობრივ ხელმძღვანელობას მიეცა შესაბამისი დავალებები, მთის რეგიონებში გვენვივნენ ამ პრობლემის განსახილველად ხელმძღვანელები, რესპუბლიკის პირველი პირი ჯ. პატიაშვილი, აჭარის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მსურველთა აღრიცხვის, მათი რეალური პირობების შესწავლისა და თითოეულ ოჯახზე გეოლოგიური დასკვნის გაცემის თაობაზე, ამის საფუძველზე აჭარის გეოლოგიური სამსახურის უფროსის ტ. ტუსკიას სამუშაო ადგილად განისაზღვრა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები.

ამ პროცესს მიეცა ორი მიმართულება, თუ ვინმე ინდივიდუალურად გადაწყვეტდა აჭარის ფარგლებს გარეთ მისთვის სასურველ რეგიონში ჩასახლებას, მას ამის ყველა პირობა ექმნებოდა, ასე გაშენდა პატარა ფოთი და სამეგრელოს ცალკეულ რაიონებში გაჩნდა აჭარელთა ოჯახები. კომპაქტური დასახლებისათვის კი გამოიყო კახეთის ზონის რაიონები და მარნეულის რაიონის სოფლები: დიოკნისი, შაუმიანი, მოგვიანებით წინწყარო.

მთავრობის პირვანდელ დადგენილებაში აჭარისათვის გარდაბნის რაიონში განსახლების ზონები არ იყო გამოყოფილი, მაგრამ იქ მოღვაწე ქემმარიტი მამულიშვილების ინიციატივით დასმული იქნა საკითხი, რომ გარდაბანიც შეძლებდა რაიონის ბიუჯეტის ხარჯზე აჭარლებისთვის კომპაქტური ჩასახლების უზრუნველსაყოფად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენებას, უფრო მეტიც, ცალკე სოფლების მშენებლობას. ამ მიზნით გვენვივნენ რაიონში სიყრმის მეგობრები: – გარდაბნის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მერაბ ზამბახიძე, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ფირცელაიშვილი. ასე გაჩნდა მინისტრთა საბჭოს მეორე დადგენილების მიღების საჭიროება, რომელმაც საფუძველი შექმნა ისტორიულ სოფელ ვაზიანში, რომელიც დაცლილი იყო, ფაქტობრივად, ახალი სოფლის, ვაზიანის მშენებლობისათვის. პროცესი დაიწყო, ამ საქმეში დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა გარდაბნის მაშინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ოთარ ბოკერიამ.

ესოდენ საერისკაცო და საქვეყნო საქმის აღსრულებას უშუალოდ წასვლის სურვილის მქონე ოჯახებიდან ორგანიზატორები, ინიციატორები უნდა ჩადგომოდნენ. ეს პასუხისმგებლობა იკისრა ჭვანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ დემური ქათამაძემ, ს. გოგაძეების საშუალო სკოლის პედაგოგმა ნანული ჯაფარიძემ, უჩამბის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ შოთა ბერიძემ, ოლადაურის საბჭოს სწორ ორიენტირს აძლევდა ამ სოფლის მკვიდრი, რაიონის აგროკომპლექსის მაშინდელი თავმჯდომარე შოთა მაკარაძე, რომელიც პირადი მაგალითით დღევანდელ კრწანისის უბანში აჭარლების ჩამოსახლების ინიციატორი გახდა.

ასე შედგა იმ მსურველთა სია, რომლებმაც სხვა რეგიონებთან ერთად გარდაბანში სოფელ ვაზიანში და კრწანისში, იგივე გიგანტში ცხოვრება გადაწყვიტეს.

შუახევის და ხულოს რაიონის ხელმძღვანელებმა, შუახევის პარტიული ორგანიზაციის პირველმა პირმა იოსებ ხიმშიაშვილმა, ხულოში ბესიკ შაინიძემ, აღმასკომის თავმჯდომარეებმა ვლადი-

მერ მამულაძემ და ტარიელ ნიჟარაძემ შეთანხმებით შეიმუშავეს პირობები განსახლების ორგანიზებულად წარმართვისათვის, რომელიც გულისხმობდა კომლად გაყოფის პროცესს, გაუქმების შემთხვევაში კომლის გაუქმებას, პირადი საკუთრების განკარგვაში ხელისშეწყობას, საბანკო ანგარიშსწორებას, საკოლმეურნეო ვალდებულებებიდან განთავისუფლებას, სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლის პირობების გადანყვეტას და ბევრ სხვას.

პროცესის წარმართვის მთავარი მიზანი იყო, ეკოლოგიური რისკების შემცირება, სოციალური პრობლემის გადანყვეტა და რაიონის ეკონომიკური, ადამიანური რესურსის შენარჩუნება, მდგრადი დემოგრაფიული წონასწორობის დაჭერა. ყველა ეს პრობლემა ერთობლიობაში მოითხოვდა ან-მყოში, უახლოეს მომავალში და პერსპექტივაში გამართლებული გადანყვეტილებების მიღებას.

დაიგეგმა მსურველთა სოფლებში შეხვედრები, ადამიანებთან დიალოგი მათი ცხოვრების ბედის გადანყვეტის თაობაზე, იმედიანი განწყობილების შექმნაზე, მამა-პაპისეული სამკვიდროს შენარჩუნების აუცილებლობაზე, ამ საკითხების ერთჯერადი, ნაჩქარევი გადანყვეტილებების მიღების გარეშე განხორციელებაზე.

შედგა წარმომადგენლობითი დელეგაციები და რაიონის ორგანიზებით ქვეყნის რეგიონებში მონახულებულ იქნა მომავალი ჩასახლებისთვის მონიშნული სოფლები. შედეგები განიხილებოდა მსურველთა მონაწილეობით რაიონულ რგოლში, სხვა არ იტყვის, მე კი საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა, კახეთში მედიკო მეზვრიშვილმა რაიონის თავკაცებს უხმო და დაავალა, აჭარლები თუ გადანყვეტენ ჩვენთან მუდმივ თანაცხოვრებას, ჩვენი ვალია საკუთარი ბინებიც კი დავუთმოთ, მათ ისიც ეყოფათ, როცა უჭირდათ, ისტორიული უბედურების ჟამს, ვერ დავეხმარეთო.

მე დამევალა მეხელმძღვანელა გარდაბანში სოფელი ვაზიანის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, მსურველთა წინასწარ ჩაყვანა-დაბინაებაზე და მათი შემდგომი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე. ასე გახდა გარდაბანი ჩვენი რაიონის განუყოფელი ნაწილი.

გარდაბნის რაიონულმა ხელმძღვანელობამ თავდაპირველად სოფელ ვაზიანთან ახლოს, სოფელ სართიჭალაში საცხოვრებელ სახლში განათავსა 67 ოჯახი, რომლებიც მონაწილეობდნენ მათი მომავალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში, რაც მათთვის ერთგვარი ადაპტაციაც და საკუთარი სახლის მშენებლობით გამოწვეული სიხარულიც იყო.

ჩამოსახლების დღეს, 1990 წლის აპრილში, შუახვევის რაიონის ხიჭაურის ცენტრალურ გზაზე, ტაკიძეებისა და ხიჭაურის ისტორიული ციხე-სიმაგრეების შუაში გაჩერდა გადასახლების მსურველთა 54 ერთეულისგან შემდგარი ავტოკოლონა, თითო სადღეგრძელო ითქვა ჩამავალი მზის ფონზე აჭარის მთის და ცრემლნარევი სიხარულით მომავალი სამკვიდროსი, სოფელ ხაბელაშვილების თავკაცის ნოდარ ბოლქვაძის მიერ დამზადებული გრანიტის ჯვარდასმული ლოდი სიმბოლურად განვითავსეთ ვაზიანის ტრიალ მინდორზე, „აქ აშენდება სოფელი ვაზიანი, აჭარის შვილთათვის“.

მშენებლობის პროცესში შეხვედრები გვექონდა მუხროვანის შრომა გამასწორებელი კოლონიის ხელმძღვანელ რემალ ლეკიშვილთან, აღნიშნული დანესებულება განსაკუთრებული ზონა იყო და შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებრივ საკუთრებას წარმოადგენდა. ბატონი რემალი ჩვენს პრობლემებს მამულიშვილური გულისტკივილით მიუდგა და გამოთქვა სურვილი მის საუწყებო ტერიტორიაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე კომლის ჩასახლება. მისი ინიციატივით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს წინადადება მოიწონა და ოპერატიული გადანყვეტილება იქნა მიღებული, მუხროვანში 47 კომლის მიღების თაობაზე, რაც დამატებით შეტანილი იქნა მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში.

ვაზიანთან ერთად, შედგა სიები აქ ჩამოსახლებულთა მსურველებისა, რის შედეგადაც შუახვევის რაიონის უჩამბის სასოფლო საბჭოს სოფლების, კვირიაულის, ტბეთის, ვახტანგიძეების და ხულოდან რამდენიმე ოჯახი დღეს აქ ცხოვრობს, მათი რაოდენობა 80 ოჯახს აჭარბებს. ყოფილი კოლონია იქცა ქართულ სოფლად, ბატონი რემალ ლეკიშვილი, ყოფილი დირექტორი კი მის შემოქმედად.



დროზე მოგახსენებდით, ასეთი მოვლენები დროში ფასდება, თაობები გაიზარდნენ, ბევრი პოლიტიკური მოღვაწე გახდა, ბევრიც ბიზნესმენია, უმრავლესობა ნელგამართული უძღვება ოჯახებს, მთავარი კი ისაა, რომ სოფელ მუხროვანში აღმართულია წმ. ანდრიას სახელობის ეკლესია და მწირველთა სიმრავლით გამოირჩევა. ხოლო იქვე სამარადისო სამკვიდროში, სასაფლაოზე, აჭარლებთან ერთად განისვენებს მეზობლად მცხოვრები აზერბაიჯანელი, ანდერძის მიხედვით, რომ დაუკრძალავს ოჯახს. აი, მაგალითი ეროვნული საქმის დადებითი შედეგისა.

გავადევნოთ თვალი მაშინდელ პროცესებს, საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი შავი კარკასის ფორმით ორ წელიწადში დასრულდა, ზოგის დამთავრება შეცვლილი პოლიტიკური მოვლენების გამო ვერ მოხერხდა, თუმცა ხელშეწყობით ყველა დასრულებულია, ვაზიანსა და მუხროვანში ხარობს ვაზი, ნიგოზისა და ხეხილის ბაღები, ფუნქციონირებს საშუალო სკოლა. არის ქორწილები და ტირილებიც, რომლებიც მეზობლად მცხოვრებ აზერბაიჯანლების გარეშე იშვიათად თუ ჩატარდება.

მიზანი მიღწეულია.

საგულისხმოა ისიც, რომ ახალი თაობა ინტერესს იჩენს აჭარაში მამა-პაპისეული მიტოვებული სახლებისა და ეზო-კარისადმი, ბევრმა აჭარაში აღადგინა საცხოვრისი და ზაფხულის ცხელ დღეებში იქ ირჩევს ყოფნას. უკან დაბრუნება კი დღემდე არავის უფიქრია.

დღევანდელი „აჭარელი-გარდაბნელები“ ველარ შექმნიან წინაპრის ტკივილიან სევდას: წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა, ალვის ხის ჩამონათალიო, მაგრამ თამამად გააგრძელებენ გოგლას შეძახილს:

დაემკლავება ათას ქარიშხალს,  
 უღვინოდ კოცნაც არ მოხდებოდა,  
 ვაზმა არ იცის რა მტევანს ისხამს,  
 თორემ მიწიდან ამოხტებოდა.

აჭარას დღეს სხვა სატკივარი გაუჩნდა, სოფლების გაუჟაცურების, დემოგრაფიული რეგრესის, სამურნეო ცხოვრების მოშლის, განათლების კერების შემცირების და ა.შ.

აქაც ეროვნული პოლიტიკაა შესამუშავებელი, მთის სოფლების, განსაკუთრებით სასაზღვრო სოფლების სტატუსი, ეკონომიკური და სოციალური პროგრამებია შესამუშავებელი, სოფლის ბუნებრივი რესურსები: მიწა, წყალი, ტყე უნდა ეკუთვნოდეს აქ მცხოვრებთ, ყოველგვარი ადმინისტრაციული და ავტორიტარული ჩარევის გარეშე, შენარჩუნებულ იქნეს მთის მცხოვრებთა თავისუფალი სული, ბუნებასთან მისი სიახლოვის დაცვის ყველა მექანიზმით, რათა მომავალში ქვეყანას კვლავ მიეცეს სულიერი და ფიზიკური განმტკიცების საშუალება.

უკვდავყოფაზე უნდა აღვნიშნო, ხვალ ახალ გაშენებულ სოფლებშიც შეაღწევს ურბანიზაციის სული, მოხდება ქუჩების განაშენიანება, სოფელ ვაზიანს და მუხროვანს ეკუთვნის უკვდავყოს მათი აშენების ინიციატორების მერაბ ზამბახიძის და რემალ ლეკიშვილის სახელები. ეს ისე, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო.

ამ ისტორიის გაგრძელებაა ისიც, რომ დღეს მთლიან საქართველოს ასეთი განცდა სჭირს, თითქოს ჩვენი მიწა ველარ გვივლის და მილიონობით ქართველი საზღვარგარეთ მიეშურება, ქვეყანა კი ევროპაში შესვლისთვის ასკდება ბებერი ევროპის კარებს, რომელსაც ნაკლებად ესმის ჩვენი ნუხილისა. ვნახოთ, გარეთაც თუ ისე გადაწყდება ეს პრობლემა, როგორადაც მას უახლოეს წარსულში შიგნით ვუვლიდით, მაგრამ ამასაც ჯერ საკუთარი მამულისათვის და მოსალოდნელი სიხარულის გამო ცრემლი სჭირდება, სწორედ, ამ ცრემლის დეფიციტია დღეს!

ქ. თბილისი, 2023 წლის მაისი



# პორიანა პახაჭაძე


## „NONFICTION“ ქანრის ერთი გამორჩეული ნიმუში

(ნიაზ ზოსიძის „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“)

„ქართულად არ ილაპარაკებ, რაის გურჯი ხარ?“

ჩვენებური ნენე

„ახლა სიკვდილი არ შეიძლება“ – ასე ჰქვია ნიაზ ზოსიძის 2020 წელს დაბეჭდილ წიგნს, რომელმაც ჩვენი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, თავისი ჟანრობრივი თავისებურებით მიიპყრო. საქმე ისაა, რომ ეს არის საკმაოდ ეკლექტიკური კრებული ჩანახატებისა, ნოველებისა, მინიატურებისა და, წარმოიდგინეთ, მცირე სამეცნიერო კვლევებისა. ამასთან, ის იტევს აჭარის ლამის ოთხსაუკუნოვან ისტორიას, მაგრამ მასში ვერ ნახავთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულ ფაქტებს ან ისტორიულ პირებს. ამას ემატება ისიც, რომ ავტორი მოთხრობილი ამბების უცვლელი მონაწილეა, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, ფაქტობრივად, ყველა ამბავი მწერლის სუბიექტური აღქმის პრიზმაშია გადატანილი, ყველა მოვლენა და მოქმედი პირი მისი ემოციური შეფასებისა და განსჯის ობიექტია. თუმცა, იმავდროულად, შემოქმედი მკითხველს არ აძლევს საშუალებას, რომ დაივიწყოს: ეს ყველაფერი რეალურად მომხდარი ამბავია, არ აქვს მნიშვნელობა, გუშინ, გუშინდინ, ერთი წლისა თუ ერთი საუკუნის წინ, მაგრამ ნამდვილად მომხდარი ამბავია.



რა შეიძლება ეწოდოს ამგვარ ტექსტს? რა თქმა უნდა, მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში, რომელსაც დღეს სხვაგვარად „Nonfiction“-ის ჟანრსაც მიაკუთვნებენ. მასში რეალურად მომხდარი ამბები, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „ლირიზმ-პათეტიკა-სენტიმენტალიზმის“ ნაზავითაა გადმოცემულ-შეფერილი [ზოსიძე ნიაზ, „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“, გამ. „მერიდიანი“, თბ, 2020:4; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს].

ამერიკელი მალკოლმ გლადველი სვამს კითხვას: რა არის „Nonfiction“ და თავადვე პასუხობს: ეს არის მწერლობის ფართო ჟანრი, რომელიც მოიცავს ყველა წიგნს, რომელიც არ არის დაფუძნებული გამოგონილ თხრობაზე და ის, მართლაც, ყველა არამხატვრულ წიგნს: ისტორიულს, ბიოგრაფიულს

(ავტობიოგრაფიებსა და მემუარებს, რომლებიც ფოკუსირებულია კონკრეტული პირის ცხოვრების ისტორიაზე), მოგზაურობის ამსახველ ნიგნებს, აკადემიურ ტექსტებს (სახელმძღვანელოებს), ფილოსოფიას, ჟურნალისტიკას (რომელსაც შეუძლია მიიღოს ნიგნების ფორმა და მოიცავს ნარატიულ – არამხატვრულ და ნამდვილ კრიმინალურ ტექსტებს), თვითგანვითარებისა და სხვადასხვა ინსტრუქციის შემცველ ნიგნებს (ბევრი მათგანი ეხება ბიზნესის წარმატებას, თავდაჯერებულობის გაზრდას, ორგანიზებულობას, ურთიერთობის კულტურას, დიეტასა და ფინანსურ მენეჯმენტს), იუმორს – „Nonfiction“-ის ქვეჟანრებად ანუ შემოქმედებითი არამხატვრული ლიტერატურის ფორმებად თვლის, რომლებშიც რეალურ ადამიანებზე, საგნებზე, მოვლენებზე რეფლექსიაა მოცემული. ყველაფერი ეს გაანალიზებულია და გადატყდება ავტორის თვალსაზრისის პრიზმაში. ზოგჯერ ეს თვალსაზრისი შეიძლება იყოს იუმორისტული, ზოგჯერ პოლიტიკური და ზოგჯერ წმინდა მედიტაციური (გლადველი, 2020:).

კომპოზიტი „მხატვრულ-დოკუმენტური“ სიტყვა „დოკუმენტური“, რა თქმა უნდა, საკმაოდ მკაცრად განსაზღვრავს ნაწარმოების ჟანრს, თუმცა ამ შემთხვევაში ერთმანეთში არ უნდა ავუროთ „დოკუმენტი“, როგორც ტექსტის სტრუქტურის მათგანიზებული საშუალება და ფაქტი, რომლის ირგვლივაც იგება თხრობა. სწორედ ამ უკანასკნელს – რეალურ ფაქტებს ეყრდნობა ნიაზ ზოსიძე, გარდაქმნის მათ მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენად.

ნიაზ ზოსიძის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა ძირითადად ეყრდნობა ე. წ. ზეპირ ისტორიებს, რომელთაც ავტორი საკუთარი ინტერპრეტაციით, მხატვრულად გადმოგვცემს ისე, რომ არ იზღუდება სუბიექტური პოზიციის გამოხატვისას. თუმცა არავითარ შემთხვევაში არ სცდება რეალურად მომხდარი ფაქტის საზღვრებს. ის ცდილობს რეალობის განსაკუთრებული სურათის შექმნას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ სურათისთვის უფრო მკვეთრი კონტურების მოძებნას, ფერების დამატებას. მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ნიაზ ზოსიძის ნარატივის თავისებურება: მწერალი გვიყვება ნამდვილი ამბების, რეალურად არსებული ადამიანებისა და მოვლენების შესახებ, ოღონდ მხატვრული შეფერილობით. რა თქმა უნდა, ის, თუ როგორ თანაფარდობაშია ერთმანეთთან ამ ჟანრის ორი კომპონენტი: დოკუმენტალურობა და მხატვრულობა, დამოკიდებულია კონკრეტული ავტორის (ამ შემთხვევაში ნიაზ ზოსიძის) გემოვნებას, სტილსა და წერის მანერაზე. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალს არც ერთი კომპონენტი არ ღალატობს: მის თხრობაში თანაბრად, ზომიერად და ჰარმონიულადაა შერწყმული შემოქმედის ფანტაზია და ფაქტის ნამდვილობა ისე, რომ მკითხველს არასოდეს ეპარება ეჭვი გადმოცემული ამბის სიმართლეში, რადგან დამაჯერებელი და გულწრფელია წერის მანერა, სადა, ნათელი და დახვეწილია სტილი.

სოფლის მცხოვრებთა მიერ ზეპირად მოთხრობილი რეალური ისტორიები ნიაზ ზოსიძეს ერთგვარ ბიძგს აძლევს, რომ შექმნას ნოველა, ჩანახატი. თავად ფაქტი ხდება წინაპირობა იმისა, რომ შექმნას ნაწარმოები, ის მთლიანად იფანტება ტექსტის მხატვრულ ქსოვილში, მაგრამ ერთ უმთავრეს თავისებას კი ასრულებს: მკითხველამდე მიაქვს ისტორიის სურნელი, მისი განუმეორებელი სული, განწყობა, ეპოქის სუნთქვა.

მაგალითად, საერთო-სახალხო ტრაგედიის მომსწრე პირების ზეპირი მონათხრობი ამბებით ნიაზ ზოსიძე მკითხველს აძლევს საშუალებას ახლებურად გაიაზროს ისტორიული ფაქტები, მოვლენები, ვთქვათ, მიჰყვეს იმ გზას, რომელიც აჭარიდან წასულმა მუჰაჯირებმა გაიარეს: „ცრემლადქცეულ გზას ოსმალეთის მიუვალ, ტყე-ბაძენარებისკენ“ (81), დაინახოს ორ მტერსა და ორ რელიგიას შორის მოქცეული წინაპრების გამოუვალი მდგომარეობა, შეიგრძნოს სამშობლოს იძულებით მონყვეტილი ჩვენებურების ნოსტალგია. შემთხვევით არ აქვთ მათ ქვეყნად ყველაზე ნაღვლიანი, სევდა-ჩამდგარი თვალები, გაიცნოს „მზემოკიდებული, დამჭკნარ-გარუჯული... თვალში ნაღველჩამდგარი

ლილე“ (139), „თვალეებში სამყაროსტოლა სევდაჩამდგარი ამინა“ (141), ერთდროულად მკაცრი და ტკბილი ლაზურა ნენე, გაუტყეხელი სერმიგული, თავთან რომ თეთრი პეპელა დაფარფატებს (113), შავი აინური და მისი მათრობელათვალეებიანი, ბრდღვიალა ფატიმა (157).

სამწუხაროდ, ამ ნათელ მოგონებებში აქა-იქ შავ ლაქად გაიფლავებენ „უნამუსო, ენამყრალი, სულით გლახაკი“ – სოფლის „მაოხარი“ თავმჯდომარე რაფიელის მსგავსი (88), ან ეშმაკისათვის სულმიყიდული „კიბილთეთრი და გულშავი“ (101) ტიმოთეს მსგავსი „ფულსულოვანი“ (152), სულგამოცლილი, „ღმერთისგან დაცლილი“ (211) არაკაცები, მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთები უმცირესობაში არიან, სოფელი კი მშრომელ, პატიოსან, ამტან-გამტან ადამიანებზე დგას, მწერლის დედისნაირ ქალებზე დგას, მშობლიური რაიონის გამგებლად დანიშნულ შვილს, სხვა სოფლის მცხოვრებთ რომ არ გაეკილათ, თავის სოფელშიც რომ გამოართვევინა შუქი (223).

როგორც ვხედავთ, ნიაზ ზოსიძე ძალდაუტანებლად, რამდენიმე შტრიხით ოსტატურად ხატავს სოფლის მცხოვრებთა კოლორიტულ სახეებს, ესენი არიან: მწერლის „უტკბილესი, მომფერებელი, ჩამხუტებელი და გამზრდელი ასიე ნენეი“ (216), „ქვასთანაც რომ გამონახავდა საერთო ენას“ (222) „ფიქრიანი, განსწავლული, დინჯი, სათნო, კეთილშობილი, სტუმართმოყვარე, ამაყი“ ზერიფე (172) – ექიმბაში, ქვრივ-ობლის დამხმარე და მშველელი, „ყაჭო“ – შაქირ ზოსიძე, დიდებული მეღვინე... ამ პატარა ფრაზებიდანაც კარგად ჩანს, რომ მწერალს განსაკუთრებით კარგად გამოსდის ზუსტი ეპითეტების შერჩევა. ვნახოთ, როგორ ხატავს ქართველ მუჰაჯირებს: „მიდის ხელ-ფეხ-გულაკანკალებული, დაღლილ-დაქანცული, იმედგადაწურული, შეძრწუნებული, უმწეო, უსახლკარო, ქედმოხრილი, მოტყუებული, გულამომჯდარი, აქვითინებული, მისავათებული, კრიჭაშეკრული, სულგაძარცვული, სისხლში და ოფლში ამოთხვრილი...“ (81).

„Nonfiction“ ჟანრის ერთ-ერთი მკვლევარი წერს, რომ მხატვრულ-დოკუმენტური პროზა მიისწრაფვის ისეთი ცხოვრებისეული კავშირების ჩვენებისაკენ, რომლებიც არაა გაშუალებული მხატვრის ფაბულური გამონაგონით (გინზბურგი, 2020:). მწერალს ეძლევა მზა მოვლენები, ფაქტები, რომლებშიც „მან უნდა გამოავლინოს ისტორიულ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ განზოგადებათა ფარული ენერგია, რათა ისინი ამ განზოგადების ნიშნებად აქციოს. ეს არის გზა ფაქტიდან მის მნიშვნელობამდე. შემდეგ კი ფაქტში იღვიძებს ესთეტიკური ცხოვრება; ის ხდება იდეის წარმომადგენელი ფორმა, სახე (მესტერგაზი, 2007:).

ასე ხდება საანალიზო ტექსტშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ცენტრალური პერსონაჟი თავად ავტორია, ვის შესახებაც ბევრ საინტერესო დეტალს ვეცნობით მისი ბავშვობისა თუ სიჭაბუკის ხანის, სოფელში, ბებოსთან გატარებული წლების შესახებ: „დაბადებიდან მოუსვენარი, ვერცხლის წყალი, ციბრუტი და „ხელიდან წასული“ (95) ონავარი, „ჩინგანი“ ბიჭი ყოფილა, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილ, თანასოფლელთა საამაყო კალამდაუშრობელ მწერლად რომ იქცა.

ტექსტს ლირიკულ ფონად გასდევს მწერლის ყელყარყარა, ცისფერთვალა, უშურო და შუქულეველი დედის მშვენიერი სახე, ვისი ტკბილი სიმღერის გარეშეც არ იძინებდა აკვანში ჩაკრული პატარა, ვისი სურნელიც შერჩენია რელიქვიადქცეულ დედისეულ ყელსაბამს...

ავტორი იხსენებს, როგორ ჩამოვიდნენ ციმბირიდან შიმშილსა და ყინვას გამორიდებული მისი ბები და დედა ბათუმში (ისინი იმ ექიმ ბოტკინის ნათესავები იყვნენ, რომელიც ბოლშევიკებმა რუსეთის მეფის, ნიკოლოზ მეორის ოჯახთან ერთად დახვრიტეს). ბათუმური თავსხმა წვიმით გალუმპულეებმა როგორ შეაფარეს თავი ე. წ. იტალიური ეზოს კიბის ქვეშ, როგორი სითბო და თანადგომა დაახვედრეს ინტერნაციონალური ეზოს მცხოვრებლებმა, როგორ გაარიდეს და დაუმალეს ბიბლია, ყურანი და თორა უღმერთო კომუნისტებს: გასანთლულ მუშამბაში გახვეული ერთად ჩაფლეს სარდაფში – ასე გადაარჩინეს და შეუნახეს შთამომავლობას სამი რელიგიის ღმერთი. სწორედ ეს წიგნები ნახეს ნასახლარზე მშენებლებმა: „ბათუმურმა სითბო-სიყვარულმა კვალის დატოვება იცის“ (28).

და არა მხოლოდ, ესენი: სტუმართმოყვარე ბათუმმა არაერთი უცხოელი შეიფარა, გაათბო და დააპურა. ერთი ასეთი საინტერესო ისტორიაა განელი „ოქროსფერი ებეისა“ ამბავი, აჭარელმა კაცმა – ალიმ რომ იშვილა, დაასახლა, ბუდე გაუჩინა (75).

საინტერესოა გერმანელი ტყვის, იოჰან გრილბორცერის მოგონება ბათუმზე: თავის ნაგრამს რომ დაუბარა: „მოინახულეთ ბათუმი, იშვიათი სითბოს ქალაქი, უბოროტო ქალაქი, სიკეთის ქალაქი, ასეთი ხალხი არსად სხვაგან არ ცხოვრობს“ (210); უამრავია ასეთი – „ბათუმმა რომ გაუღიმა და ბათუმმა რომ გაათბო“ (85) და საერთოდ, „აჭარელზე გადამყოლი და ამტან-გამტანი სხვა არ დაიარება დუნიაზე“ (188).

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამბების თხრობის ქრონოლოგია არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება: მწერალი გვესაუბრება დედის, თავისი ბავშვობის შესახებ და მოულოდნელად იწყებს ლამის ოთხი საუკუნის წინანდელი ამბების თხრობას, იხსენებს მოხუცი ქედელის ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ აჭრეს რამდენჯერმე აჭარაში ოსმალო-დამპყრობლებმა ვაზი, როგორ დაბეგრეს ყურძნის წვენი და როგორ გახიზნა აჭარელმა გლეხმა ვენახი ტყეში – გააშენა მაღლარი ყურძენი და ამით გადაარჩინა, როგორ შეინახა და ეპატრონა დედაენას აჭარელი ნენე, როგორ უფრთხილდებოდა და ეფერებოდა „ძაფზე ასხმულ ხისგან გამოთლილ ქართულ ასო-ბგერებს“ (12), მტრისთვის თვალის ასახვევად როგორ შექმნა „დედაბრული დამწერლობა“ და ა.შ.

მაგრამ ამ, ერთი შეხედვით, ქაოსურ თხრობას მკაცრი შინაგანი ლოგიკა გასდევს: აჭარის ისტორია ერთ მთლიანობადაა წარმოდგენილი და ნაგრძნობი, ის არასოდეს ავიწყდება აქაურ მკვიდრს, მეტ-ნაკლებად ყველა თაობის აჭარელის სულს ატყვია ოთხსაუკუნოვანი ქრილობები, თითოეულის ქვეცნობიერში მტკიცეა ჩაბეჭდილი თვალსევდიანი წინაპრის სახე. ამიტომაც, მწერალთან ერთად, მკითხველსაც აოცებს: როგორ გაუძლო ამ „ხასიათრილობა, ზრდილობიანმა და სუფთა აჭარელმა“ (13) ამდენ ტკივილებს.

ავტორი, სავსებით სამართლიანად, თანაბარი ძალის ბოროტებად თვლის აჭარაში ოსმალო-თურქებისა და ცარისტი თუ ბოლშევიკი რუსების ვანდალიზმს: „ჯერ ველურმა ოსმალომ მიმოაწარწარა ეზო-ყანა-ბაღია, მერმე არყით გაღებშიღმა რუსმა გადაქელა“ (103); „საწყალ აჭარელს ორივე ჯლაგნიდა და მოლაღატეს უძახდა... ორივემ გადაწვა და გადაბუგა“ (117).

აჭარის ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია მუჰაჯირობის პერიოდი. ამ ტრაგედიაშიც თანაბარი წილი მიუძღვით თურქ და რუს ოკუპანტებს. ტექსტში შეხვედებით არაერთ სევდიან ისტორიას ქართველ მუჰაჯირთა ცხოვრებიდან, რომელთაც სულ გურჯისტანი ესიზმრებათ, გურჯულ სიმღერებს უსმენენ, ხისგან ქართულ ასოებს თლიან, ნაეკლესიარებზე ლოცულობენ. ამ ყველაფერს გულვარდისა და მურთაზის (81), ელმას ჯანისა და მერიემ ხანუმის ისტორიები (107) თვალნათლივ გვიჩვენებენ.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებით დასკვნა ერთია: „რაც არ უნდა ულხინდეს, ქართველი სხვაგან უბედურია, გასაჭირმა არ უნდა წაგახდინოს და მამულზე აუგი არ უნდა გათქმევიოს“ (106). და კიდევ ერთი საგულისხმო ფრაზა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისგან: „ქართულად არ ილაპარაკებ, რაის გურჯი ხარ?“ (108).

ტექსტში არაერთხელ გაიღვავებს ბრმა აჭარელი ნენეს სიმბოლური სახე, რომელსაც „ყელზე მძივად ხისგან გამოთლილი ქართული ასოების ასხმულა ეკიდა, ღაზლის წინდებზე ჩავვირისტებულნი ჯვრები უელავდა, თავსაბურზე ჯვრებიანი ციცაქალები უბზინავდა...“ (73).

ერთმანეთს ცვლის არაერთი იღბლიანი თუ ტრაგიკულად დასრულებული სიყვარულის ისტორია: ტრაგიკული თალიას და ენვერის (44), ზაქროსა და ოლლას (169), ბედნიერი – ანე ბებოსა და ისიდორეს (68), ნანამზესა და უსეინის (202), ესმა ბებოსა და მეველუდ ბაბუს (218).

ერთი მშვენიერი კანონზომიერებაც შევნიშნეთ: ჩანახატებისა თუ ნოველების უმრავლესობა მთავრდება პეიზაჟის აღწერით: ამით მწერალი თითქოს ერთი ფრაზით ხაზს უსვამს ბუნებისა და სიცოცხლის მარადიულობას: აი, როგორ მთავრდება თალიასი და ენვერის შესახებ თხრობა: „ქარმა ბალახები წამოქოჩრა, ძალიან, ძალიან შორს მზე ზღვაში ჩაეკიდა და ზედაპირი ცეცხლივით აელვარდა“ (45);

ხოლო მელისას მონათხრობი გულრიფშელი სამირასა და აჭარელი მეგლუდის ისტორია ასეთი ფრაზით ბოლოვდება: „დაღამდა. ცაზე ლიმონისფერი მთვარე ამობურბურდა...“ (180);

დავითაძეებისა და ჯაბინძეების მეგობრობის ისტორიას ასეთი წინადადება ასრულებს: „მე კი, ახლა იმ კლდის ქვეშ ვტირი... დაბლიდან ჩითისკაბიანი ტყემლები შემომცინიან“ (206) – ასე ცვლის ერთმანეთს ამ მშვენიერი წიგნის ფურცლებზე ტირილი და სიცილი, სევდა და სიხარული, ერთგულება და ღალატი. ასე იხატება სოფლის ჩვეულებრივ მცხოვრებთა ყოველდღიურ თავგადასავალში, პატარ-პატარა ეპიზოდებით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული, მრავალჭირვარამგადახდილი კუთხის – აჭარის ისტორია.

აჭარელი კაციც ამ ბუნების ნაწილია, მას შესისხლხორცებია, ამიტომაც არ თმობს მშობლიურ დელე-ღურდანს: „ბექობზე მზემოკიდებული ბიჭი იდგა. ბიჭი კი არა, კლდის ნატეხი... უფრო მაღლა, კლდის თავზე ტირიფი ცახცახებდა, სულ ზევით კი მოღლილი მთვარე ზოზინით მიცურავდა“... (191).

მწერალი თხრობაში შიგადაშიგ ნენიკოებისგან გაგონილ-დამახსოვრებულ აჭარული თუ მუჰაჯირების ფოლკლორის ნატეხებსაც გვთავაზობს, ექსპრომტად ნათქვამ შაირებს ჩაურთავს ხოლმე და ამასაც აჭარის სურნელი მოაქვს, მისი კოლორიტული სურათის დასახატავად მშვენიერი საშუალებაა.

არც შუამთობა ავინყდება მწერალს და ერთ აბზაცში ხატავს ამ უძველესი ხალხური ტრადიციადღესასწაულის სურათს: „მთას მონატრებული, ფერმკრთალი ბარელები... ყორნისფერი, მთასგამოკერებული მოხუცები... გადაძახილ-გადმოძახილი, ნიშნობა, ქორწილი, თეთრი დედოფალი, მზისგან დახრუკული მეფე, სიყვარული, ჭინკა გოგო-ბიჭები, საძოვარზე გადენილი ლალი პირუტყვი, უგემრიელესი ლექსი, სიმღერა და განდაგანა...“ (113).

ზოგიერთ მონათხრობში იგრძნობა დიდი სევდა და მწუხარება მოხუცების ამარა დარჩენილი სოფლების გამო, „საკუთარი ჩრდილის ამარა დარჩენილი“ (176) „წინილებით მოჩითულ ეზოში“ (175) მარტო რომ სხედან, მხოლოდ ხეებილა ჰყავთ მოსაუბრეებად, ეზოს არ გვიან – „ბადიშების ნაკვალევი არ წაგვეშალოსო“ (177). არადა, ამ სამოთხისმსგავსი სოფლების დაცლა მართლა ტრაგედიის ტოლფასია, სოფლების, რომლებშიც „საითკენაც არ გაიხედავდი, ყველგან პეიზაჟი, აღმა თუ დაღმა მიმავალი – ყველა პორტრეტი, ნენეს სუფრა – ნამდვილი ნატურმოტია...“ (214).

ნიაზ ზოსიძის მაღლიანი კალამიც ხატავს ამ პეიზაჟებს, პორტრეტებს, ნატურმორტებს. ამასთან ერთად, მწერალი რეალურ ისტორიას, ამბავს, ფაქტს იყენებს მწვავე სოციალურ-პოლიტიკური, ეთიკური პრობლემების საჩვენებლად, გადასაწყვეტად, თუმცა ამას აკეთებს ძალდაუტანებლად, შეუმჩნევლად, ყოველგვარი დიდაქტიკისა და პათეტიკის გარეშე. მსგავსი ტექსტები მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანების (წინაპართა თუ თანამედროვეთა) ინდივიდუალური ბედის თავისებურებების ჩვენებით ისინი ააქტიურებენ საზოგადოების კოლექტიურ მახსოვრობას, ამრავალფეროვნებენ და ინტენსიურს ხდიან მის დამოკიდებულებას წარსულთან, ხელს უწყობენ თანამედროვეობის ყველაზე საჭირობოროტო ჰუმანიტარული პრობლემების სამზეოზე გამოტანასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გინზბურგი ლ. ა., დოკუმენტური ლიტერატურისა და ხასიათის აგების პრინციპების შესახებ, იხ. ჟ. „ვოპროსი ლიტერატური“, №7, 1970, გვ. 62-65. (Л.Я. Гинзбург, «О документальной литературе и принципах построения характера», ж. Вопросы литературы №7, 1970, с.62-65). იხ. <https://voplit.ru/article/o-dokumentalnoj-literature-i-printsipah-postroeniya-haraktera/>
2. გლადველი მალკოლმ, შეიტყვეთ მეტი არამხატვრული ლიტერატურის შესახებ; Malcolm Gladwell: Learn About Nonfiction, <https://www.masterclass.com/articles/learn-about-nonfiction#what-is-nonfiction>, Last updated: Sep. 29, 2021.
3. ზოსიძე ნიაზ, „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“, გამომცემლობა. „მერიდიანი“, თბილისი, 2020.
4. მესტერგაზი ე. გ., მხატვრული სახეობრიობის სპეციფიკა „დოკუმენტურ ლიტერატურაში“, ჟურნალი „ფილოლოგიური მეცნიერებები“ №1, 2007, გვ. 3. (Е.Г. Местергази, Специфика художественной образности в «документальной литературе», ж. Филологические науки №1, 2007, с. 3). იხ. <https://cyberleninka.ru/article/n/o-termine-dokumentalnaya-literatura/viewer>.

## „ლექსი – სულის პროფილი“

(სანდრო ბერიძის „ნახვამდის, სანდროუკა“ – მიხედვით)


„ამქვეყნად ყველას მოსაწონარი

ჯერ არ თქმულა და არ დაწერილა“.

სანდრო ბერიძე

სულ ახლახანს დავასრულე სანდრო ბერიძის შესანიშნავი მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოების, „აზღარბული წელიწადის“ კითხვა, რომელშიც ავტორი შესაშური ობიექტურობით ხატავს საქართველოს ისტორიის არცთუ შორეული წარსულის უმძიმეს პერიოდს, მოურიდებლად ახასიათებს იმდროინდელ „მოღვაწეებს“, დიდსა თუ მცირეს, ვინც ქვეყნის ნგრევასა და დანაწილებაში მიიღო მონაწილეობა. ბუნებრივია, იქვე იკვეთება თავად მწერლის, რომელიც არანაკლებ აქტიური მონაწილე იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებისა, უფრო მეტი, ამ მოვლენების შუაგულშიც ტრიალებდა, პიროვნული პროფილიც, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მემუარების მშრალი თხრობის მიღმა დარჩა პოეტის შინაგანი სამყარო, მისი სულის მრავალფეროვანი ძვრები, შემოქმედებითი ძიებები და წინააღმდეგობები. მემუარებში „პოლიტიკურმა პროზამ“, თუ შეიძლება ასე ითქვას, შთანთქა პოეტი და მისი ლირიკულ-მედიტაციური სამყარო. რა თქმა უნდა, „აზღარბულ წელიწადში“ შეხვდებით ერთგვარ „ლირიკულ ინტერმეცოებს“, მაგრამ ისინი საერთო ფონს ვერ ცვლიან. ვფიქრობ, ამ „თეთრ ლაქებს“ ავსებს სანდრო ბერიძის ლექსების კრებული – სიმბოლური სათაურით – „ნახვამდის, სანდროუკა“ (ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2022); *[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს].*

ჩემი აზრით, პროზაული და პოეტური ტექსტები (ორივე 2022 წელს – სანდრო ბერიძის საიუბილეოდ დაიბეჭდა), ერთმანეთს ავსებს და გვეხმარება იმაში, რომ უკეთ გავუგოთ მწერალს, პოეტს,



საზოგადო მოღვაწესა და, უბრალოდ, ადამიანს – სანდრო ბერიძეს. ისინი, გარკვეულწილად, სხვადასხვა რაკურსით გვიჩვენებენ, განსხვავებული შტრიხებით ძერწავენ ერთი პიროვნების პროფილს.

„ნახვამდის, სანდროუკა“ – კინობით-ალერსობითი სახელით ეფერება და თან ემშვიდობება პოეტი თავის ბავშვობას, სიჭაბუკის ოცნებებს, აუხდენელ სურვილებსა თუ ჯერარგამხელილ ფიქრებს... ისიც ხომ თავისი „ბავშვობის ოქროყანიდან“ (175) მოდის. სულისშემძვრელი ლირიკული აღსარებაა „ნახვამდის, სანდროუკა“. პოეტის ყველა ნერვი დაძაბულია, გაშიშვლებულია, დაჭიმულია, იმედის ჟრუანტელითაა სავსე, რადგან სჯერა, რომ კიდევ ერთხელ ნახავს თავისი მშობლიური სოფლის ტყეში დიდ ნიფლის ხეზე:

„წვერმოკაკულ,  
ბასრი ჯაყვათი,  
სულის შებერვით ამოკვეთილ ინიციალებს:  
ს+ნ=სიყვარულს“. (34)

და კიდევ ერთხელ გაიხსენებს პირველი გრძნობით მოგვრილი თრობის ნეტარებას, კიდევ ერთხელ გააცოცხლებს „ბებერ სანდროში ჩარჩენილ და ჩაკარგულ“ (35) სანდროუკას, რომელიც ამ უღმობელი დროის მანძილზე არც არსად წასულა პოეტის გულიდან და ისევ ბავშვური გულუბრყვილობითა და მიამიტობით ელოდება დაპირებების შესრულებას („მარჯვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი“?!), მაგრამ „დრო, უღმობელი, ღერლილივით ფქვავს დაპირებებს“ (34).

ბაღბობის ნაფხურებს, სულის უმანკობას დაეძებს სიჭარმაგეში შესული შემოქმედი, თუმცა ვერც შრილა ქალები, ვერც მორაკრაკე ნაკადული, ვერც ძველი კლდე და მთები ვეღარ ცნობენ შევერცხლილ პოეტს:

„დავდიოდი შუკა-შუკა,  
ვევლებოდი ტყეთა თალებს,  
ჰეი, სად ხარ, სანდროუკა?!...  
მივძახხოდი იალალებს“. (71)

როგორც უკვე ვთქვით, „ნახვამდის, სანდროუკა“ პოეტის საიუბილეო კრებულია და პირველივე ლექსი გვაგრძნობინებს, რომ ცხოვრების შუადღეს მიღწეულ შემოქმედს ერთადერთმა მისმა გოგომ – ერთდროულად პრაგმატულმა და რომანტიკულმა, მინიერმა და ციურმა, ბრძენმა და გრძნობიერმა, „ყველა დროისა და ყველა სივრცის ბინადარმა გოგომ“ (4) – მისმა პოეზიამ – უერთგულა, ის შერჩა ბავშვობიდან დიდობაში გამოპარულს თუ – უკან დაბრუნებულს. მართალია, ეს გოგოც დროისა და მოდის მიხედვით სახესა და იერს იცვლის: თუ ადრე დედოფლის ქოში ხიბლავდა, ახლა „ადიდასში“ გამოწყობილი დაიარება, მაგრამ, ვინც მას „თავკერძა მესაკუთრის ჟინით“ (3) შეიყვარებს, ბოლომდე უერთგულდება; პოეტს სხვა გზა არცა აქვს: მისი ბედისწერაც, მისი ყოფნა-არყოფნაც ამ მომხიბლავი ასულის „ნამნამების შერხევით... უნდა აიწონოს“ (6), ასულის, რომელიც შაირის კაბას ჩაიცვამს, ვერლიბრისა თუ თავისუფალი ლექსის – ყველანაირ სამოსში გამოწყობილი, მშვენიერია, ამიტომაც არ იწუნებს პოეტი არცერთ ფორმას ლექსისას, ანუ – არ იწუნებს „პირიმზეს – კაბით“ (13), არც გრამატიკა-ლინგვისტიკის კანონებს დაგიდევთ, რადგან იცის, რომ ლექსში უმთავრესი გულწრფელი გრძნობაა, დიდი ადამიანური სევდაა, სიყვარულის ნიჭია, რწმენაა, რომ



თანამედროვე ხელოვნებაში უნდა შედგეს „ტრადიციის და ნოვაციის თეთრი ქორნილი“ (14), ამიტომაც მისი ლექსები ხშირად მიაგავს „თხრობით სავსე გრძელ მეილებს“ (38). მართალი გითხრათ, სწორედ ამ ლექსებში აღწევს სანდრო ბერიძე მაქსიმალურ მხატვრულ ეფექტს, სრულად გარდაისახება და ჩვენზეც განსაკუთრებულ ემოციურ ზეგავლენას ახდენს. მათგან მიღებული შთაბეჭდილებაც დიდხანს გაჰყვება მკითხველს.

სანდრო ბერიძე თვლის, რომ, მთავარია, პოეტი არ აჰყვეს „მასკულტურიდან გლობკულტურაში“ გადაბარგებულ ცრუმოდღართა შეგონებებს და ქართულ მუხას უდაბნოს კაქტუსი არ ამჯობინოს (12). ეს რეალური საშიშროებაა, რადგან:

„ელექტროცოცხი  
კენტად ცეკვავს სამყაროს ზურგზე,  
მეცნიერება  
ჩაფრენია რწმენის საყელოს  
და ფესვიანად ძირში ანჯღრევს ბიბლიურ მორალს...“ (20)

თანამედროვე, თავისი დროის ღვიძლი შვილი ადამიც ესწრება და უდრტვინველად უცქერს „ათი მცნების პანაშვიდს“ (21). ამ დროს დიდი მოთმინება მართებს პოეტს, მხოლოდ მას ძალუძს გულიდან – „ამ დალუქული ხსოვნის სკივრიდან“ ამოაწიოს „გადანახული სიტყვის ლოდები“ (33), რომლებითაც ის ებრძვის ყველანაირ ფსევდოპოეზიას, „ცრუაქტიური პოზით“ მოკეკლუცე და „კონფორმიზმით გამაძღარ პოეტებს“ (36), „ლიტერატურ ბლეფს“ – ასე რომ წაღეკა ვირტუალური ლიტბაზრის დახლები (44) და ინტერნეტის „არ-მოსავლეთში“ დაზვინულ ფსევდოლიტერატურას, სიტყვებს, რომელთაც „შეეყარათ უსახო და... უსახელო ვირუსი“ (125). ბუნებრივია, ასეთ გარემოში უჭირთ ჭეშმარიტ ხელოვანთ, უჭირთ სულით ეულ პოეტებს ბირთვული ნისლით დაბურულ სამყაროში არსებობა, სადაც ზნეობა „დგას კითხვის ნიშნის ქვეშ მოზუზული“ (50), მსოფლიო სევდას კი „ბოსტნის სევდა“ (64) ცვლის, არადა, პოეტს სჯერა, რომ:

„ერთადერთია,  
ედემური და შეუცვლელი,  
სევდა, რომელიც ღმერთმა პოეტს მოაპარინა“. (119)

ყოველივე ამის ატანა „პოეზიის აზნაურისთვის“ (66) ძალიან ძნელია. ის ცდილობს განერიდოს ოთახში „ტროას ცხენივით“ შემოპარულ ეშმას ყუთს – ტელევიზორს, შორს მოისროლოს ეს „ტელესისულელეთი“ (150), მაგრამ რთულია გაექცე ცხოვრებას, მხოლოდ პოეზიას შეაფარო თავი. მიუხედავად ამისა, სანდრო ბერიძე ცდილობს „თოფნასროლი ნიამორივით გაქცეული სიტყვა“ მოაბრუნოს და მასში გააცოცხლოს „გაქვავებული ისტორიები“ (110). ეს ისტორიები კი ერთმანეთზე შემადრწუნებელია და პოეტი არაჩვეულებრივი ძალით გვიჩვენებს მათ ტრაგიზმს, ძუნწი, ლაკონური, მოკვეთილი ფრაზებით გვესაუბრება, თითქოს გაზეთის ქრონიკის მშრალ ცნობას იმეორებს და ეს განგებ უემოციო ფრაზები უდიდეს მხატვრულ ეფექტს ახდენს („გაქვავებული ისტორიები“, 109-115).

სანდრო ბერიძის ლირიკულ სტრიქონებში შიშვლდება პოეტის „აკივლებული“ (106) სული, თანდათან ფართოვდება და იძაბება მგრძობელობითი ველი: აქ გაიფლავებს „ბავშვობაში დაკარგული ღიმილების“ (5) მოგონებები, აქ მოითქვამს სულს „დარდების ყულფში თავგაყოფილი, სურვილებდალენილი, ბრძოლების წაგებაში გამარჯვებული“ ხელოვანი (5), რომელშიც ერთდროულად რამდენიმე პოეტური სული ცხოვრობს: „ესთეტიკა, ემოცია, სიყვარული, გარდასახვა, ფანტაზია,

სევდა, გაოცება“ (6). ერთადერთი, რასაც ვერ აიტანს პოეტი და პოეზია – გულგრილობაა, რომელსაც ვერაფრით ვერ დავწამებთ სანდრო ბერიძეს. მისთვის არ არსებობს ტაბუდადებული თემა, ავტორიტეტი, გვერდს არ უვლის არცერთ, თუნდაც არასასიამოვნო, „წყევლაკრულვიან“ საკითხს, თუკი ეს პრობლემა ვნებს საერთოქართულ საქმეს ან ეროვნული ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. ამ კუთხით სანდრო ბერიძის პოეტური და პროზაული შემოქმედება მსგავსია, ხელოვანის უკომპრომისო, უშელავათო, პრინციპული პოზიცია არ იცვლება. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა ჯერ კიდევ დიდმა ზურაბ გორგილაძემ და ფრიდონ ხალვაშმა შენიშნეს: თბილისისა და დანარჩენი საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის საკმაოდ არაჯანსაღი, „დიდმოხელურ-რაჯული“ დამოკიდებულება, მათი შეხედულებით, პროვინციებში მოღვაწე ხელოვანების მიმართ. ისინი „ყრუ სოფლებიდან ჩასულ სტუდენტებს“ (39) ხშირად ისე ექცევიან, როგორც „უცხო და საექვო მდგმურს“ (40), არც ბედის უკუღმართობით, „დროის დედინაცვლობითა და ისტორიის მამინაცვლობით“ „ორი ღმერთის ჯიუტ მონაფედ ქცეულთ“ (40) ინდობენ:

„ისე მიმზერდა და მექცეოდა,  
როგორც ბავშვს,  
უცხო პრიუტიდან შვილად აყვანილს...“ (40)

პოეტი ზუსტი და ორიგინალური შედარებებით, ეპითეტებით გამოხატავს ამ მახინჯი მოვლენისადმი თავის მიმართებას:

„თბილისში რომ ჩავალ...  
გაშვილებული ბავშვის თვალებით,  
პროვინციული მზერითა და კუშტი სიფათით,  
როგორც ჯიუტი,  
ჯმუხ-გაქირი  
და უჯიათი...  
თბილისში რომ ჩავალ...  
გაოცებული რომ მოვძებნი თბილისში თბილისს...“ (10)

სანდრო ბერიძის აზრით, უპირველეს ყოვლისა, დედაქალაქი უნდა ინახავდეს ქართულ სულს, უნდა პატრონობდეს ქართულ გონს, ნინ უნდა აღუდგეს ბრმა მიმბაძველობას, სხვის უნიჭო და უსახურ ასლად ქცევისკენ მისწრაფებას, არადა, „კუდაბზიკა და ძველბიჭების დედაქალაქი“ (39) მოუწოდებს ყველას: „მიბაძეთ ამერიკულ სულს“:

„მაშინ, როდესაც ქართული სული,  
მაშინ, როდესაც ქართული გული,  
ქართული გონი, აზრი და ფიქრი,  
როგორც დაღვრილი ვერცხლისწყალი,  
ისე მიგორავს,  
სამშობლოს გარდა,  
ოთხივე მხარეს,  
ან კიდევ, სულაც ექვსივე მხარეს“. (11)

თანაბრად მიუღებელია შემოქმედისთვის „ნოსტალგიები ბლეყერა რუსზე“ (11), იმ დროს, როცა შაოსან მეყვავილეს, ყველა და ყველაფერი რომ დაკარგა ძმათამკვლელი ომის შემდეგ, „თავშლის ყურში ... სოხუმი აქვს გამოკოჭილი“ (11).

სხვის იმედად რომ არ უნდა იყოს საქართველო, ამის დამადასტურებელია ისიც, რომ „ყოველთვის ფეხზე გვიკიდებდა მხდალი ევროპა“ (121), მხოლოდ ერთად ყოფნა, „ერთი პირი და ერთი ჭკუა“ გადაარჩენს მის ჩასაყლაპავად დაღირებულ ვეშაპებს შორის „გაკვეხილ“ ჩვენს სამშობლოს (121), ამიტომაცაა, ალბათ, რომ ერთადერთი ადგილი, საითაც დედაქალაქში ჩასულ პოეტს გული მიუწევს, მთანმინდაა, დღევანდელ საქართველოში, „ჩვენს მაჟორულ და აზღარბულ დროში“ (14) ხომ:

„ჩემს სამშობლოში სამშობლოს ბედი,  
ცოცხლებზე მეტად მკვდრებს ენაღვლებათ“. (90)

სანდრო ბერიძისთვის მამული მშობლიური სოფლის სანახებიდან იწყება, ისაა მისი პირველი სიყვარული, მაგრამ მას უკანასნელი სიყვარულის თავდავიწყებითა და ემოციით უყვარს ბათუმიც, რომელიც მისი ლექსების ერთ-ერთი მთავარი და კოლორიტული პერსონაჟია:

„წყლის გუბებზე გაბმულ ჰამაკში,  
წევს მოთენთილი წვიმის ქალაქი...“ (17)

ბათუმის ბულვარი და მაგნოლიები, ბათუმის ნური-გელის ტბა და თმადაუვარცხნელი ტირიფები, ბათუმური შხაპუნა წვიმა არიან პოეტის სიყვარულისა და სევდის თვითმხილველნი, მისი თანამგრძნობნი, მისი გულწრფელი, ალალი, „ცრემლებყლაპია, მოსულელო და მიამიტი“ (19) პირველი სიყვარულის მომგონებელნი:

„მე – ბათუმიდან  
სიყვარულით გასახლებული,  
ბათუმში უკვე აღარავის აღარ ვახსოვარ,  
გარდა ეული მაგნოლიისა  
და კიდევ...  
კიდევ თავსხმა წვიმისა,  
შეყვარებული სანდროუკა რომ დაიტირა“. (19)

დროის ყოვლისმმუსრავმა ხელმა „პოსეიდონის თეთრ ქალაქსაც“ დაასვა თავისი დალი, გაღარიბდა, თავისი პირვანდელი პენი და მშვენიერება დაკარგეს „ზღვის დღეებმა და პოეზიის საღამოებმა“: ლექსების მაგივრად აქ უკვე ფიჩხს აგროვებენ, „ფერადი ნიჭარების გვირგვინიც“ ვეღარ პოულობს თავის ღირსეულ პატრონს (27)

„ორი ღმერთის საბრძოლო მიწდვრად“ ქცეულ მშობლიურ ქალაქს უღმობელმა ისტორიამ სახელებიც იმ დროის მპყრობელთა შესაფერისად უცვალა:

„ამ ქალაქს,  
ჩემი ჰაერის ქალაქს,  
ქართულად – ბათუმს,  
ბერძნულად – ბათუს-ს,  
თურქულად – BATUM-ს,  
და კიდევ,  
კიდევ,  
რუსულად – БАТУМЪ-ს...“ (28) –

ეპოქების ცვლასთან ერთად ეცვლება იერ-სახე, ქათქათა მარმარილოს ქანდაკებებს „დაჭმუჭ-ნილი ბოთლების მოდა“ ცვლის“ (49), ორსართულიანი კოპნია სახლებიანი ბათუმი „ქვების ულრანი“ (50) ხდება. არც შეცდომებისგანაა დაზღვეული: ზოგჯერ დაუნდობლად ანადგურებს წმინდასა და მოსაფრთხილებელს, ზოგჯერ თეთრისა და შავის, კეთილისა და ბოროტის, მოყვრისა და მტრის გარჩევაც უჭირს, გლობალიზაციის გრიგალმა კი საქართველოს სამხრეთის კარიბჭე ლამის „უჭიშკარ-კარო“ დატოვა, „ლია ალყაფ-ფანჯარა“ (83), ამიტომაც დაეძებს პოეტი იუსუფ კობალაძისა და ზურაბ გორგილაძის დროინდელ ბათუმს და იმ ძველი ბათუმის ყველა ბინადარს „ხოხოს ბაღში“ ეპატიჟება („ჰოდა, იმას ვამბობდი“..., 189-198). მიუხედავად ყველაფრისა, ბათუმი მაინც ყველაზე ძვირფასი ქალაქია პოეტისათვის – მისი „სიყვარულისა და წყევლის ქალაქი“ (49), რომელშიც შექმნილი:

„ყველა სიმღერა იყო – სიყვარულზე,  
ყველა ღიმილი იყო – სიყვარულზე,  
ყველა ტირილი იყო – სიყვარულზე,  
სიყვარული კი,  
უჩინო და უფრთო ქარივით,  
იყო ყველგან და არ იყო არსად“. (35)

სანდრო ბერიძის მიერ დახატული სიყვარული, მართლაც, იყო და არა იყოს მსგავსია. გულის სიღრმედან ამოიზრდება ტკივილი, ერთმანეთს ენაცვლება ოსტატურად შექმნილი მგრძნობელობითი ხატები, რომელთა აზრობრივ-ინტონაციური მრავალფეროვნება, უშუალობა და ინტიმურობა ხიბლავს და იზიდავს მკითხველს: ბედისწერამ გადააჯაჭვა ერთმანეთს „ქალაქური დარბაზების მკაცრი პრინციპსა“ და „სოფლელი რემბოს“ გზები... შემდეგ კი იყო: თავბრუდამხვევი გრძნობის მორევი, ხეტიალი ბათუმის ქუჩებში და გაუთავებელი კამათი ხელოვნებაზე, სატრფოს „ფერად-ფერადი ეშ-მაკობები“ (53), თეთრი მაგნოლიები და წითლად აბღვიალებული ბრონეულის ხეები, ზღვის სილურჯე და ბათუმური წვიმის მელოდიები – ან უკვე ცისფერ მოგონებებში გადასულნი, რომლებიც მიმზიდველი ხატოვანებითა და ემოციებით ცოცხლდება პოეტის სტრიქონებში:

„შენ ალბათ გახსოვს...  
წვიმიანი ექსინის პონტი,  
შენი კოპლება კაბის ფერი კაფე – „რვაფეხა“,  
ფანტავდნენ ლექსებს  
გორგილაძე და ვახო ლლონტი,  
თან ისე წვიმდა, თითქოსდა ღმერთს ზეცა გაეხა“. (103)

მაგრამ სიყვარულისა და პოეზიის ამ დღესასწაულსაც წერტილს უსვამს შავად შემოსილი სიკვდილი და რჩება მხოლოდ უსიყვარულობამისჯილი პოეტის მარტოობა, რომელსაც მაინც სჯერა, რომ: „ჩვენი შეხვედრა კვლავ მოხდება არყოფნის მერეც.“ (169)

სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი, ალბათ, ცხოვრების რალაც ეტაპზე ყველა ადამიანს ეწვევა, მით უმეტეს, ის ერთ-ერთი მარადიული თანმდევი ხელოვნებისა. არც სანდრო ბერიძის პოეზიაა გამონაკლისი: „წუხელ სიკვდილმა ირონია შემომამპარა“ (8) – ამბობს პოეტი და ოსტატურად ხატავს ამ ოპოზიციური წყვილის ურთიერთჭიდილის არაერთ სურათს: ინგრევა ძვირფასი მოგონებებით სავსე სახლი, ლეთას ტალღებს უერთდებიან „არამინიერი სილამაზით თავმოებურებული ასულები“ (8), ერთმანეთს დაუნდობლად ხოცავენ „აფთარივით ცოფმორეული“, გონსა და თვალზე ბინდვა-

დაკრული თანამოძმენი, ქარის მიერ აფრიალებული ცელოფნის პარკით უდაბნოს ნისლში უჩინარდებიან თვითმფრინავები... სიკვდილი არავის და არაფერს ინდობს, ადამიანი კი სიკვდილ-სიცოცხლის სათამაშო თოჯინაა (60), რადგან „ყველა გზას ანერია: არყოფნისაკენ!“ (58). ამიტომაც ასკვნის პოეტი, რომ „სიცოცხლე თავად სიკვდილია უსიკვდილობით“ (10):

„სევდამისჯილი მეც ვარ მგზავრი  
 ღვიძილ-ძილითა,  
 მინაზე ცოდვის კალოა და... მინაში – ცივა.  
 ადრე ნავალი,  
 ისევ  
 ძველი  
 ყინით  
 ვივლი და...  
 მე – უჯიათი, ჩემზე ჯიუტ სიკვდილთან მივალ“. (61)

განსაკუთრებით რთული გადასატანია საყვარელი ადამიანის „გარდასვლის და არყოფნის სიმძიმე“ (73), თუმცა ის პატარა ბორცვი ხშირად სააქაოს დარჩენილი მარტოსულის უკანასკნელ თავშესაფრადაც იქცევა:

„შენი საფლავი, ერთი ციციქნა, აშენდა ჩემთვის,  
 დაღლილი სულის მოსათქმელად, ვით ეკლესია“. („რეკვიემი“, 73)

სანდრო ბერიძეს ლექსიც აქვს ასეთი სათაურით – „სიკვდილ-სიცოცხლისა“ (95). პოეტს არც ერთი ემეტება სიძულვილისთვის და არც – მეორე. თუ სიცოცხლე ჯვარცმანა, სიკვდილი – მისგან განთავისუფლებაა, თუ „სიკვდილი ღმერთის შედეგია, სიცოცხლე – ღმერთის დიდება“ (95):

„არყოფნა ყოფნის ზიარ ზარს რეკავს,  
 სიხარულს მაყრად სდევს დარდუბალი.  
 ცეკვავს სიცოცხლე, სიკვდილთან ცეკვავს,  
 როიალთან ზის თავად უფალი“. (96)

და როგორ აბსურდულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს ყოფნა-არყოფნა, სიკვდილ-სიცოცხლის ფანტასტიკური როკვა მარადიულად გრძელდება, მათი ქორწილიც გარდაუვლად შედეგება და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ ეს აძლევს აზრს ადამიანის არსებობას, რომელიც „ერთი სადგურის მგზავრია ყველა“ (153). „სიცოცხლე სიკვდილს ტანჯვის ჯაჭვით ხელზე აბია... ყოფნას არყოფნა ჩახვევია ცბიერ დობილად“ (134), „სიცოცხლეს – ქუჩის ლამაზ ქალბატონს, სიკვდილის შავი კაბა უხდება“ (145). პოეტის ზუსტი შეფასებით, სიცოცხლე დაბადებიდანვე სიკვდილ-მისჯილია, „სიცოცხლე არის დაღლილი მგზავრის შესვენება და გზის გაგრძელება“ (149), მაგრამ ეს ვერ აბედნიერებს სიკვდილს, რომელსაც „სიკვდილიც კი არ უნერია“ (138).

პოეტის სული მარადიულად თან ატარებს „არყოფილი დროის სამყაროს“ (133), „სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველნი“ კი მხოლოდ ერთეულები არიან, ვისაც ღმერთმა აკვანშივე შუბლზე აკოცა, ვის უკანაც „ღმერთი დგას“, ვინც „კაცზე ბევრად მეტია“ (143): რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი...

ასე ნელ-ნელა, ლექსიდან ლექსში, სტრიქონ-სტრიქონ ჩამოიქნება პოეტის სულის პროფილი, რომლისთვისაც, როგორც ვნახეთ, არც ფაქიზი ლირიკული აღსარებაა უცხო და არც მწარე-ირონი-

ული ჩაცინება, არც მშვენიერების დანახვით გამოწვეული აღტაცება და არც მედროვეთა და მოღალატეთა ნიღბიანი სახეების ხილვისას ამოხეთქილი ზიზღი, არც სიკეთითა და პატიოსნებით სავსე სოფლელი მადონას თაყვანისცემა და არც გაქსუებულ-გაზულუქებული დედაქალაქური ფსევდო-ელიტის მიუღებლობა, არც სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობაზე ფილოსოფიური ჩაფიქრება და არც დროის ნოტებით ტრიოლეტების წამლერება... მაგრამ რა თემაზეც არ უნდა წერდეს სანდრო ბერიძე, მისი ლექსისა თუ პროზის უმთავრესი მახასიათებელი უკომპრომისო დამოკიდებულებაა, უპირველესად, საკუთარი პიროვნების და შემდეგ – ირგვლივ მყოფთადმი. ამ აზლარბულ-ეკლიანი სტრიქონების მიღმა კი იგრძნობა ის უშეღავათო, მაგრამ გულწრფელი და ტკივილიანი დამოკიდებულება სამყაროსადმი, ცხოვრებისადმი, ადამიანისადმი, ის ღრმა სევდა და მარტოობის განცდა, ასე რომ იზიდავს მკითხველს მის პოეზიაში, რისთვისაც ენდობა და თანაუგრძნობს „გაბუტული ლექსების“ ავტორს...



## პარია ნაღარიბვილი

### რამო უნა ვისწავლოთ ისტორია?

უპირველეს ყოვლისა, ვიკითხოთ, თუ რა არის ისტორია და რას გვასწავლის იგი? ტრადიციული განმარტების თანახმად, ისტორია ესაა მეცნიერება, რომელიც შეისწავლის წარსულს. რეალურად კი ისტორია იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ წარსული. იგი ერთ-ერთი დიდი სივრცეა, სადაც ვიპოვით უამრავ კითხვასა და პასუხს. მაგრამ, მაინც, რას გვასწავლის ის? როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა „იგია მთხრობელი თუ რანი ვართ და რად შეიძლება ვიყვნეთ კვლავაც“ (ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, გაზეთი „ივერია“, 1888 წ.). ამ კითხვაზე არანაკლებ საინტერესო პასუხს ვიგებთ ციციერონისგან: „ისტორია – წარსულის მოწმე, ცოცხალი მოგონება, სიძველეთა მთხრობელი და ცხოვრების მასწავლებელი“.

ისტორიის შესწავლისას ჩვენ ვიგებთ ჩვენსავე წარსულს, წარმომავლობას, ან უკვე მომხდარ ამბებს, რათა მომავალში თავი ავირიდოთ იგივე შეცდომების დაშვებისგან.

ვინ სწავლობს ისტორიას თუ არა მისივე შემქმნელი – ადამიანი? არსებითად მნიშვნელოვანია ადამიანის ცნობიერება, რომელიც ყალიბდება მას შემდეგ, რაც მოზარდი იწყებს საკუთარი ენის, კულტურის, ისტორიისა და მსგავსი

თემების შეცნობას. სწორედ ეს კომპონენტები ადამიანის თვალსაწიერს უფრო ფართოსა და ტევადს ხდის. მნიშვნელოვანია არა მარტო თვალსაწიერი, არამედ ეროვნული თვითშეგნებაც, რომლის განვითარებაში დიდ როლს სწორედ ეროვნული თემატიკა თამაშობს. მოდით, აქვე ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ადამიანი? ამის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ისტორიის დახმარებით, რადგან ისტორია ინახავს თითოეული ერის წარსულს, ხოლო ადამიანი აუცილებლად განეკუთვნება ერთ-ერთ მათგანს. ისტორია ნათლად დაგვანახებს ჩვენს ქმედებებს და ამით მაგალითს გვაძლევს მომავლისთვის.

ადამიანის ცნობიერებაც სწორედ ამაზეა პასუხისმგებელი, გაიაზროს მოვლენები თუ ფაქტები წარსულიდან და გამოიყენოს ისინი რეალურ ცხოვრებაში. ერთია, როცა ისტორია გვასწავლის და ცდილობს თავიდან აგვარიდოს წარსულის შეცდომები, მაგრამ რამდენად კარგად ითვისებს ამ გაკვეთილს კაცობრიობა? მართალია, „ისტორია საუკეთესო მასწავლებელია, მაგრამ ყველაზე ცუდი მოსწავლეები ჰყავს“ (ლევან ახვლედიანი, რა არის ისტორია? <http://mastsavlebeli.ge/> 2 აპრილი, 2013 წ., 30.06.2022, 21:27).

ამის ნათელი მაგალითია ომები. მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ომი თუ ბრძოლა მომხდარა, რომელთა მიზანიც ხან ძალაუფლების ქონა, ხანაც კი ტერიტორიების დაკავება იყო. ამ კორიანტელიდან გამოვყოთ მეორე მსოფლიო ომი. რატომ ვერ აიცილა იგი მსოფლიომ?

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1920 წელს, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის შემდგომ შეიქმნა ერთა ლიგა, რომლის მიზანიც იყო მსოფლიოში სიმშვიდისა და სტაბილურობის შექმნა, ამაში ასევე მოიაზრება ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. რა მოხდა რეალურად? 1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ერთა ლიგის შექმნისას მსოფლიომ ადამიანის თვითშეგნებითა და ცნობიერებით მოისურვა სისხლისმღვრელი ომის თავიდან აცილება. ცხადია, ამ ორგანიზაციამ მთავარ მიზანს ვერ მიაღწია. იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხთან მიმართებით უგულვებელყოფთ პოლიტიკოსების სურვილებსა და ამბიციებს, დავასკვნით, რომ ადამიანში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა – გონიერება და ვნება.

გონიერების მაგალითად ზემოთ აღვნიშნეთ ერთა ლიგა, ხოლო ამ შემთხვევაში ვნებაში მოიაზრება პოლიტიკოსების, ლიდერების, ქვეყნების მმართველების პირადი ამბიციები, დაუოკებელი სურვილი განდიდებისა თუ ძალაუფლებისა.

მოდით, ისევ დავუბრუნდეთ ადამიანის ცნობიერებას. იმ ასაკში, როდესაც ადამიანი ფლობს მყარ ცოდნას საკუთარი ეროვნების, კულტურისა და ისტორიისა, ამ დროს ხდება იგი საზოგადოების ნაწილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერის. ერი ესაა ადამიანთა მთლიანობა, რომელიც ვითარდება ისტორიის პროცესში. ერის მთავარი ინტერესის ობიექტი არის სამშობლო. ზოგადად, შესაძლოა ერის მსვლელობა ასე ცხადად ვერ დავინახოთ, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციებში ერი სწორედაც რომ შესაფერის ნაბიჯს დგამს. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველო, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მიუხედავად დღეს ფეხზე დგას და არსებობს.

რომ არა ერის ძალა, შემართება, მუხტი და ერთიანობა ქვეყანას იმთავითვე დაემუქრება საფრთხე როგორც ქვეყნის, ისე იდენტობის გაქრობისა. ამაზე საკმაოდ კარგად გვიამბობს ქართველი ერის მამა, ილია ჭავჭავაძე: „ერის გათახსირება, პირქვე დამხობა და განყალბება იწყება მაშინ, როდესაც თავის ისტორიას ივიწყებს“ (ჭავჭავაძე, „ივერია“, 1888 წ.).

ახლა ცხადად ვხედავთ ისტორიის გავლენას ადამიანის მენტალობაზე, თუ როგორ აქცევს იგი ადამიანს საზოგადოების ნაწილად. აქვე დავსვათ კითხვა, შეუძლიათ თუ არა ასეთ პიროვნებებს, ანუ მოქალაქეებს, სახელმწიფო ძლიერების შექმნა და შენარჩუნება? ვფიქრობ, რომ კი!

მოდით, განსახილველად ავიღოთ როგორც ქართული, ისე უცხოური მოვლენები. დავიწყოთ ეროვნულით. საქართველოს, როგორც ვიცით, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ხშირად ყოფილა დარბევისა და აწიოკების ეპიცენტრი. იმ მომენტებში, როდესაც იდგა საფრთხე ერის თუ სახელმწიფოს გაქრობის, სარწმუნოების დაკარგვის, ქართველი ერი მუდამ ქვეყნის სადარაჯოზე იდგა. გონივრული და ფრთხილი გათვლებით ერი ცდილობდა ნაკლები ზიანი მიეყენებინა ქვეყნისათვის და მაქსიმალურად ადვილად გამოეყვანა იგი არსებული სიტუაციიდან. საქართველომ არაერთი ისეთი სიტუაცია გამოიარა და გაუძლო, რომელსაც სხვა ნებისმიერი ერი ვერ გადაიტანდა, და მოვიდა დღევანდელ დღემდე.

ახლა რაც შეეხება უცხოურ მაგალითს. ყველასათვის საყურადღებოა ერთ-ერთი მონინავე ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების ნარსული. ის გზა, რომელიც აშშ-მ განვლო. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში არაერთი გარდატეხა მომხდარა, მათ შორისაა დამოუკიდებლობის მოპოვება და მონობის გაუქმება. ქვეყანამ ორივე მათგანი ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა, ერის დახმარებით. მოდით, დავიწყოთ დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ამერიკის



შეერთებული შტატები მეთვრამეტე საუკუნეში გათავისუფლდა ბრიტანელთა ბატონობისგან. ამას წინ უძღოდა ბოსტონის ჩაის სმა (საპროტესტო აქტი), რომელიც წამოიწიეს ამერიკელებმა. მათი ერთობითა და პლუს არაერთი ბრძოლით (ტრენტონი, ლექსინგტონი, კონკორდი) ამერიკის შეერთებული შტატები დამოუკიდებელი გახდა. ახლა გადავინაცვლოთ XIX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც აშშ-ში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

აბოლიციონისტებმა, ანუ მონობის გაუქმების მსურველებმა, მოახერხეს ისეთი არაჰუმანური რამის გაუქმება, რასაც დღეს მონათმფლობელობას ვუწოდებთ.

მაგალითებით მიიწიდა ხაზი გავუსვა ერის ცნობიერებას, რომელიც ორივე შემთხვევაში საკმაოდ მაღალი იყო. ამით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის ცნობიერების განვითარებამ (ისტორიის დახმარებით) ერი მიიყვანა სახელმწიფო სიძლიერემდე. დიახ, სწორედ ასე საღად მოაზროვნე ადამიანების დახმარებით ქვეყანა ხდება დამოუკიდებელი და კვლავ ძლიერი.

ამგვარი ნარატივის ფონზე აუცილებლად დავინახავდით კავშირს წარსულსა და ადამიანებს შორის. აქვე შეგვიძლია დავადასტუროთ შემდეგი სიტყვები: „ისტორია მეორდება, პირველად ტრაგედიის, ხოლო მეორედ ფარსის სახით“. ამის დამადასტურებელია ზემოთ მოხმობილი მეორე მსოფლიო ომის მაგალითი, ხოლო ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „მტერს ეშინია ჩვენი ერთობისა“ ცალსახად ეხმაურება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოყვანილ ფაქტებს.

მართალია, ისტორია გვიმაღლებს თვალსაწიერს, მაგრამ მისი დავინწყება საწინდარია ერის დაცემისა და ეროვნული იდენტობის დაკარგვის. ვინაიდან, როდესაც ერი ივინწყებს და უგულვებელყოფს მის წარსულს, იგი თავის მხრივ უარს ამბობს აწმყოსა და მომავალზე. რადგანაც, „ანმყო შობილი წარსულისგან არის მშობელი მომავლისა“ (ჭავჭავაძე ილია, ერი და ისტორია, 1888 წ.).

ისტორიის ცოდნა და ისტორიასთან სიახლოვე გარდა ეროვნული თვითშეფასების ამაღლებისა, კარგად ავითარებს კრიტიკულ აზროვნებასაც. ზოგადად, კრიტიკული აზროვნება განასახიერებს აზროვნების მაღალ დონეს, რომელიც ადამიანის თანდაყოლილ უნარს არ წარმოადგენს. კრიტიკული აზროვნება ესაა ფიქრი პროცესებზე, მოვლენებზე, ფაქტებზე, რათა მოხდეს მათი სრულფასოვნად გაგება, გაანალიზება, ბოლოს კი იმ კონკრეტული მოვლენისა თუ ფაქტის განსჯა, რა თქმა უნდა, ჯანსაღად.

ახლა ვისაუბრებ კრიტიკულ აზროვნებაზე, ოღონდ ისტორიის ჭრილში. რეალურად, ერთია ვუყურებდე და აღვიქვამდე საკითხს, ხოლო მეორეა მქონდეს ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ისტორიული სახის. ვინაიდან, განსხვავებულია ხედვა კონტექსტითა და კონტექსტის გარეშე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისტორიული კონტექსტი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, აღვიქვათ და გავაანალიზოთ ესა თუ ის ფაქტი, ან თუნდაც დავაკავშიროთ ერთმანეთთან აწმყოსა და წარსულში მომხდარი თუ მიმდინარე პროცესები.

კრიტიკული აზროვნება თავის მხრივ ავითარებს ტრანსფერულ უნარებს. ეს უკანასკნელი მოიაზრებს შემდეგს – ერთ სიტუაციაში ათვისებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენებას. მაგალითისთვის, თეორიული ცოდნით პლუს კრიტიკული აზროვნებით შეგვიძლია არგუმენტირებულად დავასაბუთოთ წარსულში მომხდარი რაღაც გადაწყვეტილების მიღება-არ მიღება, რომელმაც ასევე წარმოშვა გარკვეული მოვლენა.

ზემოთ თქმულს ასევე უკავშირდება მოვლენათა დაკავშირების უნარი. მაგალითისთვის, ერთ მხარეს წარმოადგენს, როდესაც ვიცით ამბავი, რომელიც მირიან მეფეს გადახდა თავს თხოთის მთაზე, მაგრამ მეორე მხარეა, როდესაც ვიცით მისი შვილის კონსტანტინოპოლში ტყვედ ყოფნის შესახებ. აქ ეს ორი ფაქტი უხილავი ძაფით უკავშირდება ერთმანეთს და იწყება მოვლენათა დაკავშირება თან კრიტი-

კული აზროვნების დახმარებით. ახლა ეს ორი გარემოება ეჭვს იწვევს ადამიანში იყო თუ არა ქართლის გაქრისტიანება მხოლოდ პოლიტიკური და პირადი მოტივით განპირობებული (შვილის გათავისუფლების გამო) და არა მართლაც რელიგიური მოტივის? აი, სწორედ ასეთ სააზროვნო სისტემას აყალიბებს ისტორია. ისტორიის მცოდნე ადამიანთა აზროვნება ბევრად განსხვავდება იმ ადამიანთა აზროვნებისგან, რომლებიც ყოველივეს მხოლოდ ზედაპირულად უყურებენ და აღიქვამენ.

როდესაც ვკითხულობთ, თუ რატომ უნდა ვისწავლოთ ისტორია, შესაძლებელია ვილაცხას დაებადოს კითხვა, თუ რატომ უნდა ისწავლოს მან პირობითად რომ ვთქვათ, ან მისი ქვეყნის ისტორია, ან მსოფლიოს ისტორია.

უპირველეს ყოვლისა, ვიტყვი, რომ საკუთარი წარსულითა და ისტორიით უნდა ვიამაყოთ ჩვენივე წინაპრების გამო. როგორც ვახსენე, საქართველო მრავალგზის ყოფილა მტრის უღელქვეშ, მაგრამ მაინც გაურთმევია თავი მეტად მძიმე მომენტებს. აქვე ვიკითხოთ, ვისი დახმარებით გაართვა თავი? რა თქმა უნდა, დიდი ქართველების დახმარებით, რომლებიც ჩვენი წინაპრები იყვნენ. ეს ადამიანები ქმნიდნენ ეპოქებს საუკუნეთა სხვაობით. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით მოვიდა საქართველო დღემდე.

როდესაც ეპოქის ადამიანებზე ვსაუბრობთ, შეგვიძლია გავაანალიზოთ რამდენიმე მათგანის მოღვაწეობა და წვლილი როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიისადმი. უპირველეს ყოვლისა, ვახსენებ ქართველის ერის მამას – ილია ჭავჭავაძეს. ილიას არსებობა ქართველთა შორის უკვე ცალკე ისტორიაა. იგი ყველგან ცდიდა თავს, რათა თითოეულ სფეროსთან შეხებით გადაერჩინა ყოველივე ქართული. ამით ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებასა და მიძინებული ერის გამოღვიძლებას. რეალურად, მისი საქმეების სიდიადე განუზომელია, მაგრამ მაინც შემიძლია ვთქა, რომ მან ისტორიაში ახალი გვერდის წერა დაიწყო ერის გამოფხიზლების

სახელით. ქართველ ერს კი შეუნარჩუნა ენა, გაახსენა მისი ფოლკლორული შემოქმედება, ასწავლა წერა-კითხვა და სხვა მრავალი რამ.

ახლა განვიხილოთ შემდეგი საზოგადო მოღვაწე – ექვთიმე თაყაიშვილი – საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. აქვე გავიხსენოთ მისი სიტყვები: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც. პირდაპირ ამიტანა ფანატიურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო“. ექვთიმე თაყაიშვილმა არამარტო შეძლო ამ ყოველივეს მოსწრება, არამედ დარაჯადაც კი ედგა ეროვნულ განძს. მისი დახმარებით ეროვნული განძს არ დაჰკლებია არცერთი ნივთი. მეტად რთული პერიოდის გავლა მოუწია ექვთიმე თაყაიშვილს... ემიგრაცია, ცოლის გარდაცვალება, ათასი ადამიანის მოგერიება, რომლებსაც ეროვნული საგანძურის ხელში ჩაგდება სურდათ. ამ ყოველივეს ფონზე მან მაინც მოახერხა განძის სამშობლოში დაბრუნება, რადგან ის არ იყო ხელისუფლების ან თვით მისი, როგორც ერთი ადამიანის საკუთრება. ეროვნული განძი ხალხის საკუთრება გახლავთ. რა შემიძლია ვთქვა ექვთიმე თაყაიშვილზე? ნამდვილად პატრიოტი მამულიშვილი იყო, მისაბაძი პიროვნება, რომელიც პატრიოტიზმით „დაჯილდოებული“ გახლდათ.

საქართველოს ისტორიაში არაერთი სახელოვანი მეფე გვყოლია, მაგრამ, მოდით, ამჯერად ვისაუბრებ ერეკლე მეორეზე. ერეკლე მეორეს არც ისე ადვილ პერიოდში მოუწია მეფობა, მართალია, დასაყდრნობად მამა ჰყავდა, მაგრამ მეფის ბედი მაინც რთულია. თხუთმეტი წლიდან სამეფოს სადარაჯოზე მყოფი ერეკლე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე საქართველოს ერთიანობისთვის იბრძოდა. ადამიანი, რომელმაც ხუთასამდე ბრძოლაში თავადვე მიიღო მონაწილეობა. რა უნდა იყოს ამაზე საამაყო? მაგრამ, მის ქმედებებს დღეს არაერთი მოწინააღმდეგე ჰყავს... მოდით, დაფიქრდეთ, იყო თუ არა მეფისთვის მსგავსი ცხოვრება რთული, ან გადანყვეტილებების მიღება? მე კი მიმაჩნია, რომ იყო.

აქვე გავამახვილებ ყურადღებას ერთ-ერთ მეფეზე – დავით აღმაშენებელზე. კერძოდ, მის გამორჩეულ თვისებაზე, რომელსაც ტოლერანტობა ჰქვია. როგორც ვიცით, დავით აღმაშენებლის ომების ობიექტი მუსლიმები იყვნენ, მიუხედავად ამისა დავით აღმაშენებელი პატივს სცემდა თბილისში მცხოვრებ მუსლიმებს და მეჩეთშიც შედიოდა. მართალია, მეფის ცხოვრებიდან მხოლოდ ერთი დეტალი მოვიყვანე არგუმენტად, მაგრამ ამითაც შესაძლებელია ვახსენო ის მიზეზი, თუ რატომ უნდა გაინტერესებდეს წარსული. როდესაც ადამიანი ისტორიის შესწავლითაა დაინტერესებული, მაშინ ხსენებული არგუმენტი კარგად ასწავლის მას ტოლერანტობას და მის ფასს.

რეალურად, ჩამოთვლილი პიროვნებები (და არამარტო ისინი) უნდა გახდნენ დღევანდელი თაობისათვის სამაგალითო ადამიანები. ცხადია, თითოეულ ადამიანშია კარგი და ცუდი, მაგრამ ისტორია სწორედ ამის დანახვის საშუალებას გვაძლევს. მასში შემონახულია ოქროს ასოებით ჩანერილი დიდი ადამიანები და, ამავდროულად, უღირსი ადამიანები, რომლებიც განდიდების მანიით იყვნენ შეპყრობილნი და თავიანთ ქვეყანას არაერთგზის ავნეს.

ისტორიული პიროვნებების ერთი ხელის მოსმით შეფასება ნამდვილად არ შეიძლება. რისთვის მოვიყვანე მაგალითებად ზემოთ ხსენებული ადამიანები? იმისათვის რომ, ხაზი გავუსვა ისტორიის ცოდნის აუცილებლობას. ისტორიის ცოდნის გარეშე არასწორად მიმაჩნია რაღაც ქმედების ანალიზი და, მით უმეტეს, ისტორიული პიროვნების გაკიცხვა.

მოდით, ვახსენოთ სხვა ქვეყნების მაგალითები, თუ რატომ სწავლობენ ისინი ისტორიას. ესპანეთის სასკოლო გარემოში ისტორია წარმოადგენს ხალხის მეხსიერებას და იგი განსხვავდება სასკოლო სახელმძღვანელოებისაგან.

არაერთი მაგალითი მოვიყვანეთ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა ისწავლოს ადამიანმა ისტორია და, ვფიქრობ, არანაკლებად მნიშვნელოვანია საკუთარი აზრისა და დამოკიდებუ-

ლების დაფიქსირება. არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ისტორიის (და არც სხვა საგნების) ზედაპირულად შესწავლა, მაგალითად: მხოლოდ ამბისა და თარიღების სწავლა. არამარტო მოსწავლემ, არამედ ნებისმიერმა ადამიანმა ისე უნდა შეისწავლოს ისტორია, რათა შეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება კონკრეტულ საკითხზე. ამით იგი გამოიმუშავებს შესაბამისს უნარებს, რომლებითაც შეძლებს ჯანსაღ გაკრიტიკებასა და ისტორიული ფაქტების ინტერპრეტაციას.

ისტორიის სწავლა თავდაპირველად იწყება სკოლაში. სკოლა კი, ერთი მხრივ, ის ადგილია, სადაც ადამიანი საბაზისო ცოდნას იღებს და ემზადება ახალ გარემოში გადასასვლელად. ისტორიის ცოდნით აღჭურვილი ადამიანი ნამდვილად ადვილად გადაჭრის პრობლემებს, რადგან მას განვითარებული ექნება კრიტიკული აზროვნება, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თან გაჰყვება. ამგვარი ადამიანისათვის ასევე დამახასიათებელია ინფორმაციების მოძიება და ორგანიზებაც.

ვიტყვი, რომ ისტორია მეტად ფართო და ვრცელი სფეროა. არსებობს არაერთი მოსაზრება, დოკუმენტი და სხვანი, რომლებიც უკავშირდება ერთ ფაქტს. ასეთ დროს რთულია დაადგინო ზუსტად რა მოხდა, მაგალითისთვის მირიან მეფე რომ გავიხსენოთ, როგორც ვიცით, ერთი ვერსიის თანახმად მეფე მირიანს ნადირობისას დაუბნელდა, ხოლო მეორე ვერსიით ნისლი ჩამოწვა. ცხადია, ასეთ დროს ერთი დასკვნის გამოტანა რთულია, რადგან ჩვენი თვალთ არ შევსწრებივართ ამ ფაქტს, მაგრამ ისტორიის მცოდნე ადამიანისთვის ინფორმაციების შეჯერება და დასკვნების გამოტანა ნამდვილად არ წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას.

ბოლოს კი ვიტყვი, რომ რიგი არგუმენტების დახმარებით შევეცადე წარმომედგინა ისტორიის შესწავლის აუცილებლობა და გვერდითი ეფექტები. იმასაც აღვნიშნავ, რომ დღესდღეობით არაერთი ისტორიის მოყვარული ადამიანი არსებობს, იქნება ეს პროფესიონალი, თუ უბრალოდ მოყვარული. ამისდა მიუხედავად,

საჭიროდ ჩავთვალო არგუმენტირებული მსჯელობით ამეხსნა, თუ რატომ უნდა ვისწავლოთ ისტორია და რა დადებითი მოტანა შეუძლია როგორც ერთი ადამიანისთვის, ისე ერისათვის.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ვიტყვით, რომ პიროვნების ფორმირებაში ისტორია დიდ როლს თამაშობს და იგი არ არის განყენებული, ცალკე მდგარი სფერო ან საგანი. მისი მეშვეობით ადამიანი მორალურად იზრდება და უერთდება ახალ წრეს – საზოგადოებასა და ერს. ეს განათლებული და ისტორიის ცოდნით „მომარაგებული“ ერი ღირსეულად დგას ქვეყნის სადარჯოზე. და არამარტო ერი, მე ვახსენე რიგი ადამიანები, რომლებიც გამოირჩეოდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ასევეა სხვა ქვეყნებშიც, ასეთი ადამიანები იდეალებს წარმოადგენენ, რომელთა ყაიდაზეც უნდა აღიზარდოს ახალი თაობა, ან თუნდაც მაგალითი მიიღოს ყველა იმ ადამიანმა, რომელიც ისტორიასთან დამეგობრებას გადაწყვეტს. სწორედ ასე შეიძლება ადამიანის სულიერებაში ცვლილებების გამოწვევა, უკეთესობისკენ შეცვლა და წინსვლა. ცხადია,

პატრიოტი ადამიანების ისტორიების მოსმენის შემდეგ მკითხველიც პატრიოტიზმით ივსება.

ამგვარად, როდესაც ადამიანს განვითარებული აქვს სააზროვნო უნარები და კრიტიკაც შეუძლია იგი წარსულის ფონზე ნათლად დაინახავს როგორც მსგავსება/განსხვავებას ანმოსთან, ისე მის როლსა და დანიშნულებას ქვეყნის სადარჯოზე.

მართალია, არაერთი ისტორიის მოყვარული ადამიანი არსებობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთათვის ისტორია არ წარმოადგენს ინტერესის სფეროს, ან ისინი არ აღიქვამენ ამ ყოველივეს საჭიროდ, რაც ძალიან სამწუხარო მგონია. ან უკვე ხსენებული არგუმენტებითა და მოსაზრებებით შევეცადე, წარმომედგინა საკვანძო საკითხები, რის გამოც მართლაც ნაყოფიერია ისტორიის შესწავლა. ვინაიდან, ეს არ არის უბრალოდ თარიღები, ან მოსაწყენი ამბავი. ვიმედოვნებ, რომ განხილული თემა ბევრისთვის იქნება ბიძგი და შესაძლებლობა დაინახონ ისტორია სხვა კურსით, როგორც მათი იდენტობის ნაწილი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე მარიამ, საქართველოს ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006.
2. ჩხარტიშვილი მარიამ, ისტორიის მეცნიერების შესავალი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
3. ჭავჭავაძე ილია, ერი და ისტორია, გაზეთი „ივერია“, 1888.  
ინტერნეტწყაროები: <http://mastsavlebeli.ge/>

## თაბარ გაჭუტაძე თინა შიროშვიდი

### ქართული ხალხური ანდაზების მოამბე

მწერალი და პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი და ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და მთარგმნელი თედო ტიმოთეს ძე სახოკია (1868-1956) იმ ღვაწლმოსილ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა საქმიანობაც მშობელი ხალხის კულტურული ცხოვრების თითქმის ყოველ სფეროს უკავშირდება.

თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დიდი დამსახურება ანდაზებისა და იდიომატური თქმების შეკრება-პუბლიკაციაში. ახალგაზრდობის წლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე იგი განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა ამ მასალის მიმართ; 1898 წლიდან მოყოლობული, გულმოდგინედ აგროვებდა ხალხში ანდაზებსა და ხატოვან თქმებს, ზრუნავდა მათ დამუშავებასა და პუბლიკაციაზე, რაც დიდად საშურ საქმედ მიაჩნდა. „ზეპირსიტყვიერებაში... ყველგან მეტი და სწრაფი საფრთხე, განსაკუთრებით მეტი შიში მოელის ხატოვან თქმათა და ანდაზებს, რომლებიც შეადგენენ ჩვენის მეტყველების ლაზათსა და სიმდიდრეს. ერთი და მეორეც ან ზოგჯერ სულ გვაგინყდება და აღარც კი ვხმარობთ ხოლმე, ანდა თუ კიდევ გვაგონდება, ვხმარობთ უალაგო ალაგას, რადგან მათი შინაარსი და მნიშვნელობა აღარ გვესმის, დავინწყებული გვაქვს, ან კიდევ, რაკი შინაარსი აღარ გვესმის, უკეთეს შემთხვევაში, უაზროდ, მოცლილი ადამიანის მოგონილად მიგვაჩნია და ამიტომ აღარც კი ვურთავთ ხოლმე ლაპარაკში. „ქართულ ხატოვან თქმათა ლექსიკონი“ და „ქართული ანდაზები“, ჩემის აზრით, აბა სწორედ ამიტომ უნდა გახდეს ჩემთა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინე“, – წერდა იგი (სახოკია, 1969: 244).

„ანდაზა სხარტულად გამოთქმული სიბრძნეა ხალხისა, მთელი საუკუნოების დაკვირვების შედეგი და წარმონაშობი. ისე მკაფიოდ არსად იხატება დაკვირვება ამა თუ იმ ხალხისა, როგორც – ანდაზაში; კიდევ ამიტომაც აქვს საპატიო ადგილი ანდაზას ხალხის ზეპირსიტყვიერებაში“, – ასე მოხდენილად გამოთქვა თავისი აზრი ზეპირსიტყვიერების ამ უმდიდრესი უბნის დეფინიციის შესახებ თედო სახოკიამ 1898 წელს სოსიკო მერკვილაძის გამოცემული „ხალხური ანდაზებისა და გამოცანების“ კრებულის რეცენზიაში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ (1898, №8, განყ. მე-2, გვ. 75-76).

1897 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (№10, განყ. 1, გვ. 162) თ. სახოკიამ გამოაქვეყნა ათი მეგრული ანდაზა სათაურით: „ანდაზები, სამეგრელოში შეკრებილი თ. სახოკიას მიერ“. ნიმუშები ქართულ ენაზეა წარმოდგენილი და ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებულ ანდაზათა ვარიანტებია:

1. ანაკლიაში ერთ კაცს შემწვარი თევზი მოჰქონდაო;
2. ბრმას ცოლის სიკვდილი რად ვუთხრათ, – გვერდით რომ არ მოუწვება, მკვდარი არ ეყოლება?!
3. თვალსა და თვალს შუა ცხვირი რომ არ იყოს, ერთმანეთს დასჭამდნენო;
4. ერთი-მეორის ცქერით ძმებს სახლი დაეწვათ;
5. მღვდელი თუ გაკრიჭო, კარგად გაკრიჭე;
6. წკირზე დაბადებულს წკირზე სიკვდილი ურჩევნია;
7. მწვერებისაგან მოღლილი კურდღელი მეძებრებმა დაიჭირესო;
8. ცხვრის დუმის უკან დევნით ტურა დაიღუპაო;
9. სხვისი ხელით ჯოხი მსუბუქი სასროლია;
10. გლეხი ხატს შეეჩვია და ნაფოტის სროლა დაუნყო.

პირველ ანდაზას ახლავს განმარტება: „ანაკლია სამეგრელოშია, ზღვის პირად, ბევრი თევზი იცის“. ამით შემკრებმა მიგვანიშნა ამ პარემიის იუმორისტულ ხასიათზე. მეცხრე ანდაზას ახლავს მეგრული შესატყვისი („შხვამ ტახანა ლექინი იყოთამალირე“). ამ ანდაზებიდან ხუთი ერთეული (მცირედ განსხვავებული ვარიანტების სახით) შემდეგში თ. სახოკიას ანდაზების კრებულებში შევიდა. ესენია:

1. ანაკლიაში კაცს შემწვარი თევზი მოჰქონდაო;
2. თვალებშუა ცხვირი რომ არ იყოს, ისინი ვერ მორიდდებიანო;
3. ერთმანეთისა ბაძვითა სახლი აივსო ნაგვითაო;
4. მღვდელი თუ გაკრიჭო, კარგად უნდა გაკრიჭო;
5. გლეხი ხატს მიეჩვია და ნაფოტის სროლა დაუნყო.

„მოამბეში“ დაბეჭდილი ანდაზების თედო სახოკიასეული ავტოგრაფი იმავე სათაურითა და თანმიმდევრობით ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H. 1988 და 200-გ).

მეგრული ანდაზების გამოქვეყნებამ საზოგადოების დიდი მოწონება და გამოსმაურება გამოიწვია. იმავე წელს „ივერიაში“ (№227) დაიბეჭდა ალ. ხახანაშვილის წერილი „მეგრული ენა ქართულს ლიტერატურასა და მწერლობაში“, სადაც სათანადოდ არის შეფასებული თ. სახოკიას ღვაწლი და გამოთქმულია სურვილი სამეგრელოს ზეპირსიტყვიერების ინტენსიურად ფიქსირებისა და შესწავლისა.

ანდაზებზე მუშაობას თედო სახოკია დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. იგი ცდილობდა, მხედველობიდან არ გამორჩენოდა მისთვის ხელმისაწვდომ ენებზე არსებული კრებულები, მათთან შეეჯერებინა თავისი მასალები, შეევესო და გაემდიდრებინა ისინი. 1898 წლის 27 თებერვალს ალ. ხახანაშვილისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „...აღბათ გახსოვთ, შარშანწინ თბილისში გთხოვეთ, მოგენოდებინათ ჩემთვის რუსული ანდაზების სრული კრებული და, საზოგადოდ, მათის შეკრების ისტორია, თუკი არსებობს ცალკე გამოცემული. ამ თხოვნას ახლაც გიმეორებთ...“. საპასუხო წერილში იმავე წლის 12 მარტს ალ. ხახანაშვილი მეთოდური თვალსაზრისით ურჩევს ბუსლაევისა და მაიკოვის წიგნების გაცნობას, დასასრულს კი დასძენს: „...მე ვგონებ, უკეთესი იქნება, თუ მხოლოდ კავკასიელთა ხალხების ანდაზების შედარებით დაკმაყოფილებით“ (ლიტ. მუზ. ფ: 213).

როგორც თ. სახოკიას ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ჩანს, 1897-1898 წლებისათვის მას საკმაო მასალა ჰქონდა ხელთ და მათი დამუშავებისა და სრულყოფისათვის ზრუნავდა. 1898 წლის 30 ოქტომბერს მისი ყოფილი მასწავლებლისა და შემდგომში დიდი მეგობრის, ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის თედო ჟორდანიას წერილში ვკითხულობთ: „რას შვრება შენი კრება ქართული ანდაზებისა? არ შედრკე, განაგრძელე: იცოდე, მარტო იმ კრებულთ, სხვა რომ არა იყოს რა, დიდი ღვაწლს გაუწევ ჩვენ საერო მწერლობას, საუკუნო სახელს დასტოვებ. თუ არ ახლა, მერე გვიან იქნება: ანდაზები ერის ხსოვნადამ იკარგება, სხვაფერდება, ირყენება, როგორც ყოველი კეთილი მამაპაპეული“ (ლიტ. მუზ. ფ.: 226).

თედო სახოკია ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე იყო, რომელმაც ევროპას გააცნო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მათ შორის – ანდაზები. 1900 წელს გაზეთმა „ივერიამ“ (№240) ქართულ საზოგადოებას აუწყა, რომ ფრანგულ ჟურნალში („La Caucase Illustree“, №6) დაიბეჭდა თ. სახოკიას მიერ თარგმნილი მეგრული ანდაზები.

1902 წელს ჟურნალი „მწყემსი“ (№23-24, გვ. 13) ახალი ამბებისა და შენიშვნების განყოფილებაში იტყობინებოდა: „ერთ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილია ქართული ანდაზები, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ. სულ 800-ზე მეტი ანდაზაა დაბეჭდილი. როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, მრავალი მათგანი თვით თ. სახოკიას შეუგროვებია და ჯერ ქართულადაც არ ყოფილა დაბეჭდილი. ანდაზები ცალკე წიგნადაც გამოვა“.

1902-1903 წლებში ფრანგულ ჟურნალში („Revue des Traditions Populaires“, ტ. XVII, №11, 1902 და ტ. XVIII, №1, 1903) მართლაც დაიბეჭდა თ. სახოკიას მიერ თარგმნილი ქართული ანდაზები. ეს ანდაზები 1903 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა პარიზში (Th. Sakhokia, „Les proverbes Georgiens“, Paris, 1903).

ფრანგულად დაბეჭდილი ქართული ანდაზების კრებული 814 ანდაზას შეიცავდა. ისინი მკვლევარმა თემატურად დაანაწილა და სულ 66 ჯგუფში გააერთიანა. ეს ჯგუფებია: ღმერთი, სოფლის მეურნეობა, სიყვარული, მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა, სილამაზე, სიკეთე, ბედნიერება, შრომა, ნადირობა, სიმდიდრე, ვაჭრობა, რჩევა, ცნობისმოყვარეობა, აღზრდა, ეგოიზმი, ოჯახი, მეფე, ქალი, საზოგადოება, ახალგაზრდობა, ქურდობა, სიზმარი, ხელობა, მოთმინება, მოგზაურობა, ავადმყოფობა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ანდაზების განაწილება თემატურ ჯგუფებში ანბანთრიგზე დალაგებასთან შედარებით უფრო პერსპექტიული და მოსახერხებელია, თ. სახოკიასეული თემატური ჯგუფები, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ვერ იტყვეს ამ ჟანრის გამომსახველობას, რადგანაც ანდაზების თემატიკა უმდიდრესია და ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს ეხმიანება. მართებულად მიუთითებს მიხეილ ჩიქოვანი, რომ „ყოველი ცდა მისი (ანდაზების – თ. შ.) თემატიკური დახასიათებისა არასოდეს სრული არ იქნება“ (ჩიქოვანი, 1946: 242).

ქართული ანდაზების ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში თედო სახოკია წერს: „ჩვენ გვსურს, ფრანგ ხალხს გავაცნოთ ქართველი ხალხის საუკუნოვანი გამოცდილების გამოძახილი, მისი სიბრძნის ხმა...“; აქვე მკვლევარი ლაპარაკობს ანბანური წესით ანდაზების დალაგების უარყოფით მხარეზე, მის სიმარტივესა და ნაკლებ პრაქტიკულობაზე. დალაგების მისეულ პრინციპს იგი ამ ნაკლის თავიდან აცილებით ამართლებს და მიუთითებს, რომ „აზრის სიღრმის მიხედვით დალაგების სისტემა მკითხველს ეხმარება დროის დაუკარგავად მისთვის სასურველი ანდაზის მოძებნაში“.

თავისი მოსაზრება ანდაზების დალაგების შესახებ თ. სახოკიამ ჯერ კიდევ 1898 წელს გამოთქვა სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემულ „ხალხური ანდაზებისა და გამოცანების“ კრებულის რეცენზიაში („მოამბე“, №8, განყ. 2, გვ. 75-76).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერთაგან თედო სახოკიამ ერთ-ერთმა პირველმა აღძრა ანდაზების თემატურ ჯგუფებად დალაგების საკითხი. შემდეგში მე-20 საუკუნის 30-40 წლებიდან, უკვე ინტენსიურად მიუთითებენ ამ პრობლემაზე: 1953 წელს ნ. ნაკაშიძემ გამოსცა თემატურად დალაგებული ანდაზები, 1953 წელს ალ. ლლონტმა – იმავე პრინციპით განყოფილი ანდაზები და სიტყვის მასალები და სხვა, თუმცა ამ გზას ბევრი მიმდევარი დღემდე არ ჰყავს, გარკვეული სირთულეების გამო.

ქართული ანდაზების ფრანგულ ენაზე გამოცემამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში. „ივერიაში“ (1903, №93) დაიბეჭდა რეცენზია „ქალაქელის“ ფსევდონიმით, რომელშიც ავტორი წერს: „ჩვენს ცნობილ მწერალს ბ-ნს თ. სახოკიას საუცხოვო აზრი მოსვლია, გადაეთარგმნა ფრანგულად ქართული ანდაზები, დაებეჭდა ფრანგულს ჟურნალში და მერე ცალკე წიგნადაც გამოეცა...“ მართებულად აღნიშნავდა რეცენზენტი, რომ „ბ-ნს თ. სახოკიას კრებულის უმთავრეს ღირსებად ანდაზების კლასიფიკაცია უნდა ჩაითვალოს. აქამდის ანდაზების კრებულები ანბანის რიგზე იწერებოდა, პატივცემულ ავტორს კი შინაარსის მიხედვით გაუნაწილებია თავისი მასალა“. აქვე ხაზგასმულია მთარგმნელის დამსახურებაც: „რაც შეეხება თვით თარგმანს, ავტორის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ თარმანი ერთობ კარგია, – უფრო გადმოღებაა, ვინემც თარგმანი. ბ-ნს თ. სახოკიას კარგად შეუგნია საქმის სიძნელე და სიტყვითი-სიტყვად თარგმნას არ გამოჰკიდებია...“

პროფ. ალ. ხახანაშვილმა საისტორიო-სალიტერატურო ჟურნალ «Исторический Вестник»-ში (1903, №8, გვ. 699) დაბეჭდა რეცენზია, რომელშიც კმაყოფილებით აღნიშნავდა: „Заслуга несомненная г. Сахокия в том, что он первый из грузин сделал начин ознакомить иностранцев с известным отделом грузинского фольклора“. იგი განიხილავს, აგრეთვე, ანდაზების თ. სახოკიასეულ კლასიფიკაციას და მიუთითებს, რომ შემდგენლის მისწრაფება, ანდაზები განალაგოს დასახელებულ ჯგუფებში (ავტორის სიტყვით – „ტერმინებში“), საკმაოდ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, თუმცა ეს სიძნელეებიც კარგად არის დაძლეული. რეცენზენტი ეხება თარგმანის სტილსაც და აღნიშნავს, რომ თარგმანი თავისუფალია, ამავე დროს ორიგინალთანაც ახლოს არის; ზოგჯერ, როცა ანდაზა ქართულ კოლორიტს ატარებს და აიხსნება ადგილობრივი საყოფაცხოვრებო ანდა ისტორიული პირობებით, ავტორი ურთავს კომენტარებს; აქვე ალ. ხახანაშვილი გამოთქვამს საყვედურს, რომ ხალხური ანდაზების ციკლში შეტანილი რუსთველისეული აფორიზმების მიმართ არ არის აღნიშნული, რომ ისინი ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია.

თედო სახოკია ფართო პარემიოლოგიურ მუშაობას აწარმოებდა: ერთი მხრივ კრებდა და აქვეყნებდა ქართულ ნიმუშებს მშობლიურ და უცხო ენებზე, მეორე მხრივ ქართველ მკითხველს აცნობდა არაქართულ ენაზე შექმნილ ხალხურ სიბრძნეს. ამის ნიმუშია იტალიური ენიდან ანდაზების თარგმნა და პუბლიკაცია. 1902 წელს მან „ცნობის ფურცელში“ (სურათებიანი დამატება, №64) გამოაქვეყნა მის მიერვე იტალიურიდან თარგმნილი ანდაზები ქალის შესახებ. თარგმნილია სულ 29 ნიმუში. ამ ანდაზებში გადმოცემულია იტალიელი ხალხის შეხედულება ქალზე გათხოვებამდე და გათხოვების შემდეგ, ასახულია ქალთა ფსიქოლოგია. ზოგიერთ მათგანს შესანიშნავად ეხამება ქართული ანდაზები. მაგ. იტალიური ანდაზის – „ყოველმა ქალმა ერთი მუხლი მეტი იცის ეშმაკზედა“ – აზრს კარგად ეხმიანება ქართული ანდაზა „დედაკაცი და ეშმაკი ორივე ერთიაო“ (სახოკია, 2012: 55); ანდა: „დედაკაცი ეშმაკზე ერთი დღით ადრეა დაბადებულიო“; ერთი და იგივე მორალის შემცველია იტალიური ანდაზა „ქალი სანამ გასათხოვარია, შვიდი ხელი აქვს და ერთი ენა, როცა გათხოვდება – შვიდი ენა და ერთი ხელი“ და ქართული ანდაზა „ქალი ქებით გათხოვდება, რძალი ვის უნახავს კარგი?!“



ამავე წლის 14 ოქტომბერს მიხეილ თამარაშვილთან მიწერილი წერილიდან ვგებულობთ, რომ თ. სახოკიას მხრივ ეს ყოფილა იტალიურიდან თარგმნის პირველი ცდა: „აი, ეს არის, „ცნობის ფურცელში“ ვგზავნი ჩემს პირველ თარგმანს, იტალიურ ხალხურ ანდაზებს“, – წერს იგი. 1903 წელს იტალიაში, ფლორენციაში, თ. სახოკიამ დაბეჭდა ქართული ანდაზები ქალის შესახებ.

ფრანგულად გამოცემული ანდაზების კრებულის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ 1903 წლისათვის თ. სახოკიას აღრიცხული ჰქონია 7000 მეტი ანდაზა. მათი ნაწილი მკვლევარს უბის წიგნაკებში ჰქონია ჩაწერილი, ნაწილი კი გადაუტანია ბარათებზე.

1911 წლის 7 აპრილს თედო სახოკია მეუღლეს წერდა: „მაღე უნდა შეეუდგე ჩემ მიერ შეკრებილი ქართული ანდაზების დაწყობასა და კლასიფიკაციას. მართალია, დიდი შრომა კი უნდა, მაგრამ მეტი რა გზაა...“

1943 წელს ავტობიოგრაფიაში იგი წერდა: „მეორე წიგნში (პირველ წიგნად ნაგულისხმევია „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ – თ. შ., თ. მ.), რომელზედაც ახლა ვმუშაობ, არის „ქართული ანდაზები“, როგორც ჩემამდე სხვების, ისე ჩემ მიერ შეკრებილები. განზრახული მაქვს, ყოველი ანდაზის მნიშვნელობა და დედაზრი ავხსნა, თემატურად დავალაგო და ყოველს ანდაზას, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, შიგ ნახმარი სიტყვების ახსნა და თითოეულის მათგანის წარმოშობის ისტორია დავურთო“ (სახოკია, 1969: 245). ამ მოსამზადებელ სამუშაოზე მეტყველებს ასობით ბარათი, რომლებზედაც ანდაზების გვერდით გვხვდება მათი ახსნა, წარმოშობის ისტორია და „საანდაზო ლექსები“. მკვლევარი ვარაუდობდა, რომ ამგვარად მომზადებული ანდაზების კრებული 20-25 ფორმამდე უნდა გამოსულიყო. ამისათვის კი, სულ ცოტა, ორი წლის მუშაობა მაინც იყო საჭირო. 76 წლის მეცნიერი წერდა: „არ მინდა სააქაოს გავშორდე, სანამ „ანდაზებს“ ჩემის სურვილისამებრ არ დავამუშავებ და ასე არ დავტოვებ დასასტამბავად“ (სახოკია, 1969: 245).

ანბანური წესით დალაგებული „ქართული ანდაზების“ პირველი ვარიანტი 1951 წელს თ. სახოკიას უკვე მზად ჰქონდა და კრებული უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. ამის გამო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკაკი შანიძე წერდა: „მწერალს თედო სახოკიას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო თქვენი საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი, რომლის თანახმად, აკადემიას გადმოეცა უსასყიდლოდ ორი თქვენი ნაშრომი: 1. ქართული ანდაზების კრებული (ეს ნაშრომი თან მოჰყვა ანდერძს) და 2. ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა მე-2 ტომი, რომელიც ამჟამად ხელთ ჰქონია პროფესორ გ. ჩიტაიას სარედაქციოდ. დიდ მადლობას მოგახსენებთ ასეთი ძვირფასი შემოწირულობისათვის... 6 თებერვალი, 1951 წელი“.

ხელნაწერი ამჟამად დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში; მისი მეორე პირი კი ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში (№18 230). ხელნაწერებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ არცერთი მათგანი არ არის საბოლოო ნუსხა, იმგვარად მომზადებული და გამართული, შემდგენელს რომ სურდა.

თედო სახოკიასეული ხელნაწერის მიხედვით შედგენილი, ანბანთრიგზე დალაგებული „ქართული ანდაზების“ კრებული 1967 წელს ვრცელი წინასიტყვაობით გამოიცა გ. ჩიტაიას რედაქციით. „შრომა, რომელიც განეულია თ. სახოკიას მიერ ქართული ანდაზების კრებულის შედგენაზე, – წერს რედაქტორი წინასიტყვაობის დასასრულს, – ფასდაუდებელია. მან დიდი საქმე გააკეთა და ჩვენი ვალია, მადლობით მოვიხსენიოთ მისი გარჯა“.

თედო სახოკიას მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე ნაგროვები ანდაზების კრებულები, ბუნებრივია, ქართული პარემიოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემკრების სურვილი ანდაზათა თემატურ ჯგუფებად დანაწილების შესახებ კვლავ მიუღწეველი დარჩა. გარდა ამისა, კრებულში ანდაზათა გვერდით შეტანილია აფორიზმები, იგავები, ხალხური (ე. წ. „საა-

ნდაზო“) ლექსები, ხატოვანი თქმები, ზოგიერთი ხელოვნური ფრაზები, რომლებიც ანდაზისებურ ყაიდაზეა აგებული და სხვადასხვა მწერლისეული ფრაზები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს მასალა უდავოდ გენეტიკურ კავშირშია ანდაზებთან, მაინც საჭირო და აუცილებელი იყო მათი განცალკევება, ვინაიდან ანდაზა სრულიად დამოუკიდებელი ფანრის ნაწარმოებია; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალათა შეტანა ანდაზების კრებულში ქართულ პარემიოლოგიას ერთგვარ ტრადიციად მოსდევს; მათი გამიჯვნის პირველი ცდა იყო „ხალხური სიბრძნის“ მე-5 ტომში (თბ., 1965) დასტამბული ანდაზები, რაც ქართული ანდაზების სრულყოფილ მეცნიერულ გამოცემად უნდა მივიჩნიოთ.

ანდაზის ცნების, მისი სპეციფიკის გარკვევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მ. ჩიქოვანის, ალ. ლლონტის, ფ. ერთელიშვილის, ფ. ზანდუკელის და სხვათა შეხედულებანი ამ ფანრის შესახებ.

ანდაზის სპეციფიკას შეადგენს იგავური ბუნება, აზრის გადატანითი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომაც არის დიდი ორგანული კავშირი ანდაზასა და იგავს შორის, რაც აფერხებს მცირე ზომის იგავებისა და ანდაზების განცალკევებას; თმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგავს სიუჟეტური ქარგა გააჩნია, ანდაზას კი – არა, მაშინ არც ისე ძნელი უნდა იყოს მათი გამიჯვნა. სამწუხაროდ, ამ ნაკლისაგან არც თ. სახოკიას „ქართული ანდაზების“ კრებულია დაზღვეული; მასში მრავალი იგავია შესული. მაგალითად: „ბუზს სპილოს ყურში დაუზამთრდა და გაზაფხულამდე დარჩა. რომ გამოვიდა, სპილოს მადლობა ჰკადრა. სპილომ უთხრა: შენი არც შემოსვლა გამიგია და არც გასვლაო“ (გვ. 37); „საწყალმა თქვა: ჩვენმა თხამ ტყუპი ციკანი მოიგოო. ხალხმა უთხრა: როგორ შეიძლებაო. მდიდარმა თქვა: ჩვენ თხას ბატკანი ეყოლაო. ხალხმა უთხრა: შეიძლებაო“ (გვ. 172); „ურიას უთხრეს: ბატონი იხრჩობა, ხან ამოიყურყუმელავებს, ხან ჩაიყურყუმელავებსო. – ბატონი ბატონია, გინდა ამოიყურყუმელავებს და გინდა ჩაიყურყუმელავებსო“ (გვ. 187) და სხვა.

ხშირია შემთხვევა, როცა მეტყველებაში ანდაზისა და აფორიზმის ადგილს იჭერს ხალხური ლექსის სტრიქონი. დასაშვებია, რომ ზოგი ასეთი ფრაზა ოდესღაც მართლაც ანდაზა იყო და შემდეგ გაილექსა (ასეთი შემთხვევა ხშირია), მაგრამ შესაძლოა, პოეტური ნიმუშიდან მივიღეთ ანდაზა. ამგვარი „საანდაზო ლექსები“ თედო სახოკიას ანდაზების კრებულშიც არის შესული:

„ეგრე არა ქნა, ხუცესო,  
საქმე არა ქნა უწესო,  
თორემ ეგ შენი ნაქნარი  
შენსა შვილსაცა უწევსო“.

(გვ. 60)

„შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა,  
განა სუყველას სმა უნდა,  
პირზე მომდგარსა სიტყვასა  
განა სუყველას თქმა უნდა!“

(გვ. 214)

„დილით ოქრო ხარ, სტუმარო,  
სალამოს ვერცხლად იქცევი,  
თუ ღამე დაგაგვიანდა,  
სპილენძად გადაიქცევი“.

(გვ. 58)

და სხვა.

„საანდაზო ლექსები“ (მით უმეტეს, თუკი ისინი თავდაპირველად ანდაზები იყო და შემდეგ მიიღეს ლექსითი ფორმა), ვფიქრობთ, ანდაზათა მხატვრული ფორმის განვითარების კიდევ უფრო მაღალი საფეხურის მაჩვენებელია. ამდენად, მათი უარყოფა ხელაღებით მიუღებელია; და თუნდაც პირუკუ პროცესს ჰქონდეს ადგილი (რომელიმე ხალხური ლექსი თუ ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფი შემდეგ კიდევ უფრო დაკონკრეტდა და საანდაზო ფორმულად იქცა), „საანდაზო ლექსებთან“ ანდაზათა გენეტიკური კავშირი აქაც ნათელია და შემთხვევითი არ არის, რომ მკვლევარი ზურაბ კიკნაძე ანდაზას სიბრძნის პოეზიად მოიხსენიებს (კიკნაძე, 2008: 324).

თედო სახოკიას ანდაზათა კრებულში შეტანილია, აგრეთვე, როგორც ხალხური, ისე წიგნური აფორიზმები: „ვაჟკაცი სადაც შერცხვების, იმის სამარე იქ არის“ (გვ. 70); „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი – თუნდაც ხისაო“ (გვ. 71); „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“ (გვ. 215, რუსთაველი); „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“ (გვ. 248, გურამიშვილი); ხატოვანი თქმები: „არზრუმს არ ვყოფილვარ, აზრით ვიციო“ (გვ. 21); „ზღვას ერთი კენჭი აკლდაო“ (გვ. 84) და სხვა. ანდაზათა შორის მკვლევარს მოუთავსებია, აგრეთვე, შემდეგი ფრაზები: „შეგილოცავ თვალისასა, უნინ ჩემი თავისასა“ (გვ. 215) და „თამარ დედოფალი ვიყავ – თავი მაღლა ავნიეო“ (გვ. 87). პირველი მათგანი შელოცვათა ფრაგმენტია, მეორე კი – თამარ მეფის ციკლის საისტორიო ლექსისა. ამ (და სხვა ამათგარ) ნიმუშებში უცილობლად იგრძნობა ის მხატვრული ჩანასახი, რომელზედაც ვითარდება ანდაზური ჟანრი. ამდენად, ანდაზებთან გენეტიკურად დაკავშირებული გამონათქვამების შეტანით თედო სახოკია უთუოდ მხატვრული აზროვნების ფსიქოლოგიის თვალსაზრისით გვიჩვენებდა ამ ჟანრის ევოლუციის პრობლემას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზისებური გამონათქვამებისა და ფრაზების შეტანას ნებისმიერ ანდაზათა კრებულში გარკვეული კომენტირება მაინც სჭირდება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ თ. სახოკიას „ქართული ანდაზები“ გარკვეული სახის გადასინჯვას საჭიროებს, რათა შემკრების მრავალწლიანი რუდუნების ნაყოფი დახვეწილი, სრული სახით დარჩეს შთამომავლობას.

ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული ნარკვევის – „საქორწილო ჩვეულებანი სამეგრელოში“ დასასრულს (გვ. 111) თ. სახოკია გვთავაზობს ანდაზებს, რომლებშიც ასახულია ხალხის შეხედულებანი ქორწილსა და ცოლ-ქმრობაზე:

1. ბედნიერს ცოლი მოუკვდება და უბედურს ცხენიო.  
(ბედნიერს ჩილი უღურუ, უბედურს – ცხენი).
2. კარგი ცოლის პატრონს გზაში საგზალი არ უნდაო.  
(ჯგირ ჩილიმ მენდულს შარას ორზოლ ვაკონია).
3. თუ ცოლი ქმარს არა ჰგავს (იმის ხასიათი არა აქვს), მისი არ იქნებაო.  
(ჩილი ქომონჯიმ ვაგუნდა, მუშ ვეყინია).
4. ცოლის შერთვა ვისაც უნდა, სახლი კარგ საფუძველზე უნდა ჰქონდეს.  
(ოსურიმ მუმაყონაფალ კოს დიდი ოსხირი ოკონია).

ამათგან პირველი ორი შეტანილია თ. სახოკიას „ქართულ ანდაზებში“ (გვ. 32, 103).

თედო სახოკიას არქივში ინახება ხელნაწერი, რომელშიც მას ცალკე ამოუკრებია ის ფოლკლორული მასალა, უმთავრესად კი ანდაზები, სადაც რიცხვი „ცხრა“ არის ნახმარი. როგორც ჩანს, მკვლევარს განზრახული ჰქონია მისი ცალკე გამოცემა. ცხრა გამორჩეული ეპიკური რიცხვია და ემყარება ცხრაობით თვლას (ცხრა მთა, ცხრა კლიტული, ცხრათავიანი დევი, ცხრა ძმა და სხვა.). მას საკრალური, მაგიური მნიშვნელობაც ენიჭება. თედო სახოკიას დაინტერესებაც ცხრაზე ნახმარი გამოთქმებით, ალბათ, ამით იყო გამოწვეული. ხელნაწერის სათაურია „რიცხვ ცხრაზე ნახ-

მარი თქმანი ანუ ანდაზანი“. იგი დაუთარილებელია. მასალათა მცირე ნაწილი, როგორც მინანურიდან ვგებულობთ, ამოღებულია თედო რაზიკაშვილის „ქართლური ზღაპრებიდან“ (რამდენიმე ლექსის ფრაგმენტი) და სოსიკო მერკვილაძის „ანდაზებიდან“ (ანდაზების ნაწილი); უმრავლესობა კი თვით თ. სახოკიას მიერ არის შეკრებილი. ანდაზების გარდა (სულ 27 ერთეული), აქ თავმოყრილია წყევლის, ლოცვის, ხატოვან თქმათა და შელოცვათა ნიმუშები.

თედო სახოკია ხალხური ანდაზების არა მარტო შემკრები და პუბლიკატორი, არამედ მოხდენილად გამომყენებელიც არის. მეცნიერულსა თუ პუბლიცისტურ ნერილებში, ორიგინალურსა და თარგმულ თხზულებებში, სათანადო შემთხვევებისას მას ორიგინალურად აქვს მომარჯვებული ხალხური შემოქმედების ეს ბრძნული ნიმუშები. მათი გამოყენებით იგი, ერთი მხრივ, ამ ჟანრის ფუნქციაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი, ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, მეტ დამაჯერებლობასა და ეფექტს აღწევს; ხშირ შემთხვევაში კი, გარკვეული სიტუაციების აღწერისას, მკვლევარი ანდაზათა გენეზისის საკითხებზეც მსჯელობს.

ნარკვევში „ალექსანდრე ყაზბეგი“, აღწერს რა დიდი ქართველი მწერლის სიცოცხლის ბოლო, გაჭირვებაში გატარებულ წლებსა და სიკვდილს, მისი დაკრძალვის შესახებ თ. სახოკია ამბობს: „შედეგად დამკრძალავი კომისია და... „ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანო“, ისე მოხდა. დ. ყიფიანის შემდეგ საქართველოში ასეთი ამბით მარტო ალ. ყაზბეგს ეღირსა დასაფლავება!“ (სახოკია, 1969: 70).

ნარკვევში „ეგნატე ნინოშვილი“ თედო სახოკია მოგვითხრობს უსახსროდ დარჩენილი ავადმყოფი მწერლის უსასო მდგომარეობაზე და მიუთითებს მაშინდელი საზოგადოების გულგრილობაზე: „განზე იდგნენ – „ჭირი მეზობლისასაო“, ყურები დაიცვეს, მომაკვდავი ეგნატეს კენესა არ გავიგონოთ“ (სახოკია, 1969: 156-157).

აფხაზეთში მოგზაურობისას 1889 წელს, აღწერს რა აფხაზეთის მთებში მოუხერხებლად და ნაჩქარევად გაჭრილ გზას, მის მშენებელ ინჟინერს მკვლევარი უკიჟინებს: „ეტყობა, ჩვენ ბრძნულ ქართულ ანდაზას – „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“ მასზედ არავითარი გავლენა არა ჰქონია“ .

მემუარული ხასიათის ნაშრომში „როგორ ვიზრდებოდით ძველად“ თ. სახოკია მოგვითხრობს შიო მღვდლის სიხარბესა და გაუმადლობაზე: „რასაც მოერეოდა ხომ იქვე, ალაგობრივ, სჭამდა და სვამდა და საუკეთესო ნაჭერი ხორცისა თუ პური შინ უნდა გაეტანებინათ. ალბათ, ასეთმა შემთხვევამ შექმნა მღვდლებზე გამოთქმული ანდაზა: „აქ გამაძლე, შინაც გამატანეო“. იქვე მკვლევარი მისთვის ჩვეული იუმორით აღწერს შიოსა და ჭირისუფალს შორის გამართულ დავას: „შიომ იწყინა: – არა, შვილონისა, მე ათშაურიანი მღვდელი არ გახლავართ, ჩემი ლოცვა და სხვა მღვდელი რომ გინახავთ, იმის ლოცვა ერთი არ გახლავსო! თქვენ წელიწადში ერთსა თუ ორს თულა მოგაგონდებათ სიკვდილი და მაშინაც ათი შაურის მეტი რომ არ ავილო, აბა ამიშენდება ოჯახი!.. ესეც არ იყოს, ხომ გაგიგონიათ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. აქაო და თქვენი გვარისა ვარო, განა თავი უნდა აგაგდებინოთ, ანაფორა შეგარცხვენინოთ!..“ (სახოკია, 1969: 40-42).

ხარბი და გაუმადლარი შიო მღვდელი შვილებს სასტიკად ექცეოდა. მას „მტკიცედ ჰქონდა შეგნებული მთელი მნიშვნელობა და ძალა ანდაზისა: „შვილი მტრად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო“ (სახოკია, 1969: 25).

1892 წელს სოხუმ-ზუგდიდის გზის გაყვანის ხარჯები მოსახლეობას შეაწერა მთავრობამ. ხალხმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ „მოგეხსენებათ, „ძალა აღმართსა ხნავსო!“ ბოლოს მაინც გააღებინეს მკვიდრი ფული“, – წერს თ. სახოკია (სახოკია, 1950: 258).

აჭარაში სხალთის ცნობილი ტაძრის გაპარტახებას მკვლევარი ანდაზით გამოხატავს: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ“, – აბა სწორედ ამ ტაძრის შესახებ ითქმის“ (სახოკია, 1950: 235).

ოჩამჩირის სკოლის შესახებ მკვლევარი ამბობს: „სამართლიანად თავი მოაქვთ აქაურებს თავიანთი სკოლითა. მშვენიერი ექვს-თვალისანი ქვითკირის შენობა სკოლისა, ოჩამჩირის გამორჩინებულ ადგილას დგას და შორ მანძილიდან პირველად ეს სკოლა ხვდება კაცს თვალში; მაგრამ რომ იტყვიან, „გარედან მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდან – მოყვარესაო“, სწორედ ამ სკოლაზე ითქმის...“ (სახოკია, 1950: 235).

1908 წელს თედო სახოკია ციმბირში გადასახლეს. სოფელ ვერხოლენსკოეში პოლიტიკურ პატიმრებს სისხლის სამართლის დამნაშავე „ჟიგანებისაგან“ სასტიკი განაჩენი ელოდათ. მათ დახმარებისთვის მამასახლისს მიმართეს. მამასახლისი გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილი) საუკეთესო ნაცნობი აღმოჩნდა და დიდი დახმარება გაუწია მათ. „სწორედ აქ მომაგონდა ქართული ანდაზა: „კაი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდებისო“ და სწორედ მაშინ დავაფასე სავსებით ძალა ამ ბრძნული ანდაზისა“, – წერს თ. სახოკია (სახოკია, 1938: 288).

1888 წელს ქალაქ ყენევაში დაწერილ მოთხრობაში „საწყალი ქეთო“ ვაჭარი მამა ურჩევს ქალიშვილს, უარყოს განათლებული ღარიბი საქმრო და ცოლად გაჰყვეს აზნაურს, რადგანაც მას სიმდიდრე და სახელი აქვს: „... ხომ გაგიგონია, „დედის წინ წასული ფაშატი მგელმა შეჭამაო“, შენც აგრე დაგემართება“. ამავე მოთხრობაში გადაგვარებული, ზნედაცემული თავადაზნაურობისა და სულგაყიდულ ვაჭართა კლასის დასახასიათებლად თ.სახოკიას მოაქვს ანდაზა: „კუზიანს მარტო შავი მინა გაასწორებსო“.

ანდაზებს თედო სახოკია ხშირ შემთხვევაში გადამუშავებული, დანაწევრებული სახით იყენებს. მოგვითხრობს რა შიო მღვდლის ინტრიგებზე ივანე მღვდლის მიმართ, წერს: „აღდგომასაც არ შეეძლო მისი კერპი გული მოეღბო, აეჩვილებინა: ავი შიო აღდგომასაც ავი იყო!“ აქ მინიშნებულია ანდაზაზე: „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“.

გაძიძავებულ თედოს ძიძიშვილები მტრულად შეხვდნენ. „ეს სრულებით ბუნებრივიც იყო, – იგონებს იგი, – თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ მთელი ოჯახის ყურადღების ცენტრში მე ვიყავი, ყველანი თავს მეველებოდნენ, აქაურები კი დაიჩრდილნენ, იმ გარეული თავისა არ იყოს, შინაური რომ გააგდო“ (სახოკია, 1955: 4). აქ პერიფრაზირებულია ანდაზა: „გარეულმა ქათამმა შინაური გააგდოვ“.


სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლე თედო სახოკიას გაჭირვებიდან თავის დასაღწევად წიგნების აკინძვა უსწავლია. ამის შესახებ ის იგონებს: „გაჭირვებამ გაქცევაც გვასწავლა და მერე როგორი გაქცევა!“ (სახოკია, 1955: 114); გამოყენებულია ანდაზა: გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“.

მრავალი ანდაზა გამოიყენა თედო სახოკიამ ენათმეცნიერული ხასიათის წერილში „ქართული ენა (თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა)“, რომელიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის ნომრებში 1911 წელს (სახოკია, 1911: №№ 339, 340, 343, 346, 348).

მართალია, თედო სახოკია ვერ მოესწრო, მისი სურვილისამებრ (თემატურ ჯგუფებად დალაგებულ) განყოფილ ანდაზათა კრებულის გამოცემას, მაგრამ, როგორც აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ აღნიშნა, „იმ სახით, როგორც მან დაგვიტოვა ეს ნაშრომი, იგი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ფოლკლორისტიკისათვის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ანდაზები ღირსეულად საპატიო ადგილს დაიჭერს სხვა ხალხების ანდაზებს შორის და გვერდში ამოუდგება შუმერულსა და ძველბერძნულ ანდაზებს“ (ჩიტაია, 1969: 24).

## ლიტერატურა:

1. კიკნაძე, 2008 – ზურაბ კიკნაძე, „ქართული ფოლკლორი“, თბილისი;
2. სახოკია, 1938 – თედო სახოკია, „ციმბირში (მოგონება წარსულიდან)“ – ჟ. „მნათობი“, თბილისი;
3. სახოკია, 1950 – თედო სახოკია, „მოგზაურობანი“, თბილისი;
4. სახოკია, 1955 – თედო სახოკია, „როგორ ვიზრდებოდი ძველად“, თბილისი;
5. სახოკია, 1969 – თედო სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები“, თბილისი;
6. სახოკია, 1969 – თედო სახოკია, „ავტობიოგრაფია“ – „თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული“, თბილისი;
7. სახოკია, 2012 – თედო სახოკია, „ქართული ანდაზები“, თბილისი;
8. ლიტ. მუზ. ფ. – გ. ლეონიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ხახანაშვილის ფონდი, ხ. №617/136, თბილისი;
9. ლიტ. მუზ. ფ. – გ. ლეონიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ხახანაშვილის ფონდი, ხ. №11 257, თბილისი;
10. ჩიტაია, 1969 – გიორგი ჩიტაია, „თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა“ – „თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული“, თბილისი;
11. ჩიქოვანი, 1946 – მიხეილ ჩიქოვანი, „ქართული ფოლკლორი“, თბილისი.



## მისი მხარე

### დიდ წინაპართა ღირსეული შთამომავალი

ამბობენ, ცარიელ ნიადაგზე არაფერი მოდისო. ამ ფრთიანი გამონათქვამის მართებულობა ეჭვგარეშეა. როცა გამორჩეულ პიროვნებას ეხება საქმე, ნებსით თუ უნებლიედ დაგაინტერესებს მისი წარმომავლობა, ფესვები და ა. შ. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვექნება საუბარი, კერძოდ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორ აკაკი ბერიძეზე. ვიდრე უშუალოდ მასზე გავაგრძელებთ საუბარს, მანამდე „მოვჩხრიკოთ“ მისი ფესვები, საიდან მოდის ის და ვისი გორისაა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, განსაკუთრებით ბოლო 25 წელი და მე-20 საუკუნის პირველი ორი ათი წელი აჭარისა და მისი მოსახლეობისთვის გარდამავალი ხანაა, ეს არის აჭარის მოსახლეობის წარსული მძიმე მემკვიდრეობის შემდეგ დედასაქართველოსთან ინტეგრაციის მძიმე და ტკივილიანი პროცესი. ამის გამოძახილია 1878 წელს აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ დაწყებული მუჰაჯირობა, ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თურქეთში გადასვლა საცხოვრებლად. ამ პროცესს ხელს უწყობდა როგორც რუსეთის, ისე თურქეთის ხელისუფლება.

მუჰაჯირობის წინააღმდეგ გამოდიოდა ქართული საზოგადოება და მისი მოწინავე შვილები, მათ შორის მუსლიმი ქართველები. მოგითხრობთ ორ გამორჩეულ მუსლიმ ქართველზე, რომელთა უშუალო შთამომავალია აკაკი ბერიძე. ესენი არიან: ლომან ეფენდი ქარცივაძე (1812-1889) და მისი სიძე, ქალიშვილის ქმარი – ნური ეფენდი ბერიძე (1845-1919). ლომან ეფენდი აკაკი ბერიძის დიდი ბაბუა იყო (ბაბუას დედის მამა), ხოლო ნური ეფენდი ბაბუის მამა. ამ ორი დიდი მუსლიმი ქართველის შესახებ საკმაოდ არის დაწერილი, ამიტომაც მათი ბიოგრაფიის მთავარ შტრიხებზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

ლომან ეფენდი ქარცივაძემ, რომელიც დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლადაურში დაიბადა, სასულიერო (და არა მხოლოდ სასულიერო) განათლება მიიღო თურქეთში, ცენტრალური ანატოლიის ქალაქ კაისერიაში. ის იმდენად ღრმად იყო ჩახედული მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რომ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სტამბოლში როგორც სასულიერო, ისე საერო სასწავლებლებში. სტამბოლის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ცნობილ მედ-

რესეში კი მას მოიხსენიებდნენ, როგორც „დიდ პროფესორს“.

აქ თხრობის ძირითად ხაზს ცოცხალი გადავუხვევთ. აკაკი ბერიძისადმი მიძღვნილ ამ ნარკვევში ეს გადახვევა კანონზომიერია, რადგანაც ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება მისი ინტერესების სფეროში შედის. საქმე ის არის, რომ კაისერი, სადაც ლომან ეფენდომ სასულიერო განათლება მიიღო, ძველბერძნული ქალაქი კესარიაა. სწორედ ამ ქალაქიდან იყვნენ აღმოსავლური ქრისტიანობის ეკლესიის „სამი მნათობიდან“ ორი, ძმები – ბასილი დიდი (330-379) – კესარიის ეპისკოპოსი 370-379 წლებში და გრიგოლ ნოსელი (335-394) – ნისას ეპისკოპოსი 372-390 წლებში, მესამე „მნათობი“ კი იყო გრიგოლ ღვთისმეტყველი (325-389) ქალაქ ნაზიანზიდან, ჯერ ნაზიანზის ეპისკოპოსი იყო, 380 წლიდან კი ცოცხალი ხანს იყო კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი და შემდეგ ისევ ნაზიანზის მღვდელმთავარი. სამივე მათგანი მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიის წმინდანია. სამივე მღვდელმთავარი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და პატივისცემით მოიხსენიებოდა საქართველოს ეკლესიაში. ყოველი მათგანის არაერთი ნაშრომი თარგმნილია ქართულად. მთარგმნელები კი იყვნენ ამ საქმის ისეთი აღიარებული ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ: ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, დავით ტბელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და სხვები. ამასთან, სარწმუნო წყაროებით, ძმები ბასილი და გრიგოლი წარმომავლობით იყვნენ ქართველები და ერთმანეთში ქართულად საუბრობდნენ. როგორც ირკვევა, ლომან ეფენდომ განათლება მიიღო დიდი სასულიერო ტრადიციების (მართალია არა მუსლიმური) მქონე რელიგიურ ცენტრში.

ლომან ეფენდი რამდენადაც ის არაერთხელ ყოფილა მომლოცველად (ჰაჯი) მექასა და მედინაში, ამიტომაც მას იცნობდნენ, აგრეთვე, „გურჯი ჰაჯის“ სახელითაც. იყო თურქეთის სულთნის მრჩეველი და მიღებული ჰქონდა უმაღლესი მუსლიმური სასულიერო ტიტული – **შეიხ-ულ-ისლამი**.

ამ შთამბეჭდავი კარიერის მიუხედავად, ის დაბრუნდა სამშობლოში და ნური ეფენდი ბერიძესთან ერთად წინ აღუდგა მუჰაჯირობას. ამ გზით მათ ათასობით ოჯახი შეუნარჩუნეს საქართველოს. სწორედ ეს მომენტი მიმართა მის მოღვაწეობაში განსაკუთრებულად. მას იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ 1881 წელს მიიწვიეს და პეტერბურგში ესწრებოდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ინაუგურაციას.

ჩვენ კარგად ვიცით ლომან ეფენდის სასულიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი წვლილი მუჰაჯირობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ არაფერი ვიცით მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. ჰქონდა თუ არა მას საკუთარი ნაშრომები, ან რა ხასიათის იყო მისი კომენტარები სხვადასხვა არაბულ წიგნებზე. აქ ურიგო არ იქნება იმის გახსენება, რომ XI-XII საუკუნეების გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომია მის მიერვე ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი დიდი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პროკლეს (412-485) ტრაქტატზე – „ღვთისმეტყველების პირველსაფუძვლები“ დართული კომენტარები, რაც მოცულობით ორჯერ აღემატება საკუთრივ პროკლეს თხზულებას. რატომ ვერ ითარგმნა დღემდე ქართულად ერთი ნაშრომი მაინც მასზე დართული ლომან ეფენდის კომენტარებით და რატომ ვკმაყოფილდებით მათი მხოლოდ ზედაპირული მოხსენიებით. ეს აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა, რათა მიახლოებით მაინც გვეჩვენოს წარმოდგენა ლომან ეფენდის მთლიან პიროვნებაზე.

რაც შეეხება ნური ეფენდი ბერიძეს ის სოფელ ფურტიოში დაიბადა და 1907 წლამდე აქ ცხოვრობდა. ამის შემდეგ თვითონ და მისი ოჯახი სოფელ ოლადაუში გადასახლდა. მან განათლება მიიღო სტამბოლის უნივერსიტეტის ფათიჰის მედრესეში, სადაც მისი მოძღვარი იყო ლომან ეფენდი ქარცივაძე. შემდეგ მან ლომან ეფენდის ქალიშვილი შეირთო ცოლად.



ნური ეფენდის მამა იყო ყადი (მუსლიმური რელიგიის მოსამართლე, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს შარიათით). ის ცნობილი იყო „ინჯა ყადის“ (წმინდა ყადის) სახელით. ნური ეფენდი მამის გზას გაჰყვა და 32 წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, 1881-1913 წლებში ზემო აჭარის მთავარი ყადი/მოსამართლე იყო. როგორც ცნობილი ეთნოლოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე აპოლონ ნულაძე (1884-1942) წერს, აჭარაში უკვე მყარად დამკვიდრებულ რუსულ ხელისუფლებას საგანგებოდ შეუმონმებია ნური ეფენდის 32 წლიანი სასამართლო გადაწყვეტილების ოქმები და დიდი მცდელობის მიუხედავად, ერთი საექვო გადაწყვეტილებაც ვერ აღმოუჩინია.

ნური ეფენდის ოჯახი ხელგაშლილი ხვდებოდა სტუმრებს საქართველოდან, საქმის ცოდნით უყვებოდა აჭარის მძიმე წარსულზე, დაყვებოდა მათ მალალმთიანი აჭარის სოფლებში მოგზაურობისას. ყველაფერი ეს კარგად აქვთ აღწერილი თედო სახოკიას და ზაქარია ჭიჭინაძეს.

ნური ეფენდის საზოგადოებრივი მოღვაწეობის გვირგვინია 1915 წლის შემოდგომაზე მისი ინიციატივით მისსავე სახლში ზემო აჭარაში ერთ-ერთი პირველი პირველდამწყებითი ქართული სკოლის გახსნა. ეს ფაქტი უნდა ჩაითვალოს მის ეროვნულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ მოვლენად. აპოლონ ნულაძე ყვება, რომ ნური ეფენდის გადაწყვეტილი აქვს სკოლის დამთავრების შემდეგ მისი შვილის გიმნაზიაში გაგზავნა. ამავე ავტორის ცნობით, სკოლაში ნური ეფენდი ასწავლიდა მუსლიმურ საღვთო სჯულს. ნური ეფენდი მოუწოდებდა თანასოფლელებს, რომ შვილები შეეყვანათ ქართულ სკოლაში.

ნური ეფენდი ესწრებოდა 1913 წელს თბილისში გამართულ რომანოვების სამეფო დინასტიის 300 წლოვანი ისტორიის იუბილის საზეიმო აღნიშვნას.

ნური ეფენდის ასევე ღირსეული შვილები ჰყავდა, მათ შორის, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ბატონი აკაკის უშუალო ბაბუა – ნუსრე-

დინ ბერიძე (1879-1937) ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. კდემამოსილებითა და ბუნებრივი არისტოკრატიზმით გამოირჩეოდა ბატონი აკაკის დედა, ქალბატონი შეიმე მიქელაძე-ბერიძისა (1920-1995). აკაკის მამა – ბატონი ლევანი (1919-2000) ასევე ცნობილი სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე იყო, ვისაც ცხოვრების პირველ ნახევარში, როგორც „ხალხის მტრის“ შვილს, გარკვეული დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა. მოკლედ ასეთია ბატონი აკაკი ბერიძის წინაპრების არასრული „გენეალოგიური ხე“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი წინაპრების შთამომავალი სწორედ ისეთი უნდა იყოს, როგორიც ბატონი აკაკი ბერიძეა. მით უმეტეს, რომ განგებამ თუ ბუნების ძალამ მისთვის არ დაიშურა არც გვარიშვილობა, არც ნიჭი და არც ფიზიკური მონაცემები გარეგნული ხიბლით. როცა ეცნობი აკაკი ბერიძის განვლილი ცხოვრების გზას, ერთი შეხედვით ის ია-ვარდებით მოფენილია. მართლაც, სოფელ ოლადაურის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრება, ერთი გამოცდით სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვა, ინსტიტუტის წითელ დიპლომზე დამთავრება, მშობლიურ რაიონში მთავარი ექიმად მუშაობა, შემდეგ ასპირანტურა, სამეცნიერო ხარისხების დაცვა, 1975 წლიდან აჭარის არ რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელობა, 1995-2004 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრობა, აჭარის არ ქირურგიულთა საზოგადოებისა და აჭარის ექიმთა გაერთიანების საზოგადოების თავმჯდომარეობა, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის არაერთი ორგანიზაციისა თუ ასოციაციის წევრობა, ათასობით სხვადასხვა სახის ოპერაცია და უამრავი პატენტის ავტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი (დამსახურებული) პროფესორი... ეს არის ბატონი აკაკის საქმიანობისა და მიღწევების არასრული ჩამონათვალი.

საბედნიეროდ, ბატონ აკაკის იმ დროს მოუხდა სწავლა და მოღვაწეობა, როცა მამისგან გა-

ნსხვაგვებით, მას აღარ მოუწია „ხალხის მტრის“ შთამომავალის უმძიმესი ტვირთის ტარება. სხვა შემთხვევაში რეპრესირებული ბაბუის შთამომავალს არც დაბრკოლებები მოაკლდებოდა და არც არასასიამოვნო სიურპრიზები.

ექიმობა მუდამ პრესტიჟულ და საპატიო პროფესიად ითვლებოდა ყოველთვის. თეთრი ხალხით შემოსილი ექიმი მუდამ სიმპათიას იწვევდა და მავანთა თვალში კეთილ შურსაც აღძრავდა. არადა, ყველაფერ ამის უკან იდგა მუხლჩაუხრელი შრომა, სიცოცხლის გადასარჩენად თერთად გათენებული ღამეები, წარმატებული და წარუმატებელი ოპერაციები. პირველად ექიმის ამ ურთულესი საქმიანობის არსს მეტ-ნაკლებად ჩაწვდი, როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში გავეცანი ცნობილი რუსი ექიმი მწერლის – ვიკენტი ვერესაევის (1867-1945) ნაწარმოებს – „ექიმის ჩანაწერები“. მეორედ ეს განვიცადე აკაკი ბერიძის წინამდებარე წიგნის, განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილის – „ქირურგია – ღვთაებრივი ხელოვნება“, გაცნობისას.

მედიცინის მრავალრიცხოვან დარგებს შორის ქირურგია ერთ-ერთი პრესტიჟული და ამავე დროს რთული პროფესიაა. არსებობს კარდიო ქირურგია, სისხლძარღვთა ქირურგია, ნეიროქირურგია და სხვ. ჩვეულებრივი ადამიანისთვის ქირურგია მოიაზრება, როგორც მუცლის ღრუში განთავსებულ ორგანოებზე სკალპელით ჩარევის პროცედურა. ძირითადად მეც ასე მიმაჩნდა. ალბათ, არიან კიდეც ასეთი ვინრო სპეციალობის ქირურგებიც. ბატონი აკაკი ბერიძის ჩანაწერებმა – „ქირურგია – ღვთაებრივი ხელოვნება“, სრულიად შეცვალა ჩემი წარმოდგენა ქირურგიაზე. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ამ ჩანაწერებით სრულიად სხვა კუთხით წარმოჩნდა აკაკი ბერიძე.

აღნიშნულ ჩანაწერებში მუცლის ღრუს ორგანოებზე ჩატარებული ოპერაციების განხილვისა და ანალიზის გარდა, გვხვდება გულზე ქროილობის მკურნალობის, ენდოკრინოლოგიური და ფიზიკური ტრავმებით გამოწვეული სხვადასხვა შემთხვევების განხილვა-ანალიზი-შეფასებები

და ამის საფუძველზე განხორციელებული ოპერაციები. ამ ქმედებებში ცხადად ჩანს აკაკი ბერიძის ახლებური და ორიგინალური მიდგომები, რაც პაციენტის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის ერთადერთი გზა გამხდარა. აქვე მინდა ერთი წლის წინანდელი ამბავი გავიხსენო. სუფრასთან სხვებთან ერთად იყო ერთი ცნობილი ექიმი (არა ქირურგი). საუბარი მედიცინასა და ექიმებზე ჩამოვარდა, სხვებთან ერთად ნახსენები იყო აკაკი ბერიძე. სწორედ იმ ექიმმა ერთობ საყურადღებო რამ უთხრა სუფრის წევრებს: „ჩვენთან ყველა დარგის ექიმები, გამონაკლისის გარეშე, საბოლოო გადაწყვეტილებას აკაკი ბერიძესთან ათანხმებენ“. პირადად ჩემთვის, როგორც ბატონი აკაკის ახლობელისთვის, ეს სიტყვები ნებისმიერ ჯილდოსა თუ პრემიაზე მეტის მთქმელია.

მე, გასაგები მიზეზების გამო, ვერ გამოვდგები აკაკი ბერიძის სამედიცინო საქმიანობის სრულყოფილ შემფასებლად. ამიტომაც სხვა მიმართებით გავაგრძელებ საუბარს. უკვე აღვნიშნეთ, რომ ის მრავალპროფილიანი ქირურგია. მისი, როგორც შემოქმედი პიროვნების მოღვაწეობა მხოლოდ მედიცინით არ ამოიწურება. ბატონი აკაკი ქვეყნის საჭირობო საკითხებით არის დაინტერესებული და ჩაფიქრებული. ის არაერთი, ნახევრად სამედიცინო პოპულარული, ისტორიული სტატიისა და პუბლიცისტური წერილის ავტორია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი აკაკი ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარულია. მან არა მხოლოდ ქართველი კლასიკოსი პოეტების ლექსები იცის ზეპირად და შესაბამის და შესაფერის სიტუაციაში ყოველგვარი თავპატიჟის გარეშე ამ ცოდნის საჯარო დემონსტრირებას ახდენს. სწორედ პოეზიის დიდი სიყვარულით არის დაწერილი მისი წერილი – „უღვთო იყო შენი სიკვდილი“. წერილი ტრაგიკულად დაღუპულ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე აღიარებულ პოეტს ლევან გელაძეს (1932-1963) ეძღვნება. ასევე დიდი სიყვარულით და ხელოვნების ნიუანსების ღრმა ცოდნით არის დაწერილი მომღე-

რალ გურამ თამაზაშვილისადმი (1954-2009) მიძღვნილი წერილი – „გაზაფხულის მგალობელი“.

დავუბრუნდეთ აკაკი ბერიძის ფართო საქმიანობას. საინტერესოდ იკითხება მისი სტატიები საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციაზე, ათეული წლების განმავლობაში მედიცინის დარგის მდგომარეობასა და განვითარებაზე აჭარაში, ინფექციური დაავადებების საფრთხეებზე, ხალხურ მედიცინაზე (ტიბეტური, ჩინური და ქართული ხალხური მედიცინის პარალელებით), ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში სავარაუდოდ მთელ ქრისტიანულ სამყაროში პირველი ქრისტიანული ეკლესიის ნაგებობის არსებობაზე, სახელოვან მთიელზე, რუსეთის იმპერიის დაპყრობითი ომების წინააღმდეგ უშიშარ მებრძოლ გმირ შამილზე და სხვ.

წიგნში, ასევე საყურადღებოა ავტორის ჩანახატები – „ნაფიქრალ-ნააზრევი“, რაც სამედიცინო ეტიუდების შთაბეჭდილებას ტოვებს. მსგავსი ჩანახატები მრავლად გვხვდება ავტორის სხვა პუბლიკაციებში. აკაკი ბერიძის საქმიანობის ორიგინალურსა და შემოქმედებითობაზე ნათლად მეტყველებს ჩანაწერებზე თან დართული მისი საავტორო ქირურგიული ოპერაციებისა და პატენტების ნუსხა. საინტერესო და საყურადღებოა აკაკი ბერიძის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიები მამია კომახიძეზე, გურამ ტატიშვილზე, რამაზ სურმანიძეზე, ბესარიონ ფროლოვზე და სხვ. თითოეული მათგანის პიროვნებაში წარმოჩენილია ინდივიდუალურად მისთვის დამახასიათებელი შტრიხი.

ცნობილი დასტაქარი, აკადემიკოსი მამია კომახიძე ბატონი აკაკის მასწავლებელი და გზისგამკვალავი იყო. თუკი ადრე ბატონი აკაკისგან გაგონილი მქონდა, რომ მამია კომახიძეს ნობელის კომიტეტი საბუთების გაგზავნას თხოვდა, რათა მას კენჭი ეყარა ნობელის პრემიის მოსაპოვებლად, ახლა ამ ფაქტს ის საჯაროს ხდის. რა დამსახურება ჰქონდა მამია კომახიძეს, რომ ნობელის პრემიების კომიტეტის ყურადღება მიიპყრო? ამის თაობაზე თვითონ აკაკი ბერიძე გვიამბობს: „ახალგაზრდა მეცნი-

ერმა ლენინგრადში, პროფ. ტოკონოვის ანატომიის კათედრაზე სტაჟირების პერიოდში შეიმუშავა კაპილარების ორიგინალური კვლევის მეთოდი ტუმ-ჟელატინის მასის ინექციით, რამაც საფუძველი დაუდო ახალ მიმართულებას მედიცინაში – მიკროცირკულაციის შესწავლას. იმდენად შთამბეჭდავი იყო ამ დარგში მიღწეული შედეგები, რომ ნობელის პრემიების მიმნიჭებელმა კომიტეტმა წერილობით მიმართა მამია კომახიძეს წარედგინა საბუთები ამ საპატიო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. გარკვეული მიზეზების გამო ბატონმა მამიამ წერილს არ უპასუხა“.

იმის გასაგებად თუ რატომ არ უპასუხა წერილს და არ გაგზავნა მამინ მამია კომახიძემ საბუთები ნობელის პრემიების კომიტეტში, ორი ამბავი გავიხსნოთ. მსგავსი ვითარება იყო პროფესორ ვასილ ვარაზაშვილთან /ვარაზი/ (1888-1969) მიმართებითაც.

1938 წელს ნობელის პრემიების კომიტეტმა ვასილ ვარაზაშვილს სთხოვა გაეგზავნა საბუთები, რათა მას 1939 წელს კენჭი ეყარა ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში ნობელის პრემიის მოსაპოვებლად. ეს ფაქტი მას არ გაუხმაურებია და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი. ეჭვგარეშეა, რომ მამინ საბჭოთა კავშირში მიმდინარე სასტიკი რეპრესიების შიშით მან ეს მოწვევა არ გაახმაურა. მეტი სიცხადისთვის გავიხსენოთ ბორის პასტერნაკის (1890-1960) შემთხვევა. როცა მას გაცილებით წყნარ საბჭოთა კავშირის დროს, 1958 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოებულ მწერალს საბჭოთა რეჟიმმა ოფიციალურად უარი ათქმევინა პრემიის მიღებაზე. ამ ფაქტების შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, თუ რატომ არ გამოეხმაურა მამია კომახიძე ნობელის პრემიების კომიტეტის წინადადებას. ბატონი აკაკის გადმოცემით, მამია კომახიძე გულნატკენი ყოფილა იმის გამო, რომ ის არ აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. მედიცინაში მისი განუთლი ღვაწლისა და მიღწევების გათვალისწინებით, მისი გულისტკივილი საფუძვლიანიცაა და გასაგებიც.

აკაკი ბერიძეს არ ავინყდება უფროსი თაობის ექიმები (ეგნატე ფიფია, გურამ ტატიშვილი, თენგიზ ახმეტელ, გიორგი ნაცვლიშვილი...) და ყველას სათანადოს მიუზღავს. არ ივინყებს იმ მხარში დგომას და რჩევებს, რაც მის მიმართ გამოუჩენიათ როგორც უფროსი თაობის ექიმებს, ისე სხვა კოლეგებს. გამორჩეულად გამოყოფს გურამ ტატიშვილს, მის ღვანლს და ნოვატორობას ქირურგიაში.

აკაკი ბერიძე განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებს ჯანდაცვის სისტემის ცნობილ ორგანიზატორს, მეცნიერს, მწერალსა და პუბლიცისტს რამაზ სურმანიძეს (1933-2020). ის სკრუპულოზური სიზუსტით ჩამოთვლის მის დამსახურებებს, წლების განმავლობაში აჭარის არ ჯანდაცვის მინისტრად ყოფნისას გაკეთებულ საქმეებს.

ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში (1975) ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელად აკაკი ბერიძის დანიშვნის შემდეგ ამ მიმართულებით ახალი ეტაპი დაიწყო. თუ რა სახის სიძნელები, მიღწევები და ახალი გზები იქნა გამონახული ბატონი აკაკი დანვრილებით მოუთხრობს ექიმ-სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მკითხველს. ამასთან, მას არც ქირურგიის განყოფილების ისტორია ავინყდება. განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებს იმ არაქართველ ექიმებს, ვინც ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების სათავეებთან იყვნენ (ბ. ფილკენშტეინი, კ. სევერინი, ბ. ფროლოვი, ა. შატილოვი, დ. ხარიტიდი, ფ. შეფერი და სხვ.). შემდეგ ესტაფეტა გადაეცათ ქართველ ქირურგებს (კონდრატე მხეიძე, ვალერიან ქაცარავა, ვარლამ გიორგაძე, ავნი დიასამიძე და სხვ.). ამ მიმართებით აკაკი ბერიძე მოკრძალებულია თავისი ღვანლის აღნიშვნისას.

ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში – „მოგონებები გარდასულ დღეთა“ ბატონი აკაკი გვიამბობს უნიკალურ პიროვნებაზე – ნიკო მღებრიშვილზე, რომელიც ჯერ ფინელების ტყვე ყოფილა, შემდეგ გერმანელების და ბოლოს კი საბჭოთა გულავში გაუმწესებიათ. სწორედ აქ

დაუახლოვდა ის და დაუმეგობრდა კიდევ დიდ მწერალ ლევან გოთუას. ამდენი თავგადასავლები შემდეგ ნიკო მღებრიშვილი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გამხდარა, სწორედ მისი მეშვეობით გაუცვნიათ ბატონ აკაკის და მის მეგობრებს ლევან გოთუა. მასთან შეხვედრები, მასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა მხარეებში მოგზურობები მშვენივრად არის აღწერილი სტატიაში.

ვისაც აკაკი ბერიძის შესახებ მეტის გაგება უნდა ვურჩევ ნაიკითხოს მრავალთაგან რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორები არიან: იზა ჩანტლაძე, მარინა მითაიშვილი, ნოდარ გრიგოლია, ზურაბ თედორაძე, ზაალ კახიანი, რამაზ სურმანიძე და ზურაბ ჩხილაძე, აგრეთვე, მისდამი მიძღვნილი პოეტ ჯემალ ქათამაძის ლექსი – „ექიმი“.

დასასრულ, აკაკი ბერიძის მუხლჩაუხრელი გარჯა, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე დაუღალავი ზრუნვა და საერთოდ მისი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. ის არის აბუსერისძე ტბელისა და ღირსების ორდენოსანი, ბათუმისა და შუახევის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე. ბოლოს მისი ღვანლის აღიარების გვირგვინი იყო 2023 წლის 24 მარტს ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს სკვერში მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნა. ეს არის ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როცა საქართველოში ვარსკვლავს უხსნიან... ექიმს. სხვათა შორის, ბატონი აკაკი პირველი ექიმი, ვისაც ვარსკვლავი გაუხსნეს აჭარაში.

დიდ წინაპრებს არაერთი ღირსეული შთამომავლი ჰყავდათ და ჰყავთ. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია ბატონი აკაკის ძმა – ჯემალ ბერიძე, ასევე წარმატებულია მეცნიერებასა და პოლიტიკაში. მან ძმის მსგავსად ოქროს მედალზე დაამთავრა ოლადაურის საშუალო სკოლა და წარჩინებით პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი რადიოტექნიკის სპეციალობით. არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1997 წელს არჩეული იქნა კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად. იყო ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატური ელექტრო-კავშირგაბმულობის კათედრის გამგე (1982-2009 წწ.), სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების სასწავლო-სამეცნიერო მართულებისა (2009-2018 წწ.) და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის (2018-2021 წწ.) ხელმძღვანელი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო და პოლიტიკურ ფორუმებში. იყო საქართველოს III და IV მოწვევის პარლამენტის წევრი. საქართველოს პარლამენტში მისი ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს კანონი კავშირგაბმულობის შესახებ.

თუკი აკაკი ბერიძის დიდი წინაპრები მონაწილეობდნენ პეტერბურგსა და თბილისში გამ-

ართულ რომანოვებთან დაკავშირებულ დიდ ფორუმებში, მათმა, ასევე გამორჩეულმა შთამომავალმა – ჯემალ ბერიძემ, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა, მსოფლიოს პარლამენტართა კავშირის ყრილობაზე, რომელიც ეძღვნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის 50-ე წლისთავს, 1995 წლის 1 სექტემბერს გაერო-ს მაღალი ტრიბუნიდან მთელ მსოფლიოს ამცნო საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების თაობაზე. ეს სამი ფაქტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და არა შემთხვევითი, არამედ კანონზომიერი მოვლენაა.

ასე მესახება ბატონი აკაკი ბერიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის და მასთან გენეტიკურად დაკავშირებული ვინრო საახლობლო წრის ზოგადი სურათი.



# ნოდარ ბარაშიძე

## ლადო კოტეტიშვილი – აჭარელი მედიკოსის ერთი ფსიქოლოგიური თავისებურების შესახებ

ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი, ექიმი ლადო კოტეტიშვილი (ვახტანგ კოტეტიშვილის უმცროსი ძმა) ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იქვე კლინიკაში დარჩა ნევროპათოლოგად. 1921 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში, მუშაობდა ექიმად კახეთში, შემდეგ იყო საექიმო პუნქტის გამგე აჭარაში, ხულოს რაიონში. თბილისში მუშაობდა ექიმ-ორდინატორად, ნევროპათოლოგად. 1939 წელს 6 თვით მივლინებული იყო ლენინგრადში, სადაც მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართული მედიცინის ხელნაწერებზე. სიცოცხლის ბოლო 1939-1940 წლებში იყო სან-ჰიგიენური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

როგორც ცნობილია, 1937 წელს კოტეტიშვილებმა დაკარგეს საგვარეულოში გამორჩეული კაცი, ლადოს ძმა, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე – ვახტანგი. მას დარჩა 15 წლის ქალიშვილი – ლილი და 2 წლის ბიჭი – ვახუშტი. ბიძა ლადო იყო დაობლებული ოჯახის მეურვე და მფარველი.

ამ ტრაგედიიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1940 წელს, 45 წლის ასაკში გარდაიცვალა ლადოც. მას დარჩა მეუღლე – ნინო მაყაშვილი და სამი შვილი: იათამზე, ელისო და ნანა. იათამზე კოტეტიშვილი ახლა ცნობილი ფსიქოლოგია. იგი დამსახურებული პროფესორია. წლების მანძილზე განაგებდა დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის ლაბორატორიას. ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისა და აქვე მუშაობის პერიოდში (1970-1980 წლები) საშუალება მქონდა იათოს მეშვეობით უშუალოდ მეგრძნო კოტეტიშვილთა ტალანტიც და ჭეშმარიტი მამულიშვილობაც. როგორც აღვნიშნეთ, ლადო კოტეტიშვილმა შეისწავლა ძველი ქართული სამკურნალო მწერლობა. მან გამოაქვეყნა სამი მნიშვნელოვანი ძეგლი: „უსწორო კარაბადინი“, „ნიგნი სააქიმოი“, „იადიგარ დაუდი“. ლადო კოტეტიშვილის წვლილი მედიცინის ისტორიის განვითარებაში სათანადოდ შეაფასა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც დიდად წუხდა, რომ ლადოს ნაადრევმა და მოულოდნელმა სიკვდილმა მისი ესოდენ მნიშვნელოვანი მოღვაწეობა შეწყვიტა.

1998 წელს გამოქვეყნდა ლადო კოტეტიშვილის საინტერესო ნაშრომი „საექიმო იდეები ვეფხისტყაოსანში“. მას კიდევ დარჩა გამოუქვეყნებელი შრომები, წერილები და ჩანაწერები. ერთ-ერთი

ჩანანერი ეხება აჭარას და დათარიღებულია 1923 წლით. ლადოს ქალიშვილმა, ქალბატონმა იათომ დიდსულოვნად მოგვანოდა ჩვენ ეს ხელნაწერი იმ კეთილი სურვილით, რომ თუ რომელიმე ადგილობრივი გამომცემლობა მიზანშეწონილად ჩათვლიდა, უფრო გამართლებული იქნებოდა მისი პირველად გამოქვეყნება სწორედ აჭარაში, რაც ჩვენი წინასიტყვაობით განხორციელდა კიდევ უფრო ახლოს – „ლიტერატურული აჭარა“ [ბარამიძე, 2001].

ამ პატარა ჩანაწერში ბათუმიდან ხულოსკენ მიმავალი ლადო კოტეტიშვილი გადმოგვცემს ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობაში მიღებულ შთბეჭდილებებს, ადამიანებთან შეხვედრის ეპიზოდებს, რასაც ადგილი ჰქონდა ეტლით, ფეხით თუ ფურგონით მოგზაურობისას. აღწერს გარემოს ლამაზ სურათებს, ხშირად აქოჩრილ ტყეებს, საშიშრად გადმოკიდებულ კლდეებს, ამაყ მთებს, აჭარელი კაცის მძიმე შრომას, მის „ჯიუტ ბრძოლას თავხედ ბუნებასთან“. ლაპარაკობს აჭარელთა ხაზგასმული მორიდეების, ზრდილობიანობის, სიტყვაძვირობისა და ჩაფიქრებული იერ-სახის შესახებ.

მისი შთაბეჭდილებით, აქ რაღაც საიდუმლო ფიქრს მისცემია ბუნება, ოსმალეთიდან მომავალი ჭოროხიც თითქოს მწარედ გაჩუმებულა, ფეხაკრეფით მიიპარება ზღვისკენ და კვნესით, ტირილით ებლაუჭება მის ტალღებს. ჭოროხის დუმილი ერთგან იზარება გაქანებული აჭარისწყლით, ელვარე ხმალივით რომ ხლეჩს მის ტანს, მაგრამ ჭოროხის ზვიადობა მალე აყუჩებს, ახრჩობს, ადუმებს მასაც.

ბუნების სურათების ასე თავისებურად, განსულიერებულად აღქმა-წარმოდგენის ფონზე, ლადო კოტეტიშვილი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას თუ მოსაზრებას აჭარელი მაჰმადიანის შესახებ. იგი წერს: გლოვის ზარად გაისმის მწუხარე „იაზანის“ ხმა მიყრუებულ ხეობაში. მწუხარე „ხოჯა“ ქვითინებს აჭარისტანის მალალ მინარეთებზე. აქ მაჰმადის მკაცრ ყურანს ქართულ კილოზე იმღერებენ არაბულის სიტყვებით. არამგონია სადმე ჰშინებოდეთ მაჰმადის სჯულის ისე, როგორც აჭარაში. ეს ისტორიული შიშია. შეხედეთ აჭარელს ლოცვის დროს და მაშინვე წარმოგიდგებათ სასტიკი ხმალი იმის თავზე ამართული, რომელიც ასე შიშით ალოცებდა მის წინაპართ. მზის ჩასვლას და ამოსვლას აქ რაღაც საიდუმლო პოზით ეგებებიან. აჭარელი ყოველ დღეს ლოცვას შიშით იწყებს და შიშით ათავებს. არამგონია ქალებს სადმე ჰშინებოდეთ მამაკაცის, როგორც აჭარაში. ეს შიშიც გასაგებია ისტორიულად. ვინ იცის ყველაზე სასტიკად ოსმალეთის ტყვეობას ქალები განიცდიდნენ. ვინ იცის რამდენი სილამაზე და ცრემლი შეენირა თათრულ ჟინიანობას. აკი ამიტომ დაშინებულან – ქურციკივით გაურბიან მამაკაცებს. თეთრი ჩადრი კი არ მალავს, უფრო ამჟღავნებს აჭარელი ქალის სილამაზეს, გიშერი თვალის ძალას. სიმღერა აქ თითქოს დავინწყებულია. რაღაც საიდუმლო დუმილით დაიარება აჭარელი, რაღაც მოფიქრებული სიჩუმეა გამეფებული მთელ აჭარაში. სამაგიეროდ სალი კლდეების ნაჟური აჭარისწყალი მწარედ მოსთქვამს გაოხრებულ დიდებას... [კოტეტიშვილი, 2001: 126].

ასე ახასიათებდა მკაცრ ბუნებასთან შეზრდილ და შეჭიდულ აჭარელ მაჰმადიანს ვითარების თვითმხილველი ლადო კოტეტიშვილი საუკუნის წინათ. მას შემდეგ ამ მიმართებით ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ, ვფიქრობ, აქაურ მაჰმადიან მორწმუნეში, ბუნებით უშიშარ ქართველში, ისევ დარჩა არაცნობიერში გადასული და ლოცვასთან თავისებურად შერწყმული შიშის სპეციფიკური გრძნობა.

ვინაიდან აღნიშნულ დახასიათებაში, ძირითადად, შიშის რელიგიურ (თუმცა, არა მხოლოდ რელიგიური ნიშნით აღბეჭდილ) გრძნობაზეა საუბარი, ამ დახასიათების შეფასება-ანალიზამდე, მიზანშეწონილია გავიხსენოთ, რომ ადამიანისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გრძნობები იყოფა ხუთ ჯგუფად. ესენია: ესთეტიკური, ინტელექტუალური, მორალური, პრაქსიული ანუ მოქმედებასთან დაკავშირებული და რელიგიური გრძნობები.

რელიგიური გრძნობები აღმოცენდება ღმერთის რწმენასთან, ღმერთისადმი სამსახურთან მიმართებაში და განიცდება, როგორც იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მზადება. ამ გრძნობებს მიეკუთ-

ვნება მორწმუნე ადამიანის სპეციფიკური გრძნობები, რომელსაც იგი განსაკუთრებით განიცდის რელიგიური რიტუალების შესრულების მომენტში. ფსიქოლოგიაში და ღვთისმეტყველებაში აღიარებული ავტორიტეტი – გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ რელიგიური გრძნობების ნამდვილი ბუნების გაგებისათვის აუცილებელია ადამიანმა თავად განიცადოს ისინი [გაბრიელ ეპისკოპოსი, 1993: 148-163].

ადამიანი ღმერთთან ურთიერთობას ახორციელებს ლოცვისა და აღსარების საშუალებით. ლოცვა არის ღმერთის წინაშე სხვადასხვა გრძნობის „გადმოღვრა“ სიტყვებით. ის წმინდა ფსიქოლოგიური მოვლენაა, რომლის დროსაც ყოველივე ცუდი, ყველა უწმინდური აზრი და ბინიერი ლტოლვა ქრება „გულიდან“. ლოცვა სულის მოქმედებაა, რომლის წყალობითაც იცვლება და მდიდრდება მლოცველის შინაგანი სამყარო.

აღსარება არის საერთო განწმენდის ნაწილი, რომელსაც მორწმუნე საჭიროებს. აღსარების შემდეგ მორწმუნე ადამიანი განახლებული ცხოვრებით ცხოვრობს, თითქოს თავიდან იწყებს ცხოვრებას.

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ცნობილ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“ რელიგიურ გრძნობებს შორის ასახელებს: რელიგიურ სიხარულს, რელიგიურ მწუხარებას, გულმონყალების გრძნობას, რელიგიურ სიყვარულს, რელიგიურ შიშს და სხვა. ამასთანავე, იგი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ჭეშმარიტ რელიგიურ გრძნობებს არაფერი აქვთ საერთო ფანატიზმთან. ფანატიზმი რელიგიის ნილაბქვეშ ფარავს (მაღავს) ბოროტ ზრახვებსა და ვნებებს.

დავუბრუნდეთ აჭარელი მაჰმადიანის ფსიქოლოგიისა და ლოცვის კოტეტიშვილისეულ დახასიათებას. რაა ნიშანდობლივი მასში? თავიდანვე თვალში საცემია ქართული სინამდვილისათვის შეუსაბამო სურათის სათანადო ემოციურ ფერებში წარმოჩენა. კერძოდ, მუეძინის ლოცვის სიტყვები აღქმულია გლოვის ზარად და მწუხარე ხოჯის ქვითინად. ვფიქრობთ, ეს არის ვითარების ზოგადი დახასიათება და არა მისი აღქმა მხოლოდ ქრისტიანის მიერ. ტრადიციულ მუსლიმურ ქვეყნებში და ასეთივე გარემოში ყველაფერი პირიქითაა. მინარეთებიდან მომდინარე ხმა მუეძინისა იქ აღიქმება ჩვეულებრივ მოვლენად, რაღაც ღვთისმიერის, მორწმუნეთათვის სავალდებულოსა და სასიხარულოს მაუნყებლად (და, როგორც დასტურდება, არა მარტო მუსლიმთათვის). ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სხვა ეროვნების არამუსლიმის მიერაც ეს ლოცვა ძირითადად აღიქმება დადებით კონტექსტში, ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელ ატრიბუტად, ბუნებრივ მოვლენად. მაგრამ ქართველში იგი მაინც სხვა, სპეციფიკურ, ამბივალენტურ გრძნობებს იწვევს. ამ ვითარებას ერთგვარად ადასტურებს თვითდაკვირვების მონაცემებიც, რომლის მსგავსი სხვებისგანაც მომისმენია. რამდენიმე წლის წინათ, ტურისტული მოგზაურობისას საშუალება მქონდა ერთ კვირა მეცხოვრა მინარეთებით მდიდარი სტამბოლის აია-სოფიას ტაძრის (მუზეუმის, ახლა უკვე მეჩეთის) ახლო მდებარე სასტუმროში. აღმოჩნდა, რომ თურქეთის სინამდვილეში მოსმენილი მუეძინის სიტყვები მართლაც სპეციფიკურად განიცდება, ვიდრე იგივე სიტყვები ჩვენს სინამდვილეში. მართალია, ეს განცდა უაღრესად ინდივიდუალურია, მაგრამ უცხოეთში მას უფრო ფონისმიერი, ნეიტრალური, ან ამბივალენტური ელფერი აქვს, სამშობლოში კი ტკივილიანი გრძნობის სახეს იძენს, რაც სრულიად გასაგებია. აქ, მუეძინის ხმა ჩემთვის უცხოა და მტკივნეულ ასოციაციებს იწვევს, იქ, შესაბამის ქვეყანასთან მიმართებაში და მისი რელიგიის კონტექსტში აღიქმება.

ყველაზე განსაკუთრებული მაინც აღნიშნულ დახასიათებაში არის აჭარელი მაჰმადიანისათვის დამახასიათებელი თავისებური შიშის გრძნობა, რომელსაც კოტეტიშვილი სამართლიანად „ისტორიულ შიშს“ უწოდებს. საერთოდ, აჭარელი შეუდრეკელი, უშიშარი და გაბედულია, მაგრამ აქ ლაპარაკია სხვა სახის შიშზე. ცხადია, ეს არის არა წმინდა რელიგიური შიში, არამედ მასთან შეზა-



ვებული, ისტორიული წარსულიდან მომდინარე, არაცნობიერში გადასული ფიზიკური დასჯის შიშით. ესაა არა ზემოაღნიშნულ (გაბრიელ ეპისკოპოსისეულ) ჩამონათვალში მითითებული შიში, არა მხოლოდ ღვთის წინაშე შიში, არამედ ამ შიშთან შერწყმული, ფსიქიკის ღრმა ფენებში დაღეჭილი ამქვეყნიური ყოფნა-არყოფნის შიშიც.

ლადო კოტეტიშვილმა სწორად დაინახა და ახსნა აჭარელი მაჰმადიანისათვის დამახასიათებელი, რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებული შიშის თავისებური გრძნობა, რომელიც რელიგიური შიშისაგან განსხვავებით, ისტორიულ ქრილში რომ განვიხილოთ, მეორადი წარმოშობისაა. ის, მორწმუნეს მიერ ისე განიცდება, თითქოს წმინდა რელიგიური შიშია, მაგრამ ფაქტობრივად ასე როდია. მასში ასახულია იძულებით თავს მოხვეული და თაობათა გამოცდილებაში ფიქსირებულ-განმტკიცებული მდგომარეობაც. ეს ამბივალენტური გრძნობა განსხვავდება, მაგალითად, ორთოდოქსი მუსლიმი არაბის, ქრისტიანი ქართველის, თუ იუდეველი ებრაელის შესაბამისი გრძნობისაგან, რომელიც უფრო ჰომოგენურია, სპონტანური და ბუნებრივიც.

ასე რომ, ოდესღაც, გამაჰმადიანების სიტუაციაში მდგარი ქრისტიანი აჭარელი განიცდიდა ორმაგ შიშს: შიშს უფლის წინაშე ქრისტიანობის დაკარგვისათვის და სიკვდილით დასჯის შიშს მისი შენარჩუნებისათვის. ბოლოს და ბოლოს, როდესაც მომხდურმა იმძლავრა, ყველაფერმა ამან ასახვა ჰპოვა აჭარელი მაჰმადიანის იმ სულიერ მდგომარეობაში, რომლის შესახებაც კარგად ლაპარაკობს ლადო კოტეტიშვილი თავის 100 წლის წინანდელ მცირე მოცულობის ჩანაწერში.

#### ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ., კოტეტიშვილი ლადო, „ექიმი, მეცნიერი, მამულიშვილი“, ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, №8, 2001.
2. გაბრიელ ეპისკოპოსი, „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისი, 1993.
3. კოტეტიშვილი ლადო, „აჭარაში“, ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, №8, ბათუმი, 2001.

# ჭორბი 3

2023

მალხაზ ფალავას  
პირადი ციფრული  
ბიბლიოთეკა

2023 [malkhaz.pagava@gmail.com](mailto:malkhaz.pagava@gmail.com)